

ქართული მეფაღვრიის ისტორიიდან

I

ნ. ჩხეიძე

მჭედობა რაჭაში

შესავალი

საკაცობრიო კულტურის ისტორიაში ლითონის მნიშვნელობა მეტად დიდი და მრავალმხრივია. განსაკუთრებით რკინის დამუშავებამ საზოგადოებრივ ცხოვრებაში უდიდესი როლი ითამაშა. მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებელთაგანი ფრ. ენგელსი საზოგადოების მიერ რკინის გამოყენების ფაქტს ეპოქალურ მნიშვნელობას ანიჭებს: „...ადამიანის სამსახურში ჩადგა რკინა, უკანასკნელი და უმნიშვნელოვანესი ყველა იმ ნედლეულიდან, რომელთაც რევოლუციური როლი შეასრულეს იატორიაში, უკანასკნელი—კარტოფილის გამოყენებამდე. რკინის წყალობით შესაძლებელი გახდა მემინდვრობა ვრცელ ფართობებზე. ტუთ დაფარული ვრცელი ადგილების გაკაფვა და დამუშავება; რკინამ ხელოსანს ისეთი მტკიცე და მკრელი იარაღი მისცა, რომელსაც ვერ უძლებდა ვერც ერთი ქვა, ვერც ერთი იმ დროს ცნობილი ლითონი“¹. მე-19 ს. მკვლევარი ლ. მორგანი ნაშრომში—„ძველი საზოგადოება“², სადაც იგი კულტურის ეპოქათა ეთნიკურ პერიოდიზაციას იძლევა და „თითოეულ ეპოქას საარსებო საშუალებათა მოპოვების პროგრესის მიხედვით“³ გამოყოფს, ბარბაროსობის ზედა საფეხურს რკინის გამოგონებით იწყებს.

აკად. ი. ჯავახიშვილი გარკვევით მიუთითებს: „საკაცობრიობის უძველესი ნივთიერი კულტურის ისტორიის უმთავრეს საკითხთაგანს გარეული ცხოველებისა და ველური მკენარეების, ხეხილის თანდათან გაშინაურება-გაყეთილშობილება, ლითონის დამუშავების ღონეობის მიგნება და ხელოვნების შექმნა შეადგენს.“⁴.

ამგვარად, რკინის კულტურა, რომელმაც თანამედროვე ტექნიკისა და მეცნიერების პირობებში განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო, საზოგადოების სამეფურნეო და კულტურულ ცხოვრებაში თავიდანვე ღრმა ისტორიული მნიშვნელობის ფაქტორს წარმოადგენდა. რკინა, რომელიც ამჟამად ყველა სხვა ლითონისგან უფრო ფართოდაა გამოყენებული და ხმარებაში შესული, შედარებით მოგვიანო ხანის კულტურულ მონაპოვრად ითვლება. ამ მიმართულებით მას წინ უსწრებს სპილენძი და ბრინჯაო. თუმცა ზოგიერთი მკვლევარი⁵—ჰოსტმანი, ლინდენმითი და სხვა, იმის გამო, რომ რკინის მადნის დაწურვა და დამზადების პროცესი შედარებით დაბალ ტემპერატურას (800°—C) მოითხოვს, საწინააღმდეგო დასკვნამდე მივიდა და რკინა სპილენძისა და ბრინ-

¹ ფრ. ენგელსი, ოჯახის, კრძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, კ. მარქსი, ფრ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, თბ. 1950, გვ. 374.

² Л. Морган, Древнее общество, т. 1934, гв. 10.

³ ფრ. ენგელსი, დასახ. ნაშრ., გვ. 216.

⁴ ივ. ჯავახიშვილი, ჩვენი ამოცანები ენათმეცნიერებისა და კულტურის ისტორიის სფეროში, ენიშკი-ს მოამბე, ტ. I, გვ. 3.

⁵ Reallexicon d. Vorgeschichte, herausg. v. Ebert, ტ. III, Eisen.

ჯაოს უწინარესად მიიჩნია, მაგრამ ეს შეხედულება არც ევროპისა და არც აზია-აფრიკის მასალით არ გამართლდა¹.

ამ ვითარებაში ბუნებრივია ის დიდი და ცხოველი ინტერესი. რომელსაც მეცნიერება ლითონთა ძველი კულტურის, კერძოდ რკინის დამუშავების ისტორიის პრობლემებისადმი იჩენს. ამის მიუხედავად, ბევრი აქტუალური და პირველხარისხოვანი საკითხი რკინის ძველი მეღითონეობისა ბურუსით არის მოცული². მკვლევართა უმეტესობა სხვადასხვა და ერთიმეორის საპირისპირო მოსაზრებასა და შეხედულებას გამოთქვამს იმის შესახებ, თუ ვინ იყვნენ რკინის თავდაპირველი აღმოჩენნი და მისი შემუშავების მომგონნი, დედამიწის რომელ ადგილას და რა დროს უნდა მომხდარიყო ეს აღმოჩენა? ქვეყნის რომელი კუთხეები უნდა მივიჩნიოთ რკინის კულტურის ძირითად მწარმოებელ კერებად?

ყველა ეს საკითხი დღემდე გაურკვეველი და პრობლემატურია. მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, მეღითონეობის კულტურის ძველი ცენტრები აღმოსავლეთის, განსაკუთრებით წინა აზიის, ქვეყნებში უნდა წარმოქმნილიყო³. ამ შემთხვევაში მისი გეოგრაფიული გავრცელების ისარი აღმოსავლეთიდან დასავლეთისა და ჩრდილოეთისკენ უნდა მიმართულიყო. მკვლევართა მეორე ნაწილი⁴ უფრო სარწმუნოდ თვლის ამ კერების აღმოცენებას დასავლეთის ქვეყნებში და მისი გეოგრაფიული გავრცელების მიმართულებას ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. თავის მხრივ, თითოეული ზემოთ აღნიშნული შეხედულება ნაირი ვარიანტისა და ჰიპოთეზის სახით არის წარმოდგენილი. ხშირად ამ თეორიების ამოსავალ წერტილს საგანთა და მოვლენათა გარეგანი ფაქტორებით ახსნა წარმოადგენს და არა მათი შინაგანი განვითარებისა და კანონზომიერების ნიადაგზე კრიტიკული გარკვევა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ პრობლემათა რკალში წინა აზიისა და კავკასიის მეღითონეობის საკითხს განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა. ამასთანავე ეს ქვეყნები სხვადასხვა ხალხთა და ნაირ კულტურათა შეხედრა-შეჯვარედინების მთავარ საკვანძოდ აღიღადა არის მაჩნეული. რაც მთავარია, დაწინაურებული მეღითონეობის კულტურა, კერძოდ რკინის შემუშავება, აქ სხვა ადგილებთან შედარებით ხნიერი და ძველი ჩანს⁵. ამ მხრივ თვალსაჩინოდ აღვლით უპირავეს მცირე აზიის ხალხთა სამყაროს—ხეთებს, ტუხალ-კაინებს, მუსკებს.

¹ RV, ტ. III, გვ. 62.

² A. A. Иессев, Деген-Ковалевский, Из истории древней металлургии Кавказа, Изв. ГАИМК, 1935 г., в. 120, гв. 238, 239.

³ E. Chantre, Congrès International d'Archéologie et d'Anthropologie Préhistoriques, II-me session, ტ. II, Moscou, 1893, გვ. 78, 79, 89, 90; J de Morgan, Mission scientifique au Caucase, ტ. I, გვ. 78, 79, 89, 90; Paulsen, Die Dipylograber und die Dipylovasen, 1905, გვ. 37.

⁴ G. Wilke, Archeologische Parallelen aus dem Kaukasus und dem unteren Donaugebiet. Zeitschrift für Ethnologie, 1914, გვ. 95—100; K. Schuchart, Alteuropa, Berlin, 1927.

⁵ RV, ტ. III, Eisen, გვ. 62.

ხალიბებს და სხვ., რომელთა გარშემო თავს იყრის განსაკუთრებით საყურადღებო ფაქტები ლითონთა დამუშავების საკითხების შესახებ.

ასურული წყაროების (ლურსმული წარწერების ტექსტები) მიხედვით ირკვევა, რომ მცირე აზიაში—კაადოკიასა და პონტოს მახლობლად მცხოვრებ მუსკებს, ტაბალებს და სხვ. ასურელ დამპყრობთათვის მეფე ასურნასირპალის (884—860 ძვ. წ.) დროს თითბრის ქურქელი, ხოლო ტიგლათფილესერ III დროს, ამასთანავე, რკინეული ნივთები უძლევიანთ ხარკად. მეფე ასურნასირპალი პირდაპირ ასახელებს, რომ მან კარქემიშის მეფე სანგარისაგან ხარკად ორასორმოცდაათი ტალანტი რკინა აიღო. ეს ცნობა მათში მდნეული ხელობის განვითარებასა და ცოდნას მოწმობს, როგორც ცნობილია¹, ეგვიპტე, ახალ სამეფოს ხანაში, რკინას ვაჭრობის ნიადაგზე წინა აზიიდან იღებდა. დაახლოებით ამავე ხანებისათვის² ხეთებმა მათ მაგარი რკინა, ანუ ფოლადიც გააცნეს.

ამ ტომებს, რომელთაც თავის დროზე მეტად დაწინაურებული სამოქალაქო ცხოვრება შეუქმნიათ³, განთქმულ მელითონებად იხსენიებს და მიიჩნევს „დაბადებაც“. დაბადების ქართულ თარგმანში⁴ (შესაქმე. თ. IV, 22) იკითხება: „ნ სელა შვა მანც თობაჲლ და იყო კუშრით ხუროჲ მკვედელი რვალისა და რკინისა“, ხოლო წინასწარმეტყველი იეზეკიელი ტვიროსის გოდებაში (XXVII, 13) იტყვის: „ივანი, თობელი და მოსოხ ვაჭრობდნენ შენ შორის სულეებსა და ქურქელნი რვალისანი მისცნეს სავაჭროდ შენდა“.

შემდგომ ხანებში, მეშვიდე საუკუნიდან მოყოლებული, წინა აზიის, განსაკუთრებით შვეი ზღვის სამხრ.-აღმოსავლეთი სანაპიროს და ამიერკავკასიის, სამხრეთ პროვინციებში, ამავე ტომების მიერ რკინისა და საერთოდ ლითონთა დამუშავების ფაქტებს ბერძენთა და რომაელთა მწერლების ცნობებიც ადასტურებს. ქსენოფონტე⁵ (ანაბაზისი, V, თ. 5) მოგვითხრობს: „მოკავშირე და მოწინააღმდეგე მოსინიკების ქვეყანა ბერძნებმა მ „გადასავლელით“ განვლეს და მიადგნენ ხალიბების ქვეყანას. ხალიბნი მცირერიცხოვანი და მოსინიკების ქვეშევრდომი ხალხი იყო, რომელთა მეტი ნაწილი რკინის მდნების დამუშავებით ირჩენდა თავს-ო. გეოგრაფი სტრაბონი⁶ (გეოგრაფია, XII, 3) გარკვეულად მიუთითებს: „ქალები ძველად ხალიბებად იწოდებოდნენ. მათ ქვეყანაში დევს ფარნაკია, რომლის კეთილდღეობის წყაროს ზღვის მხრიდან თევზის ჭერა და ხმელეთიდან სხვადასხვა საბადოები შეადგენენ, რომელთაგან ამჟამად მხოლოდ რკინისას ამუშავებენ, ძველად კი ვერცხლისა-საც“-ო.

¹ RV, ტ. III, გვ. 66, § 3.

² RV, იქვე, § 3.

³ ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. 1², 1928, გვ. 18.

⁴ იხ. საქ. სახ. მუზეუმის ხელნაწერი № 51 (ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ფონდისა); შტრ. დაბეჭდილი დაბადება ბაქარისეული, სადაც ეს ადგილი იკითხება: „ხოლო სელლაჲ შვა თობელ ესე იყო კვერით ხუროჲ, მკვედელი რვალისა და რკინისა“.

⁵ В. Латышев, Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе, СПб, 1833, ტ. I, გვ. 83.

⁶ В. Латышев, დაახ. ნაშრ., გვ. 158.

ამგვარად, ლიტერატურული წყაროებითა (ასურული ლურსმული წარწერები, „დაბადება“ და ბერძენი მწერლების ცნობები) და ნივთიერი არქეოლოგიური მონაცემებით¹ ხსენებულ ტომებში რკინის შემუშავების ფაქტები როგორც მცირე აზიის, ასევე ა/კავკასიის ტერიტორიაზე უცილობლად დასტურდება.

როგორც ცნობილია, თუბალ-კაინები (—ასურული ლურს. წარწერებით—თაბალი, ანუ ტაბალი, დაბადებით—თობელი), მოსხები (—ასურ. ლურს. წარწერებით—მუჟაია, დაბადების—მეშეხი), მოსინიკები, ხალიბები და ხეთაურარტუს სამეფოს ზოგიერთი სხვა ხალხი მერმინდელ ქართველთა წინაპრებად არის მიჩნეული².

ამ მიმართებით შეიძლება ვივარაუდოთ ქართველი ხალხის მემკვიდრეობითი კავშირი მცირე აზიის ხეთაურარტუს ხალხთა კულტურასთან, კერძოდ მელითონეობასთან, რომლის ნაკვალევი და შინაგანი კავშირი მათს მერმინდელ უოფიერებას ნიადაგ მოდგამდა. ამ დებულების საფუძვლებს, გარკვეული მონაცემების მიხედვით, ქვემოთ შევხებით, მანამდე საჭიროა გათვალისწინებულ იქნას აგრეთვე ზოგიერთი მოსაზრება ქართველი ტომების მელითონეობის შესახებ ძველად.

აკად. ი. ჯავახიშვილი მუსკების შესახებ შემდეგს აღნიშნავს: „...სასოფლო მეურნეობის გარდა მრეწველობა და ხელობაც გავრცელებული ყოფილა, მეტადრე თითბრის ქურქელს აკეთებდნენ თურმე მუსკები. ეს იქიდან ჩანს, რომ აშურ-ნასირ-აბალ მეფის (884—860 წ. ქ. წ.) დროს მუსკები ასურეთის ხელმწიფეს ხარკად თითბრის ქურქელებს, ხარებს, ცხვრებს და ღვინოს აძლევდნენ ხოლმე (KB, I, 65)“. ასევე, ტაბალების შესახებ ამბობს: „...ცხენების გარდა ტაბალი, რასაკვირველია მადნეულობითაც ცუო განთქმული, თუმცა ასურულ წყაროებში ტაბალისა და სხვა ერების ხარკი: ვერცხლი, ოქრო, ტყვია და თითბერი სალმანასარ II-ის დროს (იქვე, I, 172—2), ხოლო ვერცხლი, ტყვია, რკინა, ფერადი ტანისამოსი, მიწის მოსავალი, სახედრები, ხარები და წვრილფეხა საქონელი ტიგლათპილასარ III-ის დროს (იქვე, II, 21, 31) ერთად არის მოხსენებული, ისე რომ ადამიანი ვერ გაიგებს, რომელ ხალხს ედო ხარკად; მაგრამ მაინც ტაბალების მადნეულობას ყველგან სახელი ჰქონდა გავარდნილი“³.

დიუბუა დე-მონპერე⁴ სხვათა შორის ასახელებს „დაბადების“ იმ ადგილს (იხტეიელი, თ. 27, 13), რომელიც თობელის ვაჭრობას ეხება და დაასკვნის:

¹ Realexicon d. Vorgeschichte, ტ. III, Eisen, გვ. 62.

² ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგ. პირველი და მეორე, 1913 წ., გვ. 34—35; ს. ჯანაშია, თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი, ენიშეის მოამბე, ტ. I, გვ. 185; Hommel, Abriss der Geschichte Vorderasiens, 1889, გვ. 58; ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, ს. ჯანაშიას რედ., თბ. 1946 წ., გვ. 35—40.

³ ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1², 1928, გვ. 18, 19.

⁴ Dubois de Montpereux, Voyage autour du Caucase, ტ. IV, გვ. 336—38; დიუბუა სხვათა შორის ასახელებს იოსებ ფლავიოსის ჩვენებას იმის შესახებ, რომ მის დროს თუბალები იწოდებოდნენ იბერებად პლინიუსის, სტრაბონისა და პროკოპისა, ე. ი. აწინდელი ქართველნი.

... მაგრამ მხოლოდ სპილენძი არ ყოფილა იღებ-მიცემობის საგანი, რომელიც თობელის ვაჭრობას ამდიდრებდა; ნუთუ თობელს არ წარმოგვიდგენს—ხოლო სელა შვა თობელ, ესე იყო კვერით ხურობ მკედელი რეალისა და რკინისა (შესაქმე, IV, 22). იქ, სადაც ებრაელნი თობელს უჩვენებენ, ბერძნები ხალიბებს ჰპოებენ, რომელთა სახელი ნიშნავდა ფოლადს და თვით ხალხს რკინეულობის მკედელს“. ... რამდენიმეჯერ შემინიშნავს, თუ როგორ იყო განთქმული საქართველო სპილენძითა და რკინით. შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ თობელი ნიშნავს ახლანდელ საქართველოს“. ო. ამასთანავე მას დასიშვებად მიაჩნია „ხალიბის“ გეოგრაფიული იგივეობა „ყულფი“-სთან. დიუბუას აზრით—ეს ყულფი, რომელიც მდიდარი იყო რკინის მადნებით და რომელსაც ხალიბები ამუშავებდნენ, ძველი გუგარეთის ერთი უმთავრესი თემთაგანი იყო. იგი არ უნდა აგვერიოს ორ სხვა „ყულფ“-თან, რომელთაგან ერთი ყარსის თაშალიკში და მეორე დიდს არმენიაშია ცნობილი და სადაც მხოლოდ მარილის მადანი მოიპოება. აბიხმა, რომელმაც მოიარა და გულდასმით შეისწავლა სომხეთის ტერიტორიაზე ლითონთა დამუშავების ნაკვალევი, შემდეგი მოსაზრება წამოაყენა¹: თუბალ-ხალიბთა ადგილები და იბერია ძველი მწერლობისა ა/კავკასიის ამ ნაწილში იმყოფებოდაო. პროფ. ჰროზნი ერთ თავის ნაშრომში, სადაც წინა აზიის კულტურის საკითხებს ეხება, სხვათა შორის შემდეგს აღნიშნავს: ... „ცხადია, რომ მეტალურგია არ შეიძლება აღმოცენებულყო ბაბილონში, მისი თიხნარი ნიადაგის გამო. ჩვენ მისი სათავე ჩრდილოეთისკენ კავკასიისა, ა/კავკასიისა და არმენიაში უნდა ვეძიოთ“-ო². ამ უკანასკნელ წლებში საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალის მიხედვით ირკვევა, რომ რკინა და მისი პრაქტიკული გამოყენება საქართველოში ადრევე სცოდნიათ. განათხარი მასალებში წარმოდგენილი რკინა, რომელიც ძვ. წ. IX—V სს. განეკუთვნება³, მოცემულია წმინდა სახით ან ბრინჯაოსთან ერთად, უმთავრესად როგორც მზა ნივთი. ისევე, საქართველოს მუზეუმებსა და სიძველეთა საცავებში მრავალადაა დაცული შემთხვევით ნაპოვნნი, თუ განათხარი რკინის ძველი ნივთები: ცულები, წალღები, დანები, შუბები, ისრები და სხვა, რომელთა ზუსტი დათარიღება, სამწუხაროდ, ყოველთვის არ ხერხდება და როგორც ტექნიკური დამუშავების, ისე გარეგანი მოყვანილობის მიხედვით ადრინდელ ხანებს განეკუთვნება⁴. ამ ნივთიერი მონაცემების მიხედვით ცხადად ჩანს, რომ ქართველი ხალხი ადრე დაუფლებია რკინის კულტურას. ამის უტყუარ

¹ Dubois de Montpereux, დასახ. ნაშრ., გვ. 339; შდრ. ჟურნ. „ივერია“ 1877 წ., № 43, 44; 1878 წ., № 2, გვ. 13, 14.

² Abich, Aus kaukasischen Ländern, Reisebriefe, I. Wien, 1886, გვ. 405; „Горный журнал“, 1850, ნაწ. 2, გვ. 316—17.

³ Б. Грозный, Доисторические судьбы Передней Азии, Вестн. древн. истории 1940, № 3—4 (12—13), გვ. 35.

⁴ იხ. საქ. სახ. მუზეუმი, მცხეთა-არმაზის არქეოლოგიური გამოყენება.

⁵ მხედველობაში გვაქვს გ სნაკუთრებით საქ. სახ. მუზეუმის არქეოლოგიურ განყოფილებაში დაცული ფონდები და ქუთაისის, ზუგდიდის, მახარაძის და სუხუმის მუზეუმებში დაცული არქეოლოგიური ექსპონატები.

მოწმედ შეიძლება დასახელებულ იქნეს რკინის ძველი წარმოების მნიშვნელოვანი ძეგლები—„შხიბარია“¹ (კუბერის თემი, ზემო სვანეთი), წედისი² (რაქა), „სარკინეთი“ (ქართლი), საწირე (იმერეთი) და სხვ.

შხიბარის რკინის ძველი საწარმო, რომელიც 1928 წელს იქნა აღმოჩენილი, X—XI სს. ძეგლად მიაჩნიათ.

აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი რკინის დამუშავების ერთ-ერთ ცენტრს წარმოადგენდა „ოკრიბა“, რომელიც სარკინეთის (რაქა) პარალელურად უკანასკნელ ხანებამდე ამუშავებდა რკინას. ყველა ამათგან წედისის რკინის წარმოების რეალურ ფაქტს განსაკუთრებული აზრი და მნიშვნელობა აქვს იმ მხრით, რომ იგი ძველი ქართული მეტალურგიის უკანასკნელ ნასადგურევედ გვევლინება, რამდენადაც მას არსებობა გასული საუკუნის 80-ან წლებამდე არ შეუწყვეტია. ამ ვითარებაში, „წედური რკინის“ დამუშავების საკითხს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება და უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

„წედური რკინის“ დამუშავების სურათი შემდეგნაირად წარმოგვიდგება: ზემო რაქაში, „ქვაწითელას“ სანახებში მოიპოვებოდა რკინის საბადოები. ადგილობრივი მოსახლეობა რკინის ამ მადნებს „დაწყვიდან“ (ოდიდან) ამუშავებდა. ამ საქმიანობასთან დაკავშირებით რკინის მწარმოებელ მთელ ხეობას „სარკინეთი“ ეწოდებოდა, ხოლო მეწარმეთ—„რკინის კაცები“. რკინის კაცებს ადგილობრივი საბადოებიდან მადნეული გამოჰქონდათ და მას საგანგებოდ გამართული „ქელბაქებით“ რკინად წურავდნენ. სარკინეთს დამზადებულ რკინას „წედური რკინა“ ეწოდებოდა, იშვიათად—„სარკინეთული“. წედური რკინისგან რკინის კაცები ნაირ „ხელადსა“ ქედდნენ. სარკინეთს დამზადებული „ხელნაქნარი“ რკინეულის ნაწილი ადგილობრივ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდა, ქარბი ნაწილი ალებ-მიცემის საგანი იყო. იგი გაჰქონდათ როგორც მახლობელ, ისე დაშორებულ თემებში და სკელიდნენ საჭირო საგნებზე.

საქართველოს სინამდვილეში „წედური რკინის“ დამუშავება ფაქტიურად სულ ბოლო დროს (XIX ს. 70—80 წწ.) „მოილია“, ამდენად ძველი ქართული მელითონეობის უძველესი და „ცხელი“ წესები მასში შედარებით ხანგრძლივად და ცხოვლად უნდა შემონახულიყო. ამგვარად, ცნება „სარკინეთი“ რეალური შინაარსის შემკველ ტერმინს წარმოადგენს და კონკრეტულად რკინის მწარმოებელ-„დამამუშავებელ“ უბანს აღნიშნავს. ასევე „რკინის კაცი“—რკინის მოხელესა და ამ ხელობით მცხოვრებსა ნიშნავს. ეს გარეპო-

¹ Б. Е. Дегев-Ковалевский, Из истории железного производства Закавказья По материалам раскопок Чуберской железоплавильни — В. Свания, Известия ГАИМК, М.—Л. 1935 წ., в. 120, გვ. 333—34; ამ ძეგლის აღმოჩენისა და გათხრის ისტორიის შესახებ იხილე იქვე, გვ. 247 და შმდ.

² ასევე, 1951 წელს ჩატარებული სუხუმის მთის გათხრების შედეგად მოპოვებული რკინის ძველი წარმოების ნაშთები (გათხრების ხელმძღვანელი არქეოლოგი ალ. კალანდაძე).

³ სარკინეთს (მაგრამ სხვა სარკინეთს) თავის გეოგრაფიაში ვახუშტიც იხსენიებს: ... „და ჰაალის დასავლით არს ხევი სარკინეთისა. სარკინეთს ითხრების ლითონი რკინისა და სპილენძისა და იპოების მცირე ლავერდიცა“ (გეოგრაფია, ჯანაშვილის გამ., 1895, გვ. 55).

ება მრავალ მხრით საყურადღებოა. იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი ხაზგასმით უთითებს¹: „იმერეთის მთებში არის კიდევ რკინის მადნები იმდენი, რომ ზოგ ადგილას ხალხი სხვა ხელობას არ ეტანება და მხოლოდ რკინას იღებს მადნებიდან და ამ რკინისგან აკეთებს სხვადასხვა ნივთებს“-ო. გულდენშტედტის მიხედვითაც², წედისში რკინის მადანს ამტერვედნენ და მისგან გაქედილი სხვადასხვა რკინეული, მათ შორის ქვაბები (?), მიჰქონდათ კახეთში და ცვლიდნენ მას პურზე, საქონელსა და სხვა საგნებზე. ვ. კაკაბაძე აღნიშნავს: „დასაყუთ საქართველოს ზოგიერთი სოფლების თითქმის მთელმა მოსახლეობამ ძველად მკედლობა იყო. მაგალითად, ქუთაისის მაზრის ს. საწირეში ყველა გლეხები მკედლები იყვნენ, განვითარებული იყო ეს დარგი აგრეთვე რაჭაში, სადაც კეთდებოდა საუკეთესო ხარისხის დანები და ცულები“-ო.³

რაქის „სარკინეთში“ მაღალი ხარისხის რკინა და რკინეული „ხელადი“ მზადდებოდა. ამ საქმეში დიდ როლს თამაშობდა ერთის მხრით მადნეულის „გარჩევა“, ნაირი ხასიათის ხის ნახშირი, „სადული მიწა“, წრთობის წესი და სხვ., ხოლო მეორეს მხრით რკინის მადნეულში სარევი ლითონის—„ფაშას“ (შავი ქვა) მირთვა. „წედური რკინის სიფოლადე და ფხა-ალმასი“, როგორც შემდეგ გაიკვავ⁴, იმისგან წარმოსდგებოდა, რომ „რკინის კაცები“ ზადანში ვარკვეული პროპორციით ურევდნენ შავ ქვას (პიროლუზიტს), რომელსაც ისინი „ფაშას“ უწოდებდნენ. რკინის მადნეულში საგანგებო ხასიათის ქვის გარევა ძველი წესია და იგი ცნობილი იყო ხალიბური რკინის დანზადებაში⁵. მაგრამ რას ურევდნენ სახელდობრ ხალიბები რკინაში უცნობია. წედური რკინის დამუშავების სინათლეზე ხალიბური რკინის დამზადების საიდუმლოება, თითქოს, თვალსაჩინო ხდება. გარდა ამისა, „წედური რკინის“ დამუშავების პრაქტიკაში, როგორც ზემოთაც ითქვა, ფართო გამოყენება ჰქონდა ერთგვარ მიწას, ოომელსაც მოკლედ „სადული“ ეწოდებოდა. დიმიტრი წყალობასძე მაისურაძის ჩვენებით (სოფ. ქვედა, ონის რაიონი) ეს მიწა ფხვიერი და მოყვითალო ფერისა იყო. რკინის მოხელე პირები მას დიდი ოსტატობით არჩევდნენ, ლითონში ურევდნენ და ერთად დაადლებდნენ ხოლმე. რკინის მოხელეთა ჩვენებით, „სადულის“ ხმარებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ხარისხიანი რკინის

¹ არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თარგმ. ა. ქუთაისი, II გარ. თბ. 1938, გვ. 190.

² J. G ü l d e n s t ä d t, Reisen durch Russland und im Kaukasischen Gebürge, SPb. 1787, ტ. I, გვ. 280.

³ ვ. კაკაბაძე, შინამრეწველობა საქართველოში, მოკლე ისტ. მიმოხილვა, ტფ. 1926, გვ. 248.

⁴ ნ. რეხვიასვილი, წედური ფოლადი, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის მონაბე, ტ. IV, №8, 1943 წ., გვ. 829—31.

⁵ გარდა ზემოთ აღნიშნული კომპონენტებისა, რკინის ხარისხისათვის ზოგიერთი სხვა ფაქტორის გავლენაც გასათვალისწინებელია. იხ. ამის შესახებ—P. B. Ш м и л т, Очерки по Гистории горного дела и металлообработывающего производства в античной Греции, Изв. АИШ К, выш. 108, გვ. 289.

„დაყენების“ საქმეში. წერვის დროს იგი იცავდა რკინას ცეცხლში ჩაწვისა და გამოფიტვისაგან, ხელს უწყობდა დნობის ნორმალურ მსვლელობას და „ნება-ნება“, „მისგუნებად“ სჭურავდა ლითონს. საყურადღებოა, რომ საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შქედლები რკინის გახურების მსვლელობისას აყალო მიწას, კაქს, სილას, „ქვაკაქას“, „ფერილს“ დღემდე ხმარობენ.

აღსანიშნავია, რომ ანტიკური ქვეყნების მწერალთა ცნობებით—„ხალიბური“ და „მოსინიკური“ რკინა-სპილენძის თავისებურება მათში რაღაც „ქვის“ ან „მიწის“ შერევით აიხსნებოდა. ფსევდო არისტოტელეს¹ მოეპოვება ცნობა იმის შესახებ, რომ „ხალიბები რკინაში ურევენ ერთგვარ (ცეცხლგამძლე) ქვას, რომელიც მათს ქვეყანაში ბევრია, ამიტომ ხალიბური რკინა სხვაზე უკეთესია და მას რომ ერთ ღუმელში არ აღნობდნენ, შეიძლებოდა ვერცხლისაგან არც გარჩეულიყო“. ხალიბური რკინის მაღალ თვისებას სტეფანე ბიზანტიელიც აღნიშნავს: „ხალიბები, ტომი პონტოზე მდინარე თერმოლონტზე; მათ შესახებ ამბობს ეელოქე I წიგნში: „ხალიბთა ქვეყნიდან გააქვთ რკინა, რომელსაც სიმაგრეს უქებენ“². აგრეთვე ფსევდო არისტოტელე ხალიბური რკინის შესახებ შენიშნავს—„მხოლოდ ეს ერთი რკინაა, როგორც ამბობენ. ჟანგს არ იკიდებს“-ო. ამავე ავტორს მოსინიკური სპილენძის შესახებ ნათქვამი აქვს: „იუწყებიან მოსინიკური სპილენძი გაძორჩქევა თავისი ცხოველი და თეთრი ფერით. სპილენძში ურევენ კალას კი არა, ერთგვარ ადგილობრივ მიწას და მასთან ერთად აღნობენ ხოლმე. ამბობენ გამოგონებელმა ამგვარი შენადნობისა ეს საიდუმლოება არავის არ გაუმელაენა, ამიტომ ამ ქვეყნის სპილენძის ძველი ნაკეთობა საუკეთესო თვისებებით გამოირჩეოდა, მერმინდელი კი არა“-ო³. ამ მხრით საინტერესოა, რომ ფოლადის აღნიშნული ბერძნული სიტყვა „ხალვუს“ (χαλυσ) ხალიბების სახელწოდებას უკავშირდება⁴.

ამგვარად, ლითონთა შემზადებისათვის საგანგებო დამხმარე საშუალებათა (ნიუთიერებათა) გამოყენება როგორც ხალიბების და მოსინიკების მელითონებაში ძველად, ისე წედისის რკინის დამზადების საქმეში ორგანულ ნაწილს წარმოადგენს და „ხელადის“ ხარისხის განმსაზღვრელადაა მიჩნეული.

¹ В. Латышев, დასახ. ნაშრომი, გვ. 380.

² ს. ყაუხჩიშვილი, გეოგრაფიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. III, ტფ. 1936, გვ. 288.

³ В. Латышев, დასახ. ნაშრომი, გვ. 380; შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი და მეორე, 1913, გვ. 34—35.

⁴ ...ქართველ ტომებს მდინეულობის შემუშავებაში საპატიო ღვაწლი მიუძღვით ძველი განათლებული კაცობრიობის წინაშე.

...რკინის, განსაკუთრებით ფოლადის მომზადებაც ბერძნებს, როგორც ეტყობა, პირველად ქართველი ტომებისაგან შეუსწავლიათ. ეს ფოლადის ბერძნული სახელითგანაც ჩანს: „ხალვუს, ხალვიკოს“ ხალიბების ტომის სახელწოდებისაგან არის წარმომდგარი და ხალიბურსა ნიშნავს“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1928, გვ. 20, 21). შდრ. Ern. Boisacq, Dictionnaire étymologique de la langue grecque, Heidelberg—Paris, 1938 აგრეთვე, P. В. Шнидт-ის აზრითაც (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 307) ...ტერმინი ὕδλυς რომელიც ჩვეულებრივად ფოლადად ითარგმნება, ტერმინოლოგიურად პონტოსთან მცხოვრებ მელითონე ტომს—ხალიბებს უკავშირდება.

პარალელურ შეხვედრათა ეს ფაქტი უბრალო და შემთხვევითი კი არ არის, მათ შორის გენეტიკური კავშირის მაჩვენებელია. უნდა ითქვას, რომ ქართულმა ხალხურმა მკვლელობამ წინაპართა რკინის დამუშავების ძველი ტრადიციები დაიცვა და ჩვენამდე მოიტანა. ის გარემოება, რომ საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში სხვადასხვაგვარი „საღლების“ მოხმარება რკინა-სპილენძის მკვლელობაში ფართოდაა გამოყენებული და საყოველთაოდ გავრცელებული, ამ წესის საკმაო სიძველეს მოწმობს.

ლითონის დამუშავებაში ზოგიერთი დამხმარე საშუალების გამოყენების ფაქტები საერთოდ დადასტურებულია სხვაგანაც¹. მაგრამ მხოლოდ აწით არ ამოიწურება სარკინეთის მელითონეობის თავისებურება. „წედური რკინის“ დამუშავების უმთავრესა და უმნიშვნელოვანეს მიღწევად მაინც რკინის მადანში „ფაშას“ (პიროლუზიტის) მირთვა, შერევის წესის მიგნება უნდა ჩაითვალოს².

წედის რკინის წარმოება, რომელიც შრომის კოოპერაციულ „მოზიარეობის“ პრინციპს ემყარებოდა, ძირითადად ორ წყება სამუშაოს შეიცავდა: მასალის (რკინის) დამზადებას (მადნის მოპოვება და დაწურვა რკინად) და მისგან სხვადასხვა რკინელის—„ხელადის“ ქედვას. პირველი წყება სამუშაოების შესრულებაში წამყვანი ადგილი ეკიბა „რკინის მოხელეს“, მეორე წყება სამუშაოებში—მკედელს (იხ. ქვემოთ II, § 2).

არსებობს ფაქტიური ცნობები იმის შესახებ, რომ ს. წედი და მისი მიმდგომი თემები „სარკინეთისა“ უწინ მხოლოდ რკინის მუშაობით და მკედლობით ცხოვრობდნენ: „მარტვა იმითი ჰამდენ ლუკმა პურს. დიდი და პატარა, ქალი და კაცი ამითი იყო დამაშვრალეული და ერთოფ დიდი ჯაფა ადგათყე“³ (ილიკო ხიდაშელი, სოფ. ხიდაში). უნდა ვივარაუდოთ, რომ რკინის მოხელეობა და საერთოდ—მკედლობა რაჭის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მთელი რიგი თემების გარკვეულ პროფესიას წარმოადგენდა, ისე როგორც ზოგიერთი სხვა ხელობაც—ხურობა, მესტყარეობა და სხვ⁴. საინტერესოა, რომ რკინის დამუშავება და საერთოდ მკედლობა თავიდანვე მძიმე ხელობად არის მიჩნეული. გეოგრაფი დიონისე ქეყანის აღწერაში (Vv 761—774) ამბობს: „ტიბარენტა შემდგომ, მწირსა და მკაცრ ადგილებში სახლობენ ხალიბები, რომელნიც ძნელი დასამუშავებელი რკინის ხელობით ცხოვრობენ და

¹ Realexicon d. Vorgeschichte, ტ. III, Eisen, გვ. 62.

² RV, მითითებული ნაშრომი, გვ. 62—63.

³ ილიკო ხიდაშელი „სარკინეთს“ (საქ. სახ. მუზეუმი, ეთნოგრაფიის განყოფილების არქივი, 1939 წლის რაჭის ეთნოგრაფიკული ექსპედიციის მასალები) ამგვარად გვისურათებს: „ძველად სარკინეთლებს ქალს არ მიათხოვებდნენ, ქვე წუნობდნენ რკინი კაცუნებს, ნამეტნათ დავკვიმარალებს შვილუკასო. ქვე კი არასა ტყუოდნენ. ერთოფ სარჯელი ქონდათ და გაუხარებელი მუშაობა“ (იგულისხმება რკინის დამუშავებასთან დაკავშირებული შრომა და ჯაფა—ნ. რ.).

⁴ პოეტი აკ. წერეთელი მიუთითებს, რომ „დღესაც არის ჩვენში რაჭის მახრამი ერთი მთა, გული რკინის მადნისა აქვს და უხსოვარ დროიდან ირგვლივ მცხოვრებნი მკედლობის მეტს არას აკეთებენ. ამ მთას ჰქვია წედისი ანუ კედისი-ო“ (იხ. „აკაკის კრებული“, 1897 წ., № 11, გვ. 33, სქოლიო).

მძიმე ხმინ გრდემლთან მდგომარენი არასოდეს წყვეტენ შრომას და გარჯას“-ო¹.

რკინის დამუშავების სიმკვიდრე რაჰის სინამდვილეში მე-11 ს. ნიკორწმინდის სიგელითაც დასტურდება. მოძრავ-უძრავი ქონების შეძენისა და გაცვლის ერთ მთავარ საშუალებათაგან აქ, უმთავრესად, რკინა და რკინეული „ხელადი“ იხსენიება.

1) ...ზნაკუას (იხ. ზნაკვა რუკაზე—ნ. რ.) კეზოას ძისაგან ვიყიდე ყანაჲ: ა: და მივეც ჯარი ერთი. რკინაჲ ლიტრაჲ რვაჲ“² (ერთი ლიტრა უდრის დაახლოებით 7—8 გირვანქას—ნ. რ.).

2) ...ქუმელოანს ვიყიდე სგოჯაჲსძისაგან ყანაჲ: ა: და მივეც რკინაჲ და მატყლი: ღრამისა: ლ: საჲ“³.

3) ...„შუბავთაგან ვიყიდე კაჩაეთს ყანაჲ: ა: და კეცხმელს: ა: მისთვის მივეც ჯარი: ა: და სახნისი⁴: ა:“ და სხვ.

ამრიგად, ნიკორწმინდის სიგელი მზა რკინეულთან ერთად ყიდვა-გაყიდვის საშუალებად უქედველ რკინასაც ასახელებს, რაც რაჰის მკედლობის მოწიფულობასა და ფართო ხასიათზე უნდა მიუთითებდეს.

ეთნოგრაფიული ცნობების მიხედვით, „უქედველი რკინა“ რაჰიდან გაჰქონდათ ლეჩხუმში. მკედელ ანტონ მიქელასძე სვანიძის (ს. ორბელი) ცნობით, მათ ძველებს „რკინა და თლა რკინეული რაჰიდან გაღპოქონდათ,—მე მამიჩემიდან ასე გამიგონია და თავათ არ მოვსწრებვიარ ამას“⁵. რაც შეეხება გაჰქედილი „ხელადის“ სახით რკინის გატანას, ამ მხრით, როგორც ცნობილია, რაჰას თავისი მზა ნაწარმი უხვად გაჰქონდა მეზობელ კუთხეებში: იმერეთში, ლეჩხუმსა და ქართლში, სცვლიდა მათ მისთვის საჭირო საგნებში ან ჰყიდა ფულად⁶. ყველა ამ ოპერაციის განერცობის მასშტაბი დამოკიდებული და შეპირობებული იყო, როგორც ჩანს, ქვეყნის საერთო მდგომარეობით და სამუშაოს პირობებით.

საყურადღებოა, რომ გულდენშტედტის ცნობით რაჰის რკინეული კახეთსაც კი აღწევდა, სადაც იგი იცვლებოდა პურსა, საქონელსა და სხვა საგნებზე⁷. იგივე ავტორი, ქ. ონის აღწერასთან დაკავშირებით, ხაზგასმით მიუთითებს, რომ აქ—სომხები და ებრაელები ვაჰრობენ რკინის საგნებით, რომელთაც წედისიდან ლებულობენ, ქართლის ბამბეულით და ქსოვილებით, მარილით და შვრიით. ამავე საგნებისათვის მოდიან აქ ოსები—ღვალებითიდან, ღიგორიდან, ბასიანიდან და წონადან-ო“⁸.

წედისის რკინის დამუშავებისა და ზაჰიდან მისი გატანის ფაქტებს ზო-

¹ Латышев, დასახ. ნაშრომი, გვ. 187.

² თ. ჟორდანი, ქრონიკები, II, ტფ. 1897, გვ. 46, ნიკორწმინდის სიგელი.

³ იქვე, გვ. 47.

⁴ იქვე, გვ. 47.

⁵ საქ. მუზეუმი, ეთნოგრაფიის განყ. არქივი.

⁶ ნ. რეხვიანი შვილი, მივლინება ზემორაჰაში, ენიციკ-ს მთაბზე, ტ. IV, გვ. 333.

⁷ G ü l d e n s t e d t, დასახ. ნაშრ., გვ. 279.

⁸ G ü l d e n s t e d t, დასახ. ნაშრ., გვ. 280.

გიერთი ფოლკლორული მასალაც ადასტურებს¹. როგორც ირკვევა, წედისის მელითონებთან ქართლშიაც სახელი ჰქონია გავარდნილი. 1939 წელს ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მუშაობის დროს შემთხვევა გვქონდა იდგილზე ზოგიერთი ამ მხრით საინტერესო ცნობა ჩავენიშნა. კერძოდ, ლიახვის ხეობაში დამოწმებულ იქნა რაქის რკინეულის (ფრთიანი ცულისა და წალღის სახით) შეტანის ფაქტები. განსაკუთრებით საყურადღებოა ამ მიმართებით აქვე დაცული და ანდაზად ქცეული ერთი ასეთი თქმულება:—წედისი დაიწვა, რაც იმას ბერვა ჰქონდა-ო, რაც უეჭველად ამ სახელისა და მასში მოქცეული შინაარსის ფართო გავრცელებას მოწმობს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

კიდევ უფრო საყურადღებოა რაქიდან რკინეულის გატანის ფაქტები ჩრდილო კავკასიის ზოგიერთ კუთხეში: დიგორსა, ბასიანსა და აგრეთვე ყაბარდოში. ჩრდილო კავკასიიდან ზემო რაქაში შემოჰქონდათ, უმთავრესად, ჩოხა-ნაბადი და მატყლი. რაქიდან, ამის ნაცვლად, გაჰქონდათ—კანაფი, აბრეშუმი და სხვადასხვა ხასიათის რკინეული. ამ ალებ-მიცემას აწარმოებდნენ როგორც რაქველები, ისე ჩრდილო კავკასიელნი. უკანასკნელ ხანებში—მათ შორის ამ საქმის შუამავლებად ვაქრები გამხდარან.

უნდა აღინიშნოს, რომ იმიერკავკასიის ხსენებული ხალხები ზ/რაქის მოსახლეობასთან გარკვეულ კულტურულ-ეკონომიურ ურთიერთობაში იმყოფებოდნენ. მათ რაქის ბაზარზე შემოჰყავდათ გასაყიდი საქონელი, აგრეთვე შემოჰქონდათ შალეული: ქვეშაგები და მოსასხამი ნაბღები და სხვ. რაქიდან გაჰქონდათ შინანაწარმის ხაზით სახენელი იარაღი², თოხები, სახნისები და განსაკუთრებით ცულები. ეს დამოკიდებულება და ურთიერთობა, როგორც ანთიერი პირები ამოწმებენ, ძველიდანვე მომდინარეობს. ამ მხრით საგულისხმო ურთიერთობისა და გზებისაკენ მიგვიბრუნებს ის ცნობა, რომელიც 105 წლის მოხუცმა სენო რეხვიაშვილმა, ყაყუენთმა, ზემო რაქისა და დიგორ-ბასიანის შესახებ გვიამბო. „მთიელეთი“ სოფლები ზემო რაქისა, ბასიანთა და დიგორელთა თავადების—ბადელიძეების და ყარაბულაელთა ყმები ყოფილან. თავისი მებატონეებისათვის მათ გადასახადის სახით თოხსახნისები და ცულები უძღვევიათ, შემდეგში რკინეული ცოტა გაძვირებულა და მის ნაცვლად ერბო უხდითა, ზოლოს ამის გადახდაც რომ გაძნელებიათ, ასეთი ხერხი და „ეშმაკობა“ უხმარიათ: ერბოში ღორის ქონი გაურევიათ და

¹ „ყოფილა ერთი გაჩეჩილაძე, სახელად ოთია, რომელსაც „ღიდის“ სახელი დარჩენია ხალხში, იგი მეტად წარმოსადგო, თეთრ-ყირმიზი, ახოვანი „ყაძახი“ ყოფილა. უღვაშები ყურბამდგე ჰქონია გადაგრეხილი, და წვერს არ იყენებდა ხოლმე. დიდი ვაჭრობა ჰქონია გამართული იმ დროებაში. რაქაში გადადიოდა, „ქედისის“ მთის ახლო მახლოდან მოქონდა კაცობოთხები, თითონ ამ ოთიას შვილს როსტომს ზურგიით 30 თოხი და სახნისი გადმოჰქონდა თუხრე“. ს. გაჩეჩილაძე, „აკ. კრებული“, 1899 წ. № 2, გვ. 11.

² ალბათ, რაქული სახენელის თავისებურებით და მისი მთის რელიეფთან განსაკუთრებულად შეგუებით თუ აიხსნება, რომ სახენელი იარაღები სს. კიორიდან და ლებიდან ჩემოთვლწინ წაიღეს დიგორლებმა 1938 წლის ზაფხულს—ნ. რ.

გადასახადი ისე უძლევიათ. ეს ჩუმი ეშმაკობა დიგორელთა თავადებს შეუტყვიათ და საშინლად გაჯაგრებულან. შეუკრებიან ჯარები და დასხმიან თავს ზემო რაქვას. ამ ომში ზემოურებს ქვემო რაქველებიც მოშველებიან და დიგორელი დაუმარცხებიან. ამის შემდეგ ხარკის ძლევაც შეუწყვეტიათ. ამ ომის შესახებაა, რომ გამოუთქვამთ ცნობილი ლექსი: „დიგორსა დასხდნენ ვეზირნი რჩეულნი ბადელუანი, მათ გამოარჩევა შეექნათ ლები გვყავს საქონლუანი“... და სხვ.

აღნიშნული ცნობა ჩვენთვის ორი მხრითაა საყურადღებო. ჯერ ერთაჲ გადასახადის საშუალებად რკინეულია დასახელებული, ხოლო მეორე მხრით რაქვიდან რკინის გატანის ფაქტია, თუნდაც გადასახადის სახით, აღნიშნული.

რაქის მეზობელ ხალხებსა და კუთხეებთან საეპრო ურთიერთობის შესახებ საინტერესო მასალები მოეპოვებათ მ. შოსტაკ¹, პ. ზუბოვს², ნ. დუკრუას³.

უნდა აღინიშნოს, რომ რაქის ურთიერთობა ჩრდილო კავკასიის ხალხებთან მხოლოდ რკინისა და რკინეული ხელადის გატანით არ განისაზღვრებოდა. რაც მთავარია, ამას სხვა გარემოებაც ახლდა თან. ამ ურთიერთობის საფუძველზე, რკინეულის დენას თან ახლდა მოხელე პირების გასვლა. რაქვიდან მკედლები ხშირად მიდიოდნენ მეზობელ კუთხეებში და იქ დროებით ან სამუდამოდ სახლდებოდნენ. მოზღოკში, ყიზლიარსა და ალაგირში (ჩრდ. კავკასია) რაქველი მკედლები საკმაო რაოდენობით ცხოვრობდნენ უკანასკნელ ხანებამდე. ასევე, საქართველოს კუთხეებში რაქველი მკედლების რიცხვი საგრძნობი იყო. მაგალითად, ვანის საზოგადოებაში (იმერეთი), ვ. ბაქრაძის ცნობით, ხუთი მკედელი ყოფილა, ხუთივე რაქველი⁴. თ. ეშიბაიას ცნობით, დაბა ოჩამჩირეში მომუშავე ათი მკედლიდან უმრავლესობა რაქველი იყო⁵. განსაკუთრებით ფართო პოპულარობით სარგებლობდა რაქული მკედლობა სამეგრელოში, სადაც რაქველი მკედლები ახლაც განაგრძობენ მუშაობას⁶.

საგულისხმოა, რომ რაქული მკედლობის დამახასიათებელი რიგი „ხელადი“, კერძოდ, „ფრთიანი ცული“ აფხაზეთში დღემდე რაქულ ცულად—„არაჯიხა-დ“ იწოდება, სვანეთში „ლურქუ კაადე-დ“, გურიაში—„რაქული კინა-დ“. ამგვარად, რაქა სახელგანთქმულია რკინის მოხელეობით.

¹ М. Шостак, „По Раче и Сванетии“, ИКОРГО, 1903, т. XVI, т., 83. 24—35.

² П. Зубов, Киртина Кавказского края, ч. III, С116. 1835, 83. 136.

³ Н. Дюкраси, О торговле железом в Закавказском крае, Зап. КОРГО, 1853, წიგ. II, 83. 44, 45.

⁴ В. Бакрадзе, Промысловые занятия в некоторых населенных пунктах Закавказья, СМОМПК, вып. II, 1891, 83. 263.

⁵ იქვე, 83. 264.

⁶ სხვათა შორის, ერთ მეგრულ ხალხურ ლექსში, რომელიც შეეხება აფხაზებისა და მეგრელების ურთიერთობას და საუკეთესოდ ასურათებს ამ ხალხების ყოფასა და ზნეჩვეულებას—ერთ მთავარ ეპითეტად შედარებისათვის რაქული მკედლობაა გამოყენებული.

რკინის დაწურვის ეს წესი, რომელსაც რაქაში იყენებდნენ, ცნობილმა გეოლოგმა აბიხმა „კატალონურს“ მიაკუთვნა. Methode Catalane-დ¹ იწოდება რკინის დამზადების ცნობილი წესი, რომელიც მიღებული იყო ძველიდანვე ესპანეთისა და საფრანგეთის პირინეის მთებთან მდებარე პროვინციებში. ამ მეთოდის მთავარი არსი იმაში მდგომარეობდა, რომ ამ წესით მადნიდან რკინა პირდაპირი გზით მიიღებოდა ერთმაგად, ისე რომ საჭირო აღარ იყო, როგორც ეს ჩვეულებრივად სხვაგვარ წესებს ახასიათებდა, მადნის ორმაგი გადამუშავება ჯერ თუჯად და შემდგომ „ქედალ“ რკინად. ამასთანავე იგი მარტივი აღნაგობის ქურებს მოითხოვდა².

წედური რკინის წარმოების პრაქტიკაში მიღებული იყო მადნეულის რკინად დაწურვის ორმაგი, ორსაფეხურიანი წესი. დამუშავების პირველ ეტაპზე წარმოებდა მადნიდან „ლუგვი რკინის“—თუჯის დაწურვა. მეორე საფეხურზე—„ლუგვის“ გადადნობა „საქედურ რკინად“ (იხ. ქვემოთ, თ. I, 6). რკინის დამუშავების რთული პროცესები წარმოებდა მარტივი აღნაგობის ქურების საშუალებით, ისე როგორც ეს ხდებოდა კატალონური წესით რკინის დამზადების დროს. ამ მხრივ, მათ შორის არსებული მსგავსება სწორად შეუნიშნავს აბიხს, მაგრამ მსგავსება არ წარმოადგენს იგივეობას. რაც მთავარია, ტექნიკურ-კონსტრუქციულად წედური და კატალონური საწური ქურები სხვადასხვა ხასიათისაა (შდრ. ნახ. I, II, III). სხვაობა თავს იჩენს, განსაკუთრებით, საბერვლების მხრით (შდრ. ჩრდ. აფრიკული წესით რკინის დამუშავება) (ტაბ. I).

ამგვარად, მადნის დაწურვა და რკინის დამზადების ქართული წესები, რომელსაც „წედური რკინის“ დამზადებისას იყენებდნენ რაქის „სარკინეთში“, არათუ უტოლდებოდა კატალონურ წესს, რომელიც თავის დროისათვის დაწინაურებულ მეთოდად ითვლებოდა, არამედ წინ უსწრებდა მას. კერძოდ, „ლუგვი რკინის“ გადადნობა სპეციალურ სადნობ ქურაში და სარევი „ქვისა“ და „საღლების“ ხმარება წედური რკინის დამუშავებას განვითარებული სახისად წარმოგვიდგენს.

წედური რკინის დამუშავების საკითხში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს შრომის საზოგადოებრივი მხარე, ორგანიზაცია. სამწუხაროდ, სპეციალურ ლიტერატურაში ამის შესახებ ან სრულებით არაფერია, ან იმდენად მკრთალი და ფრაგმენტული ცნობებია, რომ რაიმე გარკვეული აზრის გამოტანა ძნელია. მეორეს მხრით, ადგილზე შეკრებილი სიტყვიერი ცნობები ყოველთვის როდია სრული და მიუღდომელი. ჩვენ შემთხვევა გვქონდა ამ საკითხის შესახებ ზოგი რამ ჩაგვეწერა აღნიშნული წარმოების თანამედროვე და

¹ Фулон, О выделке железа в сыродутных печах и по Каталонской методе, СПб, 1819 г., XII, XIII.

² იქვე, გვ. 17, 18. ფულონს ამოღებული აქვს ფრანგული ჟურნალიდან—„Journal des mines“, 1815 წ. № 224—ერცული წერილი კატალონური წესის შესახებ და აგრეთვე მოტანილია კავალერ დიუ ბოსი-ს აღწერილობა, რომლის მიხედვითაც ამ მეთოდის მთელი თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ მადნის პირდაპირი საქედურ რკინად დაწურვა პატარა ქურების საშუალებით ხერხდებოდა. ეს წესი ცნობილი იყო აგრეთვე პიემონტსა და იტალიაში.

შომსწრე პირთაგან. ამ ჩვენების მიხედვით სარკინეთის მცხოვრებნი, უკანასკნელ ხანებში, რკინის დამუშავების მიზნით ადგენდნენ ამხანაგობებს—კოლექტივს. „მოზიარეობის“ ნიადაგზე. გარკვეული კოლექტივი, რომელიც რამდენიმე კაციისაგან (8—10) შედგებოდა, ჰკრავდა ურთიერთ-ნამშრომლობის პირობას, რომლის მიხედვითაც რკინის წარმოებასთან დაკავშირებული ყველა სამუშაო კოლექტიურად სრულდებოდა. ასევე, შრომის ნაყოფი მოზიარეთა შორის თანაბრად ნაწილდებოდა. ამგვარად, წელური რკინის წარმოებას ახასიათებდა საერთო წარმოებასთან ერთად საერთო საკუთრება. თითოეულ წევრს „მოგება-ზარალში თანაბარი წილი ედვა“¹.

რკინის მადნის საბადოები მახლობელი თემების „საუფროსო“ ყოფილა, დანარჩენი თემები კი მადნით სარგებლობისთვის ყოველწლიურად გადასახადს იხდიდნენ. ამ გადასახადს „ჩოლუხი“ ეწოდებოდა. ჩოლუხის ასაღებად 2—3 კაცი „მეჩოლუხე“ იღვა. უნდა აღინიშნოს, რომ „სარკინეთის“ პელითონეობის საზოგადოებრივი ხასიათის ფაქტორთა რიგის მოვლენას წარმოადგენს რაქის ეთნოგრაფიულ ყოფაში უკანასკნელ დრომდე შემორჩენილი ძველი წესი, აგრეთვე საერთო წარმოების ერთგვარი თავისებური ახე, რომელსაც რაქა-ლეჩხუმში „კალაფორია“² ეწოდებოდა. კალაფორიის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ გარიგების ტრადიციული აქტის მიხედვით რომელიმე კოლექტივი თემისა ან ხშირად მთელი თემიც ერთი წლის ვადით ურიგდებოდა ხოლმე მკედელს, რათა ამ უკანასკნელს ყველა საჭირო იარაღი კაეჭედა და შეეკეთებია ამ კოლექტივის წევრებისათვის, განსაკუთრებით, „ყული სამუშაოების“ პერიოდში. თავის მხრით, ეს კოლექტივი ან მთელი სოფელი ვალდებულებას კისრულობდა მის სასარგებლოდ შეესრულებია გარკვეული სამუშაოები, ან ნატურით და ფულით ეზლო მისთვის დახარჯული შრომის ღირებულება.

საზოგადოებრივი მკედლობის მსგავსი წესები დამოწმებულ იქნა ჩვენ მიერ ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში სხვადასხვა დროს ნუშაობისას თითქმის მთელ საქართველოში—იმერეთში 1937 წელს, ქართლში (მეჯუდას, ლიახვის, ქსნის, მტკვრის ხეობებში) 1938—47 წწ., ხევსურეთში 1943 წ., გულდამაყარში 1945 წელს, სამეგრელოში 1940 წელს, აფხაზეთში 1949 და 1951 წწ., სვანეთში 1948 წელს და სხვ.³...

ამგვარივე წესები შემონახული ყოფილა საქართველოს მეზობელ კუთხეებში—სომხეთში⁴, თერგის მხარეში⁵ და სხვ.

¹ ენიმკის მოამბე, ტ. IV, გვ. 335.


² საბა სიტყვა „კალაფორიის“ აზნისთვის „მოკალიფება“-ზე უთითებს, ხოლო ამ უკანასკნელს განმარტავს: „მოკალიფება—დავა ადგილისა. ნაგავის გაწმენდა, გალამაზება“ (ლექსი).-საინტერესოა, რომ „კალიფუა“ მეგრულად ნიშნავს ამასთანავე რაიმეს შეგროვებასაც.

³ იხ. ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფ. განყოფილების არქივი, ექსპედიციების ანგარიშები.





⁴ А. Пиралов, Краткий очерк кустарных промыслов Кахкэзэ, Т. 1913, გვ. 47.

⁵ Г. Вертепов, Очерки кустарных промыслов в Терск. области, 1911, გვ. 14—15.

კატალანური ქუჩის გეგმა და კრილი



ნახ. I (ა. ფულონის მიხედვით)



ნახ. III. (ა. ფულონის შიხედვით)

„სარკინეთს“, როგორც ეთნოგრაფიული ცნობებიდან ჩანს, მოგვიანო ხანის ფეოდალიზმის პირობებში მეტად უღმობელი სოციალ-ეკონომიური ჩაგვრა გამოუვლია. ეს მდგომარეობა განსაკუთრებით აუტანელი ყოფილა ბოლო ხანებში, როდესაც ერთი მხრით რღვევის პროცესში მყოფი ფეოდალიზმისა და მეორე მხრით ახლად შემოჭრილ სავაჭრო კაპიტალიზმის პერიოდში საზოგადოებრივი ანტაგონიზმი უფრო მძაფრი გამხდარა. ადგილობრივი ფეოდალებისაგან არაერთხელ განუცდია სარკინეთს დარბევა და აწიოკება, კერძოდ, „რკინის თაობაზე“. მოძალადე მებატონეთ უნდოდათ რაც შეიძლება მეტად დაეებგრათ რკინეულით აქაური მცხოვრებნი, მაგრამ „სარკინეთი“ ქედს არ იხრიდა და ხშირად ეურჩებოდა მათ. ამ ნიადაგზე სარკინეთი კიდევაც აჯანყებულა მკაცრი ფეოდალის გრიგოლ წერეთლის წინააღმდეგ, რომელსაც რკინეულის გადასახადი ერთიორად გაუდიდებია. ს. წედის მცხოვრების თაზო მაისურაძის თქმით—გრიგოლ წერეთელს დიდი ჯარი მოუსხანს და აუკლია სარკინეთი. მაგრამ ძვირად დაუჯდა მოძალადე ფეოდალს სარკინეთის აოხრება. ერთ დღეს, როდესაც გრიგოლ წერეთელი ს. წედისს მოლხენით იჯდა „საკარცხულში“, მას ტყვია ჰკრეს შუბლში და გაგმირეს.

ზემოთქმულის საფუძველზე, ცალკე განმარტებას მოითხოვს წედური რკინის დამუშავების შესახებ გამოთქმული ყალბი და ცალმხრივი შეხედულება ვეიდენბაუმისა, რომელიც აშკარა ტენდენციურობას იჩენს და არამეცნიერულ საფუძველზე დგას საერთოდ ქართული მეტალურგიის შეფასების საკითხში. იგი თავის სპეციალურ ნაშრომში, სადაც კავკასიის ხალხთა მატერიალური კულტურის ზოგად თეორიულ საკითხებს განიხილავს, წერს: „Взвесив все доводы pro и contra, мы пришли к убеждению, что разработка рудников производилась не как грузинами“. ამ შემთხვევაში საკითხი ეხება დიუბუას მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც „ყუღისა“ და რიგი სხვა მანდელი საბადოების დამუშავება სომხითში (ქართლის სამხ. ნაწ.) ქართველთა წინაპრებს მიეწერება. ვეიდენბაუმი ზემოხსენებულ კონტრდებულებას იმ არგუმენტით ასაბუთებს, რომ: „Народ познакомившийся однажды с искусством добывания и обработки металлов и занимавшийся рудным делом в обширных размерах, не только прекратил свой промысел, но и совершенно позабыл его... Поэтому мы имеем полное право предположить, что если грузины ныне вполне чужды рудному делу, то они точно также были чужды ему и в давнопрошедшее время“¹. როგორც ჩანს, აქ ფაქტიური სინამდვილე და ისტორიული ვითარება სრულებით უგულებელყოფილია. ანვითარებს რა ვეიდენბაუმი დიუბუასა და სხვათაგან დიამეტრალურად განსხვავებულ შეხედულებას, ქართული მეღითონეობის, კერძოდ წედისის, შესახებ ერთობ ცალმხრივსა და უცნაურ თეორიას აყენებს. ამ მხრით მისი დასკვნები იმდენად შორს მიმავალი ჩანს, რომ უარყოფილია არამარტო ქართველთა წელილი ძველი მეტალურგიის განვითარების საქმეში, არა-

¹ Вейденбаум, Заметки об употреблении камня и металлов у кавказских народов, ИКОРГО, 1877, ტ. IV, № 5, გვ. 269—70.

2. მკედლობა რაკში

მედ უნარი და შეძლება კი საეროდ. ჩვენ ბოლოს დავრწმუნდებით, მისი ეს შეხედულება რაპუნდელ მცდარი და უაღუქვლოა. სხვა არა იქოს რა—წედისის და ოკრიბის რკინის დამუშავების ფაქტებიც კი ცხადყოფენ ამ აზრის მთელ შეუსაბამობას. მართალია, ვეიდენბაუმი ამ პუნქტში თავისი მოსაზრების შინაგანი ლოგიკური წინააღმდეგობის მოხსნა სხვა გზით სცადა, მაგრამ აქაც მის ამოსავალ წერტილს გარეგანი ფაქტორები წარმოადგენს. ამ შემთხვევაში იგი ამტკიცებს, რომ წედისის რკინის წარმოება არ წარმოადგენს ნამდვილ სამთო წარმოებას (?) და არც მისი „მამუშავებელი“ მცხოვრებნი ნამდვილ სამთო მუშებს-ო; შემთხვევითობის ხასიათს ატარებს და ეს ხელობა მათ სხვათაგან უნდა ჰქონდეთ შეთვისებული-ო, რომ „წედისის მცხოვრებნი სამთო საქმეს გაეცინენ ახლო ხანებში (?) და არა მათ წინაპართ დაუტევეს ფართო და ღრმა კვალი სომხეთში. შეიძლება დაუშვათ კიდევაც, რომ რაქველების მასწავლებლებად სამთო საქმეში მათი მეზობელი ოსები იყვნენ“-ო. ცხადია, ვეიდენბაუმი საქმის ნამდვილ მდგომარეობას ახლო არ იცნობს, ამიტომ მისი მსჯელობა და დასკვნა სუბიექტური და განყენებულია, ამდენად არაპეცივირულიც. ამგვარი შეხედულებანი იმ ყალბი წინამძღვრებიდან გამომდინარეობენ, რომლის მიხედვით კაცობრიობის ყოველი შესანიშნავი და ძვირფასი მონაპოვარი მხოლოდ რჩეული ხალხების პირადი უნარის ნაყოფს წარმოადგენს.

სარკინეთისა და საერთოდ ქართული მჭედლობის ახლო გაცნობა და ღრმა დაკვირვება გეჩვენებს, რომ მელითონეობა, ძველად და შემდგომაც, არათუ უცხო და გარეშე იყო ქართველი ტომებისათვის, არამედ იგი მათი სამეურნეო საქმიანობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. ის ფაქტი, რომ „წედური“ რკინის წარმოება ორგანიზებული ხასიათს ატარებს, ფლობს რკინის შემუშავების მალა, დაწინაურებულ წესებს, იცნობს სხვადასხვა მდენეულის ხასიათს და მის „გამოძავლობას რკინად“, იყენებს მალაი ხარისხის რკინის მიღების მიზნით „საღულსა“ და „სარევე მასალას“—„ფაშას“, წურვის პროცესის მსგელობის გამოსაცნობად ხეობს „გასარევე“ ნიშნად ცეცხლის ფერსა და ნაპერწკალთა მოწყვეტას. იყენებს რკინის საწრთობად სხვადასხვა ნივთიერებას, გააჩნია მდიდარი რეკრეზიოლოგია და სხვ. საესებით აქარწყლებს ზოგიერთი „მკლევიარის“ ზედაპირულ და უსაფუძვლო შეხედულებებს.

ჩვენ მიერ მოტანილი მასალის საფუძველზე, ვეიდენბაუმისა და მის მსგავს მკვლევართა საპირისპიროდ, შეიძლება იჩქეას—ფეოდალურ საქართველოს ნატურალური მეურნეობის პირობებში, დროსა და საზოგადოებრივი ვითარების შესაბამისად, „წედური რკინის“ წარმოება წარმოადგენდა სამთო წარმოებას, ხოლო ამ დარგში მომუშავე რკინის მოაელენი, რომელნიც ფლობდნენ რკინის დამუშავების საქმოდ რთულ წესებს და უშთავრესად ამ ხელობით ცხოვრობდნენ, იყვნენ თავისებური სამთო მუშები, ანუ, როგორც იქ უწოდებდნენ—„რკინის კაცები“.

რაც მთავარია, ქართული მეტალურგიის შინაარსობრივი მხარე წარსუ-

1 Вейденбаум, დას. ნაშრ., გვ. 270.

ლისათვის მხოლოდ ერთი სარკინითი არ ამოიწურება. სხვა მრავალი წედი-სი და სარკინითია საგულეებელი, რომელთა ნაკვალევიც, ამ უკანასკნელ წლებში წარმოებული ეთნოგრაფულ-არქეოლოგიური მუშაობის შედეგად, თანდათანობით თავს იჩენს ხოლმე¹. ირკვევა, რომ მელითონეობა ქართველ ხალხს ძველიდანვე მოსდგამდა და ეთვისებოდა. იგი წარმოადგენდა მისი სამეურნეო ცხოვრების ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს. ამასთან დაკავშირებით უნდა ვივარაუდოთ, რომ მელითონეობა ქართველი ხალხის ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობდა და რომ მას ჰქონდა თავისი აყვავებისა და მოწიფულობის ხანა, რომლის ნარიყალს წარმოადგენს მრავალი ნაშთი რკინის ძველი კულტურისა: რკინის დამამუშავებელ საწარმოთა ნასადგურენი² ჭუბერში (სევან.), ქართლის სარკინეთში. რაქის სარკინეთში; ტყე-ველად გაბნეული მრავალი ნამქედლევი და მისი თანაარსი „კინაწიდას გროვა“³, დღემდე მოქმედი მრავალრიცხოვანი სამქედლოები; რკინის ქედვის მაღალი ტექნიკა (სხვადასხვა „სადლის“: სილის, კაქის, ფერელის ხმარება; წრთობა წყალსა, ქონსა, ტალახსა და ჰაერში); „ხელნაქნარი“ რკინის „ხელადის“ ნაირობა და მისი სრულყოფილი სახეები: „ქართული ცული, ქართული ნაჯახი“, წალი, სავაზე; სახალხო წეს-ჩვეულებებში გადმონაშთის სახით შემონახული რკინის კულტი და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა თქმულებანი: თქმულება სირა მქედელზე, ამირანზე, მქედლობის მფარველ და 363 ხელობათა გამჩენ მეგრ.—„სოლომო“-ს, სევან.—„სოლან“-ის⁴, აფხაზ.—„შაშა“-ს შესახებ და სხვა.

დასასრულ, თუ იმ გარემოებასაც გავითვალისწინებთ, რომ ქართველთა წინაპრები თუბალები, ანუ ტაბალები, მოსინიკები, მუსკები, ხალიბები⁵, ანუ ხალდები და სხვ. განთქმული იყვნენ თავისი მეტალურგიით, გარკვევით ჩანს, რომ ქართული მელითონეობის, კერძოდ, რაქის მქედლობის ფესვები ღრმადაა გაწვდილი საუკუნეთა სიღრმეში და წარმოადგენს იმ დიდი ნატო-

¹ მხედველობაში გვაქვს ამ უკანასკნელ ხანებში საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრების მასალები მცხეთიდან, იმერეთიდან (ნ. ხოშტარიას და ო. ჯაფარიძის მიერ წარმოებული გათხრები), თრიალეთიდან, აფხაზეთიდან (აღ. კალანდაძის მიერ 1951 წ. გათხრილი მასალა, აგრეთვე ი. გძელიშვილის მიერ გათხრილი მასალა), რაჭვიდან (გ. გომეჯიშვილის მიერ გათხრილი მასალა) და სხვ.

განსაკუთრებით საყურადღებო მასალას წარმოადგენს ამ მხრით ურეკისა (გურია) და მახარის (სამეგრელო) ვანები. საერთოდ, საქ. რთველოს სიძველეთა საცავებში თავმოყრილია არქეოლოგიური მასალები. კერძოდ, ქართული ხელოვნების მუზეუმში და ცულია ნ. დამბაძის მიერ მიკელოლური და მპოეებელი ძვირფასი მასალა ქართლის სარკინეთიდან და სხვ.

² Шюстаки, По Раче и Сванетии, ИКС РГО, ტ. XVI, № I, გვ. 39—53; А 6-и 5, Ткивзльские копи каменного угля, Сборник газ. Кавказ, ტ. I, 1847, გვ. 104—6; Данилевский, Кавказ и его горные жители в вшевшем их положении, М. 1846, გვ. 80.

³ Карапетян, Краткий очерк развития горного дела на Кавказе, «Кавказский Вестник», 1901, № II, გვ. 101.

⁴ Чуршич, Култ железа у кавказских народов, Тифл. 1929 г.

⁵ გ. ნიკაია, რაჭული სახენელი, ენციკი-ს მოამბე, ტ. I, გვ. 252.

⁶ К. Ф. Леман-Хупт, Вступительная лекция по истории и культуре халдов, ტფილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, VI, 1937, გვ. 266.

რევის მცირე ნაწევრტ ფშანს, კოლხეთის¹ კულტურას რომ შეერთვის და რომლის ნაკვალევს განცვიფრებაში მოჰყავს მნახველი?.

ყოველივე ამის შემდეგ, ბუნებრივია, რაჰის მკვდლობის გაუქმების მთავარი მიზეზებიც აღინიშნოს. უნდა დავუშვათ, რომ ძირითადი ფაქტორები, რომელთაც საზღვარი დაუდევს წედისის რკინის დამზადების რეალურ არსებობას, გარკვეულ სოციალ-ეკონომიურ და პოლიტიკურ ვითარებათა რიგისაა. საქართველოში, ნატურალური მეურნეობის დაცემისა და კაპიტალიზმის აღმავლობის პირობებში, მეფის რუსეთის ძლიერ ექსპანსიას და ამ ნიადაგზე მოვლენათა განვითარებას. შედეგად სდევდა შინამრეწველური ცალკეული დარგების გაუქმება. ეს პროცესი განსაკუთრებით ინტენსიური და მძაფრი ხდება მე-19 ს. მეორე ნახევარში — „რეფორმის შემდგომდროინდელ ხანაში“. ვ. ი. ლენინი ამის შესახებ წერდა: „რეფორმის შემდგომ ხანაში, ერთი მხრით, ხდებოდა კავკასიის ძლიერი კოლონიზაცია, ... მეორე მხრით, თანდათან იდევნებოდა ადგილობრივი, საუკუნეობრივი „შინამრეწველური“ სარეწები, რომლებიც ეცემოდნენ მოსკოვიდან შემოტანილი ფაბრიკატების კონკურენციის გამო... ეცემოდა რკინის შინამრეწველური დამუშავება შემოტანილი რუსული პროდუქტის კონკურენციის გამო, ...“² და სხვ.

ამ ვითარებაში წედისის რკინის დამუშავების შეჩერება ქართული მეღლითონეობის ისტორიაში ბუნებრივ და კანონზომიერ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

ამგვარია ზოგადად „სარკინეთისა“ და საერთოდ რაჰის მკვდლობა. მომდევნო სპეციალურ ნაწილში ცალკეული საკითხები დაწვრილებით იქნება განხილული.

¹ ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი, ვნიმკი-ს მოამბე, ტ. 1, გვ. 240-

² A B X, დასახ. ნაშრ., გვ., 104.

³ ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. III, თბ. 1948 წ., გვ. 703.

ჩქინის მადნის მოკოვება და დამუშავება რაჭის „სარქინეთში“

1. ჩქინის მადნის ქიმიკი, საბადოები, დამუშავების ტენტრები

ჩქინის საბადოებით განთქმული ჯეჯორის ხეობა (ზემო რაქა) ცნობილი ამასთანავე თავისი მელითონეობითაც. რაქის ადგილობრივი მოსახლეობა ჩქინის დამზადება-ქედვას აქ უხსოვარ დროიდან აწარმოებდა.

სამეცნიერო ლიტერატურაში წედისისა და მის მიმდგომ სოფლების მიერ ადგილობრივი ჩქინის დამუშავების სინამდვილე საყოველთაოდ ცნობილია¹.

„წედური“, ადგილობრივი ჩქინის წარმოებამ სს. ქედის, წედის, ირის, ცხორის და ონქევის სანახებში თავისი არსებობა, ფაქტიურად, მხოლოდ ამ სამოცი წლის უკან შეწყვიტა².

მრავალმხრით საყურადღებოა ის გარემოება, რომ რაქის ეთნოგრაფიულ სინამდვილეს საგულისხმო ცნობები დაუტაცეს, რომლის მიხედვითაც ადგილობრივი ჩქინის დამუშავების არეალი მთელ რაქას გადასწვდება. არსებული სიტყვიერი ცნობებისა და ზოგიერთი ფაქტიური მონაცემის ნიადაგზე, ჩქინის მოპოვება-დამუშავება წარმოებდა ქვემო რაქაშიაც — რიცეულასა და შაორის ხეობებში. ამის ნაკვალევი, აქაური ხნიერი და მცოდნე პირების ცნობით, დღესაც ჩანს „სადმელისა“ და „ხონქიორის მთებში“³.

უკანასკნელ ხანებში მხარის მინერალოგიურმა შესწავლამ ეს ცნობები ფაქტიურად დაადანტურა, რასაც რაქის მკედლობის ადრინდელი მდგომარეობისა და, საერთოდ, ძველი ქართული მელითონეობის გასათვალისწინებლად ღრმა მნიშვნელობა აქვს.

აღსანიშნავია, ამასთანავე, მ. შოსტაქის ცნობები და ზოგიერთი მოსაზრება რაქის მელითონეობის შესახებ. სხვათა შორის იგი მიუთითებს:...

„В сланцах-же встречаются местами большие скопления серного колчедана, около Глоли жилы свинцового блеска, а верстах в трех от Геби медный колчедан с содержанием в нем 8, 8,36 и 9% меди, наконец в 4-х от


¹ ვახუშტი, საქ. გეოგრაფია, გამ. მ. ჯანაშვილისა, 1904 წ., გვ. 284; G ü l d e n - s t ä d t, დასახ. ნაშრ., გვ. 280; A b i c h, Prodrômus einer Geologie der kaukasischen L ä n d e r, SPb. 1858, გვ. 63 და შმდ.

² წედისის ჩქინის დამუშავების დაუქმების ზუსტად დათარიღებისათვის ურყევი საფუძველი წერილობითი წყაროების მიხედვით არ მოგვაპოვება. არსებობს მხოლოდ ზეპირსიტყვიერი ცნობები ხსოვნაზე დამყარებული და ამდენად თარიღი მიახლოებითია.

³ ნ. რეხვიაშვილი, რაქაში მივლინების მოკლე ანგარიში, ენიმკი-ს მოამბე, ტ. XI, გვ. 14.

Ущери в ущелье в 1 1/2 верстах от шоссе проявляется обилие шпатоватого железняка; здесь-же обвариваются шлаки от изготовления здесь в прежнее время железа в горнах¹.

ამგვარად, ირკვევა, რომ წარსულში რაქაში წარმოებდა რკინის დამუშავება და მას თავისი საყოფარღო ნედლეულის კერები გააჩნდა. მკედლობის საყოველთაოდ გავრცელება და მისი მაღალი ტრადიციები ამასვე ადასტურებს. მოქმედ რკინის საბადოთაგან თავისი არსებობა ფაქტიურად და ცხადად მხოლოდ წედისის საბადოებმა შეინარჩუნეს, რომელთაც მე-19 ს. 80-იან წლებამდე კიდევ ამუშავებდნენ. სხვათა შესახებ, გარდა სიტყვიერი და სავარაუდო წერილობითი ცნობებისა, ჯერჯერობით უფრო მყარი და უეჭველი საბუთები არ მოგვეპოვება. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ საგულეებელი მოქმედი რკინის საბადოების დაუქმება შედარებით ადრე უნდა მომხდარიყო. თუ რა ძირითადი ფაქტორები დაედვა საფუძვლად წედისის წინამორბედი რკინის საბადოების დაუქმებას და სხვა მსგავსი ამბების შესახებ მსჯელობა შეუძლე-



სურ. 1. რკინის საწურის ქურა, ს. წედისი (პეტროპოლტის მიხედვით)

ბელია, ვიდრე ეს საკითხი ძირეულად და ყოველმხრივ შესწავლილი იქნება. ამ მიმართებით, წედისის რკინის დამუშავების პრობლემათა გარკვევას, გარდა თავისთავადი ღირებულებისა, ამ მხრითაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ამრიგად, თუ ვივარაუდებთ აწ დაუქმებული წედისისა და მასთან ერთად რიგი სხვა საგულეებელი რკინის საბადოებს, რაქის სინამდვილეში ტერიტორიალურად დაცლებული რკინის მადნის ოთხი უბანი უნდა გვქონოდა—შარაულას, რიცეულას, ჯეჯორის და რიონის ზედა წელის ხეობათა სახით. რკინის საბადოთა პირველი უბანი იგულისხმება ხონჭორის მთებში—ტყიბულის გადაღმა. გეოლოგიური პირობების მიხედვით ეს საესებით დასაშვებია, თუ მხედველობაში მივიღებთ მის მეზობლად მდებარე ოკრიბას, სადაც ძველიდანვე წარმოებდა ადგილობრივი რკინის დამუშავება². ამ უკანასკნელ

¹ М. А. Шостаков, По Раче и Сванетия, Изв. КОРГО, т. XVI, 1903 г., № 1, 83-24, 53.


² А б и х, Ткябульские копи каменного угля. Сбор. г. в. „Кавказ“, 1847, 83. 104; Актн Кавк. Арх. Коммиссии, т. V, ч. II, 83. 277.

ხანებში ადგილზე ჩატარებული გეოლოგიური ექსპედიციების (ხელმძღვანელი — კანდელაკი) შედეგების მიხედვით ადკილ აზოვი რკინის დაპუშავეების ობიექტური შესაძლებლობა გამორიცხული არ არის.

საბადოთა მეორე უბანი სადმელის მთებში — „ნამქელურა“ ში უნდა ვიგულოთ, ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით, სასეანეთოს ადგილთა საზღვრად¹.

მესამე უბანი შოსტაკის მითითების საფუძველზე სოფ. უწერის ჩრდილოეთით, მდ. რიონის ხეობაში, მის შენაკად პატარა მდინარის — „უწერულას“ ლეღეში უნდა ვივარაუდოთ, რქ, სადაც ამჟამად მესაქონლეობის ფერმაა გაშენებული და ხალხის ნასადგურევის კვალი ამჩნევია.

მეოთხე უბანი — სს. წედისის, ირისა და ქვედის მთებში მდებარე ცნო-




სურ. 2. რკინის საწური ქურა, ზედა ზედი, ს. წედისი (პეტროპოლდტის მიხედვით)

ბილი რკინის საბადოები იქნება, სახელდობრ: „ქვაწითელა“, „ხეხმელა“, „სხამერი“ და სხვ. ამათგან, სამეცნიერო ლიტერატურაში მხოლოდ „ქვაწითელას“ საბადო² და მისი დამუშავებაა ცნობილი. ამ მოვლენას თავისი საპატრო და გარკვეული მიზეზები ახლავს, რაც საერთო ობიექტური ვითარებით აიხსნება. ყველა ამ მიზეზის აღნიშვნა საჭირო არ იყო და შორსაც წაგვიყვანდა. მათგან მხოლოდ ერთი მოტოვი გვინდა დავასახელოთ. ძველად დაცული იყო ხალხში ერთგვარი წესი, რომლის მიხედვით სათემო მნიშვნელობის იმგვარი საქმე, როგორც ამ შემთხვევაში რკინის საბადოს ადგილმდებარეობა და მისი დამუშავება იყო, უცხო და ვიკინდარა პირებისთვის არ გაემხილათ, ვიდრე საამისოდ სოფლის „თემიკაცების“ სათანადო ნებართვა და დასტური არ იქნებოდა. საჭირო შემთხვევაში „შეიკრებებოდა თემიკაცობა“:

¹ დ. წერეთელი. რაკში მივლინების ანგარიში.

² Воскобойники, Описание горных промыслов и полезных минералов в округах Имеретинском Раче, Мингрельском Лечгуме и в Суанстах, „Горный журнал“, СПб, 1826, кв. XI, გვ. 51.

მათ გამოჩენვა შეექნებოდათ, თუ როგორ ჯობდა“. „თემი კაცების“ ამ ბუბობას „სარჩიელი“ ეწოდებოდა. უხუცესთა საბჭოს „გამორჩევის“ გარეშე რაიმე მნიშვნელოვანი სათემო საკითხი არ გადაწყდებოდა. საკითხთა ამ კატეგორიას განეკუთვნებოდა, როგორც ითქვა, უცხოთაღმი მადნისა და მსგავსი საკითხების შესახებ რაიმე ინფორმაციისა და უშუალო ცნობების გაცემა. საერთოდ, გარეშე და შინაური მტრების შიშით, რის დამალვაც კი შეიძლებოდა, ყოველთვის ცდილობდნენ უჩინარეყოთ იგი. ამის მშვენიერ ილუსტრაციას წარმოადგენს შემდეგი ფაქტი, კ. კოხს რომ შეემთხვა რაჭაში მოგზაურობისას (მე-19 ს. 30-იან წ.) ს. წედში¹. მას სურდა „წედური“ ადგილობრივი რკინის დამუშავების შესახებ ცნობების შეგროვება, მაგრამ მოსახლეობამ მას ექვის თვალით შეხედა. არავითარმა ხერხმა და პირდაპირ თუ ირიბად დასმულმა მისმა კითხვამ სიტყვაც ვერ დააცდენია წედლებს.—„მიუხე-



სურ. 3. რკინის საწური ქურა, ს. წედისი
(პეტჰოლდტის მიხედვით)


დავად იმისა, რომ ყველგან ვხედავდი და აშკარად ჩანდა რკინის დამუშავების კვალი, რკინაწიდასა და სხვათა სახით, ისინი მაინც მიმალავდნენ ამის შესახებ და მხოლოდ გვიან გაეჩვენა, რომ აქ ბევრ რკინას აძუშავებდნენ თურმეო“-ო, — მოგვითხრობს კოხი². პეტჰოლდტი წერს: „წედისის რკინის დასამუშავებელი ქოხების დათვალიერებისას მე ვნახე ჯგუფი გლეხებისა, რომელნიც ცნობისმოყვარეობით მათვალიერებდნენ და უნდოდათ გაეგოთ, თუ რა მსურდა. მე მათ ვამჩნევდი უნდობლობას და შიშს, ალბათ ჩემში კონკურენტს თუ ხედავდნენ. მხოლოდ მოხერხებით და დიდი მეცადინეობით შეეძლო მათგან ზოგიერთი საჭირო ცნობა მიმეღო. ბოლოს მომცეს რკინის ნაქერიც გამოსაკვლეად და მთხოვეს კვლავ მისელა შემდეგისთვისაც“³.

¹ „წედი“ და „წედისი“ სინონიმური სახელებია. მაგალითად, წედური ქალი, წედური კაცები, ასევე წედისელი კალები. ჩვენ უპირატესად პირველს ვმხარობთ.

² K. Koch, Reise durch Russland und nach dem kaukasischen Isthmus, ნაწ. II Stuttgart, 1843, გვ. 84.

³ A. Petzholdt, Der Kaukasus, Lpz. 1866. ნაწ. I, გვ. 320.

იმერეთის მეფე სოლომონ II-ს მიერ 1769 წელს რუსეთის მეფის კარზე წარგზავნილი მიტროპოლიტი მაქსიმე იმერეთის სამეფოს ეკონომიური შესაძლებლობის შესახებ შემდეგს აუწყებდა რუსეთის მთავრობას: „იმერეთის ადგილებში მოიპოვება ოქრო-ვერცხლისა და სხვა მეტალთა მადნეული, იმერეთს მათით, გარდა ერთი რკინისა აროდეს არ უსარგებლია იმის შიშით, რომ მტრები არ აღძვრა და ყოველგვარად ცდილობდა მათ დაფარვას“-ო¹.



სურ. 4. ქართული საბერეული

იხსენებენ გენ. ტორმასოვისადმი წარდგენილ თავის მიმართვაში, სხვათა შორის, გვაუწყებს, რომ როდესაც იგი მივლინებულ იქნა ფშავეში, ადგილობრივი ტყვიის საბადოების გასაცნობად, რომელთაც, სიტყვიერი ცნობების მიხედვით, ფშაველები კიდევაც ამუშავებდნენ, მცხოვრებნი გულცივად შეხვდნენ მის განზრახვას და ამ საკითხის შესახებ არაფერი გაუმხილეს² მას.


დასახელებული ფაქტები გარკვეულად გვაუწყებს იმ ამბავს, რომ რკინის საბადოების შესახებ ცნობებს რაქაში საიღუმლოდ ინახავდნენ, მათ ადგილმდებარეობას და გზაკვალს უცხოთათვის, რამდენადაც მოსახერხებელი იყო, მიუგნებელს ხდიდნენ. უეჭველია, ამ მიზეზების გამო რიგი ნამდვილად მოქმედი რკინისა და სხვა ლითონთა საბადოები ისე „გადავიდნენ“ სინამდვილიდან, რომ არავითარი წერილობითი მითითება არ დარჩა, სამაგიეროდ შემოინახა საყურადღებო ზეპირი ცნობები და ნივთიერი მარეგენებლები მათი რეალური არსებობისა და მოქმედების შესახებ. თვით ცნობილ „ქვაწითელას“ დროის რკინის საბადოები—„ხეხველა“, „სხამერი“ და სხვა, რომელთაც ამუშავებდნენ ფაქტიურად და სარკინეთის რკინის ნედლეულის მთავარი უბნები იყო, სპეციალურ ლიტერატურაში საესებით უცნობი არის.

¹ А. Цагарели, Грамоты и другие исторические документы 18 ст., относящиеся к Грузии, т. 1, СПб. 1891, гл. 29, 193.


² „Raport ober гиттен-фервалтера Эйхфельда ген. Тормассову, от 22-го января 1810 года“, Акты КАР. Ч. IV, § 77, гл. 67.

წედისის სანახებიდან რკინის „უმი ლითონი“ გაჰქონდათ, როგორც „ახლობელ ისე შორებელ“ თემებში და სწურავდნენ მას რკინად. დამზადებული რკინიდან ჰედდნენ სხვადასხვა ხასიათის, უმთავრესად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების „ხელადს“. ნაწარმის კარბი ნაწილი მეზობელ კუთხეებში მიჰქონდათ და მათთვის საკურო საგნებზე სცვლიდნენ ხოლმე¹.

წედური რკინის მთავარი დამამუშავებელი, „გული“ ადგილები იყო: სს. ქვედი, წედი, ირი, ცხორი, ნაკიეთი, ონი, სორი და წესი. განაპირა ცენტრებს—ლები, კრიხი, ამბროლაური და ხოტევი შეადგენდა. ბუნებრივი მღებარეობით ამ წარმოების ლერძი მაინც ჯეჯორის ხეობა იყო, რომელიც პირით სამხრეთისაკენ იყო მიპყრობილი და დაღმა რიონის ხეობას ერთვოდა-



სურ. 5. „ქართული გრემლი“,
წედისი



სურ. 6. „ღუმინი გრემლი“
ს. ნაკიეთი, რაჭა

1824 წლისათვის „წედის რკინის“ დამუშავების არე იმდენად მოვიწროებულა, რომ მისი მოკმედეგის რადიუსი მხოლოდ ახლო-მახლო სოფლებს—და აღწევდა². ფაქტიურად, ამ საქმისათვის ხელი შეშვებული არ ჰქონდათ სოფ. წედისს, ქვედს, ირს, ცხორს, ონქევს, უწერას, გომს და სხვ. უფრო დაშორებული სოფლებიდან იშვიათად თუ ვინმე კისრულობდა „წედური რკინის“ დამზადებას. თუ დაუუჯერებთ ზეპირსიტყვიერ ცნობებს, უწინ რაქის ძირითადი უბნები უკლებლივ აწარმოებდნენ რკინის დამუშავებას. მასთან შედარებით, რაქის მეღითონეობის ეს მოგვიანო ხანა როგორც ინტენსიობის, ისე რიცხოზობრივი მაჩვენებლების მიხედვით შესამჩნევად დაცემული ჩანს. მიუხედავად ამისა, დაუძღურების გასაყა აქ რამდენიმე ათეული რკინის საღნობი და საწური ქურა არსებობდა³, რაც იმ დროისთვის, თუ გავითვალის-

¹ G ü l d e n s t ä d t, დასახ. ნაშრ., გვ. 280.

² Воскобойников, დასახ. ნაშრ., გვ. 51—55; Акты Кавк. Арх. Комиссии, ტ. VI, ნაწ. 1, 1874, გვ. 183—90.

³ Воскобойников, დასახ. ნაშრ., გვ. 54.

წინებთ ისტორიულ პირობებს და შექმნილ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სიტუაციას, საკმაოდ დიდ ეკონომიურ ფაქტორს წარმოადგენდა.

იმავე ვოსკობოინიკოვის ცნობით 18:24 წელს ღარსოფ. წედში 19 სახელოსნო — რკინის „საწური“ ქურა ყოფილა. ამ რიცხვს, თუ ორი ამდენს სოფ ქვედის¹ და თითო ამდენს დანარჩენი სოფლების მიხედვით ვივარაუდებთ, აღმოჩნდება, რომ შედარებით მცირე არეზე წედური რკინის დამუშავება კიდევ იტყვედა თავისში, საშუალოდ, 100 მდე „საწურ“ ქურას (თითოეული ქურის სამუშაოთა ინტენსიობა, სამწუხაროდ, გაურკვეველია). რაკის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწვებული სიტყვიერი ცნობების მიხედვით — „მთელი რაქა და იმერეთი აქაური რკინით ჯგერდებოდა“.

რკინის დამუშავების ცენტრები „ქვაწითელას“ საბადოს სხვადასხვა მანძილით შორავდნენ და მთის თავისებური რელიეფის მიხედვით უფრო ძნელი ან ადვილი გზასავალით იყვნენ მასთან დაკავშირებულნი. ეს უკანასკნელი გარემოება გარკვეულ გავლენას ახდენდა და აძნელებდა „უმი ლიონის“ გადაზიდვას დაშორებულ პუნქტებში. ამ მხრით უკეთეს პირობებში უახლოესი ადგილები იყვნენ. ამიტომ უკანასკნელ ხანებში ესენი ამარაგებდნენ პირველ რკინის პროდუქციით.



სურ. 7. „ცალთავი“, „ყალიბი“, ს. სორი, რაქა



სურ. 7-ა. „ზინდანი“, ს. წესი, რაქა

5. „შმაქხანაგვება“ და მყადება მადნის მოსაპოვებლად და დასამუშავებლად

„ქვაწითელას“ რკინის საბადოდან მადნის მოპოვებას მთელი რიგი სიძნელებები ახლდა თან. ამ დაბრკოლებათა გადალახვა მოითხოვდა ერთობლივ, კოლექტიურ მოქმედებას.


მადნის დამუშავების შემდგომი საფეხურებიც ასევე ძნელი და განსაკუთრებული ხასიათის სამუშაოს წარმოადგენდა.

მადნის „ამოღება“, შემდეგ მისი „დაწურვა“ და მიღებული რკინისაგან სხვადასხვა „ხელადის“ გაქედვა — ერთიანი სამუშაო პროცესის რამდენიმე საფეხურს შეიცავდა. თავისი მხრით, თითოეული საფეხური ცალკეულ შინა-

¹ სოფ. ქვედი მოსახლეობის რაოდენობით, აგრეთვე სამუშაოების რიცხვით ს. წედისს ერთი საზად აღემატებოდა, ხოლო დანარჩენი სოფლებიც ამ მხრით მას არ ჩამოუვარდებოდნენ.

გან მომართვისა და ტექნიკურად განსხვავებულ მიდგომას საჭიროებდა. ეს გარემოება რკინის დამუშავების საქმეში თითოეული „საქნარის“ და „მოსაქნარის“ (მუშახელის) გონიერად მოწესრიგებას და დაგეგმვას ითვალისწინებდა. ამიტომ იყო, რომ რკინის დამუშავება რაჰის სინამდვილეში ძალთა კოლექტიური გაერთიანების პრინციპზე იყო აგებული და „ამხანაგობის“ საფუძვლებს ემყარებოდა.

სინამდვილეში წელური რკინის დამუშავება—მიდნის ამოღება, გადაზიდვა, დაწურვა, გადადნობა და მიღებული რკინისაგან „ხელადის“ გაქვლეტა რთული საქმე იყო. იგი მოითხოვდა სხვადასხვა მუშახელსა და მოხელეს. ამი-



სურ. 8 „სამთავი“, გრდემლი (რაჰა)

ტომ, „რკინის კაცები“ აღგენდნენ თანასწორობის პრინციპზე დაფუძნებულ რამდენიმე კაცისაგან (10—20-მდე) შემდგარ ამხანაგობას¹, „გაერთიანებას“. ამხანაგობის თითოეული წევრი—მოზიარე ნებაყოფლობით შედიოდა ამ გაერთიანებაში, ასევე სურვილისამებრ შეეძლო გამოსვლა. ამხანაგობის საძირკვლის გასკვნა სავსებით უბრალოდ ხდებოდა.—„კაცი კაცს ეტყოდა ვიამხანაგოთო, თუ თანახმა იყო უპასუხებდა—კარგი ვიამხანაგოთო“. ამავე წესით

¹ Воскобойников, დასაბ. ნაშრ., გვ., 53; Г. Радде, Путешествие в Мингрельских горах и в трех их верхн. продольных долинах, ЗКОРГО, кн. VII, тав. V, გვ. 188.

მათ მესამე, მეოთხე მიერთვოდა და ამხანაგობა „გაიწაფებოდა“. ამის შემდეგ მოზიარეები იკრიბებოდნენ. „მათ გამორჩევა შეექმნებოდათ“, თუ როგორ ჯობდა. დასახედნენ სამოქმედო გეგმას. გეგმა გარკვეულად იოვალისწინებდა თითოეული სამუშაო როდის და როგორ უნდა გაეკეთებიათ. ამ მოლაპარაკებას და მის შედეგად მიღებულ სიტყვიერ განაწესს „დაწყობილობა“ ეწოდებოდა, ხოლო ორგანიზაციას—„შეამხანაგება“. ამხანაგობა საერთო თანამშრომლობის და თანასწორობის პრინციპზე იყო აგებული. მას ახასიათებდა: საერთო წარმოება, საერთო საკუთრება, შრომის პროდუქტის თანასწორი განაწილება, მოგება-წაგებაში წილის ჩადება თანაბრად. „დაწყობილობა“ იმგვარი გეგონდა, რომ ამხანაგობის საქნარსა და ნაქნარშიც ყველას წილი ედვა (ს. ქვედი, თაზო მაისურაძე, 90 წ.). ერთი სიტყვით, „მოზიარეთა“ თითოეულ წევრს, იქნებოდა იგი მოწიფული ვაჟაკი, მოხელე თუ უქასაკო მეხრე, თანაბარი წილი ედვა ამხანაგობის „მონაგებში“.



სურ. 9. „ქოლიკი“, „საქოლი“ (საქ. მუხ. კოლ. 8—39/15)

ამხანაგობის ორგანიზაციას ერთურთის ნდობა, მტკიცე „პირი“ და მამაპური ზნე-ჩვეულებით შემტკიცებული ტრადიცია ამაგრებდა. „დაწყობილობას“ წინ ვერ წაუვიდოდა ამხანაგობის ვერც ერთი წიერი.


უფროს-უმცროსობას და გამოცდილებას ამხანაგობაში, რასაკვირველია, ჰქონდა გარკვეული მნიშვნელობა და უპირატესობა. ეს, პირველ რიგში, საქმის საჭიროებით და სარგებლობით იყო გამოწვეული და არავითარ შემთხვევაში უფლებრივი უთანასწორობის საზღვრებს არ გადადიოდა.

ამხანაგობის „დაწყობილობა“ ძალაში რჩებოდა უცვლელად „ერთი მოვლა“ სამუშაოს განმავლობაში. „ერთი მოვლა“ ეწოდებოდა სამუშაო დროის მონაკვეთს—საბადოდან რკინის მადნის ამოღებით დაწყებული, გაქედილი ხელიდის განაწილებით და გასაღებით გათავებული. შემდეგ, თუ სურვილი ექნებოდათ, ისევე განაახლებდნენ „დაწყობილობას“ და ისევე ამხანაგურად შეუდგებოდნენ რკინის დამუშავებას.

წედური რკინის დამზადება რთულ პროცესს წარმოადგენდა. მადნის ამოღება, მისი რკინად დაწურვა და განსაკუთრებით რკინის „დაყენება“ და გაქედვა დახელოვნებულ და გამოცდილ პირებს ითხოვდა. ამირომ „ამხანაგობაში“ საჭირო საეკონომისტის შეყვანა და მისი გამოცდილების გამოყენება საჭირო და აუცილებელი იყო, ვინაიდან „ამხანაგები ამ გამოცდილ რკინის მოხელეებს უჯერებდნენ, მათი კითხული იყვნენ და ხმაც მეტი მათ ქონდათ“ (წედისი, ლუკა მაისურაძე, 80 წლისა).

უნდა აღინიშნოს, რომ ამხანაგობიდან გამოსვლა, ისე როგორც მასში შესვლა, ნებაყოფლობითი იყო, მაგრამ სრულ თვითნებობამდე არ დადიოდა, მას ტრადიცია ზღუდავდა. თუ რომელიმე წევრს აღარ სურდა რაიმე მიზეზით მონაწილეობა, — მოიბოდიშებდა ამხანაგების წინაშე და თავის განზრახვას ამხანაგობას მოახსენებდა და მიზეზსაც დაასახელებდა. თუ დასახელებული მიზეზი, ამხანაგობიდან გასვლის შესახებ, შესაწყობარებელი იყო, უპასუხებდნენ: „რას იზამ, რახან აგრეა, შენი სებაა, რავარც გერჩიოს“-ო!

უკეთუ ამ განზრახვას რაიმე თვალთმაქცური იერი ახლდა და უფრო საქმის ლალატსა ჰგავდა, სამაგიეროს იმით გადაუხდიდნენ, რომ სხვა დროს ასეთ კაცს ახლო აღარ გაიკარებდნენ არა მარტო მისი ამხანაგები და მოზიარეები, არამედ სხვებიც, — „დაჩვეულია სიგლახეს, ჩვენც ისე გვიზამს, გვილაღატებს“-ო. „დაწყობილობის“ საფუძველზე ამხანაგობიდან გასულ წევრს უზღავდნენ, რაშიაც წილი ედო.



სურ. 10. ჩაფრასტი, ს. შერეთი, ქართლი


ყველა სადაო საკითხში ამხანაგობის წევრები — „მოზიარეები“ სასარჩიელოდ დასვამდნენ სოფლის „თავკაცებს“ და შათის დახმარებით „შესწორდებოდნენ“. ამ წესით ერთმანეთის შეთანხმებას „სამართალში მისვლა“ ეწოდებოდა. „სასარჩიელოდ“ იხმობდნენ სოფელში პატიოსან და მართალ კაცად მიჩნეულ პირებს.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ „წედური რკინის“ დამუშავების საქმეში წინა რიგზე დგას შრომის კოლექტიური გაერთიანება — ერთმანეთის ამოღობა მხარში. აგრეთვე წარმოების ორგანიზაცია გარკვეულ წესებზეა დამყარებული და არსებითად შრომის საზოგადოებრივი განაწილების ელემენტებისაგან შედგება. სინამდვილეში, სამუშაოს ხასიათი მოითხოვდა ცალკე პირუბის ძალ-ღონის და შესაძლებლობის თავმოყრას, კოლექტიურ საშუალებათა გამოყენებას.

საერთოდ, მძივე და ძნელი სამუშაოების ჩასატარებლად შრომის ერთდროული გაერთიანების ფაქტები სხვა შემთხვევაშიც გვხვდება. ზედველო-

ბაში გვაქვს—ნადი, მოდგამი, მამითადი და სხვ. მაგრამ ეს უკანასკნელი ფორმები შრომის კოლექტიური გაერთიანებისა უფრო „მოხმარებას“, „მიშველებას“ წარმოადგენდა კერძო საქმეში, ვიდრე გაერთიანებულ ღონისძიებას საზიარო, საერთო საქმის შესასრულებლად. ამდენად, ზემოაღნიშნული „შემახანაგება“ შრომის გაერთიანების უფრო მაღალი ფორმა ჩანს. სამწუხაროდ, წედური რკინის წარმოების საზოგადოებრივი მხარე სპეციალურ ლიტერატურაში ან საესეებით არ ჩანს, ან მკრთალად, ცალმხრივად არის მოცემული. ამ მხრით, ნაკლებია ვოსკობოინიკოვის აღწერილობაც, რომელიც რაჭის სარკინეთში რკინის წარმოების შესახებ ყველაზე ვრცელ და საფუძვლიან გამოკვლევას წარმოადგენს¹.

ასევე, ცნობილი გეოლოგი აბიხი, რომლის გამჭირიანმა გონებამ ბევრი რამ მანამდე შეუმჩნეველი შენიშნა, ამ საკითხის შესახებ არაფერს ამბობს. არც პეტკოლდტი, რადე და სიმონოვიჩი ეხებიან მას. ეს ამბავი ალბათ იმით აიხსნება, რომ არც ზემოხსენებულნი და არც სხვა მკვლევარნი ამ საგნით უშუალოდ დაინტერესებულნი არ ყოფილან. წედური რკინის დამუშავების პრობლემა მათ წინაშე მთელი თავისი სიღრმე-სიგანით არც დასმულა.



სურ. 10-ა „მუჭის გირა“, რკინის საყრობი (ლეჩხუმიდან)

ამდენად, როგორც ხსენებული, ისე სხვა მსგავსი საკითხის შესახებ სათანადო წერილობითი წყაროები არაფერს ამბობს. ამ შემთხვევაში იძულებული ვართ მხოლოდ სიტყვიერ ცნობებსა და მითითებებს დავეყაროთ.


მიუხედავად ამისა, ზემოხსენებულ მკვლევართ უნდა ვუმალოდეთ წედის რკინის დამუშავების შესახებ ბევრი ისეთი ცნობის და მასალის შემოწახვას, რომელთაც ამჟამად ველარსად ნახავდა კაცი და რომელთაც პირველ-ხარისხიანი მნიშვნელობა აქვს რაჭის რკინის საკითხისათვის.

განსაკუთრებით ფასეულია ამ მხრით ვოსკობოინიკოვის მიერ ჩატარებული გაზომვები და პეტკოლდტის ერთადერთი და საინტერესო ჩანახატებო აწერი ქურებისა².

¹ Воскобойников, დასახ. ნაშრ.

² A. Petzholdt, დასახ. ნაშრ., გვ. 321.

როგორც ზემოთაც ითქვა, რკინის დამუშავება საკმაოდ რთულ და მრავალსაფეხურიან „საქნარს“ წარმოადგენდა. იგი რამდენიმე სახის სამუშაოს აერთებდა. სამუშაოთა თითოეული სახე განსაკუთრებულ მიდგომას მოითხოვდა. ამის გამო სამუშაო ურთიერთ შორის განაწილებული იყო. ერთი რომ ერთ საქმეს აკეთებდა, მეორე—მეორეს. რკინის დამუშავებას წინ უსწრებდა სამზადისი. იგი გულისხმობდა სახელოსნო «შრამელისა» და რკინის საწური ქურების გამართვას, სამუშაო იარაღისა და ხელსაწყოს მომზადებას, საზიდი ქურქლისა და დამხმარე მოწყობილობის მომარაგებას, ასევე რკინის მადნის დასაწურავედ საქირო ნახშირის „დაწვას“ და მის „დაციხვას“ სამკვლელოში. ერთი სიტყვით, მადნის მოპოვებასა და მის რკინად დაწურვას რომ წარმატება ჰქონოდა, მოზიარებები დიდი მონდომებით აწარმოებდნენ წინასწარ სამზადისს:—სახელოსნოს ისე, უბრალოდ თვალს შეავლებდნენ, მოაკა-



სურ. 11. კვარი, ს. წესი, რაკა

რებდნენ¹, ქურებს გასინჯავდნენ, მოიმარჯვებდნენ ავეჯ-იარაღს, ზოგიერთ რამეს ახალს გააკეთებდნენ, რასაც არ ქირდებოდა გაკეთება „ისე ხელს შეავლებდნენ და ყოვლიფერს გაწაფავდნენ“. როცა ზიარად ნახშირის დაწვას მორჩებოდნენ, ახლა სხვა საქნარს გაინაწილებდნენ, ნაწილი მოზიარებებისა ერთ რამეს აკეთებდა, ნაწილიც—სხვა რამეს.

ამ წესით დაწინავედნენ სხვადასხვა ზომის „სალითენე“ და სანახშირე გიდლებს, გორკებს, ცხავსა და სხვ. ერთ წყება „მორჩილ“ გიდლებს დაამზადებდნენ შიგნით გვირაბში ლითონის საზიდავად, მეორე წყებას—ზევით საზიდავად (საბადოდან სახელოსნომდე). ერთი რომ თოქს გრებდა, მეორე კვარს ამარაგებდა, მესამე—„სათრიელს“ ამზადებდა. კვარი, ანუ „ბიკვანი“ არჩეული უნდა ყოფილიყო—ხმელი, ფისიანი, მოგრძოდ და წვრილად დაკობილი. კვარს ასე საგანგებოდ იმიტომ არჩევდნენ, რომ გვირაბში მუშაობისას ერთადერთ „სასინათლეს“ მათთვის კვარი შეადგენდა, ამიტომ კვარი უხვად უნდა ჰქონოდათ. ვარაუდით იცოდნენ, რაც დასკირდებოდათ მათ გვირაბში სამუშაოდ, „ერთ მოვლაზე“².

¹ ტერმინი — „მოკარება“ იხმარება ზოგადი მნიშვნელობით. იგი აღნიშნავს მოშორებას, მოცილებას რისამე ან რაიმეგან. ამ შემთხვევაში კი „მოკარება“ „მილაგებას“ ნიშნავს. სხვა მაგალითისათვის შეიძლება დასახელებულ იქნას:—მოკარა ველი, ახო, ყანა, კაღო და სხვა.


² სალითენე გიდელი უნდა მოეწნათ „წვრილთელიანი“, მიჯრით, რათა გაეძლო ლითონის ზიდვისთვის.

3. ნახშირი, სანახშირე ორბო. ნახშირის „დაწვა“, სამუშაო და ხელსაწყო
იარაღი

რაქის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში რკინის მადნის დასაწურავად და გადასადნობად, აგრეთვე მიღებული რკინის დასამუშავებლად, იხმარებოდა ხის ნახშირი. სხვა საწვავის გამოყენება ამ მიზნით ცნობილი არ არის. ამიტომ „წედური რკინის“ და საერთოდ რაქის მელითონეობის საქმეში ხის ნახშირს ერთი მთავარი ადგილი ეკირა.

ნახშირის „დაწვა“ და დამზადება პირველხარისხოვანი საქმე იყო. რიგიანი ნახშირის „დაწვა“ მხოლოდ „ნახშირის ნახელესა“ და მცოდნე კაცს შეეძლო. ნახშირად ყოველგვარი ხე და ხის ჯიში არ გამოდგება. საამისოდ საჭირო ხესა და შეშასაც საკანგებო შერჩევა სჭირდება, პირველს ხის ჯიშისა, მეორეს— სინდლის მიხედვით. ამასთანავე, ხის ტანსა და „შტოებს“ გარჩევა აქვთ. ერთ შემთხვევაში როგ „ტანი ხეა“ ნახშირად კარგი, მეორე შემთხვევაში რტოებია უკეთესი. საერთოდ, რტოების ნახშირად წიწვიანი ხეებია მიღებული, „ტანი ხის“ ნახშირად— ფოთლოვანი. ერთიც და მეორეც, სახეთა მიხედვით, სხვადასხვა თვისებისა და ხარისხის ნახშირს იძლევა. ამიტომ ნახშირის „დაწვა“ გარკვეული დანიშნულებით და წინასწარი განიზღვრით ხდებოდა.

ნახშირად არც ძლიერ ნედლი, არც ძლიერ ხმელი შეშა გამოსადეგი და სანაჭებო, ვინაიდან ნედლი გვიან იწვის, უმთავრესად „წყლად მიდის“, ხმე-



სურ. 12. „ლიი“, ს. წესი, რაქა

ლი სწრაფად იწვის, „უცებ ებრაილება ცეცხლი“ და იღველდება. არც ერთი მათგანი „რო უნდა ისე არ ნაკვერცხლდება“. მეტი წილი ნაცარ-ფერფლად იქცევა და მათგან „უხვავრიელო“ და უღონო ნახშირი რჩება.


მოკრილი სანახშირე შეშა საკმაოდ უნდა შექვანეს, გაფიცდეს და ანის შემდეგ „დაიწვას“ ნახშირად. მოკრა-დამზადების დროდ „მიჩინილი“ იყო აგვისტოსა და სექტემბრის თვეები; როდესაც მცენარეს ზრდა დამთავრებული და მერქანიც გამაგრებული აქვს. ზოგიერთი თვე, კერძოდ, ივნისი და ივლისი ხის მასალისა და, საერთოდ, სანახშირე შეშის დამზადებისათვის „ცუდადაა დაცდილი“. ეს დრო „ნაკიანი“, „ნაკლოვანი“ და ნაძრახია. რაქის მწეღლობა, რომელიც თავის საქმიანობისას ტრადიციულ ცოდნა-გამოცდილებას ემყარებოდა, მკაცრად იცავდა ნაცად წესებს ნახშირის დაწვისას, რამდენადაც ემპირიული ცოდნა-გამოცდილება ერთგვარ საფუძველს აძლევდა მათ ამგვარი შეხედულებებისა და დასკვნებისათვის. მართლაც, მაისი, ივნისი და ივლისი უფარვისი დროა ხე-ტყის დასამზადებლად, თუ გავითვალისწინებთ ხალხურ დაკვირვებას, რომლის მიხედვითაც მცენარე ამ დროს „ქვანტი“:

3. მედლობა რაქაში

„ლოპიანი“, „ულონო“ და „ქიანია“, მოჭრილი ხე ადვილად იფიტება, მალე ფუტუროვდება და უდროოდ ლპება. დოვლათი და ბარაქა არა აქვს არც მასალად და არც ნახშირად.

სათიქრებელია ჩვენ აქ საქმე გვექონდეს უფრო ძველ და შორეულ ამბებთან, მცენარის გაკაფვის აკრძალვასთან წლის გარკვეულ დროში. მეორე მხრით: ზემოთ დასახელებული მიზეზებიც საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს, რამდენადაც ამ პერიოდში მცენარე ფაქტიურად განიცდის ღრმა ფიზიოლოგიურ-ბოტანიკურ ცვლილებებს და დაუდგვარ მდგომარეობაში იმყოფება.

ხის ჯიშებიდან „სანახშირედ“ ცნობილია: ნაძვი, სოქი, წაბლი, მუხა, იფნა, რცხილა. წიფელი, თხილი, დეკამურყანი და სხვ. მათგან: მუხას, წიფელისა და რცხილასი მავარი ნახშირი გამოდის; წაბლის, ნაძვისა და იფნის — „ზომიერი“; თხილის, დეკა და მურყანის — „რბილი“.



სურ. 13. ხორზნარწეხი, ს. წედისი

ჩამოთვლილი ხის ჯიშებით, როგორც ცნობილია, რაქცს ფლორა საკმაოდ მდიდარია, თუმცა ზოგიერთი მათგანი — წაბლი, იფნი, მუხა და სხვ. ამ ნიადაგზე უხომოდ იქნა გაკაფული და გადაშენების გზას დაადგა.

ტყის გაჩვენას რაქაში ხელი შეუწყო დასამუშავებელი მიწების სიციწროვემ და ამ ნიადაგზე საყანე და საველე (სათიბი) ადგილების — „ახოს“. „ახალპირის“ აღებამ, რის შედეგადაც ძლიერ განადგურდა ყოველგვარი ტყე. ამ გარემოებას თან ერთვის ერთი მაგენ ჩვეულება, რომელიც რაქის ეთნოგრაფიულმა სინამდვილემ უკანასკნელ დრომდე შემოინახა. მხედველობაში გვაქვს ყოველად მიუღებელი და ბარბაროსული წესი ე. წ. „ხის შეყვერა“ გახმობის მიზნით. ახალი, თავისუფალი სახნაე-სათიბი ადგილების მისაღებად დაყვებოდნენ ხეებს და კაცის სიმაღლეზე ქერქს შემოაცლიდნენ გარშემო, რასაც ხის „დაყვერა“ ეწოდებოდა. ხის გახმობის ამგვარი წესი საქართველოს სხვა კუთხეებშიაც არის ცნობილი, გურიაში მას „შემოკოდვა“ ეწოდება¹, სამეგრელოში — „გოკაქუა“².

„შემოყვერული“ ხე სათავე-დამშრალ ხესავით ნელ-ნელა ხმებოდა და ბოლოს ზეზეულად ლპებოდა. ეს პროცესი ხშირად რამდენიმე წელს გრძელდებოდა. ამ წესით გამხმარი ხე ისე ზიანდებოდა, რომ არც მასალად და არც სანახშირე შეშად აღარ ვარგოდა.

¹ ბ. თევზაძე, გურიაში მივლინების ანგარიში (იხ. საქ. სახ. მუხ. ეთნოგრაფიის განყოფილების არქივი).

² საქ. მუზეუმი, ეთნოგრაფიის განყ. არქივი.

ტყის მოვლა-მოშენება და მისი რაციონალური გამოყენება მხოლოდ შეენს პირობებში შეიქნა შესაძლებელი.

ამგვარად, რკინის დამუშავება, რომელსაც საწვავის დიდი რაოდენობა ესჭირებოდა ხის ნახშირისათვის, აუარებელ ხე-ტყეს ნთქავდა.

ყველასათვის კარგად ცნობილი ამბავი—ხშირი „მეწყურების“ და წვავების ჩამოსვლის ფაქტები რაჭაში, უმთავრესად საუკუნეებით შექანილი „უხუანი“ და „აყრილი“ ტყეების გაკაფვის შედეგია.

ამ ნიადაგზე გადაშენდა ტყეები¹ და გაჩნდა მრავალი „ხოლი“ (ხევი). ბევრი ყანა და მაძული, ხშირად სოფელიც, ჩაუტანია ამგვარ ხეებს და შეურთავს იგი რიონისათვის. „მეწყერი“ ხალხურ წყევავშიაც მკვეთრად ასახულა: „წინ წყალი, უკან მეწყერი, შუაში შენი თავი“-ო.



სურ. 14. კამარწუხი, საქ. მუხ. კოლ., № 63—39'19

ილიკო ხიდაშელი (სოფ. ხიდაში) მეწყურის შესახებ შემდეგს მოგვითხრობს: „მანსოვს მიწა მოუღალავი იყო. ნიაღვრობა არ იცოდა, მაღალი და „ქერები“ ტყეებით იყო აქაურობა დაბურული. მერე და მერე ტყეები გაჩეხეს და სულ წავეილო მეწყურა“. ეს სამწუხარო ფაქტები აღნიშნული აქვს თავის მოგზაურობაში რადესაც, რომელიც ნიუთითებს გაკაფვის შედეგად გადაშენებულ და ჩირგვებად ქცეულ ტყეებზე².

ამგვარად, ნახშირის „დაწვას“, მიუხედავად მისი აუცილებელი საქიროებისა, სარგებლობასთან ერთად დიდი ზარალი მოჰქონდა.

როგორც ზემოთაც ითქვა, რკინის წარმოებას ნახშირი დიდი რაოდენობით სჭირდებოდა. ამიტომ მოზიარეთაგან რამდენიმე კაცი (4—8-მდე) მიდიოდა ტყეში, წინასწარ ამზადებდა სანახშირე შეშას—ხეებს მოჭრიდნენ, გასხებდნენ, თანახომიერად დაპორავდნენ, ზომაზე „დაწვიგნავდნენ“, თავს მოუყრიდნენ, „ხორად“ დადგამდნენ და აცილიდნენ „შექნობას“. რამდენიმე ხნის შემდეგ კვლავ მიდიოდნენ და მცოდნენ: „ნახშირის მოხელე“ მიჰყავდათ თან. შეარჩევდნენ „სანახშირე“-ს გასაკეთებლად სათანადო ადგილს; გათხრიდნენ ამისათვის ორმოს და შეუღლებოდნენ სანახშირეს გამართვას. ამა-სობაში, მუშათა ერთ ნაწილს ახლომახლო დამარავებული შეშა სანახშირესთან მოჰქონდა და ერთგან ალაგებდა. შემქნარი შეშა უკვე აღარ იყო მძიმე

¹ დრ. ენჯელსი მიუთითებს, რომ აღამიანებმა, რომელთაც მესობოტომიასა, მცირე ახიასა და სხვაგან გაკაფეს ტყეები, საფუძველი დაუდვეს ამ ქვეყნის ახლანდელ გავერანებას (Ф. Энгельс, Диалектика природы, პარტ. გამოკ., М. 1932, გვ. 57).

² Г. Радде, დასახ. ნაშრ., გვ. 185.

და ადვილად შეიძლება და მისი ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადატანა, სადაც განზრახული იყო სანახშირეს გაკეთება. გადაზიდვას აწარმოებდნენ ზურგით ან „ხარმარხილით“. მოზიდულ შემას ორ წყებად „დაციხავდნენ“ იქვე სანახშირესთან. შემდეგ, მოხელე მიწას გათხრიდა, კუთხოვანი ან მრგვალი ორმოს სახით, რომლის მოცულობა დაახლოებით 6—8 კუბ. მეტრს უდრიდა (განი—1,5, სიგრძე—2,5, სიმაღლე—2 მეტრი). ამის შემდეგ ორმოს კედლებს ქვით ამოუშენებდნენ, იშვიათად ამოუშენებლად ტოვებდნენ. კარს და ორსარკმელს—„სასულეს“ დააყოლებდნენ. „სასულე“ მოპირდაპირე მხარეზე, ქარების მიმართულებით, უკეთდებოდა. „სასულე“ ეწოდებოდა ჰაერის „სულსაქცეე“ სარკმელს, ასევე იმ საკვამლესაც, რომელიც სანახშირეს შეკრული თაღის შუაგულში უკეთდება.



სურ. 15. „ტუჩიანი მარწუხი“, კ. ონი (რაქა)

გარეგანი მოყვანილობის მიხედვით აქ წარმოდგენილი იყო სანახშირეს ორი სახე: „კუთხოვანი“ და მრგვალი. აგების მიხედვით—ამოშენებული და ამოუშენებელი. დაწვის წესის მიხედვით—,თავლია“ და „თავშეკრული“. ამგვარად, რაქაში სანახშირეს ორი ტიპი გვხვდება. ერთში ნახშირი დახურულად იწვის, ხოლო მეორეში—თავლიად. ერთიც და მეორეც შეპირობებულია ბუნებრივ გარემოსა და ეკონომიურ შესაძლებლობასთან.

როდესაც სანახშირეს მოწყობას მოათავებდნენ (იგულისხმება თავშეკრული), შეუდგებოდნენ მასში ცეცხლის ჩანთებას და ნახშირის „დაწვას“. ცეცხლს ფიჩხით გააჩაღებდნენ. როდესაც ცეცხლი გაძლიერდებოდა, თანდათან მიაწვდიდნენ შემას კარებიდან. წვა ისე უნდა წარმართულიყო, რომ შეშა დასაკეერცხლებულიყო გაძლიერებულ ცეცხლში. ახალ-ახალი შემის შერთვა და მით ცეცხლის შენელება, ნორმალური წვის წასამართავად, საგანგებო ცოდნასა და გამოცდილებას მოითხოვდა. საუბრადღებოა, რომ ამ საქმეს ნახშირის მოხელე „სასულეების“ საშუალებით აწესრიგებდა. სამივე—,„სასულე“ და კარები იღებოდა და იხურებოდა იქის მიხედვით, თუ რომელს მიიჩნევდნენ საჭიროდ. „მოხელე“ კაცი ამინდის მოძრაობით ატყობდა, საით დაკრავდა ნაავი, ამის მიხედვით, ხან ერთ სასულეს ალბდა, ხან—მეორეს. „ცეცხლს მოძრაობა არ უნდა გაქრობოდა“. არც ძლიერი ცეცხლი შეიძლებოდა, ვინაიდან ამ შემთხვევაში ან სულ „დაშტებოდა“ ცეცხლი, ან მასში მთლიანად ჩაიფერფლებოდა შეშა და ნახშირის ნაცვლად ნაცარი დარჩებოდა.

ამგვარად, ნახშირის მოხელე, ჰაერის საშუალებით, გარედან აწესრიგებდა წვის სელას. ცეცხლის ალზე დაკვირვებით ატყობდა—როგორ მიმდინარეობდა ნახშირის წვა და როდის შეიძლებოდა მისი დამთავრებულად ჩათვლა. ჩვეულებრივად, ამ პროცესს ერთი დღე-ღამე სჭირდება. ამის შემდეგ გა-

ჩაღებულ ცეცხლს საკვამლედან სველ „რეშს“ (ნახშირის ნაცერს) და მიწას წააყრიან. ყველა სასოლეს მკიდროდ დაახშობენ, კარებიდან ერთ დოქ წყალს შეასხამენ და ამის შემდეგ კარებსაც დახურავენ. ამ სახით ჩაახშობენ ცეცხლს სანახშირეში და რამდენიმე დღე აცლიან გაცივებას. ცეცხლის ამ წესით ჩაქრობას „სულის მოგუბვით მოშრეტა“, ანუ „მობრჩობა“ ეწოდება. დამწვარი ნახშირი 3—4 დღე იქვე რჩებოდა გასაგრძელებლად. შემდეგ ამოიღებდნენ.

ღია ორმოში ნახშირის „დაწვა“ შედარებით ადვილია, სამაგიეროდ აქ უგულვებელყოფილია როგორც შეშის, ისე ნახშირის ეკონომია და ამ უკანასკნელის ხარისხიც. ამ შენთხვევაში ორმოს თავზე ადგრა ორი კაცი და რიგრიგობით „ურიგებენ“ ცეცხლზე შეშას. ღია ორმოში ნახშირის დაწვა ბევრ შეშას მოითხოვს, მას შედარებით სიმარტივე და უბრალოება ახასიათებს.



სურ. 16. „კორი“, ს. წესი, რაქა

რაქის მკედლების დასახელებით არსებობს აგრეთვე ნახშირის დაწვის შესამე წესი, რომელსაც „რუსული“¹ ეწოდება და რომელსაც აქ არავენ ასრულებდა. ამ უკანასკნელს ვ. კაკაბაძე კოცონურ წესს ეძახის². „—რუსებმა იციან ნახშირის სხვაგვარათ დაწვა. ჯერ შეშას დასაყენავენ (დაციხავენ ნ. რ.), მერე ადგებიან და გარედან გვიმრას აატოლებენ—გურგული, მარტვა სასულესა და საკვამლეს დაუტოვებენ. გარედან ტალახით შელესავენ, ისე, რომ სული არსაით გაუფა. მიცემენ ცეცხლს და დაწვამენ ნახშირს. აზნაირად ნახშირის დაწვა ჩვენში წესად არ არის. ჩვენ ვიცით ქართული ორმო, აქაურათ, გაეჭრით ორმოს კუთხედათ, ან რგულათ, კაა ლამაზათ. იმის მეტი რა ვიცით ჩემო ბატონო!“ (ა. შაუთიძე, ს. სადმელი).

როგორც მოტანილი აღწერიდანაც ჩანს, ამ ორი ტიპის სანახშირეს შორის არსებითი განსხვავებაა: პირველი ტიპის „სანახშირე“ მიწის სიღრმეში კეთდება, ამოშენებული იქნება იგი თუ ამოუშენებელი, მეორე ტიპის სანახშირე კი მიწაზე ეწყობა. ამასთანავე, პირველი სახით ნახშირის დაწვისას სანახშირე შეშას ცეცხლი ერთბაშად კი არ ედება, ნელ-ნელა ეკიდება და „ზომიერად“ იწვის „მისაგუნებად ნაკვერცხლდება“. მეორე წესით ნახშირის დაწვის დროს, იმის გამო, რომ ჰაერი ადვილად სწვდება სანახშირეში დაციხულ და ცეცხლმოდებულ შეშას, წვა ერთბაშად და სწრაფად მიმდინარეობს, ამიტომ ნახშირი შედარებით ადვილად იფერფლება და

¹ უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად უცხოთა და მათთვის უჩვეულოს „სხვაგნითურს“, „რუსულს“ უწოდებდნენ ხოლმე.

² ვ. კაკაბაძე, შინამრეწველობა საქართველოში, ტფ. 1926 გვ. 259.

იფშენება. გარდა ამისა, პირველ შემთხვევაში მთავარი ყურადღება ექცევა ჰაერის რეგულაციას, რასაც „სასულეების“ საშუალებით აღწევენ. მეორე შემთხვევაში, ნახშირის დაწვისას „სასულეთა“ საშუალებით ჰაერის ღინება, ასევე წვის რეჟიმისა და დანაკვერცხლებისათვის თვალყურის დევნება მოუწესრიგებელი ხდება. მუშახელისა და სიადილის მიხედვით შეიძლება ეს უკანასკნელი უფრო მიზანშეწონილი იყო.



სურ. 17. რკინის საკვეთი „თეჯი“, ს. ქვედი, რაჭა

როგორც ითქვა, ნახშირის დაწვას ერთი დღე-ღამე სჭირდებოდა. როდესაც დაწვა დასრულდებოდა, ცეცხლის ჩაქრობას შეუდგებოდნენ, რასაც აქ „მოშრეტა“ ეწოდებოდა. მოშრეტა თავის მხრით გარკვეულ წესებს ემორჩილებოდა. თუ სანახშირეში ცეცხლი სწრაფად და ერთდროულად არ იქნებოდა ჩამქრალი, „ნახშირს გულში ცეცხლი გაუგდებოდა და ერთიანად ჩაიფერფლებოდა“. ასევე, თუ ყველა „სასულე“ და კარები საფუძვლიანად არ „დაიქმანოდა“, სველი მიწით შიგნით ჰაერი შეიპარებოდა, ცეცხლს გააღვივებდა და „ჩაღველფავდა მთლიანათ“. ეს მდგომარეობა ცეცხლის ჩაქრობისას უთუოდ უნდა გაეთვალისწინებიათ.


არსებობდა სანახშირეში ცეცხლის ჩაქრობის რამდენიმე მარტივი წესი: „წყლის დასხმა ზეიდან“, ან ქვევიდან, ნედლი შეშის წაფარება, სველი თივის ან ჩალის წაბურვა, „რეშის“ (ნაფშენი ნახშირის) მიცხავება და სხვ. ყველა ეს წესი ერთ ძირითად პრინციპს ემყარება: გახურებულ სანახშირეში წყლის მოქმედება, იქნება იგი პირდაპირ წყლის დასხმით თუ ნედლი მკენარის გამონაქონი წყლის საშუალებით, იწვევს ძლიერ „შრიოლს“ (აორთქლებს), რის შედეგად წარმოიქმნება ძლიერი ნახშირუნგა, რომელიც ეხვევა ცეცხლს და აქრობს მას.

თითოეული წესის გამოყენებას თავისი დრო და ადგილი ჰქონდა. დახურულ ორმოსათვის საშრეტ საშუალებად წყლის გარდა სხვა რამეს გამოყენება (ნედლი შეშა, ბალახი და სხვ.) ტექნიკურად შეუძლებელი იყო. ამგვარი რამ მხოლოდ ღია ორმოში შეიძლებოდა. ამ შემთხვევაში დანაკვერცხლებულ ცეცხლზე ზედა ფენად ნედლ შეშას, ან ბალახს წააწყობდნენ და ზედაც მიწას წააყრიდნენ. „სულის საქცევს დაუხშობდენ, რათა ნედლ შეშას წყალი გასვლოდა, დაპკურებოდა ნაკვერცხლებს და მის ოხშივარს“ დაეჭრო ცეცხლი. ამ წესით ცეცხლის ჩაქრობას „მოგულდა“, „სულმოუთქმელობა“ ეწოდება. მოშრეტას გაგრილება მოყვებოდა, რომელიც რამდენიმე ხანს გრძელდებოდა. ამ ხნის განმავლობაში სანახშირის ყველა „სასულე“ მქიდროდ იყო დახშული, უმისობა არ იქნებოდა. თუ სული გამოუვიდოდა ან შიგნით ჰაერი შეიპარებოდა, მთელი ნახშირი ფერფლად იქცეოდა. სანახშირის ამ წესით დახურვას და თავის მოგოზვას „მიგულეება“¹, „შემონახვა“ ეწოდება. გაცივების შემდეგ ნახ-

¹ „მიგულეება“, ანუ „შემონახვა“ იხმარება აგრეთვე კერაში ცეცხლის შემონახვისა და კალხზე პურის ხევის „მიხვევის“ აღსანიშნავად.

შირის ამოკრეფას შეუდგებოდნენ: პირველად გადააცლიდნენ თავმიწას და „ლახრს“. გადაწმენდნენ თავს და იწყებდნენ ნახშირის ამოღებას. პირველად იღებდნენ ზედა ფენას, შემდეგ მის ქვედას და ა. შ. სულ ქვედა ფენა, რომელიც ჯერ კიდევ მხურვალე იყო, მოითხოვდა გაგრილებას.

როდესაც ნახშირის მთლიანად ამოკრეფდნენ, შეუდგებოდნენ მის გაცხავენას დიდი ცხავის საშუალებით. ეს უქანასკნელი ცხრილსა ჰგავს, მხოლოდ მასზე დიდი და ფართო „თელიანია“. საგანგებოდ გაცხავებული ნახშირი ბოლოს ხარისხდებოდა. ის, რაც ცხავში გადიოდა—განაცერს, „რეშს“ წარმოადგენდა; ის, რაც ცხავში რჩებოდა—ანაცერს, „ხოროში“ ნახშირის შეადგენდა. ნახშირის ამ სახით განრიგებას „გაკაზმვა“ ეწოდებოდა, რაც არსებითად დახარისხებას უდრიდა. ამ სახით გაკაზმული ნახშირი მიჰქონდათ და სხვადასხვა დანიშნულებით იყენებდნენ.




სურ. 18. რკინის საკვეთი. ს. კრებალო, რაქა

ამონაყოლი „ლახრისა“ (სიბინძურე, ჩხირები და სხვ.) და კენჭებისაგან, ნახშირის გაწმენდას დიდი ყურადღება ექცეოდა. საერთოდ, ნახშირი სუფთად, „ულახროდ“ უნდა დაიწვას და აიკაზმოს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი უვარჯისი და საზარალო გამოდის. ამგვარი ნახშირი ცუდ გავლენას ახდენს რკინის ხარისხზე. რაქის მკედლები ამ გარემოებას დღესაც დიდ ყურადღებას აქცევენ და ცდილობენ საღი ნახშირის მიღებას. უნდა აღინიშნოს, რომ ნახშირის გაცხავება ერთობ დიდ ჯაფას ითხოვდა, მაგრამ უმისობა არ იქნებოდა.

ნახშირის ხარისხი შეპირობებული იყო ორმოში მისი მდებარეობით. რაქის მკედლების ამ საგულისხმო დაკვირვების მიხედვით: „თავინახშირი“, „გულინახშირი“ და „ძირინახშირი“ სხვადასხვა თვისებისაა. საღი რკინის მისაღებად მკედლების ერთი წყება რომ ერთს ამჯობინებდა, მეორე წყება — მეორეს. ცხადია, თითოეული მათგანი საკუთარი გამოცდილებით ხელმძღვანელობდა. ჩვენთვის ამ ფაქტს ის მნიშვნელობა აქვს, რომ იგი ხაზს უსვამს ნახშირის დიდ მნიშვნელობას. საერთოდ, რკინის დამუშავების

საქმეში ნახშირის როლი რაქველ მქედლებს კარგად ჰქონდათ შეგნებული¹. დახარისხებული და გაწმენდილი ნახშირი გადაჰქონდათ სხვადასხვა საშუალებით: ზურგით, „ცხენკიდებულთ“, „ხეირით“, („ჯინით“), მარხილით, „გოგორა“ ურმით და სხვ. საზიდავ კურკლად იხმარებოდა: ტომარა, კალათი, გიღელი, გოდორი, „ბოყვი“ (ხის ქერქის კალათი).



სურ. 18 ა. „რკინის საკრული“

ნახშირის დასამარაგებლად იყენებდნენ დამხმარე ნაგებობებსა და სამკედლო ქოხებს. ამჟამადაც, რაქველი მქედლები თავისი წინაპრების საუკეთესო გამოცდილებას ჩვენი დროის მიღწევებით აგვირგვინებენ.


ნახშირის „დაწვას“ და მის დამზადებას სჭირდებოდა სამუშაო და ხელსაწყო იარაღი. სანახშირე შეშის მოკრა-დამორვა-დაპობისათვის საჭირო იყო: ცული, ხერხი, ურო, შიმშა (საზომი); მიწის გასაქრელად—ბარი, თოხი, წერაქვი, ნიჩაბი, რკინის კეტი („ლომი“) და სხვ.; ნახშირის გასაწმენდად — ცხავი, ცხრილი.

ნახშირის „დაწვა“ მოითხოვდა მკოდნე პირებს. ამ საქმეს გამოცდილი „ნახშირის მოხელე“ უძღვებოდა.

¹ ნახშირმა თქვა: — მეც მაქებენ, მეცა ვარ საქებელია; კარგი რკინა ჩემგან მოდის სახნისი, საკვეთელია“ (ხალხური).

4. მადნის მოპოვება, „ძვაწითელა“ საბადო, უინაზანი აღწერილობა. საბადოში მუშაობის წესები, მადნის გადასაწილი საშუალებანი, სამუშაო და ხელხაფო იარაღი

როგორც ზემოთაც ითქვა, წედისის საბადოები მდებარეობდა ჯეჯორის ხეობაში, სოფ. წედისის ჩრდ.-აღმოსავლეთით, „ქვაწითელას“ მთებში. „ქვაწითელა“ ფრიად ლამაზი, მაღალი, ვიწრო და შუა ტანამდე ტყით შემოსილი ქედია. სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით იგი ორად განშტოვდება. ერთი ფეხი რომ სოფ. წედისამდე აქვს გაწვდილი, მეორე სოფ. ქვედამდე აღწევს. მათ შორის მდებარე ლელეში გაშენებულია პატარა სოფელი სხალნარი. ჩრდ.-აღმოსავლეთით „ქვაწითელა“-ს ქედი თანდათან მაღლდება და თავისი უკიდურესი ჩრდილო ტოტებით ერთვის „ველუანთას“ გორაკებსა და კუღაროს გადასავალს. ქვაწითელას ზედა ნაწილი „შიშველს“ წარმოადგენს, ხოლო მისი სამხრეთის კალთები საკანე და სათიბი ადგილებისაგან შედგება.




სურ. 19. „ზეშა“, ისარი (სახერეტი). ს. სადმელი, რაქა

იქ, სადაც „ველუანთას“ სახნავ-სათესი და სათიბი ადგილები მიწყდება, „ქვაწითელა“ ფრიადო კლდედ აღიმაართება, რომელსაც ამშვენებს ორი მწვერვალი: „ქომის წვერი“ და „ლამაზი კლდე“. აქვე „ქომის“ კლდის ძირში არის კარიბჭე „ქვაწითელას“ გვირაბისა, რომლითაც შედიოდნენ „რკინის კაცები“ საბადოში. ქომის მწვერვალი ამ კარიბჭის „თავანია“. მისაეალთან საბადო მცირედ დაეკდება. ამ ადგილს „აივანა“ (აივანი) ეწოდება. იგი განკუთვნილი იყო საბადოს მიმავალ-მომავალ „რკინის კაცების“ დასასვენებლად. „ქვაწითელას“ ეს მხარე მთლიანად მზიურია, მკვეთრად და დაქანებული და მისასვლელად ვიწრო განის გზები მიუყვება. ის მაღლიდან დაპყურებს მთელ ჯეჯორის ღრმად გასერილ ხეობას, რომლის ორივე ნაპირზე მრავალი სოფელია გაშენებული.

გვირაბში მიმავალი გზა ერთობ ვიწრო გასავლით იწყება. იგი უფრო ნაპრალსა ჰგავს, ვიდრე გზასავალს. შიგნით „სავალი“ გზა საკმაოდ დაღმართია და მკვეთრად „დაკირწული“. ზოგიერთ ადგილას გვირაბი განიერია და საგრძნობლად ვრცელი. ამგვარი ადგილებია: მისასვლელიდან 10 მეტრის დაშორებით — „სალოკაია“, 50—60 მ დაშორებით — „დიდი დეფანა“, 150 მ დაშორებით — „პატარა დეფანა“ და სხვ. შიგნით, უფრო ღრმად არის კიდევ მრავალი სხვადასხვა სივრცის ქვაბული, რომელთა შესახებ საინტერესო მოსაზრებებს

აყენებს მინერალოგი ვოსკობოინიკოვი¹. მისი შეხედულებით ისინი წარმოადგენენ რკინის მადნის ნაბუღარს, დამუშავების შედეგად დაცლილ მადნის ბულობებს.

„სალოცავი“, როგორც ითქვა, წარმოადგენს ერთგვარ დავაყებას. მის მარჯვენა კედელში მცირე „კვებოა“ გამოკვეთილი თაროსებურად. ეს ადგილი განკუთვნილი იყო „ქვაწითლის“ წმ. მარიამ ანგელოზისადმი ლოცვა-ვედრების აღსავლენად და სხვადასხვა რიტუალის შესასრულებლად. აქ მიჰქონდათ „სანთელ-განატეხი“ „რკინის კაცებს“, რათა გვირაბში შესვლის წინ ელოცათ ხოლმე. სანთელს ამ კვებოზე მიაკრავდნენ, განატეხსაც აქვე გასტეხდნენ, ლპერთს და „მარიამ ანგელოზს“ მშვიდობით და გამარჯვებით გამობრუნებას შეევედრებოდნენ და თავის გზას განაგრძობდნენ გვირაბში.




სურ. 20. „ხოშარი“, ს. რიყეული, რაჭა

„სალოცავი“-დან სავალი კვლავ ვიწრო და ღარივითაა დაქანებული. გზას ხშირი ნავალი და „ნაფორთხი“ ეტყობა. 50 მეტრის დაშორებით იწყება ღრმა და განიერი ქვაბული, რომლის ზედა მხარე თალივითაა გადაყვანილი. მისი მოცულობა საშუალოდ 500 კუბ. მ შეადგენს. ძირს უხვად ყრია წვერილი ხრეში და „ლინგიანი“ (წვერიანი) ქვები. ზოგიერთ ადგილას კედელთ ჩამონანგრევთაგან „ციხეები“ გაჩენილი. მაღლიდან აქა-იქ წვეთაეს ნაჟური წყალი. თავისი გამართულობით ეს ქვაბული დიდ დერეფანს გაგონებთ. ამ ნიადაგზე მისთვის სახელად „დეფანა“ (დერეფანი) დაუარქმევიათ. ვინაიდან მეორე, ასეთივე დერეფანი, მხოლოდ უფრო მცირე ზომისა, სხვაც იყო გვირაბში, პირველს „დიდი დეფანა“ ეწოდებოდა, უკანასკნელს კი „პატარა დეფანა“. შემდგომი სავალი დიდი „დეფანიდან“ მკვეთრად იცვლებოდა. „დეფანის“ ერთ კუთხეში არის პირგანიერი, ძირს ჩასასვლელი ერდო. ძველად ამ ერდოში ჩადგმული ყოფილა 18 საფეხურიანი ხის დიდი კიბე, რომელიც აერთებდა ზედა და ქვედა გვირაბის ყელს. შემდგომი ეს კიბე ჩანგრეულა და ახლა მხოლოდ „მხარ-თოკით“-ლა შეიძლება იქ ჩასვლა-ამოსვლა. გვირაბის ეს ყელი სიმაღლით 10 მეტრს აღწევს. როგორც გამოცდილი და

¹ Воскобойников, дасახ. ნაშრ., გვ. 54; შტრ. Симонович, Геологические наблюдения в бассейне верхн. течения р. Риона, Материалы для геологии Кавказа. 1880, в. II, გვ. 57, 58, 59, 60.


გვირაბში ნამუშევარი პირების ჩვენებიდან ირკვევა, ამის იქით საველი უმჯობესდება და უმთავრესად განის გზებს წარმოადგენს. წინ მაინც მრავალი ვიწრო, ოღრო-ჩოღრო, ორმოში ჩასავარდნი და მიკიბულ-მოკიბული ადგილია. ამგვარი გზა გრძელდება დაახლოებით 150 მ მანძილზე, რომლის შემდგომ მიადგება ზემოხსენებულ პატარა „ღეფანას“. ეს უქანასკნელი ისეთივე ქვაბულია, როგორც ზემოთ აღწერილი ღიდი „ღეფანა“. ამას იქით, წინ საველი გზა მრავალმხრით განშტოვდება და სხვადასხვა მიმართულებით მიდის. ის პირნი, რომელთაც თავად უვლიათ აქ და ამ გვირაბის ასავალ-დასავალი კარგად იციან, ძალიან ღრმა და საშიში ხეულების სახით გვიხატავენ გვირაბის შინაგან ხერხებს, რომელნიც დაუბოლოებლად მიიკლანებიან მიწის სიღრმეში. ზოგიერთი ისეთი ვიწრო და ძნელი გასავალია, რომ არამცთუ გამართული სიარული, დაუწოლელად ფორთხვაცკი არ შეიძლება. დაბლა ყველგან ბლოზად ყრია წერილი ნამსხვრევი ქვა, რომელიც ფეხქვეშ გორავს, და კაცი



სურ. 21. ქვის სამტერევი ურო

ფეხს ვერ იკიდებს ამის გამო. დაბლა რომ ამგვარი სასიარულოა, მაღლა კლდეებია „ჩამოჩონჩხილი და თეთრად შეფოშილი“, რომლის ქიმებს ძუძუებით ჰკილია აღმასივით მოციმციმე მადანი. ნაპრალეებიდან განუწყვეტლად ჩამოდის „ნალოები“ (ნაქური წყალი). „ნალოები“, იკრიბებიან რა, ჰქმნიან წერილ-წერილად მოწანწკარე ნაკადებს, შეერთებული ნაკადები ჩუხჩუხით ჩარბიან ქვემოთკენ, ერთუროს ერთიან და გაქანებული ჩაჩქრილებენ საღლაც შორს, საიდანაც მოისმის მხოლოდ ნაკადულთა ყრუ „ხუელი“. გვირაბის კედლები „დახანულია“. მასში „მოირმიცოდ“ მიუყვებიან კლდეთა შრეები. კაცს ეგონება, თითქოს საგანგებოდ დაუწყვია ვისმე ერთი-ერთმანეთზე თხელი ქვის „კეცები“-ო. კეცებს შუა მოქცეულ ხანებს „ტალები“ ეწოდება. „ტალები“ ანუ „ნაკვალეები“ სხვადასხვა სიგრძე-სიგანის ძარღვებადაა გაწვდილი. ამ ტალების „უბეში“ ჩართული იყო „ბუნდნაღ“ რკინის მადანი. ზოგიერთი ბუნდნაღი, ზოგიერთი კი ისე ღილია, რომ მის „ნაბუნდარში“ სახლი ჩაიდგმის

ქვეწითელას საბადოში ლითონის ამგვარ განლაგებას ადასტურებს ნ. ვოსკო-
ბოინიკოვისა¹ და გეოლოგ სიმონოვიჩის² ცნობები. პირველი, როგორც თავის
ადგილსაც ითქვა, დიდ და პატარა „დეფანათა“ სფერულ მოყვანილობას სწო-
რედ ლითონის ამგვარ „ნაბუღრად“ მიიჩნევს. ასეთი მადნით მდიდარი ბუდობი
ნატურის საგანი იყო. „ვის რომელი შეემთხვეოდა, მისი ბედი ის იყო. თუ კარგ,
მსუქან ძარღვს მივაგნებდით, კაა ფეხზე ვართ გამოსრული თქვა, ვიტყოდით.



სურ. 22. ჩეკი, ორწვერი

ქვეც კაა ვიმუშაებდით და ბარაქიანათაც ავამზადებდით ლითონს. თუ არა-
და დაეფორთხავდით ჩვენ საწყლები და სანამ რამეს არ მივაგნებდით ფეხს
ქვე რაეა მოვიცვლიდით. ერთობ დიდი სარჯელი იყო იქ შესვლა და ლითონის
პოვნა, მარა დაწყვიდან ჩვენ მამა-პაპათ ასე სცოდნოდით და ქვე რას ვიზამ-
დით, ის იყო ჩვენი ხელობა, ლუქმა პურს იმითი ვშოულობდით. სანამ პირ-

¹ Воскобойников, დასახ. ნაშრ., გვ. 54.

² Симонович, დასახ. ნაშრ., გვ. 58.

ში სული გვედგა, ასე ვწარმოობდით. ხალხიც მძლავრი ესხა და ჯაფაც მეტი შეეძლოთ, სულ დასხეილი ვაეყაცები იყენენ, ერთმანეთზე უმჯობესი. ქვაწითელანზე უმალ კიდე სხვა იყო—„ხეხმელა“, იქიდან თურმე ჩამოქონდათ ჩვენ ძველებს ლითონი“ (ტონია ბასიანის-ძე მაისურაძე, ს. ქვედი).

დაახლოებით ამგვარ სურათს წარმოადგენს ამჟამაჲ დაუქმებული, უწინდელი სარკინეთის განთქმული საბადო—„ქვაწითელა“.

ნიადაგის აგებულებისა და ხშირი ჩამონგრევების ფაქტების საფუძველზე გადაქრით შეიძლება ითქვას, რომ ქვაწითელას რკინის საბადოს და მასში შესასვლელ გვირაბს, თავისი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე, მრავალი ცვლილება უნდა განეცადა და ამ ნიადაგზე თავისი პირვანდელი სახე თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც უნდა დაეკარგა. ცვლილებათა ეს პროცესი გარკვეულ ფორმებში ამჟამადაც გრძელდება. რადე, რომელმაც 1864 წელს იმოგზაურა რაკაში, დაათვალიერა წედისის სამქედლოები და რკინის საბადო და მცირე მანძილზე (ეფიქრობთ დიდ „დეფანამდე“) კი-



სურ. 23. „თეგი“, სატეხი, ს. კრებალო, რაკა


დევაც გაბედა შესვლა, ასახელებს საბადოში მიწის ახალი ჩამონგრევის ფაქტებს. „Я вошел в рудник. Ходы в нем чрезвычайно узки и часто очень низки... Около одной, недавно осыпавшейся, скалы мы остановились“¹.

ჩანს, რომ საბადოს შიგნით აღგილი ჰქონდა ჩამონგრევას და მიწის „მოძვრას“.

ამიტომ იყო „ქვაწითელას“ საბადოში შესვლა ძნელი, გამბედაობისა და საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების საკითხი. როცა „მოზიარები“ გვირაბში შედიოდნენ, მათ წინ უძღოდათ გამოცდილი და მცოდნე კაცი, თუ არა ნაცადი და ამ საქმით „დამაშვრალეული“ მოთავე, გამოუტყდელნი, ასიც რომ ყოფილიყო, მართო ვერ გაბედავდნენ შიგნით შესვლას. გვირაბი სრულებით გაუმავრებელი იყო, არავითარი წინასწარი ზომები მოსალოდნელი ჩამონგრევების თავიდან ასაცილებლად მიღებული არ ჰქონდათ. ამ გაუფრთხილებლობის შედეგად ხშირად აღგილი ჰქონდა უბედურ შემთხვევებს.

¹ Р а д е, დასახ. ნაშრ., გვ. 187.

ამ გარემოებას ნიშანდობლივად ასახავს ხალხში დარჩენილი ამბავი 9 ძმის შესახებ. ცხრა ძმა ყოფილა. „გოქიხუთშაბათს რომ ისადილეს ამ ძმებმა, თქვეს თურმე:—მოდი ბიჭებო, სადილს ნუ წავახდენთ, უშრომლად ნუ დავრჩებით დღესო. წავიდეთ „ხეხველაში“ (უმალ იქ იყო ლითონი) და თითო გიდელი „ლითონი“ ამოვიტანოთო. რომ ჩავიდნენ მაღაროში, ჩაენგრა ყე კლდე და 9-ვე მოამწყვდია. ერთგან თურმე დარჩა „სათვალგესავით“. იქიდან ამოიძახებდნენ თურმე საწყლები. ხალხმა რომ ეს გაიგო, მთელი სოფელი დაიძრა მოსახმარებლად, მარა ვერა დაუგვარეს-ყე რა იმ საწყლებს. ეს-ლა ქნეს, რომ ჩაუგეს-ყე ღარი და იმითი ჩაუგზავნიდენ პურს. თურმე ღარზე პური ნატეხებს დააწყობდენ, წყალს მიუსხამდენ და ისე ჩააცურებდნენ შიგნით, სანამ ზამთარში სიცივემ არ გაყინათ საწყლები“. ეს შორეული, ნახევრად ლეგენდარული ამბავი შემდგომი ხანის ფაქტებითაც დასტურდება. მოსწრებული და ხნიერი პირები გარკვეულად ასახელებენ ამგვარი შემთხვევების მაგალითებს¹. „სარკინეთის“ სოფლებში, რკინის წარმოების შესახებ დაკულ ცნობებთან ერთად, თანამომწრეთა პეხსიერებას ცხოვლად შემოუნახავს ნამდვილი ამბავი იმისა, რომ მადნის თხრის დროს ჩამოინგრა მიწა და ოთხი კაცი: გოგია კაიტაძე, შიო ნანოშვილი, გოგია და გლახუა მამუკასძე მოამწყვდია.—„თელი სოფელი მოგლჯა და წავიდა იმათ საშველად. გადარჩინეს ყველა. კაი გამბედლობა უნდოდა იქ შესვლას. ძნელი მისანდობია მიწა. შიგნით მყოფი მუდამ საბრთხესა და განსაცდელში იყო. სიკვდილს ქვეშ უდევით, მარა რა უყოთ. ხომ გაგიგონიათ:—შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, სწორება სასთუმალისა“².



სურ. 24. „ცალწვერი“.
ამბროლაური, რაჭა

„ქვაწითელას“ საზადოს ტექნიკური მოუწყობლობისა და უბედური შემთხვევების ასარიდებლად გვირაბის გამაგრების საჭიროებას ხაზს უსვამს გეოლოგი სიმონოვიჩი „Пробираться надо с большою осторожностью потому, что основание пещеры представляет чрезвычайные неровности, значительные расщелины, впадины и углубления, естественные или искусственные, в последнем случае—как результат выработок. Сходить в впадины и углубления, при дальнейшем шествии, приходится при помощи лестниц³. Отсутствие крепей и обусловленные этим обстоятельством частые обвалы нависшего известняка делает это странствование не совсем безопасным. ...Ходы в пещере чрезвычайно узки и низки; местами приходится пробираться ползком“³.

¹ Радде, დასახ. ნაშრ., გვ. 189.


² ნ. რეხვიაშვილი, მასალები მკვდლობის შესახებ, ხელნაწერი (საქ. სახ. მუხ. ეთნ. განყოფილება).

³ Симонович, დასახ. ნაშრ., გვ. 58.

დაახლოებით ასეთივე ხასიათისაა უფრო აღრინდელი ცნობებიც გენათელი მიტროპოლიტის ექვთიმესი¹.

— „Вход в рудник весьма узок, так что один человек едва может войти и по ужасной темноте, ибо свет в оный ни откуда проходить не может, ...почему нужно употребить несколько людей, чтобы расширили оный для свободного входа людей в большом количестве“.

ამრიგად, თუ გავითვალისწინებთ „სარკინეთის“ თავისებურ გეოლოგიურ პირობებს და მასთან ერთად რკინის დამუშავების მომსწრე პირების სიტყვიერ, მაგრამ უშუალო ცნობებს, ნათელი გახდება, რომ



სურ. 25. „კვებლო-დაკრილი კვერი“, (კვებლო, რაჰა)

ჰიპოთეზა ქვაწითელას გვერდით და მის უწინარესად რკინის სხვა საბადოების—„სხამერის“, „ხეხმელას“ არსებობის შესახებ სინამდვილესთან ახლო დგას და საფუძველს მოკლებული არ არის. უნდა დავუშვათ, რომ ქვაწითელაზე უფრო იდრე ამ საბადოების დაუქმება ზემოაღნიშნული მიზეზებით იყო გამოწვეული, შესაძლებელია მადნის გაპოლევითაც.

რკინის მადნის მოპოვება „ქვაწითელას“ საბადოში, როგორც ზემოთაც ითქვა, რთულ პროცესს წარმოადგენდა როგორც ტექნიკური, ისე ორგანიზაციის მხრით.

ერთ „დათქმულ“ დღეს მოზიარეები მიდიოდნენ ქვაწითელაში მადნის მოსაპოვებლად; წასვლის წინ უნდა მოზადებულ იყვნენ ყველა საქირო სამუშაო იარაღით, მადნის გადასაზიდი ჭურჭლით, ხელსაწყოთი და სურსათით. ერთი სიტყვით, ყველაფრით „მოწყობილი“ უნდა ყოფილიყვნენ, რათა ხელი არ შეშლოდათ შიგნით გვირაბში მუშაობის დროს. კვარსა და იარაღს გიდელში ჩაალაგებდნენ, საგზალს (საკმელ-სასმელს)—გულაში. წელზე დანა, საკვესაბედე და თოკი ეკიდათ. „მთავარს“ (გამძღოლს) ხელში მუჯირა ეკირა. ყველა ამას თითოეული თავის სახლში აკეთებდა. ამის შემდეგ, გადიოდნენ სოფლიდან თითო-თითოდ, ფეხაკრფით. სახლიდან მიდიოდნენ მზის გადახრისას. „ცუდად


¹ Записка генатского митрополита Евфимия в Министерство внутренних дел, Акты К. А. К., т. VI, часть I, § 830, гв. 597.

დამზნულ“ დღეებში, ან „ცინცხალ“ (ახალ) ორშაბათს და პარასკევს ლითონზე წასვლა აკრძალული იყო—„არვარგოდა“ (შდრ. „ვაშინერდ“, მეგრ.). აგრეთვე, ავი თვალისა და კუდი ფეხის კაცის წინ შეხედომას ძალიან ერიდებოდნენ.

სოფლის გარეთ „მოზიარეები“ ერთმანეთს მიეწეოდნენ და ერთად გაუდგებოდნენ გზას.

წასვლისას თავისიანებს დაუბარებდნენ დანიშნულ დროს მიეყვანათ მათთვის, „ლითონის“ გადმოსაზიდად, ხარმარხილი, ან ხარტურები თავისი „სალითენები“-თ. ღვლეკებითა და ქაპნებით გაწყობილი.

გვირაბში სამუშაოდ „მოწმენდილ დარს“, კარგ ამინდს არჩევენ. ავდარსა და წვიმიანში იშვიათად თუ წავიდოდნენ მდინის მოსაპოვებლად. გზაში, სოფელ გარეთაც ფეხაკრეფით და ჩუმად მიდიოდნენ. როდესაც ქვაწითელას მიუახლოვდებოდნენ, „უკვე ცას თვალი მოკერილი ჰქონდა“. პირველ მისავალ „აივანზე“ დასხდებოდნენ, ცოტა ხანს დაისვენებდნენ, შემდეგ „პირჯვარს




სურ. 26. ხერხის „კბილსაყარი“, ს. წესი, რაქა

გადისახავდნენ, შეევედრებოდნენ მარიამ ქვაწითლის ანგელოზს“, კიდევ ერთხელ მოსინჯავდნენ და დაიგულვებდნენ ყველა საქირო საგანს და წაუძღვებოდა „თავარი“ კაცი. პირველად მიადგებოდნენ „უახლოეს სადგურს—სალოცავას“. აქ შეასრულებდნენ მცირე რიტუალს: უფროსი კაცი მუხლმოდრეკით და სანთელ განატეხით ხელში „სალოცავის“ კვებოს წინ მარიამ ქვაწითლის წმ. ანგელოზისადმი ლოცვას აღავლენდა; შეევედრებდა მას მთელ კრებულს, მათ ცოლ-შვილს, „გაპირებულ საქმეს“. სთხოვდა დაფარვას, გამარჯვებას და მშვიდობით დაბრუნებას—„ლმერთო, დიდებულო! ღმერთო შენ შეგვეწე, წენ დაგვიფარე ყოველი ავი საქმისაგან, მარიამ ქვაწითლის ანგელოზო, შენ გვიშველე, დაგვიფარე, წმ. გიორგი გორისაო! შენ იყავ ჩვენი წემწე“. ამ სიტყვებით „განატეხს“ წალმა მოაბრუნებდა. სანთელს მოუკიდებდა (წმ. თაფლის სანთელი ერთი ღერი მიჰქონდათ შესაწირავად), იქვე კვებოში მიანთებდა:—წმ. ანგელოზო ქვაწითლისაო, როგორითაც რომ წმინდა გულით და სანთელ-განატეხით ჩვენ შენთან მოვდივართ, ისე წმინდათ, დაუმარცხებ-

ლათ და გულმზიარულათ შენ დაგვებრუნე, შენი დიდებისა და სახელის ქირიჲე! ამ დროს ყველა მათგანი უხმო ლოცვას აღაღლენდა თავისი „მფარველი ანგელოზისადმი“ და გულით ევედრებოდა მას მშვიდობით დაბრუნებას. აანთებდნენ მკვარს. „მთავარი“ გაუძღვებოდა, შუაში მემკვრეს ჩააყენებდნენ და ამრიგად „გაბწყარულნი“ მიდიოდნენ წინ. „მწვინავე“ მუჯირას „იბიჯგნიდა“, თან იმით სავალ გზას ამოწმებდა. რომ გზა არ აბნეოდა რომელიმეს და მხნედ ყოფილიყვნენ, ერთმანეთს დაუხმიაინებდნენ მარჯვეთ იყავითო.

როდესაც დიდ „დეფანა“-ს მიადწევდნენ, ერთს დაისვენებდნენ. ამ ადგილას ძირს კბით უნდა ჩასულიყვნენ. ეს გასასვლელი ძნელი და სახიფათო ყოფილა. ლუკა მისურაძე (ს. წედი) ამგვარად თხასიათებს ამ გზას: „დიდ დეფანადან გზასავალი ძალიან ძნელი და ერთობ საფრთხილო იყო. აქიდან, ჯერ ერდოსებური ხერელით უნდა ჩასულიყავი (უწინ 18 საფეხურიანი კბით, ხოლო მისი ჩანგრევის შემდეგ სამხარლიეო თოკით) ძირს, განზე მიმავალ გვირაბში. მკვარის შუქი ძლივს ჩაღიოდა იქ. ანთებული მკვარი ერთი მალა ეჭირათ და მეორეც ძირს. თუ მკვარი „დაუშტებოდათ“ (დაუქრებოდათ), იქვე უნდა გაჩერებულიყვნენ. ფეხის წადგმის საშუალება აღარ ქონდათ. თუ რომელიმეს დაუგვიანდებოდა ჩასვლა ან ამოსვლა, დაუხმიაინებდნენ, მაშინვე მიეგებებოდნენ, მოიძევდნენ და დაეხმარებოდნენ“.




სურ. 27. „სამონველი“, ს. კიორა, რაქა

შემდეგ განის გზით გაივლიდნენ საკმაო მანძილს და მიადგებოდნენ პატარა „დეფანას“. პატარა „დეფანას“ იქით გვირაბი განშტოვდებოდა მრავალი მიმართულებით. აქ თავს იყრიდა სხვადასხვა სიღრმე-სიგანის ხერელი, რომელთაგან ზოგი დაშორებული იყო „ლითონის“ ძარღვს, ზოგიერთი კი პირდაპირ ერთვოდა მას. „ლითონის“ „ტალებს“ შუა იდგა. „ლითონის ძარღვი მქლე, ან მსუქანი იყო“. გამოცდილი კაცი ალლოთი იგებდა სად უფრო კარგი და „მსუქანი“ ლითონის ძარღვი იყო. იგი ბეჯითად, გულდასმით ცდილობდა მოენახა კარგი „გამომავლობის“ მადანი. მიგნებისთანავე შეუდგებოდნენ მოთხრას. რკინის მადანი ფიზიკურად სხვადასხვანაირი იყო: მყარი, ფშენადი, მკერივი, ფხვიერი, რბილი და სხვა. ამიტომ საჭიროება მოითხოვდა ლითონის ამოსაღები სამუშაოები ერთგვარი დიფერენცირებული წესით

4. მკვდლობა რაქაში

ეწარმოებიათ: თუ მადანი რბილი ან ფხვიერი იყო, ბარჯუკით (ცალპირი წერაქვი) თხრიდნენ. ხოლო თუ იგი მაგარი იყო, მოკოდვა, მომტერევა და მონგრევა სჭირდებოდა. ამ საქმისათვის ხმარობდნენ კაფიას, რკინის კეტს, წერაქვს.

მოთხრილ მადანს თავს უყრიდნენ ერთ ადგილას. ყრიდნენ მას რკინის ნიჩბით „დაბრაკულად“ (გვერდულად) მიღვმულ სალითონე გილღებში. ზიდავდნენ „ზურჯკიდეზულად“ ან თრევით. მუშაობა ისე იყო აწყობილი, რომ ყველამ თავისი საქმე იცოდა. ერთიმეორის მიმყოლი იყვნენ და მხარში ედგნენ ერთმანეთს. შრომის ნაყოფიერებას, რა თქმა უნდა, ეს ხელს უწყობდა: ზოგი მადანს „თხრიდა“, ზოგი ამ მოთხრილს აგროვებდა, ერთი ზიდავდა, მეორე აწვდიდა, მესამეს ანთებული კვარი ეჭირა და უნათებდა დანარჩენთ.



სურ. 28. ჩქუთი, ს. ზიდაში, რაჭა

ამგვარი განაწილება სამუშაოსი ობიექტური პირობებითაც იყო ნაკარნახევი. „რკინის კაცებს“ საბადოში დიდხანს ყოფნა, მისი სათანადოდ შოუწყობლობის გამო, არ შეეძლოთ. საჭირო იყო დროს მოგება ინტენსიური მუშაობის ხარჯზე. გაუძლისი იყო იქ ყოფნა დიდხანს, იმიტომ რომ კვარის კვამლის სქელი „ბურბული იდგა“ და ერთმანეთს ველარ უყურებდით“, მოგვეთხრობს სიმონა მაისურაძე (ს. ქველი).

ამგვარ პირობებში გვირაბში ხანგრძლივად მუშაობა და დარჩენა შეუძლებელი იყო. უძილობა, დაკიშული, მძიმე მუშაობა, კვამლი და სხვ. ფიზიკურად აუტანელს ხდიდა იქ ყოფნას. განსაკუთრებით გაძნელებული იყო საკმაო რაოდენობის სანათურისა და საკუმელ-სასმელის შეტანა.

ნორმალურ პირობებში გვირაბში ერთ დღე-ღამეზე მეტს არ დარჩებოდნენ, თუ საჭიროება მოითხოვდა, სამ დღე-ღამესაც ძლებდნენ. შიგნით მუშაობის ხანგრძლიობა დამოკიდებული იყო ერთი მხრით ამხანაგების შიზანსა და საშუალებებზე, ხოლო მეორე მხრით—მადნის მარაგზე. როდესაც შიგნით მდიდარ ძარღვს მიაგნებდნენ—დიდხანს ხელს არ უშეებდნენ და რაც შეეძლოთ მეტს ამოიღებდნენ. შემთხვევა იყო, რომ დიდად „დამაშვრალეულნი“ მთლად ხელცარიელნი ბრუნდებოდნენ უკან.

მოპოვებულ მადანს, როგორც ითქვა, ამარაგებდნენ „დიდ დეფანაში“, ერთ მხარეზე რომ „ჩონჩხ“ (მაგარი) მადანს მოუყრიდნენ თავს, მეორე მხა-

რეზე—რბილს, „მიწალითონს“ დაყრიდნენ. „დიდ ღეფანამდე“ მისვლა გარედან, შედარებით ადვილი იყო. შიგნიდან ამ ადგილას მოსვლა სამშვიდობოს ყოფნას უდრიდა. აქ მათ ჩამოეშველებოდნენ სახლიდან ოჯახის წევრები (აზიდეასა და სხვა საქმეში), რომელნიც ამ დროისთვის ხარ-მარხილით, ან ხარ-ურმით იყვნენ დაბარებულნი. უკანასკნელად მადანს „აივანა“-ზე აიტანდნენ და აქ „დაციხავდნენ“.

უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ხანებში მადნის გამოზიდვა გვირაბიდან, კობის ჩანგრევის გამო, საქმაოდ გართულებულა და სახიფათო გამხდარა. ქვაწითელას საბადოდან ყველაზე დიდი რაოდენობით „წითელი მიწა“ გამოჰქონდათ, ვინაიდან ეს უკანასკნელი „გამომავლობით“ და მოპოვების მხრითაც ყველაზე უკეთესი იყო.

თუ გვირაბში შესვლისას მოზიარებები „გაყუჩებული“ იყვნენ, გულში რალაცას „ჩიმჩამოდნენ“ (ფიქრობდნენ), „იქიდან გამოსვლისას—ერთი ამბავი გაქონდათ და ვარიალალს იძახოდნენ“.



სურ. 29. „საჯგველტი“, ს. სადმელი, რაქა

დამზადებულ ლითონს დიდ „სალითენე“ გოდრებში ყრიდნენ, თავებს ნაძვის „ფრიტინათი“ (ტოტებით) მოუქრავდნენ, ღვეკით გადაუქერდნენ და დაღმა ჩაათრევდნენ ფერდობზე, სახამარხილე გზამდე. „სათრიელი“ ორგვარი იცოდნენ. ზამთარში „სათრიელად“ ნაბადს იყენებდნენ, ხოლო ზაფხულს, რილოზე ნაბადს ნაცვლად ხმარობდნენ ნაძვის შტოებისაგან შეკრულ კონას. ვინაიდან ადგილი საბადოდან სამარხილე გზამდე მკვეთრად დაქანებულ ფერდობს წარმოადგენდა, მადნის ამგვარი წესით ზიდვა მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს. იგი ერთითად ამცირებდა მანძილს, დროს, სახმარ კურკელს, მუშახელს. თითო გზობაზე მადნის დასათრევად მხოლოდ ერთი კაცი იყო საჭირო.

„ლითონს“ საზიდავი „სალითენეებით“ მარხილზე ან ურემზე დააწყობდნენ, ან მარხილზე მოლობილ „ხვირში“, ან ძარში ჩაყრიდნენ და ისე ზიდავდნენ სახელოსნოში. აქ მას დაამარაგებდნენ ერთ კუთხეში — საამისოდ მიჩენილ ადგილას.

ლითონის მოპოვებას, გადაზიდვას, დამარაგებას სხვადასხვანაირი კურკელი, მოწყობილობა და იარაღი ახლდა თან.

„სალითენე“ კურკელი ორგვარი იცოდნენ: დაწნული და შეკრული. ლითონის საზიდავად, როგორც გვირაბში, ისე გვირაბიდან სახელოსნომდე, მოწნულ კურკელს იყენებდნენ, ასაზომ-მოსაცავად კი შეკრულს.


საზიდი კურკელი ორნაირი იყო—„საზურგო“ // „საზიდავა“ და „სამარხილო“. პირველი „მორჩილი“, მცირე სამხრეებიანი გიდელა იყო. თხი-

ლის ტეჩისაგან დაწნული. ჩადიოდა 40 — 50 კგ მადანი. მეორე—დიდი, სახე-
ლურებიანი გოდორი იყო, თხილისავე მრგვალი წყნელისაგან მოწნული, „ჩა-
მაველი, რასაც 2—3 კაცი მოერეოდა“.

შიგნით გვირაბსა და აივნამდე ლითონს „საზურგე“ გიღლით ზიდაე-
დნენ, იქიდან სახარ-მარხილამდე—გოდრით; შემდეგ—„ხვირ-მარხილით“, ურ-
პით, ცხენკიდებულთ, ზურგით და სხვ.

შეკრული ჭურჭელი, ჩვეულებრივად, ხის ქერქისაგან (მენავი, ცაცხვი-
თელა) მზადდებოდა—დიდი და პატარა ზომისა. დიდს „ბოყვი“ ეწოდებოდა.
პატარას—„ბოყვიჩა“. მოყვანილობით ორივე ცილინდრისებური იყო (ბოყვი-
ბის ჭურჭლეული სხედასხვა დანიშნულებით ამჟამადაც მრავლად იხმარება
მთის ზოლში).

დიდ „ბოყვებში“ აწყულ ლითონს მოიცავდნენ, ბოყვიჩებს კი საზომ-
საწყაოდ ხმარობდნენ.



სურ. 30. სადგისი, ს. ლები, რაქა


ამრიგად, „სალითენდ“ იტოლდნენ: გიღელი, გოდორი, ბოყვი, ბოყვიჩა,
და სხვა. „ლითონს“ ზიდავდნენ: ზურგით, სათრიელით, ხარ-მარხილით, ხარ-
ურმით და ცხენკიდებულთ. მოტანილ „ლითონს“ სადმე „სამშრალეობში“
(ფარღია გადახურული—კალოს პირად), ან საკუთრივ სამჭედლო ქოხში და-
ამარაგებდნენ.

ლითონის მოპოვებისას იხმარებოდა, „მღშა იარაღი“: რკინის საკოდელი,
წერაქვი, ბარჯუკი, რკინის კეტი, თოხი, ხის ნიჩაბი და სხვ. ლითონს „ტალე-
ში“ საკოდლით კოდავდნენ, წერაქვით „ჩეკავდნენ“, ბარჯუკით თხრიდნენ,
რკინის კეტით ანგრევდნენ და წვდიდნენ („ჩონჩხ ლითონს“), თოხით თავს
უყრიდნენ და ნიჩბით კრეფდნენ ხოლმე.

ხელსაწყო იარაღს შეადგენდა: თოკი, რომელსაც ძნელ სავალ ადგილებ-
ში გადასაყვან გადასაზიდად იყენებდნენ; გულა-საზურგულე, რომლითაც
საგზალი მიჰქონდათ; მათარა ტყავისა სარწყულად, მკვარი სასინათლოდ, ნა-
ბადი და ხის ნემო „სათრიელისაღვის“ და სხვ.


ამგვარად, ჩვენ განვიხილეთ რკინის მადნის საზიარო მოპოვების ცალკე-
ული სამუშაოები, ამასთანავე ზოგიერთი ძირითადი ხასიათის დაბრკოლება
და სიძნელე, რომელიც ამ საქმეს თან ახლდა. უმკველია, წედური რკი-
ნის დამუშავების ეს საფეხური, როგორც ტექნიკის, ისე მუშაობის ორგანიზა-
ციის მხრით, რაულ პროცესს წარმოადგენდა. ამასთანავე, იგი ძირითადად
შეპირობებული იყო წლის გარკვეულ დროსთან.

ამ საკითხთან დაკავშირებით ლიტერატურაში მოიპოვება ყალბი შეხედულება, რომლის მიხედვით მადნის მოპოვების ეს „სეზონურობა“ მოცლილობით იყო გამოწვეული. მაგალითად, ვოკობოინიკოვი წერს: „Поселяне занимаются сим промыслом только тогда, когда бывают свободны от земледельческих и других домашних работ, что более случается осенью и зимою¹. ამგვარსავე აზრს გამოთქვამს პეტკოლდტი, რადე, ვეიდენბაუმი და სხვ.



სურ. 31. ჩულუხი, სატეხი

სამწუხაროდ, აქ სწორი ფაქტებიდან არასწორი დასკვნებია გამოტანილი. მართალია, წედისის რკინის დამუშავების სინამდვილეში სეზონურობას ადგილი ჰქონდა, წლის ყველა დრო არ იყო საამისოდ განკუთვნილი, მაგრამ ამ ფაქტში ჩვენ სრულიად გარკვეულ და კანონზომიერ ვითარებას ვხედავთ. სამუშაოს პირობები და ხასიათი უკარნახებდა „რკინის კაცებს“ ამგვარად მოქცეულიყვნენ. თავისი მუშაობა ისე წარემართათ როგორც ამას მღვთმარობა და საქმის საკურობა მოითხოვდა.



სურ. 32. „თეგი“, სატეხი, ქალ. ონი


წედურის რკინის დამუშავების ზოგიერთი საკითხის ცალმხრივი და ზედპირული განხილვა ამ საგნის ნამდვილ არსს ნისლში ახვევს და შეუსაბამო დასკვნებს გვაძლევს (ვეიდენბაუმი და სხვ.).

ეთნოგრაფიული მასალის ნიადაგზე საკითხის უფრო ახლო და გულდასმითი შესწავლა ზემოხსენებული ავტორების ამ მოსაზრებას უსაფუძვლოს ხდის. სეზონურობის საკითხის ასახსნელად „მოცლილობა“ საქმით არგუმენტად არ გამოდგება. „სეზონურობა“ რკინის დამუშავების მთლიანი პროცესის ერთი მომენტთაგანია. ამდენად, მისი განხილვა განყენებულად და სხვა მომენტთა გაუთვალისწინებლად ყოველთვის მცდარ შედეგებამდე მიდის.

¹ Воскобойников, დასახ. ნაშრ., გვ. 52.

როგორც თავის ადგილას ითქვა, რკინის მადნის ამოღებას წინ უძღოდა „შეამხანაგება“ და ზოგიერთი საზიარო სამუშაოს შესრულება: ნახშირის დაწვა, სახელოსნოს მომართვა, კურკელ-იარაღის გამზადება და სხვ. მხოლოდ ყველა ამ წინამძღვარი „საქნარის“ შესრულების შემდეგ იწყებდნენ ამხანაგებო მადნის ამოღებას.

ყველასათვის ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს, საერთოდ, გარკვეულ წლის დროს სოხლის მეურნეობის თითოეული დარგისათვის: ხენას თიბე-მოსდევს, თიბეას—მოსავლის მოწვევა და ა. შ. თითოეულ საქნარს თავისი დრო და „ყელი“ აქვს. ზამთრის საქმე ზაფხულში არ გაკეთდება და პირუკუ. რაქის მთის ზოლში მთებიდან საქონლის საკვების—თივის ჩამოტანა მხოლოდ მოთოვის შემდგომ იციან. განა შეიძლება ამის შესახებ ითქვას, მოცლილობის შედეგიაო? ასევე, რკინის დამუშავების სინამდვილეში „სეზონურობა“ გამოწვეული იყო, პირველ რიგში, ობიექტური მიზეზებით და არა პირადი ნება-სურვილებით.




სურ. 33. პირთხელი, ს. სორი, რაქა

სინამდვილესთან უფრო ახლოს უნდა იყოს ის ახსნა, რომელიც, 105 წლის თაზო მაისურაძის ნათქვამის საფუძველზე, შემდეგ მოსაზრებებს ემყარება: 1. ტექნიკურად მოუწყობელი და გაუმზარებელი ხელოვნური „სანიჯგეებით“ ქვაწითელას საბადოს კედლები მჭონავი წყლის—„ნალოეების“ ზეგავლენით ხშირად ინგრეოდა. ამის შედეგად ადგილი ჰქონდა უბედურ შემთხვევებს. ზამთრის პერიოდში, მკაცრი ყინვების შედეგად, წყლის ჟონვა წყდებოდა და ჩამონგრევა იშვიათად თუ მოხდებოდა. ამ ამბავს ერთვოდა მეორე გარემოებაც. გადაზიდვისათვის ზამთარი ხელსაყრელ და შედარებით მოხერხებულ დროს წარმოადგენდა. თოვლზე მადნის გადაზიდვა შეუდარებლად ადვილი იყო, ვიდრე რილოზე. თოვლზე იმდენს გადაზიდავდნენ ერთ გზობაზე, რასაც რილოზე ხუთ გზობადაც ვერ შეძლებდნენ. საფიქრებელია, ეს ფაქტორები ლითონის გამოტანის საქმის მოწესრიგებაში გარკვეულ როლს თამაშობდა. ამგვარად, გვირაბში შესვლის საშიშროებათა უზრუნველყოფისა და გადაზიდვის ვაადვილებების თვალსაზრისით ლითონის მოპოვება ზამთრის პერიოდში ყველაზე მეტად მიზანშეწონილი იყო.

6. „უმი ლითონის“ (მადნის) ნაირობა და ხასიათი ხალხური დაკვირვებითა და გამოსცდილების მიხედვით რაჭის „სარკინეთში“

წედური რკინის წარმოების უკანასკნელ მომსწრეთა და თანამონაწილეთა ჩვენებით რკინის მადანი რამდენიმე სახისა იყო. „რკინის კაცები“ ცნობდნენ თითოეული მათგანის ხასიათს—ფიზიკურ თვისებებსა და „გამომავლობას“ რკინად.

1. „ქვაწითელა“. || „წითელი მიწა“ || „წითელი ლითონი“. ეს მადანი გარეგანი ნიშნების მიხედვით მიწა იყო და მისებრ იფუნებოდა. წითელი ლვინის ფერი ჰქონდა. სპილენძის იერს გადიკრავდა. ერთობ მძიმე იყო, წედური რკინის დამუშავებაში „ქვაწითელა“ საუკეთესო მადნად ითვლებოდა. ხალასი „ქვაწითელა“ რბილი რკინა ღებოდა, ხოლო თუ მას სხვა მადანსაც შეურევდნენ—მისგან ჩინებული რკინა იწურებოდა. ჩვეულებრივად, ამ მადანს „ტუტუნს“ ურევდნენ; ორი წილი რომ „ქვაწითელა“ იქნებოდა, ერთი წილი—„ტუტუნი“ იყო საჭირო. ამგვარად, შეთარღება უდრიდა 2:1-ს. საბა-



სურ. 34. ხოწი, ს. ქველი (რაჭა)

დოდან ეს მადანი შედარებით ყველაზე მეტი გამოჰქონდათ. რამდენადაც ეს ამ მადნის გარეგნული აღწერილობიდან ირკვევა, უნდა ვივარაუდოთ, რომ „ქვაწითელა“ წარმოადგენდა ე. წ. ჰემატიტს— Fe_2O_3 (70% Fe, 30% O).

2. „შავი ლითონი“ ტანად ქვისმაგვარი, ჩონჩხი და მკერივი იყო. ნახშირის ფერს გადიკრავდა. ტანძიმე, ხვავიანი გამომავლობის იყო, ამასთანავე იგი მაღალი ხარისხის რკინას იძლეოდა. ყველაფერი თავისი ყოფნიდა, სხვა ლითონის მირთვის არ საჭიროებდა. უმისოდაც, მისგან სალი და „უზაბაკო“ რკინა ღებოდა. „შავი ლითონი“ თავისი გარეგანი მაჩვენებლებით ემთხვევა მურა რკინას, ანუ ლიმონიტის ($2Fe_2O_3, 3H_2O$)¹.


3. „კობიკი“ ტანად „წითელი ლითონის“ მსგავსი იყო. მოყვითალო ფერი ჰქონდა. მას ყველაფერი თავისი არ ყოფნიდა. სხვა „ლითონ-

¹ ეთნოგრაფიული ცნობები შეუდარა და გაარკვია საქ. სახ. მუზეუმის გეოლოგიური განყოფილების უფროსმა პეცნიერმა თანამშრომელმა მ. ფოფხაძემ, რისთვისაც მადლობას მოვასხსენებთ.

თა“ გარეგანს მოითხოვდა. დაწურვის შემდეგ კი მისგან შეუღარებელი რკინა დგებოდა—ფხიანი და მოქნილი. ჩვეულებრივად მასში ურევენენ „ფაშას“.

4. „აბრამა“ გარეგნობით „შავ ლითონს“ გავდა. ტანად ჩონჩხი იყო. ლურჯი ფერისა. სხვა „ლითონთა“ გაურველად არც ეს ვარგოდა. თუ სხვა „ლითონს“ ზომიერად და „შერიგისად აქმევდნენ“, მაშინ მისგან წმინდა, „ერბოვით“ რკინა გამოდიოდა. „აბრამას“ რკინა—თასმასავეით იწვნოდა, მიმყოლი და საკვერავად შეუღარებელი იყო.

5. „დევენახშირა“ ტანად კაჩივით მკვრივი, ფიცხი და ჩონჩხი იყო. ფერი კუპრივით შავი და რუმე ჰქონდა. ლუკა მაისურაძის დახასიათებით (ს. წელი) იგი „თლა ფოლადი გამოდიოდა, მუშაობაში წერაქვს პირდაპირ კამდა“. როგორც ჩანს, ეს მადანი მაგარ და ფხიან რკინას იძლეოდა. „დევენახშირას“ სხვა მადნის მიერთვა არ ესაქიროებოდა. იგი ხალასად იწურებოდა. მასში საერთოდ მხოლოდ „სადულს“ ურევენენ, ისე როგორც დაწურვის დროს ყველა სხვა მადანს.



სურ. 34-ა. ხოწი, საქ. სახ. მუხ. კოლ., № 12-29/32


6. „გორგინდა“¹. ეს მადანი ტანად მიწასა ჰგავდა. ფერი თეთრად—წყითალო ჰქონდა. რკინა მისგან მდარე გამოდიოდა. „თუ თავისთვის, წმინდად დაწყურავდნენ, საშუალო რკინა დადგებოდა, თუ სხვა ლითონს მიერ-ლოდა, ჭადივით დაფშენიდა და წყალივით გაადნობდა მას. „გორგინდა“ ცუდი თვისების მადანი ყოფილა.

7. „ფაშა“. ტანად ერთობ მაგარი და ჩონჩხი იყო. ფერი ლურჯი ჰქონდა. ცალკე იგი რკინად არ ვარგოდა. მას სხვა ლითონებში: ქვა-წითელაში, „აბრამასა“ და „კობიკში“ ურევენენ. ორი წილი რომ ეს მადნები

¹ „გორგინდა“, როგორც ეტყობა, ხშირად სხვა მადნის მასებში შერეულად მოიპოვებოდა, ამიტომ განსაკუთრებით ვარიდებოდნენ მას როგორც მოპოვებისას, ისე წურვის დროს.

იყო საჭირო, ერთი წილიც „ფაშა“¹, ე. ი. პროპორცია 2 : 1 უდრიდა. ამგვარად შეზავებული მადნებიდან მშვენიერი „საქედური“ რკინა გამოდიოდა. როგორც „ფაშას“ ქიმიური ანალიზის შედეგად გაირკვა, „ფაშა“, რომელსაც მადანში ურევდნენ მაღალი ლირსების რკინის მისაღებად, წარმოადგენს პიროლუზიტს² (მაღალი ლირსების შავი ქვა).

8. „სადული“ „სადული მიწა“ ტანად მიწისნაირი იყო, ფერად მოყვითალო. როგორც ეს ეთნოგრაფიული მონაცემებით ირკვევა, „სადული“ დიდ როლს თამაშობდა საერთოდ წედისის რკინის დამზადების საქმეში. რკინის წურვისათვის იგი აუცილებელი და თანაარსი საშუალება



სურ. 35. პირმოხვეული ეჩო, ჩქლთი, კახეთიდან

იყო, რომელზედაც დიდად იყო დამოკიდებული რკინის მადნის როგორც გამოშვება, ისე მისგან მიღებული რკინის ხარისხი. იგი აძლევდა დუღილისას რკინას თანაბარ სიმბურვალეს და „ზეთოვანებას“. გარეთ გამოჰქონდა მისი ტანიდან ქუქუი და „პერი“. ერთი სიტყვით, წურვის დროს „სადული“, ტანს უწმენდა რა მადანს, წორმალურად მიჰყავდა რკინის წურვის პროცესი. „სადული“ გარკვეული რაოდენობით უნდა მიერთოთ ქურაში „დასარავებელ“ მადნისათვის წურვის დაწყებამდე, ან წურვის პროცესში, ნახშირთან ერთად³.

9. „ტუტუნი“ ჩონჩხი ლითონი იყო. გარეგნობით „რკინაწილას“ მსგავსი, მხოლოდ მასზე მოშავო ფერის. იგი ცალკე არ იწურებოდა ჩვეულებრივად მას, „ფაშას“ და „წითელ ლითონს“ ერთმანეთში ურევდნენ და ისე წურავდნენ. შეფარდება ამგვარი იყო — 1 : 1 : 2.


¹ ს. ზაისურაძის ნათქვამი (სოფ. ქვედი).

² ნ. რეხვიაშვილი, წედური ფოლადი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. IV, № 8, გვ. 833.

³ სარკინეთში წარმოება არა რკინული მადნების — „კალიქვა“ და „მიწალების“ მოპოვება-გამოყენება. პირველი ხელოვნური წესით მიიღებოდა, მეორე — ბუნებრივად იპოვებოდა. „კალიქვის“ მისაღებად შეარჩევდნენ „გულდაჩორდილ“, ფურტოროიან ხეს ასევე, ერთი გარკვეული ხის ჯიშის ფიჩხს. ამ უკანასკნელს „გულდაჩორდილ“ ხეს შეუნთებდნენ ძირს — „უბეში“ და ცეცხლს დააგებდნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ, ხის გულდიდან დენას იწყებდა ერთგვარი სითხე, რომელიც „ნება-ნებად“ ელევნთებოდა ძირს მიწაზე. ეს სითხე იკრიბებოდა და თან მაგრდებოდა. ბოლოს ერთგვარ მკვრივ და ჩონჩხ სხეულად იქცეოდა.

„კალიქვა“ უმთავრესად საღებავად იზმარებოდა. იგი ერთობ „გამკრელი“ და იშვიათი საღებავი იყო „ზამების“ (ბამბის ქსოვილი), ტილოებისა (კანაფის ქსოვილი) და დარაიებისათვის (აბრეშუმის ქსოვილი). რაც შეეხება „მიწალებს“, ანუ „საპირმიწას“, რომელსაც აგრეთვე

ამგვარად, ირკვევა, რომ წედისის რკინის დამზადების სინამდვილეში ცნობილი იყო ნაირი სახის რკინის მადანი და მადნის საბადო. მათგან, ეთნოგრაფიული მონაცემების ნიადაგზე, დამოწმებულია ადგილზე სამი საბადო: „სხაძერი“, „ხეხმელა“ „ქვაწითელა“ (სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია მხოლოდ უკანასკნელი) და 9-მდე მადანი: „ქვაწითელა“, „შავი ლითონი“, „კობიჭი“, „ფაშა“, „ღვეი“ „ნახშირა“, „გორგინდა“, „აბრამა“, „ტუტუნი“, „სადული მიწა“



სურ. 35 ა. პირმოხვეული ეჩო, „ლორგო“

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული ცნობები რკინის საბადოებისა და მადნეულის შესახებ წედური რკინის დამუშავების ბოლო ხანებს განეკუთვნება. ამდენად, იგი ვერ ამოწურავს მთლიანად ამ საკითხის ირგვლივ სავარაუდოდ უფრო ფართო და მდიდარ მასალას, რომელიც წარმოების დაუქმებასთან დაკავშირებით სინამდვილიდან „გადავიდა“.

საყურადღებოა, რომ „რკინის კაცები“ რკინის მადნეულს ანსხეავებდნენ არა მხოლოდ გარეგანი ნიშნების, არამედ შინაგანი მაჩვენებლების მიხედვითაც. ეს გარემოება, რკინის მადნების აღმნიშვნელი სპეციალური ტერმინების არსებობასთან ერთად, რაჟის სინამდვილეში მეღითონობის, კერძოდ, რკინის დამუშავების მაღალ კულტურასა და საკმაო მოწიფულობას გვიჩვენებს.

საღებავად იყენებდნენ—ბუნებრივად მოიპოვებოდა, განსაკუთრებით, სოფ. ქვედის მთებში — „ღვდა ხუთისას“ სანახებში, იგი მოლურჯო ფერის მიწა იყო. იხმარებოდა ჩოხების (შალეული ქსოვილების) საღებავად და პურის მოსაღვწი კალოების „მოსაპიტლავად“ (პირის მოსწორება-მოგლეჯვა). სიმონა მაისურაძის ცნობით (სოფ. ქვედი) შალეულს პირველად ვაშლის, მკნაის და თბმელის ჭერკით დაყვითლავდნენ და შემდეგ ამ „მიწალებით“ შავად „ჯიჯრავდნენ“ ხოლმე.


სამწუხაროდ, რაქის რკინის მადნების შესახებ მსჯელობის დროს მოკლე-ბული ვართ იმის რეალურ შესაძლებლობას, რომ ყველა ეს მონაცემი შევა-მაგროთ ჰიმითური ანალიზის ნიადაგზე მიღებული მასალით.

როგორც ზემოთაც ითქვა, სპეციალურ ლიტერატურაში რკინის მადნეუ-ლის შესახებ არსებული მასალა მხოლოდ „ქვაწითელას“ საბადოს და იქ მო-ქცეულ მადნებს ეხება. რკინის სხვა საბადოებისა და მადნეულის მიმართ, რომელთაც ადგილობრივი ეთნოგრაფიული მასალა ამასთანავე უჩვენებს, არა-ფერი არ არის ნათქვამი. რაც შეეხება რკინის მადნეულის ნაირობას, ლიტე-რატურული წყაროების მიხედვით — ცნობილია მხოლოდ ორი სახის მადანი¹: წითელი რკინა, ანუ ჰემატიტი (Красный железняк Eisenglanz) — Fe_2O_3 , Fe და მურა რკინა ანუ ლიმონიტი (Бурый железный камень, Rotheisenstein) — $2 Fe_2O_3, 3 H_2O$.

ამგვარად, სპეციალური, ლიტერატურული მო-ნაცემების მიხედვით წედური რკინის დამუშავების ვითარებაში ცნობილია ორი სახის რკინის მადანი. ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე მათი რი-ცხვი გაცილებით მეტი ჩანს. ამასთანავე ეს რიცხ-ვი აბსოლუტური და საბოლოო არ არის. ამ ორი სხვადასხვა გზით მომდინარე ცნობათა შორის რი-ცხობრივი კონტრასტი შესაძლებელია იმ გარე-მოებით აიხსნას, რომ, ეთნოგრაფიული წყაროების ჩვენებით, „ქვაწითელას“ გარდა სხვა საბადოებიც არის ცნობილი, მაგალითად, „ხეხმელა“, „სხამერი“ და სხვ. საფიქრებელია აგრეთვე ისიც, რომ „ქვა-წითელას“ დეტალურმა გეოლოგიურ-მინერალო-გიურმა ძიებამ რკინის მადნის სხვა სახეებიც გამო-აფიქროს. მეორე მხრით, გამორიცხული არ არის იმის შესაძლებლობა, რომ ერთი და იგივე მადანი წარმოდგენილია (სიტყვიერი ეთნოგრაფიული მა-სალის მიხედვით) აქ რამდენიმე სინონიმური სა-ხელწოდებით, რომ ამ მოსაზრებას არ არღვევდეს თითოეული ხალხური სახელწოდების ამ მადნის თვისობრივი მაჩვენებლები.

„ლითონის“ ნაირობას და მის შერჩევას ჯიშის მიხედვით დიდი ყურადღება ექცეოდა. ამ მიმარ-თებით ქართული მკვლევარების დაწინაურება მოტანილი მასალიდანაც ნათ-ლად ჩანს.

მელითონეობასთან დაკავშირებული ყველა ეს საკმარის მრავალრიცხო-ვანი სახელი და მასთან დაკავშირებული შინაარსობრივი ხასიათის მასა-




სურ. 35 ბ. „ჭიქალი“, „ლორეო“

¹ A. Petzholdt, დასახ. ნაშრ., გვ. 317; Воскобойников, დასახ., ნაშრ. გვ. 54; Padde, დასახ. ნაშრ., გვ. 187; Симонович, დასახ. ნაშრ. გვ. 59; Минеральные ресурсы ССР Грузии, „Гостехизматъ Грузии“, 1931, გვ. 231.

ლა, რომელიც წედური რკინის დამუშავების სინამდვილეს უკანასკნელ დრომდე შემორჩა, წარმოადგენს წარსულისაგან ნაანდერძვე კულტურულ განძს. ცხადია, იგი მცირე ნაწილი უნდა იყოს ყოველივე იმისა, რაც შეუქმნია ამ დარგში ქართველ ხალხს საუკუნეთა მანძილზე.

როგორც სხვაგანაც იყო ნათქვამი, ადგილობრივი რკინის დამუშავების გაუქმებას და გადაშენებას უთუოდ თან გადაჰყვა და სინამდვილიდან აღმოიფხვრა მრავალი საყურადღებო ნივთიერი და სიტყვიერი ძეგლი რაქის მკედლობისა. ამ მიმართებით, რაქის მკედლობაში ხმარებული სპეციალური ხასია-




სურ. 36. „შეხანო“

თის ტერმინებს გარკვეული მნიშვნელობა აქვს როგორც კულტურულ-ისტორიული, ისე პრაქტიკული ამოცანების თვალსაზრისით.

ყოველივე ზემოთქმულის მიხედვით მიზანშეწონილად მივიჩნით, პირობითად, რაქის მკედლობის შესახებ მსჯელობის დროს, ზოგიერთი ადგილობრივი ეთნოგრაფიული ტერმინების ხმარება. აქ, მადნის შესატყვისი ტერმინი „ლითონი“ იყო, ხოლო ნედლი, გადაუმუშავებელი მადნის სახელად „უმი

ლითონი¹ იხმარებოდა. მადნის რკინად დაწურვის პირველ საფეხურს — ლითონის დაწურვა ეწოდებოდა, ხოლო ამ ჯერად მიღებულ გაუშმენდელ რკინას — „ლუგვი“ რკინა. მადნის რკინად დაწურვის შედეგად მიღებული ლუგვი რკინის ხელახალ გადადნობას „გადაშვება“, რკინის გადადნობა ერქვა (წურვის მეორე საფეხური), ხოლო მიღებულ რკინას — „წმინდა“, „საქედური“ რკინა.

¹ უფრო დაწვრილებით ამ საკითხების შესახებ მსჯელობა შემდეგ იქნება.




სურ. 37 ერო (საქ. მუხ. კოლ., № 87—397)

6. რკინის მადნის გადამუშავება: „დაწურვა“, „გადადნობა“, „დაკვიპვა“, „საწური“ და „სადნობი“ ძურები „სარკინო შრამელი“. სამუშაო იარაღი და მოწყობილობა

რკინის „უმი ლითონის“ გადამუშავება-დაწურვა სამკედლო ქოხში წარმოებდა. აქვე მიმდინარეობდა დაწურული რკინის ხელახლა გადადნობა და მიღებული რკინისაგან სხვადასხვა „ხელადის“ ქედვა. რკინის დასამუშავებლად განკუთვნილი სპეციალური ნაგებობა, უკანასკნელი დროის ცნობების მიხედვით, არ ყოფილა დამოწმებული. ამ ფუნქციას, როგორც ითქვა, სამკედლო ქოხი ასრულებდა.

სამკედლო ქოხები აღნაგობის, თუ განლაგების მხრით საერთო დასახლების და ნაგებობათა ტიპისაგან მკვეთრად არ გამოირჩეოდა. არც რაიმე განსაკუთრებული სახის შრამელს არ წარმოადგენდა. იგი „ძელური“, გამწე სახლი იყო. აღნაგობით — „ჯაბგვალი“ ან ფიცრული; მოყ-

ვანილობით—მოგრძო ოთხკუთხი სახისა. სათავე—„ყაფიანი“¹ ჰქონდა. სახურავი — ყავრისა, ქვის „საქოლით“ დამაგრებული. ერთი თვალი, უმთავრესად, იშვიათად — ორი. ჩამომხული ჰქონდა „ყკრიმალებიანი“ ხის კარები — „საგდოლით“ (ურდულით), ან რკინის კოქა-რაზით საკეტი. მზიური კედლისკენ სიმკვდლო ქობს დატანებული ჰქონდა 2—3 პატარა სასინათლო სარკმელი. ქურების თავზე გამართული იყო „ოჯინჯალი“, რომელსაც თიხის შტვირების გასაშრობად იყენებდნენ. ოჯინჯლის თავზე კვამლის სადინარი ერღო ჰქონდა; ხოლო წინა—უკანა „სალისი“ (სარტყლის ზედა კედელი) აფრის თავამდე ირიბი ფიცრებით იყო აყვანილი. გარშემო „სიო“ ანუ „საქარეები“ ღია იყო, ზამთარში მეჩეჩით იქმანვოდა, ზაფხულში ფარღიად რჩებოდა.




სურ. 37 ა. ეჩო, გურიიდან (საქ. მუხ. № 61—3910)

ამ სახის იყო, ძირითად ბაზებში, წედისის რკინის დასამუშავებელი ნაგებობა. სადაც წარმოებდა, როგორც ამის ხაზს უსვამს ა. პეტეჰოლდტი, რკინის დამზადების ყველა ოპერაცია: „ჩემს გაჯივრებას საზღვარი არ ჰქონდა — ამბობს იგი, — როდესაც მე „Eisenhütte“-ს (სარკინე ქობი) წინ აღმოვჩნდი. ეს იყო უბრალო, 10 ფუტი სიმაღლის და 15 ფუტი სიგანის დიდი ქობი, სადაც

¹ „ყაფიანი“ — ამართული, დახრილი, შდრ., „ყაფარი“ (საბა).

წარმოებდა მნიშვნელოვანი ოპერაცია, არა მარტო „ნედლი ლითონიდან“ რკინის დამუშავების, არამედ ამ რკინისგან სხვადასხვა იარაღის დამზადებისაც¹...

სარკინე ქოხის ფართობი დაახლოებით 50 — 60 კვ. მეტრს უდრიდა. მისი შინაგანი გამართულობა შემდეგნაირი იყო: მიწური იატაკის უკანა მხარეზე, შუაგულიდან მცირე დაშორებით, იდგა „საწური“ და სადნობი ქურები, მათ წინ გაწყობილი იყო ქვის საბეგველი და რკინის გრდემლები — ხის „სადგვემლებში“ ჩამჯდარი. მათ შორის იდგა ხის სარნა წყლით. ერთ გვერდზე იდგა ლითონის სანაყი ქვის როდინი, მეორეზე — საღესავი ქვები: საბრუნავი ჩალ-




სურ. 37 ბ. „ერო“ ბრინჯაოსი, განათბ. (საქ. სახ. მუხ. ეთნ. განყ. № 62—39/51)

ხი, „ხარტი“, სასრევი და სხვა. იქვე კედელთან ხის ტახტი იყო მიდგმული და მასზე წვრილმანი ნივთები ელაგა. ქურების თავზე სანაპერწყლე ერდოები (კეცის თალარები) ეკიდა. ერდოს გასწვრივ ტყუბად, ოჯინჯლის გარეები (ხეები) იყო გადებული. სხვადასხვა ადგილას: ტახტზე, ქურის კალთებზე, კედელთან კუთხეებში ელაგა სამუშაო და ხელსაწყო იარაღი, საჭირო ქურქელი, ავეჯი და სხვ. ამასთანავე, აქა-იქ მიმოფანტული იყო ნაირი რკინეული, გასაჭედი და გაჭედილი. ქურის კალთის ქვეშ „ლუგვი“ რკინეობა

¹ Petzholdt, დასახ. ნაშრ., გვ. 318.

ეყარა, ხოლო „ბუჯრებზე“ (თარობი) გაკოპიტებული რკინის ხელადი ეწყობო. ერთ კუთხეში ნახშირი იყო დაცხული, მეორეში—„უმი ლითონი“.

ამგვარად, „სამკედლო-ქოხი“ როგორც თავისი აღნაგობით, ისე შინაგანი გამართულებით და წყობით სადა, უბრალო და ჩვეულებრივი სახის იყო. ამ უბრალო ქოხებში წარმოებდა წედური რკინის დამზადების ყველა ის რთული მოქმედება, რომელიც ტექნიკურად გამართულ რთულ მეტალურგიულ ქარხნებში ხორციელდება. ალ. პეტცჰოლდტის წინაშე მათ სამართლიანი გაკვირვება გამოიწვიეს: „Kaum traute ich meinen Augen, dass so etwas möglich sei!“. მაგრამ რამდენადაც უბრალოება ახასიათებდა გარეგნულად ამ თავისებურ რკინის დამამზადებელ „ქარხნებს“, იმდენად რთული და ღრმა იყო მათი შინაგანი შესაძლებლობა: მაღალი ხარისხის რკინის მიღება, წრთობის მაღალი ტექნიკა, ნაირსახის ნახშირი და სხვ.




სურ. 38. ეხო, „პირფართო“. საქ. მუხ. ხევისურ. გამოყენა

რკინის, „უმი ლითონის“ დამუშავება ორ წყებად მიმდინარეობდა. სამუშაოთა პირველ წყებას—ლითონის დანაცვა, აწყვა, შერევა, „დარიგება“, დაწურვა შეადგენდა. სამუშაოს მეორე წყებას დაწურული რკინის—„ლუგვის“ გადღნობა, დაწმენდა, გაკვერვა, გამოყვანა და მისი კვერებად „დაგვარება“ წარმოადგენდა. ლითონის დაწურვა რკინად საგანგებოდ გამართულ ქურებში წარმოებდა. ის ორი სახისა იყო — „საწური“ და „საღნობი“ (სურ. 1,3).

„საწური ქურა“ ზედმიწევნით თავისებური ნაგებობა იყო. იგი ძირითადად ორი ნაწილისაგან შედგებოდა: საცეცხლურისა „ა“ და საბერველისაგან გვ (სურ. 1). რკინის მადნის საწური ქურის ასაშენებლად — სამკედლო ქოხში მო-

¹ A. Petzholdt, დასახ. ნაშრ., გვ. 318.

ზომადნენ ფართობს, როგორც ამას უკეთ მოიხდენდა ნაგებობა. გაქრიდნენ პირველად „ქალამანს“ (ბალაევრს) 20 სმ-ს სიღრმით. ჩაუგებდნენ კუთხედი ქვის საძირკველს და შემდეგ კედლებს ამოაშენებდნენ. საშენ მასალად იხმარებოდა რიყის, კლდის და ხოლის (ხევის) ქვა, მიწა-სილა და კირი. კედლები შენდებოდა ყორული ან ქვიტკირი. ქურის შუაგულ არეს წვრილი ქვით და მიწით ამოავსებდნენ, ზემოდან პირს მოუმეწავდნენ და ამგვარად ამოიყვანდნენ მოგრძო ოთხკუთხად შეკრულ „ყრუ“ კედელს, რომელიც შეადგენდა ქურის ტანს. „ზეგულის“ შუა ადგილას ქურას პირს ამოუქვაბავდნენ ღრმად და შიგ „სალითენე ფილს“ მოაწყობდნენ. იგი წარმოადგენდა ერთგვარ ბრძმედს „უში ლითონის“ საწურავად.




სურ. 39. ეჩო, „წყეპალი“. საქ. მუხ. კოლ., № 51—39/109

სალითონე „ფილი“, ანუ ბრძმედი მოგრძო კუთხედი და გობისებური ფორმისა იყო. ამ ფილს ცალ მხარეზე, ძროს გასწვრივ, მოგვერდულად „სასულე“ ჰქონდა, რომლითაც წურვის დროს უფარვისი ნივთიერება — „ხარჯი“ გარეთ დიოდა. ფილის ზომა (გოსკობონიკოვ-ს განაზომის მიხედვით) ¹ იყო: სიღრმე—12 ვერშოკი ², სიგანე (ზემოთ)—12 ვერშოკი, ქვემოთ—8 ვერშოკი. (ქურის მთლიანი სიმაღლე, საშუალოდ 100—120 სმ უდრიდა. განი 1,5 მეტრს; სარგძე—2,5 მეტრს.) ამ წესით აგებული ქურა მთელი ქვედა ტანით „ყრუ“ კედელს წარმოადგენდა და ეყრდნობოდა მიწაში მცირედით ჩამჯდარ „ქალამანს“, ზედა ტანით კი გულდია იყო. გარედან კედელთ გარშემო „პერანგს“ მოაელებდნენ, რათა იგი მტკიცე და უნგრევი ყოფილიყო. პერანგი ფიცრით შეყელული (სურ. 3), ან ჯარგვლით შესკენილი, ან კიდევ სარასხრით შემოდობილი უკეთდებოდა. პერანგი ხელმარჯვედ უნდა მოეკლათ ქურისათვის, რათა მასზე მიმდგარ მუშას და საბერველს მუშაობაში

¹ В о с к о р о џ и н я к о в, Описание горных промыслов и полезных минералов в округах: Ижмертинском раче, Минрельском Лечугме и в Суанстах, Горный журнал. СІІБ, 1826 № II, წიგ. XI, გვ. 53.

² ვერშოკი უდრის დაახლოებით 4,4 სმ-ს.

ხელი არ შეშლოდათ. ქურა ყოველმხრით მტკიცე და მყარი ნაგებობა უნდა ყოფილიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერ აიტანდა ინტენსიურ მუშაობას და მალე დაინგრეოდა. ქურა უკანა მხრით, იქ, სადაც მას საბერველი ჰქონდა დაგებული, წარზიდული იყო თავის ტანიდან დაახლოებით 40—50 სანტიმეტრით. მას ქურის „კალთა“, ანუ „პირი“ ეწოდებოდა. ეს „საბერველულები“ გამოყენებული იყო „ლითონისა“ და ნახშირის დასალაგებლად, იარაღის და ქურქელის „მოსანაცვლებლად“ (სურ. 2, ff).



სურ. 38 ა. „პირფარაო“, ერთ


საწური ქურის ბრძმედი ამოგოზილი იყო ცეცხლგამძლე „ბანეთელი“ (ადგილის სახელი) მიწით. ფილს შიგნითა პირი იმგვარად მოსწორებული და მოლესილი ჰქონდა, რომ კაცს თიხის ერთიანი კეცი ეგონებოდა. უკანა კედელი ფილისა, ანუ ბრძმედისა შუაზე კეხივით იყო ჩაქრილი და ამ ადგილს „კილო“¹ ეწოდებოდა. კილოს თავზე ეხურა თალიანი ქვა, რომელიც იმავე დროს „საცეცხლურსა“ და საბერველ შორის გადებულ „ამისერს“ (ტიხრს) წარმოადგენდა. ქურის „კილოში“ შეწვილილი იყო საბერველის „შტვირი“ (მილი); შტვირის წინა თავი ტუჩით საწური ქურის ბრძმედში იყო წაშვერილი, უკანა ბოლოთი კი საბერველს უერთდებოდა (სურ. 2, b).

საწური ქურების მეორე არსებით ნაწილს საბერველი შეადგენდა.

„საწური საბერველი“ უაღრესად საყურადღებო და თავისებური სახის იარაღს წარმოადგენდა. როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, საწური ქურა გამართული იყო სამკედლო ქოხის ერთ მხარეზე, სადაც ამას უკეთ მოიხდენდა

¹ საბა—კილო, ისართა მშვილდის საბელთა ჩასადგებელი (ე. ი. ჩაქობილი ადგილი ნ. ო.); ხალხურით კილო უდრის აგზეთვე მოხუჩებებს. „ამირანი დედაბრიშვილო, კილო არ იცი თმისა; მალღა რას ურტყამ სპილოსა, ძირს შემოკარი რბაღლასა“.

შისი შინაგანი. ადგილმდებარეობა. საწურ ქურას ეროი მხრიდან დაგებული ჰქონდა ტყუბი, ორპირი საბერველი, ანუ როგორც სხვანაირად უწოდებდნენ — საწური „საბერველი“. საბერველის (სურ. 2, გვ) მთავარი ნაწილი იყო „დედანი“. იგი წარმოადგენდა ორად განტოტებულ, ორბოძალა ხეს, რომლის ერთიან ნაწილს უკლამდე „თავი“ ექვეა, ხოლო თავიდან მოკიდებული „დედანის“ ბოლოები, ანუ „კაპები“ ხელოვნებად იწოდებოდა. ერთი კაპი რომ მარჯვენა ხელპირს შეადგენდა, მეორე — მარცხენას. „დედნად“ „ტყუბალი“ (ტყუბი), ანუ ორბოძალი ხის ალება შემთხვევით ამბავს არ წარმოადგენდა. იგი განგებ იყო შერჩეული ამ დანიშნულებით, რათა მულმივი და ინტენსიური ხმარება-მუშაობის შედეგად „საწური ქურა“ არ დანგრეულიყო და, ამავე დროს, საბერველის ძირითადი და-



სურ. 40. „რაკული ნამგალი“, ს. წესი (რაკა)


ნიშნულებისათვის მიზანშეწონილი ყოფილიყო. ტყუბი დედანი საბერველის კონსტრუქციული საჭიროებით იყო გამოწვეული. ცალკეული შეტყუბებული ხეები საამისოდ არ ვარგოდა, ვინაიდან რაც უნდა მყარად შეეკრათ, ვერ აიტანდა მძიმე მუშაობას და მალე დაიშლებოდა. „დედანი“ ცაცხვისა იყო. აკეთებდნენ უპრალოდ: ალებულ ხის ტანს ზომაზე დამორავდნენ, თავსა და ბოლოს გაუსწორებდნენ, მკირდით გათლიდნენ და გახვრეტდნენ ორფად ისე, რომ ხელოვნებად დაწყებული დედნის თავამდე ეს ორტოლად მიჰავალი ნახვრეტები ქმნიდა ჰაერის სადინარ არხებს, როზელთაც „სასულე“. ეწოდებოდა. „ხელოვნება“ დედნისა წაწვეტილი იყვნენ ბოლოსაკენ და უერთდებოდნენ საბერველის გულდებს. თავის მხრით ეს გულდები მკიდროდ იყო შემოკმული ხელოვნების ბოლოებზე.

ჰაერის სადინარი არხი დედანში ორტოლად და გასწვრივ გადიოდა თავიდან ბოლომდე, ისე რომ მანძილი „სასულეგს“ შორის ბოლოდან თავისაკენ 50 სმ-დან 4,5 სმ-დე მცირდებოდა. თითოეულ „სასულე“-ს განივი კრილი 3—4 სმ უდრიდა. ერთიანი თავისაკენ თითოეულ ნახვრეტში — „სასულე“-ში ჩასმული იყო ხის „სვირი“ (მილი), რომელსაც „ძრო“ ეწოდებოდა.

საბერველის „ძრო“ მრგვალი და წვრილი ხის მოკლე მორს წარმოადგენდა. ძროსათვის ხის მორს მოზომავდნენ, შემდეგ გულს გაუხვრეტდნენ სიგარ-

ძეზე მრგვალად და „გალოპრაედნეხ“, ე. ი. ქერქს გახდიდნენ. ამგვარად, გამზადებული „ძრო“ გარეკნობით თიხის მილს ჰკავდა. ძირედის თავიდან გასული გულლია ძროები ჰაერის სადინარ „სასულე“-ების გაგვრძელებას წარმოადგენდა. ჯერ წყვილად მიდიოდა, შემდეგ კი წინისკენ თავს იყრიდა და ერთიან სასულეში—თიხის „შტიერში“, შედიოდა.

ამ შემთხვევაში „ძროები“ შემაერთებელი ხიდი იყო „ხელპირებსა“ და „შტიერის“ შორის, რომლის მეშვეობით „ხელპირებიდან“ წყვილად მიმავალი ჰაერის სადინარი არხი თავს იყრიდა და ერთდებოდა ერთ საერთო შესაკრებელ „სასულე შტიერში“ [სურ. 2, 1 (Düse პეტტჰოლდტით), შრდ. განახომები ფოსკობონიკოვისა] ¹.



სურ. 41. „კახური ნამგალი“ ს. მეჯვრისხევიდან, ქართლი

შტიერი, როგორც ზემოთაც ითქვა, თიხისა იყო, მოკვეთილი კონუსებრი მოყვანილობისა. „შტიერი“ თავისი განიერი პირით თავისკენ ძროებზე იყო წამოგებული, ხოლო ნიწრო პირით გაწვდილი იყო წინისაკენ და უკანაკედლით ქურის საცეცხლურში შედიოდა. შტიერი ცვალებადი სიდიდის იყო. საშუალოდ მისი ზომა ფოსკობონიკოვის მიხედვით უდრიდა: სიგრძე—8 ვერშოკი, წინა თავის დიამეტრი—3—4 ვერშოკი ².

„შტიერი“ საგანგებო თიხისაგან კეთდებოდა (ამის შესახებ ქვემოთ) და იგი დიდ როლს თამაშობდა რკინის დაწურვის საქმეში.


ამგვარად, შტიერი „ძროების“ საშუალებით თავის წიაღში თავს უყრი-

¹ Воскобойников, დასახ. ნაშრ., გვ. 51—54.

² Воскобойников, დასახ. ნაშრ., გვ. 54.

და „ხელპირებიდან“ ტოლად მოშავალ „სულისადინარ“ არხს, რომელიც სათავეს საბერკელის გულიდან იღებდა. „გულა“ საბერკელის მთავარი კომპონენტი იყო. იგი გულდასმით და საგანგებოდ მზადდებოდა. ჩვეულებრივად, გულად არჩევის ტყავი იხმარებოდა, როგორც უფრო გამძლე და ამტანი, სხვა შემთხვევაში გულას შინაუნი თხის ტყავისაგან აკეთებდნენ.

გულის დამზადება შემდეგი წესით წარმოებდა: საკლავს ტყავს „გულურად“ გახდიდნენ, შეაშრობდნენ და მოზელდნენ მაგრად. თუ სადმე გაქრილი ექნებოდა, გაკერავდნენ საიმედოდ. შემდეგ ამისა, გულას შიგნით ჩაუყენებდნენ მრგვალი სახრის 5—6 რკალს, რომელსაც „რკალი“, ანუ „არტაშანი“ ეწოდებოდა (სურ. 2).




სურ. 41 ა. ნამგალი საინგილოდან (საქ. მუხ. კოლ., № 201—89)

„რკალები“ განლაგებული იყო თანამიმდევრობით და პარალელურად, ერთმანეთთან თანაბარი მანძილით. გულის გასწორივი მდებარეობის დროს „რკალები“ ცერად იდგნენ და სიგანის პარალელურად იყვნენ გამწკრივებული. მათ შორის ტყავის ნაკეციებიც იყო მოქცეული. ამგვარი განლაგება გულას ცილინდრისებურ ფორმას აძლევდა (სურ. 2). გულას უკანა ბოლოზე ხის მრგვალი კარები ჰქონდა ჩაყენებული. თითოეულ კარს მრგვლად ჰქონდა ამოჭრილი გული და მასზე შიგნიდან ნაბდის ფარდა ეკიდა, ხოლო გარედან მაგარი სახელური ჰქონდა (ხშირად კარი და სახელური მთლიანი ხე იყო). კარებების მასალად უმჯობესად ითვლებოდა ცაცხვი და თელა.

რკალების ძირითად დანიშნულებას შეადგენდა: გულების მიწვე-მოწვევა და მისი-„ჩაუფუშავად“ გაჩერება ერთ გამიზნულ ხაზზე. მიმაგრებული ჩამოსაბამი თოკების საშუალებით ამ ამოცანას ადვილად ასრულებდა. ამგვარად გამზადებულ გულას წინა პირით (ჩვეულებრივად კისერი) საბერკელის ხელპირზე წამოაგებდნენ და „გულის სანდოდ“ „ნოსმორტავდნენ“, მოუქერდნენ, რომ სული არ გასვლოდა. „ნებაზე“ მიშვებული გულის „რკალები“ ისე „წაიწკაპოდა“, რომ კარები და „ხელპირი“ ერთმანეთს ემთხვეოდა.

ამგვარი აღნაგობისა იყო, ძირითადად, „საწური“ ქურა და საბერველ-ქურა-საბერველის ეს ტიპი არსებითად მხოლოდ „უმი ლითონის“ გადასამუშავებლად (გადაწურვისათვის) იყო განკუთვნილი. იგი ისე ოსტატურად იყო გაკეთებული, რომ ამ ამოცანას წარმატებით და ზედმიწევნით ასრულებდა.

საწური საბერველის ერთ თავისებურებას და საყურადღებო მხარეს ისიც შეადგენდა, რომ მას ჰქონდა უნარი ერთსა და იმავე დროს ჰაერის ნაკადი მიეწოდებია საცეცხლურის შტვირისთვის და მოეწოდებია თავისთვის, რასაც „მიწოდ-მოწოდება“ ერქვა. ასევე, საქაროების მიხედვით ჰაერის ნაკადი „სა-




სურ. 42. ნამგალი, ს. წედისიდან

სულე“ არხით „გულნაკულად“, ან „გულსავესედ“ ედიწებია, ე. ი. მოეკლო ან მოემატებია უწყვეტლად ბერვისათვის. „ისე მარჯვედ იყო მოწყობილი, რომ კილი (ნაკლი) არსაით ქონდა, მძიმე ქვე იყო დასაბერავად და მისაწვევად, მარა მიგიერში ერთობ სამარჯვე სახმარი იყო, რავარც გინდოდაკაცს ისე დააყენებდი. სულს გინდ მოუკლებდი, გინდ მოუმატებდი. მისთანა ძლავრი სული გადიოდა რომ შტვირთან რო მდგარიყავ ქუდს გადაგივლებდა“ (ტონია მაისურაძე, სოფ. ქველი).

ამგვარ საბერველს საწურ ქურას უგებდნენ, რომელიც მხოლოდ „უმი ლითონის“ დაწურვას ემსახურებოდა და სხვა დანიშნულებისათვის გამოუსადეგარი იყო. ერთი სიტყვით, მის ფუნქციას გარკვეულად მხოლოდ „ლითონის“ რკინად დაწურვა შეადგენდა. ამ მხრით მეორენაირი ქურა, რომელსაც „გადასაშვები“, ანუ „გადასადნობი“ ეწოდებოდა, მეტი განწვდომილების იყო. იქ შეიძლებოდა სხვადასხვა საქმის გაკეთება: გადადნობა, აღლუება, გახურება და სხვ. „საწურ“ ქურაში-კი, გარდა „წურვისა“, სხვა რამე არ ხერხდებოდა.

ქურის ძირში საბერველს „ხელპირებთან“ შედგმული ჰქონდა სამაგრიის და საყრდენი ბოძები. ამრიგად, საბერველის ტანი წინა მხრით ქურა-

ზე იყო დანდობილი, უკანათი — ბოძებზე. ორპირი საბერელის საშუალებით „ხელპირებიდან“ მხარდამხარ მიმავალი ჰაერის ნაკადი ერთიერთმანეთს ზურგთ უკან სდევდა, წინა ტალღას უკანა უბიძგებდა და ჰაერის ქროლვა უწყვეტ დინებად იშლებოდა; თანაც საცეცხლურისათვის საბერელის გულებიდან ჰაერის „მიწოდ-მოწოდვის“ რეგულირება ხერხდებოდა, როგორც ეს ხდება ხოლმე „სათავეთი“ წისქვილის ღარში წყლის რეჟიმის დასამყარებლად. საწური ქურის საბერელის ამგვარ აღნაგობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მადნის წურვის ნორმალური მსვლელობისა და სასურველი შედეგების მისაღებად.




სურ. 42 ა. ნამგალი, გურიიდან

წურვის დროს ყველაზე დიდი შრომა თიხის შტვირს ადგა ხოლმე, რომელიც თავისი წინა ნაწილით მუდმივად პირში ჰქონდა ცეცხლს ჩადგმული. ბუნებრივია, ამ მდგომარეობის შესაბამისად იგი უალრესად ცეცხლგამძლე, მაღალი სიმბურვალის ამტანი უნდა ყოფილიყო. ამიტომ შტვირისათვის, ცხადია, ყოველგვარი მიწა არ ვარგოდა. საამისოდ გამოსადეგი იყო მხოლოდ „ბანეთური“ (ადგილის სახელი) აყალო მიწა და „ონჭეური“ (სოფლის სახელი) თიხა, რომელთაც ერთიმეორეში ურევდნენ და ისე აკეთებდნენ. მას „საშტვირე მიწა“ ეწოდებოდა.

მოტანილ მიწას აშრობდნენ, შემდეგ ფშენიდნენ და გაცრილად ხმარობდნენ. ამისათვის გაცრილ-გაწმენდილ მიწას ჯერ ბრტყელ, დიდ ქვაზე (პირი ამ ქვას ოდნავ ჩაზნექილი ჰქონდა) დაყრიდნენ, წყალს შეუსხამდნენ და იწყებდნენ ფეხით მის ზელას. როდესაც მოიცომებოდა, ზელას რკინის უროებით განაახლებდნენ და შეწყვეტდნენ მხოლოდ მაშინ, როდესაც თიხის ცომი კარგად „გაიზეთებოდა“ და შესაფერი შეკოწიწება ექნებოდა. ამის შემდეგ

ცომა „ააგუნდავებდნენ“, „გამოწყვეტდნენ“, „დაალულუავებდნენ“ და „ჩამოქნიდნენ“ შტეირს ხის ყალიბზე. შემდეგ სველი ხელით პირს მოუსწორებდნენ და მზად იყო. მას მხოლოდ გაშრობა და ესაჭიროებოდა.

გაშრობა სამკედლო ქობში წარმოებდა. ამისათვის „შტეირს“ ქურის თავზე—ოჯინჯალის გარეგნულ დაკიდებდნენ და ახმობდნენ კვამლში. შტეირს „გულში“ უყრიდნენ ჯობს, რომლის ერთი ბოლო ბორბალს მიუგავდა, ხოლო მეორე—კავს. შტეირის ფართე თავს ამ ბორბლის ფრთებს „დაანდობდნენ“ და თავდაღმა დაჰკიდებდნენ. ამ წესით გამომხმარი შტეირი ცეცხლში გამოუწვავად იხმარებოდა.




სურ. 43. „სათიბელა“, ნამგალი, ს. უწერა (ჩაქა)

მიუხედავად იმისა, რომ „საშტეირე“ მიწის შერჩევა და თვით შტეირის გაკეთება საგანგებოდ წარმოებდა, იგი მაინც ცეცხლს დიდ ხანს ვერ უძლებდა. საჭირო ხდებოდა მისი შეცვლა, ამიტომ საბერელის „შტეირი“ საკმაო რაოდენობით უნდა დამზადებულიყო, რასაც ბევრი მასალა ჰქონებოდა. საშტეირე მიწის კერები—ონკევი და ბანეთი რკინის დამამზადებელ მთავარ პუნქტებს საკმაო მანძილით იყო დაშორებული. ეს გარემოება გარკვეულ სიძნელეს ჰქმნიდა მიწის დიდი რაოდენობით გადასაზიდად.


საწური ქურის გვერდით, ცოტა მოშორებით, მეორე ქურა იყო გამართული. ეს უკანასკნელი როგორც თავისი დანიშნულებით, ისე ტექნიკური აგებულებით „საწური ქურისაგან“ არსებითად განსხვავდებოდა; მასზე ტანდაც და „სალთონე ფილი“ ს (ბრძმედის) სიღრმე სიგანითაც მცირე იყო. ამ ქურას „საღნობ-საღული“ ქურა ეწოდებოდა. იგი ორ მოვალეობას ასრულებდა: საღნობ ქურაში წარმოებდა დაწურული რკინის—„ლუგვის“ გადაღნობა, „გაღაშვება“, აგრეთვე საქედური რკინისაგან „სახელადე“ ნივთების „დღედანთა“ განზადების ყოველგვარი პროცესები. იგი თავისი ფუნქციითა და დანიშნულების მიხედვით „საწურ“ ქურაზე ფართო ხასიათის იყო, ვინაიდან მისი ბრძმედი და საბერელის გამართულობა სამკედლო „საქნარსაც“ ითმენდა. საწურ ქურას „სალთონე ფილი“ ღრმა და კუთხედი ჰქონდა, საღულ ქურას—შედარებით ფრიალა და ნახევრად მომრგვალებული. რამდენადაც „საღუ-

ლი“ ქურა უმთავრესად „საწური“ ქურის ნამუშევრის მოთავება-მოსრულებას ემსახურებოდა და იმავე დროს „საქედური“ ქურის ფუნქციასაც ასრულებდა, იგი პირველიდან მეორეზე გარდამავალ საფეხურად წარმოგვიდგება.



სურ. 44. ქართული ცელი, ს. ქვედი (საქ. მუხ. კოლ. 18—38—33)

„უმი ლითონის“ „საწური“ და სადნობი ქურების აქ წარმოდგენილ აღწერილობას საეცებით ეთანხმება მათ შესახებ ლიტერატურაში დაცული ცნობები. მხედველობაში გვაქვს, განსაკუთრებით, ვოსკობოინიკოვის ნაშრომი. სამწუხაროდ, მას თავის საფუძვლიან აღწერილობაში საწური ქურის ყველაზე საინტერესო ნაწილის—საბერკლის თავისებურებისათვის ყურადღება არ მიუქცევია, მხოლოდ გაკერით აქვთ ნათქვამი: „При каждом горне находятся 2 кожанные цилиндрические меха“¹.



სურ. 45. ქართული ცელი ხვესურეთიდან


სამაგიეროდ, მას ორივე სახის ქურათა ბრძმედების, ანუ „სალითონი ფილების“ და „სასულე შტეირის“ განაზომები აქვს მოცემული, რასაც დღეს ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამ განაზომების მიხედვით საწურა

¹ Воскобойников, დასახ. ნაშრ., გვ. 53.

ქურის ბრძმედის ზომა უდრიდა: სიღრმე—12 ვერშოკი (52.5 სმ), სიგანე ძირისა 8 ვერშ. (35 სმ), თავისა 12 ვერშ. (52,5 სმ); საღნობი ქურის ბრძმედის ზომა უდრიდა: სიღრმე 4 ვერშ. (17,5 სმ) სიგანე 4 ვერშოკი (17,5 სმ). საწური საბერკელის „შტიერის“ (თიხის მილი) სიგრძე—8 ვერშ. (35 სმ) უდრიდა, ხოლო წინა თავის ხანი (დიამეტრი) დაახლოებით 17,5 სმ შეადგენდა.

ვიღრე უშუალოდ „უმი ლითონის“ წურვას შეუდგებოდნენ, საქირო იყო წინასწარ სამუშაოს ორგანიზაციული და ტექნიკური მხარის მოგვარება, ვინაიდან ლითონის რკინად დაწურვის საქმე არსებითად, რკინის დამზადების ერთიანი პროცესის II საფეხურს შეიცავდა. ამ წყების სამუშაოებს შეადგენდა, უმთავრესად, საწური ქურების და მისი თანაარსი სამუშაო იარაღისა და მოწყობილობის მომარჯვება. მეორე მხრით—მადნის გარჩევა, „დაფშენა“, აწყვა, შერევა, „დარიგება“ და სხვ...

მოზიარეთა შორის „საქნარის“ განაწილება იმავე წესით წარმოებდა, რა სახითაც ეს „ლითონის“ მოპოებისას იყო ხოლმე. ერთი რომ ერთ საქმეს აკეთებდა, მეორე—მეორეს. ერთი რომ ლითონს ნაყავდა, მეორე არჩევდა, მესამე წყავდა, მეორე ხახვირს არიგებდა, მეხუთე წყალს ამარაგებდა და სხვ. რკინის წურვაში უფრო დახელოვნებული პირი საბერკელებს, ქურებს და იარაღებს „თვალს შეავლებდა“, რათა ნაკლი რამ არ ჰქონოდა და მუშაობაში ხელი არ შეეშალა.



სურ. 46 „საწყლიპი“ გრდემლი, რაქა, საქ. მუზ. (კოლ. № 63—39/20)

ყოველივე ეს მოითხოვდა მუშახელს საკმაო რაოდენობით: „უროს მცემელი“, დამბერავი და მეუროე იყო აუცილებელი. ეს სამუშაოები ისე წესრიგდებოდა, როგორც ამას, დროისა და პირობების მიხედვით, მოითხოვდა კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში რკინის დამუშავების შინაშრეწველური ხასიათი. „დაწყობილობა“ იმგვარი ჰქონდათ, რომ ყველამ თავისი საქმე იცოდა და თავის მოვალეობას ასრულებდა. თითოეული ამ დაკისრებულ სამუშაოს დიდი მონდომებით და მთელი შესაძლებლობით აკეთებდა. ყველა მათგანი საქმისათვის ზრუნავდა და მასში თავის საკუთარ კეთილდღეობას და ლუკმა პურის მოსაპოვებელ წყაროს ხედავდა. თითოეული იმას ცდილობდა, რომ მათი შრომა

რაც შეიძლება ნაყოფიერი ყოფილიყო, მეტი სარგებელი და მოგება მიეღო. ამ მიზნით, „ახანაგობაში“ მოხელე, გამარჯული და კაცური კაცის ჩაბმა ყველასათვის ძალზე სასიამოვნო და საჭირო საქმე იყო.

დასაწურავად განკუთვნილ რკინის მადანს პირველად გაარჩევენ, მას მოაშორებდნენ „ნაერთო ევ.“ ნაწილებს: უბრალო მიწის, „ლახარს“ და სხვ. გაცხრილავდნენ, აგრეთვე. მას მადნის სხვა მინამატათაგან, რათა არ გარეოდარომელიმე უვარგისი და შეუფერებელი „ლითონი“ და არ გაეფუჭებია რკინა. მაგალითად, ისეთი „კილიანი“ ლითონი რომ ნირთვოდა, როგორც „გორგინდა“ იყო, რკინას სულ დაფშენიდა და „უსანდომოს“ გამოიყვანდა. გარჩეულ „ლითონს“ გიღლით იქვე მახლობლად მდებარე სანაყ ქვასთან მიიღვამდნენ, სამფეხა „სკამუქეებით“ 2—3 კაცი გარშემო ზოუსხდებოდა და დაუწყებდა „ლითონს“ ფშენას ამ ქვაზე, მალალთავიანი რკინის უროებით (საერთოდ, მაგარ „ლითონს“ ცერცვის სიმსხოდ ფშენიდნენ ხოლმე, შედარებით რბილ და დამიწებულ ლითონს ქვისავე როდინში ნაყადნენ მალალთავიანი ხის უროთი). დაფშენილ-დანაყულ ლითონს ცალ-ცალკე ყრიდნენ „სალითენე“ ბოყეებში და იქვე აწყობდნენ. როდესაც დანაყვას მორჩებოდნენ, სხვადასხვა მადნის ერთმანეთში „შერევას“ შეუდგებოდნენ. „შერევას“ თანაზომიერად და გარკვეული შეფარდებით ახდენდნენ. პრაქტიკული გამოცდილებით იცოდნენ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე და სხვასთან ერთად რა ღირსებისა და ხასიათის რკინის მომცემი და „გამომავლობისა“ იყო.


ამასთანავე, ისიც ვშენიერად იცოდნენ, თუ სხვადასხვა შეფარდებით ერთმანეთში შერეული ლითონიდან რა ხარისხისა და რაოდენობის რკინა უნდა გამოიღწარიყო. გამოცდილებითვე, ვარაუდით შეეძლოთ მიეღწიათ წონაზომის იმგვარი ეფექტიანობისთვის, რაც ხშირად სათანადო ხელსაწყობითა და საზომ-საწონი იარაღების დახმარებითაც ძნელია ხოლმე.

აზომვას უმთავრესად წყვით აწარმოებდნენ, იშვიათად კი აწონითაც. საწყაოდ იხმარებოდა პატარა ტანის „ბოყეჩა“ (ხის ქერქის კასრი), საწონად—ქვისა და რკინის აბრები. სამწუხაროდ, მათი აბსოლუტური სიდიდე და ფორმაც გაურკვეველია იმის გამო, რომ რეალურად ისინი უკვე აღარ არსებობენ. სასწორი მთლიანად, როგორც უღელი ისე ჯამები, ხისა იყო.

საინტერესოა, რომ მელითონეობაში სახმარი საზომ საწონის ერთეულების დამოწმება არ მოხერხდა. რაც შეეხება დასაწურავად განკუთვნილი მადნისათვის სხვა მადნეულის (სადლად, ან საერთომოდ) გარევის გარკვეულ იქნა ამ მხრით ცალკეული რკინის მადნის რაოდენობრივი დამოკიდებულება ამათუ იმ შესარეე მადნეულთან, რაც გარკვეულ პროპორციაში გამოიხატება.


მაგალითად, წითელი ლითონისა და „ფაშას“ შეფარდება იყო 2:1, ხოლო თუ მათ „ტუტუნსაც“ დაურთავდნენ, მაშინ შემდეგი რაოდენობით შეაზავებდნენ: $\frac{2}{3}$ წითელი ლითონი + $\frac{1}{3}$ ფაშა + $\frac{1}{3}$ ტუტუნი, ანუ 2:1:1. თუ წითელი ლითონის მაგივრად „აბრამას“ აიღებდნენ, შეფარდება იცვლებოდა, 4 წილი რომ „აბრამა“ ლითონი იყო, ერთი წილი „ფაშა“ უნდა ყოფილიყო, ე. ი. პროპორცია 4:1 უღრიდა.

როგორც ზემოთ ითქვა, ზოგიერთი რკინის მადანი შეურევლად იწურებოდა. ასეთი იყო „შავი ლითონი“, „დევინახშირა“ და სხვ. ამ შემთხვევაში მათ მხოლოდ „სადულ მიწას აკმევენენ“ დუღილის პროცესის გასაუმჯობესებლად და ამ ნიადაგზე წმინდა, სუფთა რკინის მისაღებად.



სურ. 47. „რუსული ცელი“, კინთიანი

აღსანიშნავია, რომ დასაწურად განკუთვნილი მადნის აწყვეას აწარმოებდნენ სხვა მიზნითაც, „კერძოდ“, სხვადასხვა ზომის „ლუგვი“ რკინის მიღების მიზნით. როგორც წესი, პირველ დაწურულ რკინას კვერებად დააგვარებდნენ. კვერები სხვადასხვა ზომისა იყო იმის მიხედვით, თუ რა რკინეული „ხელილის“ გაქედვა სურდათ მისგან. ამიტომ დასაწურავი რკინის მადნის რა-



სურ. 48. „ღაშნა“, ს. კიორიდან (რაჭა)

ოდენობა (ერთ ჯერად) განისაზღვრებოდა წინასწარ გამიზნული რომელიმე ნივთისათვის საყოფი რკინის სიდიდითაც. „რკინის კაცები“ ისე იყვნენ გაწაფულნი ამ საქმეში, რომ „თვალზონით“ ატყობდნენ რა რაოდენობის რკინა

უნდა გამოსულიყო დაწურვის შემდეგ ამა თუ იმ მადნიდან, ისე როგორც დაკვირვებული დიასახლისი ვარცლობის დროს მოსაზრებულ ფქვილს გამოსაცხობი პურის ხასიათით და რაოდენობით განსაზღვრავს ხოლმე. დაწურული და „კვერებად დაგვარებული“ რკინა წარმოადგენდა „საქედრი“ რკინის ფონდს და ინახებოდა ერთ ადგილას. დალაგებული იყო ოცეულეზად ზომაზე.

მადნის ასაღებად იხმარებოდა არნადის მაგვარი ხის ღიდი ხოპი, რომელსაც „ნავი“ ეწოდებოდა.

დაუმუშავებელი „უმი ლითონის“ და ნახშირის ასაღებად გრძელტარიან ნიჩაბს — „არნადს“ ხმარობდნენ ხოლმე.

ამგვარად, დასაწურავ რკინის მადანს წინასწარ ნაყავდნენ მაღალთავიანი რკინის უროებით ბრტყელ ქვაზე, ან ხის „ლუქიან“ როდინში.



სურ. 49. „ალახი“, ს. კიორა (რაკა)

დაფშენილ-დანაყოლ მადანს იღებდნენ „ნავით“ (ხოპით) და „სალითენე ბოყვებში“ (ღიდი ზომის ბოყვი) ათავებდნენ. ეს დამარავებული მადანი, „როგორც“ ითქვა, შემზადებული იყო პირდაპირ დასაწურავად ყველა პროცედურის (დაფშენა, შერევა, აწყვა) მიხედვით.


აწყულ „ლითონს“ რომ დამარავებდნენ, შემდეგ საწური ქურის ვამართვას და მასში ცეცხლის გაჩაღების თაღარიგს შეუღებოდნენ. ცხადია, სამუშაოთა თითოეული სახე დროის გარკვეულ ინტერვალს მოითხოვდა, მაგრამ ეს ყველაფერი ისე იყო ერთმანეთთან გადაბმული, რომ ძნელია ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ზუსტად იმისი დადგენა, თუ თითოეული ამ საქმის შესრულებას რამდენი დრო და ხანი უნდებოდა.

მუშაობის დაწყების დროს, პირველ რიგში, ბრძმელების „მოფალვას“ (მოსუფთავებას) იწყებდნენ. საფალავად ნაძვის ტოჭებისგან შეკრული ცოცხი იხმარებოდა. ამის შემდეგ საბერველს მომართავდნენ. ბრძმედს გულზე სველი ნახშირის „რეშა“ (განაცერს) მოუფენდნენ და ზედაც „ხოროშ“ (მსხვილი) ნახშირს დააყრიდნენ.

ცეცხლს დაანთებდნენ. საბერვლიდან ნელა, მძიმედ დაუბერავდნენ. ცეცხლი რომ ვალევიდებოდა, მას თავზე „ნავით“ ან „ბოყვით“ აწყულ „ლითონს“ დაურთავდნენ, რასაც „ლითონის დარავება“ ეწოდებოდა. დარიგებულ „ლითონს“ კვლავ ნახშირს მიაყოლებდნენ და ძლიერად დაუბერავდნენ ორპირ სა-

ბერვლებიდან. ამ დაბერვისთვის საჭირო იყო გამოცდილი მცოდნე პირები (ორიდან ოთხამდე), რომელთაც რკინის დაწურვის განმავლობაში დაუსვენებლად „ხელაწყოებით“ (რიტმიულად) უნდა ეწარმოებიათ საბერვლებიდან ბერვა.

საბერვლიდან დაბერვა განუწყვეტელი, შეუსვენებელი უნდა ყოფილიყო, ვინაიდან ეს გავლენას ახდენდა წურვის ნორმალურ მსვლელობაზე და თვით მრღებულ რკინის ხარისხზე. ამიტომ ამ საქნარს სათუთად და მორიდებით ექცეოდნენ. „საბერველი დაბერვა ერთოფ საჩველი იყო, რომ არ ჩაგვიძინებოდა ხანდახან ჩაულიდინებდით საბერვლის ლექსს: „საბერველო, არჩვისაო! ხელპირებო ცაცხვისაო. ძროგბო ნალოპრისაო, ნახშირო წვერუკნისაო, მიწა ონქურისაო, აყალო ბანეთისაო, ლითონო ქეწითლისაო, ჩაწურე საორხლისაო“. ერთახე ხელი რო აგშლოდა, ქვე კი ვერ გადურჩებოდეყე ძველ კაცებს.




სურ. 50 „საყუე“ გურიდან (საქ. მუხ. კოლ., № 61—39—18)

ქვეც. არასქ ტყუოდენ. მაწინევე შეატყობდნენ შტვირით, ქვე კი არაფერი გამოეპარებოდათ საბრალოებს. საწური საბერვლები ერთობ მძიმე იყო, ვიჯედით ორი კაცი და ხელაწყოებით უბერავდით. ქულბაქს თავს ადგნენ კაცები—რკინის მოხელები, და დაჩერებოდნენ რავე იწურებოდა, თუ რამე ხელი შეწყობა უნდოდა“ (ლუკა მაისურაძე, სოფ წედი). ამ შეთვალყურეებს და ხელის შემწყობთ, რომელთაც სხეებზე მეტად ესმოდათ ლითონის წურვის საქმე, „ლითონის“ || „რკინის მოხელები“ ეწოდებოდათ. როგორც დაბერვა ყველას არ შეეძლო, ისე ეს საქნარი განსაკუთრებულ დახელოვნებას და დიდ პრაქტიკულ ცოდნა-დაკვირვებას მოითხოვდა. ფაქტიურად, ამ ცოდნას ორი წყარო ასაზრდოებდა: წინაპართ მიერ გაკვალული გზით მომდინარე დიდი პრაქტიკული გამოცდილება და ამ ნიადაგზე პირადი დახელოვნება და ნიჭი. „—ასი მ:მა იქნებოდა, რომ ასე წარმოებდნენ. ჩვენც იმათ გზაზე მივდევდით და დაწყვიდან ამ რკინუკათი ვკამდით“ პურს (ტონია ბასიანის ძე მაისურაძე. სოფ. ქვედი).


„რკინის მოხელე“ კაცს ხელში ეჭირა „ფეთხი“ (საჩბრეკი ჯოხი, რკინისა) და დასტრიალებდა ქურას. „ფეთხი“ შტვირის „პირისახოცი“ (მოსაწმენდი) იარაღი იყო, რომელსაც ხის მრგვალი ტარი ეგო. პირი ჰქონდა რკინისა, ნიჩბის მსგავსი მოყვანილობის. წინისკენ წაწვდილი და ბეჭებ ვაშლილი „სარჩილი“, ანუ სატარე პირმოყეცილი ჰქონდა. ერთიანი რკინის „ფე-

თხი“ მძიმე და უმარჯვო იყო. რაც მთავარია, ცეცხლთან ხანგრძლივი ხმარებით ისე ხურდებოდა, რომ ხელის მოკიდება უძნელდებოდათ. ხის ტარი და რკინის პირი „ფეთხად“ გონივრული იყო. რკინის წურვის დროს გავარეარებული „გამთხლეული“ რკინის მასა სწორედ შტეირის ცხვირწინ ჩუხჩუხებდა. ამის გამო საწური ქურის საბერვლის შტეირს ხშირად ედებოდა პირზე რკინის სქელი „ტუტუნი“ (რკინაწიდა) და უხშავდა ჰაერს კარხ. ამის შედეგად შტეირი „გულს ამოიესებდა“ (დაიხშვოდა) და საბერველს „სულის ბერვას შეუხუთავდა“. წურვას რომ ამით ხელი არ შეშლოდა და ბრძმედში ცეცხლის სიმბურ-



სურ. 51. „ხაფანგი“, მახე (საქ. მუხ. კოლ., № 62—39/26)


ვალე გაუნელებლად მდგარიყო, საჭირო ხდებოდა შტეირის პირის მალ-მალე „მოხოცვა“ (მოწმენდა) და მისი განთავისუფლება ამ ქუქყისაგან. ეს საქმე „ფეთხის“ საშუალებით სრულდებოდა. „რკინის მოხელეთ“ ფეთხი ხელში ეკი-რათ და პერიოდულად შტეირს „პირს“ უწმენდნენ.



სურ. 52. მუჯირა (ს. წესი, ხ. რაქა), საქ. მუხ. კოლ., № 62—39/36

ძლიერი და მხურვალე ცეცხლის ძალის ზეგავლენით, ქურის „სალითენე“ ფილში (ბრძმედში) ჩარიგებული ლითონი იწყებდა ლღობას და თანდათან თხიერი ხდებოდა. ამ დროს მისგან გამოიყოფოდა სხვადასხვა „ნაერთობევი“ ნივთი-ერება და ქუქყი, რადგანაც უწინარეს ისინი იწყებდნენ ღნობას და გათიშვას.

„წმინდა რკინა შედარებით უფრო გვიან დნებოდა და „იწმენდდა პირს“. რკინის განთვისება რომ უფრო ეფექტური ყოფილიყო, თხიერი ლითონი მალ-მალე უნდა გაეწმინდათ ყოველგვარი წილისაგან. ბრძმედში ჩ.წოლილ გამდნარ რკინას უვარგის მინაერთებს აშორებდნენ ფილში დატანებული საგანგებო ხერხელის გზით: ადრულბული ლითონისათვის ზემოთგან თავის მოწმედა, ანუ „თავის მოხდა“ ტექნიკურად შეუძლებელი იყო, რადგანაც ლითონის მასას თავზე ცეცხლი ენთო. ამ პირობებში მისი გასუფთავება მხოლოდ ნაპირიდან




სურ. 53. კვესი, ს. ლები (რაკა)

შეიძლებოდა. სწორედ ამ მიზნით, როგორც ითქვა, ბრძმედს გვერდზე დატანებული ჰქონდა სადინარი ხერხელი, რომლითაც ლითონისგან გამოყოფილი წიდა, ანუ „ხარჯი“ გარეთ იღვრებოდა. ამ წიდას სხვადასხვა სახელი ეწოდებოდა: „ხიპი“, „ტუტუნი“, „ხარჯი“, „ხინჯი“, „რკინაწიდა“ და სხვ. ეს დაგროვილი კუქი რაც შეიძლებოდა მალ-მალე უნდა გაცლოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი სასულეს, საიდანაც ცეცხლი „სულს ითქვამდა“, გაეხირებოდა, დაახშობდა და მით დაირღვეოდა თანაბარი სიმხურვალე ბრძმედში. მეორე მხრით ეს წიდა ფილში „თვისად“ ჩაწოლილ გამდნარ რკინის მასას გარსაგებევით შემოუვლიდა, შემდეგ გულში გაუჯდებოდა და გააფუჭებდა მის. ეს გარემოება

გათვალისწინებული ჰქონდათ და, როგორც კი ამგვარი „ხინჯის“ დაგროვების შეამჩნევდნენ, ხერელში „საჩხვერსა“ ჰკრავდნენ და დაგროვილ ქუქქს გზას გაუკვალავდნენ.


„საჩხვერი“ წარმოადგენდა მარტივ იარაღს. იგი ორი ნაწილისაგან შედგებოდა: წვერისა და ტარისაგან. წვერი რკინისა იყო, შუბისებური, გრძელი და წვეტიანი. ტარი—ხისა, მრგვალი და ბოლომოკაული. „საჩხვერი“ ეწოდებოდა აგრეთვე მეორე იარაღს, რომლითაც აწარმოებდნენ გამდნარი მად-



სურ. 54. დანა წელსაიდი, ს. ლები (რაჭა)

ნის—„ლუგვი რკინის“ გასინჯვას ფილში, იყო თუ არა იგი „მოსული“ (წურვა ამოთავებული). ეს უკანასკნელი წარმოადგენდა უბრალო, თავებმომორილ მსხვილ ჯოხს (რომლის სიგრძე დაახლოებით უდრიდა 1,5 მეტრს). ჩვეულებრივად საჩხვერით სინჯავდნენ „ლუგვი რკინის ზეგულს“, რასაც „მობეგვა“ ეწოდებოდა, თუ რკინა „მკვიდროდ“ დაუხვდებოდა საჩხვერს.

იგი პირშეკრული და შედუღებული იყო. თუ „ლაილად“ (რბილად) დახვდებოდა—რკინა „შემუდგარი“ და „მოუსვლელი“ იყო, ე. ი. წურვის პროცესი ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული. ამ შემთხვევაში—განელებულ ცეცხლს ბერვას შეუბრუნებდნენ და წურვას ბოლომდე განაგრძობდნენ.



სურ. 55. „მარცაბი“, „ბოძალი“

როდესაც პირეელი წყება „დარიგებული ლიხონი ჩამოვიდოდა“ (დაიწურებოდა), მეორე წყებას „დაურიგებდნენ“ და ამ წესით წურავდნენ მთელ მადანს გამოლევაამდე.


საყურადღებოა, რომ რკინის მოხელენი „საწურ ქურაში დარიგებული ლითონის ჩამოსვლას“ (წურვის დასრულებას) ცეცხლის ალითა და შტვირის საშუალებით ატყობდნენ და „საჩხვერის“ საშუალებით ამოწმებდნენ. წურვის მსვლელობისა და დასრულების უტყუარ, საიმედო „სანიშნოდ“ შტვირის ბოლო მიაჩნდათ, რომელიც ამ დროს არაჩვეულებრივად და ცხოვლად ვარვავა. 6. მკვდლობა რაჭაში

რება. ცეცხლის „ენა“ და შუქი სხვაგვარ ფერს გამოსცემდა, ნაპერწკალთა „მოწყვეტა“ და ცომციმი სხვანაირი იყო. ყველა ეს „სანაწნო“, რკინის კაცების ღრმა დაკვირვებით, რკინის წურვის პროცესში ერთგვარ ხელსაწყო საზომების მაკიერობას ეწეოდა.

ცხადია, დახელოვნება აქაც დიდ როლს თამაშობდა. გარეშე ამისა, შეუძლებელი იქნებოდა ეკოდენ რთული და სერიოზული საქმის—ლითონის დაწურვის ოპერაციების ჩატარება მხოლოდ „თვალზომასე“ დაყრდნობით.

დასასრულ. როდესაც აწყული ლითონი მრალიანად ჩამოილეოდა ქურაში, ბერვას შეწყვეტდნენ, გააჩერებდნენ საბერველს. წურვა დამთავრებულად ითვლებოდა. შემდგომ ამისა, უკვე მოეშალათ საცეცხლო. „ოშლა“ ეწოდებოდა გახურებული ბრძმედის გაგრილებას და იქიდან ჩაწურული რკინის „ლუგვის“ აქოლებას.

ვინაიდან ქურასთან ახლო მისელა შეუძლებელი იყო დიდი სიმხურვალის გამო, მას ჯერ წყლით მოაპყურებდნენ, რასაც „მომჩქეოევა“ ეწოდებოდა¹. გაგრძელების შიდა ბრძმედს გულზე ცეცხლსა და მხურვალე ლეველს „მოაკარებდნენ“ (მოაშორებდნენ), ნაცარსა და სხვა წილას არყის ცოცხით „გაფალავ-



სურ. 56 ასტამი, ს. ჰიორიდან (საქ. მუხ. კოლ. № 63—39—25)

დნენ“ (გადაწმენდნენ; და ყოველივე ამის შეკვლე შეუძლებოდნენ ბრძმედიდან ჩაწურული რკინის—„ლუგვის“ ამოღებას, რასაც „ლუგვის მოწვდა“ ეწოდებოდა².

„ლუგვის“ ამოსაღებად იხმარებოდა რკინის კეტი და საგანგებო მარწუხი—„კაარწუხი“ (სურ. 14). „რკინის კეტი“ წარმოადგენდა სატეხისებურ, ხის ტარის მქონე სამუშაო იარაღს, „კაპარწუხი“ „ხახინურად“ გადაწმულ ხის დიდი ზომის მაწუხს, რომელიც საგანგებოდ იყო გაშართული რკინის საყრობად ერთი ამგვარი მარწუხი ჩამოტანილია ჩვენ მიერ სოფ. წელიდან 1939 წელს და დაცულია ამჟამად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ლითონის საფონდო კოლექციებში № 63—39 (სურ. 14).


წურვის მსვლელობის განმავლობაში „რკინა-ლითონი“ თანდათან იწმინდებოდა „ნაერთობეკ“ ნივთიერებათაგან, მაგრამ საეცებით ტანდაწმენდილი

¹ წვლის სხურებას ნაკვის „ფრიზინსაგან“ (ტურები) შეკრული ცოცხით — „სამაქვლევი“—თ აწარაობდნენ, ხოლო ცეცხლს გადასაცლელად იყენებდნენ ხის ნიჩაბს—„ფეთხს“.

² მოწვდა საბას განმარტებული აქეს: ვითარცა კმალი ამოღებულა; მოწვდილი ღწნა და ნორიო იაფებოდეს“ ლექსიკონი. ეთნოგრაფიული მასლები იგი უფრო ფართო ცნებაა და ნიწნავს ამასთანავე ოსმე მოთბრას, ამოღებას. მაგალითად, ბოძის მოწვდა, კბილის მოწვდა და სხვა.


ჯერ კიდევ არ იყო, წმინდა რკინობამდე კიდევ ბევრი უკლდა მხოლოდ შემდგომი გადადნობით და დამუშავებით იხევეებოდა საესებიო მისი „გვამი“.

ამრიგად, რკინის „ლუგვის“ მოწყდას და მის ბრძმედიდან „ამოსვენებას“ საგანგებო ხელსაწყო იარაღი სპირდებოდა: რკინის კეტი, „კამარწუხი“. რკინის კეტს დაუგდებდნენ, მარწუხს ჩაავლებდნენ და „ამოსვარდნენ“ ხოლმე „ლუგვს“. ბრძმედიდან გადმოღებულ რკინის ლუგვს ახლა „დაბეგვა“ სპირდებოდა. ამ



სურ. 57. საეცური, ს. კიორიდან (რაჭა)

მიზნით მას იქვე მდებარე ქვის გრდემლზე შესდებდნენ და უწყებდნენ ბეგვას. ქვის ამ გრდემლს, რომელიც ბრ უყელპირიან, უბრალო სქელ ქვას წარმოადგენდა, „საბეგური“ ეწოდებოდა. „საბეგურად“ იყენებდნენ ადგილობრივი, მ.გ. არი ჯიშის ქვას, რომელიც გამძლე, ამჩანი და ურღვევი იყო. რკინის მოხელეს ხელში ეჭირა გადმოღებული ლუგვი რკინა კამარწუხით, გარშეხო ედგენ „ძეგრო-




სურ. 58. ვარტლის ხოწი, ს. სორი, რაჭა

ნი“, 3—4 კაცი, რომელთაც ეჭირათ მალათაიანი ხის უროები და ბეგვდნენ ლუგვს. ხის უროს, ცეცხლი რომ არ გაჩენოდა, მალ-მალე ასველებდნენ წყალში, რომელიც გვერდს ედგათ „ჯიროლით“—დიდა ღრმა გობით. რკინის მოხელე, დროდადრო, ლუგვს „პირს აუქცედა“ (სხვადსხვა მხრით შეაბრუნებდა) და ისე მიუშეგრდა მეუროეებს, რომელნიც „ხელაწყობით“ და თანრიგით სცემდნენ მას უროს. რკინის ლუგვის ანგვრად დამუშავებას „კუთხვა“ ეწოდებოდა, ხოლო უროთა ცემას საკუთხავიდ—„ბეგვა“, ანუ „შეშვა“. ბეგვ-

დენ და თან კუთხავდენ, რათა რკინის ლუგვიდან უვარგისი და წყლიანი ნაწილი გამოეწურათ.

„გამთხლეული“ რკინის ლუგვი კუთხვის მსვლელობისას თანდათან სქელდებოდა და ბოლოს „შედგებოდა“ ხოლმე. ბეგვის დროს ლუგვს სცივოდა ერთგვარი შავი ფეკილი, რომელსაც „ხვარხვალი“ ო „ქერცილი“ ეწოდებოდა. ასევე, დაკუთხვის შემდეგად გაეარვარებულ რკინის „ნამთხლევს“ შორს უცვიოდა „ნაშინშხალი“ (ნაპერწყალი). მას რომ მუშა არ დაეზიანებინა, სახეზე იფარებდნენ ხის ქერქის ან თხელი ფიცრის „სათვალეებს“.

ამ წესით „დაბეგვილი“ და „გაკუთხვილი“ რკინა ჯერ კიდევ საპირობდა „დაწებნდა“-„დადლებას“ და შემდგომ გადამუშავებას, ვინაიდან იგი ჯერ კიდევ „ლუგვ რკინას“ წარმოადგენდა. ერთი საფეხური კიდევ უნდა.



სურ. 59. „ჩასახეველა“, ასტამი, ს. სადმელიდან

გაეარა, რომ „საქედური რკინა“ გამხდარიყო¹. ამ საქმისათვის კვლავ „საწური“ ქურა შეუფერებელი იყო. ამიტომ გადადნობას სხვა სადულ ქურაში აწარმოებდნენ, რომელიც იმავე „ქობ-სამქედლოში“ საწური ქურის გვერდზე იყო ვამართული.

„ლუგვი რკინის“ გადადნობა შედარებით მარტივ საქნარს წარმოადგენდა. როგორც ითქვა, გადადნობა მიზნად ისახავდა დაწურული ჩონჩხი რკინის მთლიანად დაწმენდას და მისგან ხალასი, წმინდა რკინის მიღებას. წედური რკინის დამუშავების მსვლელობაში ეს უკვე შემდგომ საფეხურს წარმოადგენდა, რკინის დადნობის ტექნიკური წესები და საშუალებანი მხოლოდ ზოგიერთი ძხრით განირჩეოდა რკინის „დაწურვის“ ხერხებისაგან.

ლუგვი რკინის გადადნობის დაწყებას წინ უძღოდა ორი სამუშაო: პირველდაწურული რკინის ლუგვის დაფშვან-დამტკრევა და სადნობი ქურის გამოწყობა. ლუგვი რკინის მთლიანად ჩასმას სადნობ ქურაში აზრი არ ჰქონდა², ვინაიდან, რკინის მოხელეთა დაკვირვებით, ამ შემთხვევაში ლუგვი რკინის გული და კანი სხვადასხვა ზომით ხურდებოდა. ლუგვ რკინას კანი ისე შემოეწვოდა, რომ „გული“ „მოსვლას“ ვერ ასწრებდა. კანი რომ „გამოცხ-

¹ Воскобойников, დასახ. ნაშრ. გვ. 53.

² ტექნიკურადც მთელი ლუგვი რკინის მოთავსება სადნობის ბრძმედში ყოველთვის არ ხერხდებოდა.

გებოდა“, გული ჯერ კიდევ „უმი“ იყო. ერთი სიტყვით, ამ სახით დნობის წარმართვა ფუქ შრომას წარმოადგენდა. დაუწყვრილებლად ბრძედნი ჩისმული რკინა, რაც არ უნდა ხელზარავდნენ ედნოთ იგი, მინჯ „გაერწებოდა“ და „უგამომავლო წილად იქცეოდა“ (ორივე ეს ტერმინი — „ბირწი“, „უგამომავლო“ ერთი და იმავე ცნების „უნაყოფოს“, „უხე ვრიელის“ მნიშვნელობითაა ნახმარი და არსებითად რკინის დნობის გაცულებას გულისხმობს). ამიტომ გადასადნობ რკინის „ლუგეს“ წინასწარ ფშენილნენ წერიალად ცალთაეიანი რკინის ჟროთი. ამას „ლუგვი რკინის“ „დაჩეკვა“ ეწოდებოდა, ხოლო რკინის ჟროს, რომლიათაც დაჩეკვას აწარმოებდნენ — „რკინის ს.ჩეკი“ ერქვა. იგი ცალთაეი. ნი იყო, ტანი კუთხედი და წვერი წამახული ჰქონდა.

დაჩეკილ რკინას აიღებდნენ და პირდაპირ „დაურიგებდნენ“ სადნობის ბრძედში. რომელიც საამისოდ უკვე გაწაფული იყო. როგორც ეს წურვის დროს საწურ ქურაში ხდებოდა ხოლმე. ბრძედს დაასუფთაებდნენ, ახალ ნახშირის „რემს“ მოუფრინდნენ და შემდეგ „მიურიგებდნენ“ დამტერეულ „ლუგეს“, რომელიც გადადნობის შემდეგ ისევ „პირს შეიკრავდა და დიდი პურივით ჩაჯდებოდა ბრძედში“. დამუშავების ამ საფეხურზე „ლუგვი რკინა“ ხნეს „ცვლიდა“ და ტანმოქნილი ხდებოდა.


როგორც ზემოთ ითქვა, წედური რკინის დამუშავებისას ნაირი ხის ჯიშის ნახშირი იხმარებოდა. ამის კვალობაზე, ნახშირი იყო: „მაგარი“, „ზომიერი“, „რბილი“. რკინის დაწურვის დროს უმჯობესად იყო მიჩნეული „მაგარი“ ნახშირი, გადადნობისას — „ზომიერი“. პირველი „ხრავდა“, უზომოდ წვებდა ცეცხლში რკინას, გადადნობის მიზანი კი „ლუგვი რკინის დაწმენდა“ და მისგან არარკინეულის გამოყოფა იყო.

სადნობი ნახშირი სპეციალურად ნაძვისა და იფნის ხმელი რტოებისაგან მზადდებოდა. ჩანს, წედური რკინის დამუშავების პრაქტიკაში, საერთოდ, კარგად ჰქონდათ შეგნებული ნახშირის როლი და მნიშვნელობა რკინის დაზადების საქმეში.

დნობის მსვლელობის პერიოდში, „რკინის მოხეღე“ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა რკინის გაწმენდას ნაერთობევი ნივთიერებისაგან, რასაც „მოხალიწება“ ეწოდებოდა. რკინის დაწმენკების ეს პროცესი გარკვეულად მეტად წააგავდა „ხელადის“ გაქედვის სანუწაობეს. „შემდგარი“ (გაერთებული) ლუგვი რკინა ხშირ-ხშირად ვადმოჰქონდათ ქურიდან და წურავდნენ მისგან თხიერ წილას.

რკინის გადადნობას 2—3 საათი დრო უნდოდა, დაწურვას კი 5—6 საათი სჭირდებოდა¹.

ცხადია, მათ არაერთარი ტექნიკური საზომები, გარდა შრომითი ჩეგვებისა და საწარმოო გამოცდილებისა, არ გააჩნდათ, მაგრამ საამისოდ ისეთი



სურ. 60. „სამკერე“, ქ. იონიდან

¹ Padde, დაახ. ნაშრ., გვ. 188.

თავისებური „სანიშნოები“ ჰქონდათ, რომლის მეოხებით თითქმის შეუშცა-
რად და ჩვეული გონება-გამჭირახობით აღწევდნენ რკინის სამუშაოების ჩა-
ტარებას.

გადადნობის პროცესის დასრულების შემდეგ რკინას კიდევ აკლდა ზო-
გი რამ, კერძოდ, საჭირო იყო „გაღულება“. გაღულება არსებითად წარმოად-
გენდა მესამე ფაზას რკინის დამუშავების მსეულელობაში, ვინაიდან მთავარი იყო
გადადნობის შედეგად „რკინის ზნის ცელა“ განმტკიცებელიყო შინაგანად,
„დამჯდარიყო და ჩამოქნილიყო“ რკინა საბოლოოდ.

ნახშირს ამ შექმნევაშიაც დიდი ყურადღება ჰქონდა დათმობილი. რკი-
ნის გადასადულებლად ახლა „ზომიერის“ ნაკელად „რბილ“ ნახშირს ხმა-
რობდნენ.

სადნობ ქურაში რკინის მიბრუნებას ის მიზანი ჰქონდა, რომ მას „ტან-
მოქნა“ და „მოყვანა“ აკლდა. ქურაში მიბრუნებული „რკინა“, ახალი და სხვა
ხასიათის ნახშირის გაელენით, იწყებდა გამოსრობა „გამოშუშებას“; თან „ტან-
მრთელობას“ და სიმტკიცეს იძენდა — რკინის ტანზე დარჩენილი გახსნილი ადგი-
ლი და ყველგვარი ფურჩი (გარღვეული, გაბზარული) ამ დროს „პირს იკრავ-
და და მიამთელდებოდა ერთმანეთს“. ამ პროცესს „რკინის გაღულება“ ეწო-
დებოდა, გაღულებას 1—2 საათი დრო სჭირდებოდა. აქის შემდგომ გაღულე-
ბულ ლუგვ რკინას გაღმობდნენ, რკინის გრძელზე შედგდნენ და რკი-
ნისავე უროებით დაუწყებდნენ ცემას, რასაც „რქენა“ ეწოდებოდა. რკინის რქენა
განსაკუთრებულ დახელოვნებას, „ხელმარჯვედ“ ცემას მოითხოვდა. ყველას არ
შეეძლო ხელაწყობილი ცემა კვერისა, უამისოდ კი მეუროვეს ხელი ბეშლე-



ურ. 61. შამფური—ხათრიკი, ს. კიორიდან (რაჭა). საქ. მუხ. კოლ., № 63—39—57

ბოდათ და რიტმი დაირღვეოდა. რქენის შედეგად რკინა „მოღგებოდა“, ე. ი.
„მოშწიფდებოდა“. ამას რკინის „მოქნა“ ეწოდებოდა. მოქნილ რკინას უკვე
ჰქონდა ლუნვის, ანუ „გაღვერვის“ უნარი. ხმელი, „ყინჩი“ რკინა „მოტყდე-
ბოდა და იქცეოდა „ძარღვიან და მიმყოლ“ რკინად.

მეუროვედ ხუთ კაცზე ნაკლები არ ივარგებდა, რადგანაც გახურობული
რკინა 2—3 კაცს ხელში შემოაცივდებოდა, „რკინის მოშწიფებას ეს ხელს
შეუშლიდა“. ერთჯერ გახურობა რკინის გასრულებისათვის, რა თქმა უნდა,
საკმარისი არ იყო და მას რამდენიმეჯერ მიაბრუნებდნენ ხოლმე.

გრდემლის გარშემო „მეურთვენი“ იდგნენ და ხელაწყობით სცემდნენ საკვერავ რკინას, რომელიც მოხელეს „ხორხმარაწუხით“ ეჭირა და პირს უქცევდა გრდემლზე. რკინის წახელე მუშაობის მსვლელობაში მეურთველებს წამახალი-სებელი სიტყვებით მიმართავდა: „აბა, ბიჭებო, ერთი კაი ურო!“ — ისინიც არ დააყრვნებდნენ და მალა შემართულ უროს ძირს დასცემდნენ რკინის „დასარქენად“, დაიწყებოდა „რაწკა-არუწკი“.

„რქენის“ დროს დარღვეულ რიტმს სწრაფად ამჩნევდა ხელოსანი და ახლად აუწყობდა მათ ხელს. ერთი „მეურთვე“ რომ უროს დაჰკრავდა, მეორე ატყობდა თავად სად უნდა დაეჭყა და რა ზომით. მოხელეს მარცხენა ხელში „ხორხმარაწუხით“ რკინა ეჭირა, მარჯვენაში — პატარა რკინის კვერი, და მისი დახმარებით აგებებდა რქენის ტაქტს. ამისათვის ხმარობდნენ პირობით ნიშნებს, ისე როგორც ეს საერთოდ კოლექტიური საშუალების შესრულების დროს სხვა შემთხვევაშიაც გვხვდება ხ.ა.შ.

დასასრულ, როდესაც რკინას საკმაოდ „დარქენდნენ“ ამ წესით, დაათვლებდნენ და კვირებად „დაგვარებდნენ“ (გამოიყვანდნენ), ამას „დაკვერვა“ ეწოდებოდა. დაკვერვას აწარმოებდნენ რკინის ხელკვერით, რომელიც საცემ უროზე პატარა ტანისა იყო და მისგან სახითაც განირჩეოდა.

კვერვა მოთავებული რკინა უკვე ყოველმხრივ მოსრულებული იყო, როგორც მასალა. ამიერიდან მისგან შეიძლებოდა გაქედილიყო ყოველგვარი რკინეული, ამიტომ დაკვერილს და გამზადებულ რკინას „საქედური რკინა“ ეწოდებოდა.

ამით სრულდებოდა რკინის დამზადება, რომელიც სქემატურად შემდეგ ძირითად მომენტებს შეიცავდა: მადნის მოპოვება, გადაზიდვა, ნახშირის დამზადება, მადნის საწურავი ქულბაქების გაწყობა, დაწურვა, გადაღობა, გადუღება, დაკვერვა.

ამგვარად, რაჭის „სარკინეთს“ მუშაობამ ძველი ქართული მეტალურგიის მრავალი საყურადღებო ფაქტი გამოავლინა. კერძოდ, დიდმნიშვნელოვან კულტურულ მონაპოვარს წარმოადგენს ის გარემოება, რომ „წედური რკინის“ დამზადების პრაქტიკაში ადგილი ჰქონდა, მაღალი ხარისხის რკინის მიღების ნიჰნით, საგანგებო სადუღის „ფაშას“ (მარგანეცი), „ტუტუნისა“ და „სადუღი მიწის“ გარეგან დასაწურავად განკუთვნილ რკინის მადანში. ეს წესი ნათელს ხდის ძველად ქართველ ტომებში — მოსინიკებსა და ხალიბებში დამოწმებულ ლითონის დამზადების საიდუმლოებას.



სურ. 62. საქება, ს. კიორა, რაჭა, საქ. მუხ. კოლ., № 63-351/6

თავი მეოცე


რკინის ჭიშკა სარკინითა და რაზის სხვა თემებში

1. სამკედლო ნაგებობა, ჭურა და საბერველი. სამუშაო იარაღი და ხელსაწყო

რაკის „სამკედლო ქოხი“, უკანასკნელი ხანებისათვის, თავისი აგებულე-ბითა და შინაგანი გამართულობით განსაკუთრებულ ნაგებობად „შრამელად“, არ ჩაითვლება. იგი ჩვეულებრივი სახლია, რომელსაც წინა მხარეზე აქვს ფართო სარკმელი „დარაბით“. როგორც სხვა საცხოვრებელი და სამეურ-ნეო ნაგებობა, იგი შეიძლება იყოს: ქვითკირის, აგურის და ხისა. ამ მხრით ეს სამკედლო საქართველოს სხვა კუთხეებთან თანაზიარი სახითაა წარმოდგე-ნილი და ტიპიური თავისებურებით არ ხასიათდება.

სამკედლო ქოხის შუა ადგილას გამართული იყო სამკედლო ჭურა თავისი საბერველითა და სხვა მოწყობილობით, ყველა საქირო იარაღითა და ხელსაწყოთი.

რაკის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებულია საბერველის ორი ტიპი: შინაური, ანუ „ქართული“ და სხვაგნითური, ანუ „რუსული“. პირვე-




სურ. 63. „ჩანჯალი“, ხორციის ამოსაღები

ლი ორპირია და განზე იწევა — აქეთ-იქით, მეორე „ცალპირია“ და ზევით იწევა — აღმა-დაღმა. ქართული საბერველით დაბერვა მხოლოდ ზეზეურად შეუძლია კაცს, რუსულისა, ამასთანავე, მჯდომარედაც. ამ მხრით, მეორე პირ-ველზე მარჯვია. სამაგიეროდ, პირველი ბერვის ძლიერებით უკან იტრეებს ქოხს. ძალა და ღონე ბერვისათვის მას გაცალებით მეტი შესწევს. ამასთანავე, მათ შორის უფრო არსებითი განსხვავებაა: „რუსული საბერველი“ შტეირიდან „სულის“ ბერვას წყვეტილად აწარმოებს, ქართული საბერველი უწყვეტლად. რაც მთავარია, პირველს სულის მოსათქმელად მხოლოდ ერთი ასულე აქვს, საიდანაც ჰაერის „შეყრა“ (შესუტვა) დროგამოშვებით წარ-

პოებს. ამის შესაბამისად საბერევილი და ჰაერის „გაყრა“ და შტეირში „სულის ფეიქვა“ წყვეტულ, ნახეარ ტალღად მიმდინარეობს, მეორე ამ მხრით პირველისგან დიამეტრალურად განიოჯეა. სულის მოსათქველად ერთის ნაცელად ორი სასულე გააჩნია, საიდანაც ჰაერის „შეყრა“ დროვამოუშვებლად ხდება. ამის შესაბამისად საბერევილიდან ჰაერის „გაყრა“ და შტეირში „სულის ფეთქვა“ სრულ ტალღად მიმდინარეობს.

მეორე მხრით, „ქართული საბერევილი“ იმ მხრითაცაა საყურადღებო, რომ „საქედური საბერევის“ ეს უკანასკნელი ტიპი თავისი მოწყობის შინაგანი პრინციპებით ძირითადად განეკუთვნება „საწური საბერევის“ ზემოაღწერილ წედურ ტიპს (სურ. 4).



სურ. 64. „წისკვილის რკინა“, ატი

აღსანიშნავია, ამასთანავე, ის ფაქტი, რომ „ქართული საბერევილი“ საკუთარ ცალკე დამბერეველს მოითხოვს, რადგანაც ისეა გამართული, რომ მას ორივე ხელის ხმარება სჭირდება და, მეორეს მხრით, დაბერვა მხოლოდ ერთი განსაზღვრული ადგილიდან შეიძლება, სადაც ფეხმოუკვლელად უნდა იდგეს დამბერევილი.


ამ მხრით „რუსულ საბერეველს“ ნეტი გასაქანი აქვს. მისთვის საკუთარი დამბერევილი აუცილებელი არ არის. ქურას მიმდგარ შვედელს, მარტოხელიც რომ იყოს, შეუძლია თავადვე დაუბეროს ცალი ხელით, ხოლო მეორე ხელი ერთდროულად ქურასთან სამუშაოდ მოიხმაროს.

აღბათ, ეს გარემოება გახდა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ქართული საბერევილით გაწყობილი სამუდლო ქურები ძლიერ იშვიათად გვხვდება.

სამუდლო შრამელი, როგორც წესი, „თვალადგილას“ კეთდებოდა, — იქ, სადაც მთავარი სამომსვლო გზები, თემშარები და გზაგასაყარნი უვლიდა ხოლმე. სარკინეთის სამუდლოები, რომელნიც უმთავრესად სოფლებში იყვნენ გამართულნი, საუბოვრებელ სახლ-კარიდან განცალკევებით იდგა, უფრო გზის პირად. რომ მისადგომი ყოფილიყო ხარ-მარხილისთვის.

შესაძლებელია, სამუდლოების უპირატესად გამოსაჩენ ადგილებზე დაფუძნებას ის მიზანი ჰქონდა, რომ დაეცვათ სახლ-კარი ცეცხლისაგან და ასე.

ვე იმ კუქისა და ნაგვისაგან, რომელიც სამქედლოებში დიდი რაოდენობით ცვივა. მეორე მხრით, საფიქრებელია ალებ-მიცემობასა და სხვა ამბებს ითვალისწინებდეს. ამგვარი რამე დასაშვებია და საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს იმიტომ, რომ სამქედლოსათვის ასეთი „თვალდადგირი“ მართლაც



სურ. 65. „საცორელა“, ს. საღმელიდან (რაქა)

ხელსაყრელი იყო ეკონომიური თვალსაზრისით, ვინაიდან „ამავალ-ჩამავალი“ და, საერთოდ, „მემქედური“ გვერდს ვერ აუქცევდა მას, ადვილად შეამჩნევდა „ხელადს“ და მისთვის საჭირო საგნებს გაუსაღებდა ან კიდევე შეუკვებდა.

ამრიგად, სამქედლოები უკანასკნელ ხანებამდე, ძველი ტრადიციების მიხედვით, უმთავრესად „ყელი“ ადგილას კეთდებოდა.



სურ. 66 „კობორჩხალა“, ს. კიორიდან


თუ ამ აპრიორულ მოსაზრებას კიდევე ჩეტად გავაფართოვებთ, შეიძლება ამაში ჩვენ დაეინახოთ ადრინდელი საზოგადოებრივი წყობილების გადმონაშთი, როდესაც სამქედლო ერთგვარ საკრებულო ადგილს წარმოადგენდა, საფეხნოს. საჩინო და მოხერხებულ ადგილას იმ მიზნით აგებდნენ, რათა იგი ყველასთვის ხელმისაწვდომი და მარჯვე მისაღვამი ყოფილიყო.

ეთნოგრაფიული ხასიათის ზოგიერთი მონაცემი, თითქოს, ამის სასარგებლოდ უნდა ლაპარაკობდეს.

2. რკინეული „ხელადის“ ქედვა. ახალი და ძველი „ხელადი“

რკინის ქედვას რაჭაში განაპირობებდა რკინის დამზადება, ამიტომ რაჭის მკედლობის შესწავლის დროს საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს ეს გარემოება.

მკედლობა რაჭაში შინამრეწველობის ხასიათს ატარებდა. აქ ძირითადად მზადდებოდა სასოფლო-სამეურნეო ხასიათის ნივთები -- „ხელადი“ წვედური რკინისა. შემდეგში, როდესაც ადგილობრივი რკინა სხვა მხრიდან შემოტანილმა რკინამ შესცვალა, მკედლობა მაინც თავისი საკუთარი ტრადიციების ნიადაგზე განაგრძობდა მუშაობას.




სურ. 67. ნიჩაბა ს. კიორიდან (რაჭა)

დამუშავების ტექნიკის თვალსაზრისით, რაჭის ადრინდელსა და მერმინდელ მკედლობას შორის არსებითი და ძირითადი განსხვავება არ არსებობს. ამ მხრით, რაჭის მკედლობა ერთ მთლიან ჯაჭვს წარმოადგენს, რამდენადაც რკინეული „ხელადის“ ქედვა შინაური თუ „გარეთული“ მასალის (რკინის) ნიადაგზე ერთი და იმავე პრინციპით წარმოებს.

„ხელადის“ დამზადება „სხვაგნითური“ რკინისაგან, ძირითადად, ადგილობრივი რკინის დამუშავების ღრმად გამჯდარი ტრადიციული წესით წარმოებდა. მას იმავე მოთხოვნილებას უყენებდა მკედელი და „მემკედური“, რასაც ადგილობრივ, შინაურ რკინას.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი გარემოებაც. საჭედურ მასალად „შინაური“ და „გარეთული“ რკინა საგრძნობლად სხვადასხვაობდა. რაც მთავარია, რაჭის მკედლობამ ადგილობრივი რკინის ავი და კარგი იცოდა და მის ქედვას თავი-




სურ. 68. საკოდელი, ს. უწერა

დანვე ეთვისებოდა. „გარეთულ“ რკინას მიჩვეულნი არ იყვნენ, არ იცნობდნენ მას არც „შედგენილობით“ (გარკვეული გაგებით) და არც „გამომავლობით“; ამდენად ეუცხოებოდათ იგი. შედიოდა რა ეს უკანასკნელი თანდათან ხმარებაში, აქაური მკედლებისაგან მოითხოვდა განსაკუთრებულ მიდგომას და დანუშავებას. ცხადია, შემოტანილ რკინას მთელი რიგი ისეთი თავისებურებანი გააჩნდა; რაც ადგილობრივს არ ახასიათებდა. „შინაურ“ რკი-

ნას მიჩვეულ მკედლებს ეს გარემოება უეჭველად უნდა გაეთვალისწინებიათ; წინააღმდეგ შემთხვევაში მათი ხელობა წალპარტ ნაბიჯს ვერ წადგამდა.

ზოგიერთი მონაცემი რაკის ეთნოგრაფიულ სინამდვილიდან ამ ამბავს უნდა გამოხატავდეს. მაგალითად, როდესაც ფაბრიკული რკინა ხმარებაშია და მის პარალელურად „წედური რკინაც“ არსებობას განაგრძობს, უკანასკნელი ერთიორად ფასობს. შემწვეთელი თუ გამსაღებელი მკედელს წინასწარ აფრთხილებს: — „ხელადი“ რომელი რკინაა. წედური თუ „სხვავანთური“? ან კიდევ, — „მეტს მოგცემ ოღონ აქაური რკინისა გამოიკედე“-ო.

საყურადღებოა, რომ წედურ რკინას, როგორც წესი, ფოლადს ცალკე არ ურთავდნენ. მასში „შინაგნად“ იყო მოკეპული სიფოლადე. წედური რკინის მოხელეთა სასახელოდ უნდა ითქვას, მათი „ხელნაქნარი“ რკინა ისე იყო „დაყენებული“, რომ „ანაგებ“ (თანდაყოლილად) გააჩნდა საპირო „სიმავგრე—სირბილე“ და „ფხა-ალმასი“. ამ მხრით წედური რკინის ნაწარმი არათუ



სურ. 69. საკოდელი—„სავარცხელი“

ჩამორჩებოდა ხელოვნურად ფოლად დართულ რკინეულს, არამედ მასზე მაღლა იდგა. წედური რკინისეული „ხელადის“ ანალიზის საფუძველზე ეს ამბავი ნივთიერი მაჩვენებლებით დასტურდება. სანიმუშოდ შეიძლება დასახელებულ იქნეს ცელი სოფ. ქვედიდან (ამჟამად ინახება საქ. სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილების ლითონის კოლექციებში № 18—38). „ღებური დანის“


33

(იგულისხმება ს. ლებში გაქედილი დანა) ძირითად თავისებურებას წარმოადგენდა „კბილმოუკვეთელი“, „აწყობილი“ პირი, რომელც თანაბრად შემძლე იყო სხვადასხვა ხასიათის საქნარისა, კერძოდ, ერთ შემთხვევაში რომ მით ხორცს კრიდნენ, მეორე შემთხვევაში პირს იპარსავდნენ და სხვა.

უწინ ადგილობრივი რკინა, როგორც ითქვა, ნაჭრებად ეზადებოდა და შარავდებოდა სამკედლოში. თითოეულ ნაჭერს „კვერი“ ეწოდებოდა. რკინის დაგვარების ეს პროცესი უკანასკნელ დროს, ადგილობრივი რკინის მაღარო-

ების დაუქმების გამო, ადგილზე აღარ წარმოებდა. ქარხნული რკინა, შემოტანილი სათანადო ბაზრებში, შხამზარეულად შეიძინება. ამ რიგის მასალას „ფურცელი“, ანუ „ფიციარი“ რკინა ეწოდება. იგი წარმოადგენს გაბრტყელებულ ნაირ სისქისა და სიგრძე-სიგანის რკინას, რომელსაც საქიროების მიხედვით ჩამოკვეთენ ამა თუ იმ ზომის ნაქერს.

რაკის მქედლობის სინამდვილეში რკინის მქედელი არსებითად ორგვარი ხასიათის სამუშაოს ასრულებს: ახალი „ხელადის“ გაკეთებას, ანუ გაქედვას და ძველის შეკეთებას, ანუ „ხელის შევლებას“. თავის მხრით, ახალი „ხელადის“ გაქედვა რამდენიმე ძირითად მხარეს შეიცავს. ყველა ეს სამუშაო ორ წყებად სრულდება. სამუშაოთა პირველი წყება მოიცავს: გასაქედი ნივთის კვალობაზე რკინის „დაზმანებას“ (აზომვას), ჩამოკვეთას, გახურებას და, „რქენა-დაგვარებას“. მეორე წყება — რკინის „გამოყვანას“, „გაკაზმვას“, „გაწკლიპვას“, გაქლიბვა-„გახოშვრას“ და წრთობა-გაფერვას. გაკუთხული




სურ. 70. წალკატი, გურია (საქ. მუხ. კოლ., № 61—39,8)

კვერი რკინა, როგორც ითქვა, ჯერ დაიზმანება და შემდგომ იწყება მისგან ამა თუ იმ ხელადის გაქედვა. ვარაუდით იციან, რა სიდიდის რკინის ნაქერს სჭირდება სახნისს, ცულს, ნამგალს და სხვ. ერთი სიტყვით, პრაქტიკული ცოდნა-გამოცდილებით და „თვალზომით“, თითქმის მინიმუმამდე სიმკდარით, აღწევენ „სახელადე“ რკინის დაკრას, როგორც გამოცდილი დიასახლისი პურის ცომიდან გამოსწყვეტს გუნდას, იმის კვალობაზე თუ რა ზომისა და სახის პურის გამოცხობას ეპირება, ისე ხელმარჯვე მქედელი ალებული რკინიდან მოჰკვეთს გასაქედი ნივთის „საღედნეს“, რომელსაც გაახურებს და უწყებს კვერვას—გასრულებას. ასე იყო იგი უწინ და ეს ხასიათი არც შემდეგ მოუშლია რაკის მქედლობას.

უნდა აღინიშნოს, რომ რკინეულის გაკვეთვა ამჟამად როგორც ცივად, ისე შანთად წარმოებს. უწინ კი რკინის ცივად კვეთვა წესად არ ყოფილა, იგი მხოლოდ შანთად (მხურვალედ) იკრებოდა. რკინა ცხელი უნდოდა, საკვეთელი ცივი. ჩვეულებრივად ცხელ რკინას თეგით (სატეხის მსგავსი იარაღი) ან „დგვემლ-საკვეთლით“ გაჭრიდნენ ზოლზე. ამის შემდგომ რკინის ნაქერს ისევ საქედურ ქურაში მიაბრუნებდნენ. სათანადო გახურებისთანავე გადმოიღებოდა იგი მარწუხით და უწყებდნენ კვერვას. კვერვა ორი სახისა იყო:

„საძალო“ და „საჩალო“. საძალო კერვა დიდი რკინის უროებით ხდებოდა, მას სავანგებოდ გაწვრთნილი „მეურთონი“ ახორციელებდნენ; საჩალოთს კი სხვით მკვდელიც მოერეოდა. უროს სამუშაოები შემდეგაც ამავე წესით წარმოებს.

როგორც თავის ადგილას ითქვა, ნახშირის როლი ამ წყება სამუშაოების მიმართაც, უთუოდ არსებითი ხასიათისაა. მისგან ბევრად იყო დამოკიდებული ნაზადი „ხელადის“ ღირსება. ამეამად, რაკის მკვდლობა ვარგისი რკინეულის გამოსაყვანად ნახშირს დიდ როლს აკუთვნებს. ამ მიზნით წაბლის



სურ. 71. საკოვლი, წალკატი. იმერეთიდან, საქ. საბ. მუხ. კოლ., № 30—40/18

და თხილის ნახშირი საუკეთესო და სანაქებო იყო და არის დღესაც, თუმცა პარალელურად აწინდელი მკვდლობა არეული ჯიშის ნახშირს იყენებს. უკანასკნელი გარემოება გამოწვეულია იმ მოსაზრებით, რომ აკვარი ნახშირი რკინის სიბილღე-სიფიცხეს მიმართ უფრო ნეიტრალურია. არეული ნახშირი შედარებით თანაბრად მიუდგება რკინას, რა ხასიათისაც არ უნდა იყოს იგი.

ზემოთ დაწვრილებით შეეჩერდით სხვადასხვა სადულის გამოყენების საკითხზე წედური რკინის დამზადებისას. წინაპართა ეს ტრადიციები რაკის მკვდლობის სინამდვილემ, ისე როგორც საერთოდ ქართულმა ეთნოგრაფიულმა ყოფამ, საკმაო სიღრმადით შემოინახა. ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს ის გარემოება, რომ რკინის კედვისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ნაირ „სადულს“: კაეს, სილას, დანაყილ აგურს, „რკინის ფერელს“¹, ნახ-


შირს და სხვ. ამ შემთხვევაშიაც, დამხმარე სადულის გამოყენებას ის მიზანი აქვს, რომ აცილებულ იქნეს თავიდან რკინის უზომოდ ცეცხლში ჩაწვა და მისი გამოფიტვა. როგორც ითქვა, ცეცხლში რკინის გარეკანი და „შიგნითგული“ სხვადასხვა ზარისხით ხურდება, ე. ი. როდესაც კანი რკინისა აღუღებულა და „მოსული“, „გული“ ჯერ კიდევ „უმი“ და აღუღლარია. არათანაბარი გახუ-

¹ ფერელი საბას, ტერმინი შუროს განმარტებასთან დაკავშირებით, ამ სიტყვის ქართულ შესატყვისობად მიაჩნია.

რგბის მსკლელობით ირღვევა რკინის სხეული და მასთან ერთად იზღება მისი დადებითი თვისებები. ამ მაველი სადღელების მთავარ ამოცანას რკინის დული ლის შინაგანი ჰარმონიის დამყარება და ტანმკვირივი რკინის მიღება შეადგენს.

ერთ შემთხვევაში „სადული“ ხეწს რკინას ყოველგვარი წილისა და უვარგის ნარევეთაგან, მეორე შემთხვევაში ხელს უწყობს მის დნობას, ვინაიდან იგი აგრილებს გარეჯანს და აგვიანებს მის „მოსვლას“, ვიდრე გულიც არ „გამოშუშდება“. ამგვარად, „სადული“-ს გამოყენების ფაქტი მნიშვნელოვანი მონაცემია. რაქის მკედლობის ეს კომპონენტიც ქართული მელითონეობის ხანგრძლივი განვითარების მონაპოვრად მიგვაჩნია.

რაც შეეხება რკინის კვერვის წესს, ეს მხარე რაქის მკედლობისა არ წარმოადგენს წვრილმან საქმეს. კვერვის საქნარი, ისე როგორც მთელი მკედლობა, ორგანიზებულად წარმოებს. ამ მხრით მას მოწესრიგებული ხასიათი აქვს. გრდემლის გარშემო მომდგარი მეუროვენი ყურს უდებენ მთავარ ხელოსანს, რომელიც სხვადასხვა პირობითი, ნიშნების საშუალებით მართავს მათ მოქედებას. გადმოლებულ გაყარვარებულ რკინას პირველ რიგში ხელკვერის ნარკით კანს გადაფხეკს, შემდეგ მას ბარწუხით მოიმარჯვებს და დაპკრავს კვერს იმ ადგილას, სადაც მისი აზრით საჭიროა რკინის გაწევა. პირველში მეუროემ უკვე იცის ოსტატის მიერ დაკრული კვერის მიხედვით სად და რა ძალით დაპკრას თავადაც მალლა შემართული ურო. მის მაგალითს მეორე—მესამე მიჰყვება და ამ სახით ხელაწყობით და ხელმარჯედ სცემენ რკინაზე უროს. აღნიშნული თანრიგით უროს დაშენას წედისის მკედლობაში „ხელაწყობილი რქენა“ ეწოდება.




სურ. 72. ქართული ცული, ქვიდიდან (საქ. მუხ. კოლ. № 63—39,2)

სახელადე რკინას ზანამდე „რქენდინენ“, ვიდრე არ „დაავარებდნენ“, ე. ი. არ დაამსგავსებდნენ მას გასაქედ ნიეთს. ამ სახის საქშუაოს „გამოყენა“: „გასახევა“ ეწოდებოდა. გასახულ რკინას, რომელიც გასაქედი ნიეთის ერთგვარ პროტოტიპს წარმოადგენდა—„გასახული“ ერქვა. ასევე, ამჟამად რკინის ქედლის პირველი წყება სამუშაო მისი გასახვით მთავრდება. სამუშაოს მეორე წყება გასახული ნიეთის „გაკახვით“ იწყება. „გაკახვა“ გულისხმობს ნიეთისათვის ცალკეული ნაწილების მკეტორად ჩამოყალიბებასა და გამონაკვთას. მაგალითად, სახნისის „გაკახვა“ ნიშნავს: წვერის წაწევის, ყუობის ჩაპრას, ბუდის მოხრას, მუტლის მოქებავას და სხვ. საბას განმარტებით—„აკახვა მორთუა“ არის (ლექსიკონი). გაკახვას მოსდეკს გასრულება, ანუ მოთავება. ამ უკანასკნელში შედის: „გახოშვრა“, გაქლიბვა, ვალესვა, წრთობა, გაფერვა.

„კაზმას“¹, ნიეთის ქედვის პროცესში, თან ახლავს „გაწკლიპვა“. უკანასკნელი გულისხმობს გასაკუდი ნიეთის დათხელებას, გაწვევ-გამოწვევას საჭირო ზომამდე. ეს სამუშაო წარმოებს ტანმორჩილი კვერითა და „ლიპით“ (სურ. 12). გაწკლიპული რკინეული კვერვამოთავებულად ითვლება და მზა ხელადს-წარმოადგენს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ ამბავს, რომ ზოგიერთ მათგანს, როგორც ითქვა, ესაქიროება გაღვსვა, წრთობა და გაფერვა, თუმცა ყველა რკინეული „ხელადი“ როდი მოითხოვს ზემოჩამოთვლილი თითოეული სახის სამუშაო ოპერაციას.

გაღვსვა წარმოებს რამდენიმე სახით: ხოშარით² (ქობი) (სურ. 20), შემდეგ „აფუარით“³ (ქვის მბრუნავი საღვსი), ხარტით⁴ (დიდი და პირმოღვსილი საღვსი ქვა), სასრევით (მოგრძო და ვიწრო პირის საღვსი ქვა).



სურ. 73 ქართული ცული, ს. კულბითიდან, ქართლი (საქ. მუხ. კოლ., № 87—39—4)

აღსანიშნავია, რომ ცულისა და მისთანათა საღვსავად იყენებდნენ ერთგვარ ხელსაწყოს, რომელსაც „ციმრული“ ეწოდებოდა. იგი წარმოადგენდა გონიოსებური მოყვანილობის ხის იარაღს, რომელიც ერთი ტოტით ცულს სატარეში გაეყრებოდა, მეორეთი ეჭირათ და ისე ლესავენენ.

წრთობა „ხელადისა“ განსაკუთრებულ დახელოვნებას და გამოცდილებას მოითხოვდა, ვინაიდან წესიერ წრთობაზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული. წრთობის საშუალებით წარმოებდა და წარმოებს „ფიცხი“ რკინის „დალ-


¹ „კაზმა“, საბას მიხედვით—მორთუა-ს ნიშნავს.

² „ხოშარი“—დიდი, მსხვილკბილიანი ქლიბი.

³ „აფუარი“ (საბა) მბრუნავი საღვსი (რაკა), ჩაღბი || ჩარბი.


⁴ ხარტი და სასრევი რკინეულის საღვსი ქვებია.

ბრძა“ (დარბილება) და რბილის „გაფიცება“. ამ პროცესს რკინის „დაყენება“ ეწოდება. თუ წესიერი გადაღობის შედეგად, საერთოდ, წელური რკინა ტანის სიმტკიცესა და სიჯიქეს იძენდა, წრთობის საშუალებით მას კარგი



სურ. 74. კოდარაცული, ს. მერეთიდან (ქართლი)


„უხა-ალმასი“ ეძლეოდა. „ხელადის“ დაყენება, არსებითად, მისი ფუნქციით (დანიშნულებით) განისაზღვრება. წრთობისას მიღებული კონკრეტულად ამა თუ იმ ნივთის პირადი ხასიათი და მიზანდასახულობა. მეტადრე „გამკრელი“ ხელადისათვის წრთობა ყველაფერია. საუკეთესო რკინის მობელედ დღემდე ის ითვლება, ვინც ამ მხრით საკმაოდ დაუფლებია თავის ხელობას. რაც მთავარია, წრთობის დროს მკედელმა უნდა გაითვალისწინოს საწრთობი ნივთის მასალის ხასიათი, ვინაიდან თითოეულ რკინეულს გარკვეული თავისებურება ახასიათებს. წრთობის ხარისხის გამოსაცნობად არსებობს სამი ძირითადი ფერი, რომელსაც მიიღებს ხოლმე საწრთობად წყალში ჩაშვებული მხურვალე რკინა. ეს ფერებია: „თეთრი“, „ლურჯი“, „ოქროსფერი“. თეთრი ფერი, ანუ „თეთრი წყალი“ სირბილის ნიშანია, ლურჯი—სიფიცხისა, ოქროსფერი—ზომიერების. როპელიმე ფერზე გაჩერებას „დაყენება“ ეწოდება. უპირატესობა ენიჭება „ოქროსფერ წყალს“, როგორც ზომიერსა და ყველაზე მტკიცეს, არც რბილსა და არც უზომო ფიცხს.



სურ. 75. მესხური ცული

რაჟის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებულია წყლით წრთობა რკინეულისა. ამასთანავე, ზოგიერთ თემში (წესი, რიცეული) შეგჩნეულ იქნა ზოგიერთი სპეციალური დანიშნულების ხელადის, კერძოდ ხაფანგების დამზადებასთან დაკავშირებით, რკინეულის წრთობა ჰაერით. რკინის დამუშავ-

ვების ეს საყურადღებო ხერხი, რომელიც მხოლოდ რამდენიმე სოფელში იქნა დამოწმებული, წარმოადგენს საინტერესო ფაქტს, მიუხედავად მისი სპონტანურობისა. ჰაერით წრთობა კონკრეტულად შეძლევაში მდგომარეობს: დასაგები ხაფანგი (მგლის, მაჩვის, დათვის, ფოცხვერის დასაქერად) საერთოდ მაგა-




სურ. 76. „მთიული ცული“, ს. წესიდან (ჩაჭა)

რი, მოქნილი და მიმყლ-მომყოლი უნდა, რომ თავისი ფუნქცია (დანიშნულება) წარმატებით შეასრულოს. გამზადებულ ხაფანგს ცხელ ნაცარსა და ღვეღვში ჩასვავენ და ზედაც ცხელ ხოშორს წააყრიან. როდესაც ამ სახით სითბოთი გაჯერდება, მას იღებენ და გაუნელებლად აქნევენ ჰაერში, ვიდრე იგი ხელში არ შემოაცივდება მწრთობელს. აპგარი ოპერაცია 3—4-ჯერ განმეორდება და ნაწრთობი შესანიშნავ სიმტკიცესა და მოქნილობას ღებულობს.

შემჩნეულია, რომ დუღილის პროცესში რკინის ტანი სხვადასხვა ხარისხის ხდება. ერთი მხარე რომ მაგარია, მეორე—რბილი. ამ შემთხვევაში, წრთობაა ამ სხვაობის წამშლელი და მისი დაპყენებელი ზომამზე. საერთოდ, რკინეულის ქედვის დროს ყოველთვის აქვს ადგილი რაიმე უცაბედ შემთხვევას, რომლის გათვალისწინებაც მუშაობის დასაწყისში შეუძლებელია. მაგალითად, დუღილის უამს რკინა მოულოდნელად „წაასწრებს“, ე. ი. საკაროზე მეტად დაღულდება, ან კიდევ ნაადრევად გადმოღებას შედეგად „უმი“, „მოუსვლელი“ რჩება. ამ საქმეს წრთობა შეეღის.


საყურადღებოა, რომ რკინეულს აწრთობენ სხვადასხვა ხასიათისა და ტემპერატურის მქონე წყლით: მღვრიე, წმინდა, მდინარე, წყარო, ნაწვიმარი, ცივი, ნელთბილი და სხე.¹



სურ. 77. ცული, ს. კიორიდან, ჩაჭა


¹ საყურადღებოა, რომ თუ „ხელადი“ მაგარი, ფიცხელი გამოდგებოდა, განსაკუთრებით გამჭრელო იარაღი, მას აწრთობდნენ გამუნარ ქონში (უმჯობესი იყო ცხერის), ან ნოტიო სილასა და ახელილ ტალახში.

როგორც ითქვა, წრთობას პირველხარისხოვანი მნიშვნელობას ანიჭებდა როგორც უწინდელი, ისე შერმინდელი რაჰველი რკინის მოხელე. ამ მიმართებით როგორც წედური რკინის დამუშავების პრაქტიკაში, ისე შემდეგი დროის მკედლობაში რიგი საყურადღებო, პრაქტიკული სახელმძღვანელო წესები ჰქონდათ გამომუშავებული, რომელთაც წარმატებით იყენებდნენ თავის ყოველდღიურ საქმიანობაში. საგულისხმოა ამ მხრივ ზოგიერთი „სანიშნო“ და სიმბოლო: ცეცხლის ფერი, ნაპერწყალთა ციალი, „წყლის ფერი“ და სხე.



სურ. 78. „ხენცულა“, საქ. მუხ. ხევისრეთის გამოფენა

ვიდრე გახურებულ რკინას საწრთობად წყალში ჩაუშებდნენ, საქობრაო წინასწარ იმის გარკვევა, თუ რა ნიშნებს იძლევა იგი საამისოდ. ამ მიზნით რკინას მცირედით ჩაყოფენ წყალში და აიღებენ „სინჯს“, ე. ი. დააკვირდებიან გასასინჯავად წყალში ჩაყოფილ ნაწრთობ ადგილს, როგორი ფერი




სურ. 79. „მეტურა“, ს. რიცეულიდან (რაჰა)

მიიღო მან—თეთრი, ლურჯი თუ ოქროსფერი. შემდეგ დადგენილი სინჯის მიხედვით აწრთობენ მას.

საერთოდ, სინჯი „თეთრიწყალი“ რკინის სირბილის მაჩვენებელია, ლურჯი—სიმაგრის ნიშანია, ოქროსფერი—ზომიერად დაყენების და სხე. ამრიგად, წრთობას ერთი მთავარი ადგილი უკირავს რაჰის მკედლობაში,— „წრთობასა და ნახშირს ღვთიოდენი შეუძლია“—აღნიშნავს მკედელი ივ. გავაშელი (სოფ. ღები, რაჰა).

წრთობას საქართველოს სხვა კუთხეების მკედლობაშიც დიდი ყურადღება ექცევა¹. ქართლში (სოფ. მეჯვრისხევი), მაგალითად, საგანგებო მიწაც კი იხმარება ამ მიზნით. ცხადია, წრთობა დახელოვნებას ითხოვს. რაკის მკედლობა, როგორც ჩანს, საკმაოდ ფლობს იმ ცოდნას და ტექნიკურ ხერხებს, რომლის საშუალებით წრთობა და რკინის დამუშავების სხვა მხარე წარმატებით სრულდება. გაკედლილ „ხელადს“, რომელიც ჩლუნგი და უჯარკისი გამოდის, ლენჩი ან „ყრუ“ რკინა ეწოდება. იტყვიან: „იმისი გაკეთებული რას ვარგა, ლენჩი რკინა გამოუდის-ო“² (სოფ. გლოლა, თ. ბიძიშვილი).



სურ. 80. ცული ძველი, განათხარი (ხუტდ. მუხ. № 6)

წრთობის შემდგომ „ხელადს“ გაფერვალა აკლია. ყველა სახის გაკედლილი ნივთი არც ან მხრით მოითხოვდა ერთგვარ მიდგომას. ზოგიერთი მათგანი შედარებით სათუთ მოპყრობას საჭიროებდა. მას უფრო მორიდებულად და მონღომებით ფერავდნენ. გაფერვას აწარმოებდნენ „რეშით“ (ნახშირის ფხენილი) და ცაცხვის ჯობით. მოსარიდებელ რკინეულს ჯობით „მოლესდენ“, დანარჩენს—ნახშირით. „ხელადის“ დაფერვას ის მიზანი ჰქონდა, რომ რკინას დიდხანს ქანგი არ მოჰკიდებოდა, ამასთანავე შნოიანი და სანდო-


¹ იხ. საქ. სახ. მუზეუმის ეთნოგრ. განყ. არქივი, ქართლის 1939 წ. კომპლექსური ექსპედიციის ანგარიშები.

² „ლენჩი“, „ყრუ“ რკინა ნიშნავს ტანმოუქნელს, უდრევსა და გაშეშებულს.

პიანი ყოფილიყო. ამ წესით გასრულებული „ხელადი“ იხმარებოდა ნაირსახით და დანიშნულებით. იგი აკმაყოფილებდა საკუთარ მოთხოვნილებებს; კარბი ნაწილი ალემ-მიცემის საგანი იყო.

მ. გაქედლილი „ხელადის“ ნაიროზა, ხასიათი, დანიშნულება

რკინეული „ხელადის“ დამზადებას რაქაში ფართო ხასიათი ჰქონდა. აქ იქედებოდა სხვადასხვა სახის, ხასიათის და დანიშნულების ნივთი: სამუშაო, აბრძოლო, საოჯახო, სანადირო, სამგზავრო, საკულტო და სხვ. აქვე წარმოებდა სანივთე მასალის—რკინის დანზადება, საჭირო იარაღებისა და „ხელკურკლის“ კეთება. ეს ხასიათი რაქის მკედლობას არ შეუცვლია,




სურ. 81. წალდნაირი ცული (ხუგდ. მუხ. კოლ. 41)

მას შემდეგაც, რაც ადგილობრივი რკინა ფაბრიკულით შეიცვალა. ამჟამად, რკინის მკედლები გარკვეულ მომსახურებას უწევენ კოლმეურნეობებს ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო იარაღისა და სხვა საჭირო ნივთების დამზადებით. ამ საქმიანობაში ისინი იყენებენ აღრინდელ მდიდარ გამოცდილებას. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ნივთი, რომელსაც უწინ ფართო მოხმარების ხასიათი ჰქონდა, ჩვენს სინამდვილეში პრაქტიკულ მნიშვნელობას კარგავენ და ხმარებიდან გადის, აღარ იქედებ. ასეთებია: „სამკვრე“ (მკერის დასანთები მოწყობილობა), „კერა“ (შუა ცეცხლის მქონე სახლში მუგუზლის თავსადები), „საქებაე“ (ქებაის საკიდელი), „ალაბი“ (მარხილის კავის საპირე, დატურების შესანელებლად), „ულელი“ (ყელსადები, საკულტო ხასიათის ნივთი) და რიგი სხვ. (სურ. 49, 60, 62).

ამასთან ერთად, თანდათან კლებულობს და წყდება იმ რკინეული „ხელადის“ ადგილობრივი დამზადება, რომლის ბადალი ფაბრიკული ნაწარმი ბაზარზედაც ადვილად და იაფად იშოვება. მაგალითად, ცელი, ნამგალი, ბარი და სხვ.

ცხადია, რაკის აწინდელი მკედლობა მოცულობით და შინაარსით უწინდელს ვერ გასწვდება, მიუხედავად ამისა, მნიშვნელობა და სასარგებლო ხასიათი მას არ დაუკარგავს.



სურ. 82. მეგრული „ჩენგი“ სოფ. ჯვარი

ებდა, მას მიმყოფსა

რაკის მკედლობა გარკვეულ მომსახურებას უწევს კოლმეურნეობებს, რომლებსაც აწვდის ცალკეული სახის რკინის ახალ „ხელადს“ და აწარმოებს ძველის შეკეთებას. გარკვეული უპირატესობა, რაც ადგილზე გაქედლი ნივთს გააჩნდა (იგულისხმება ამა თუ იმ კუთხისთვის დამახასიათებელი თავისებურების შემცველი „ხელადის“ იშვიათობა და მისი ბაზრად შოვნის სიძნელე), ერთგვარ ბიძგს ჩაძლევდა მკედლობას „ადგილის მორგებული“ რკინეულის დამზადებაში, რადგან ფაბრიკული ნაწარმი ყოველთვის ვერ აკმაყოფილებდა ამა თუ იმ კუთხის კონკრეტულ პირობებსა და მოთხოვნილებას. შინაური გაქედლი „ხელადი“ როგორც ფორმით, ისე შინაარსით მეტ-ნაკლებად უპასუხებდა იმ პრაქტიკულ ამოცანებს, რომელსაც უსახავდა მას რეალური სინამდვილე. ამას ერთვოდა ის გარემოებაც, რომ მკედელი-ანგარიშს უწევდა „მემკედლურს“ და ამით იმ ცოდნასა და გამოცდილებას, რომელიც დაუნჯებულთა ხალხში მისავე სამსახურებლად.

ადგილობრივი მკედლობის იმგვარი ხასიათი, გარდა ამისა, რომ გასაქედი „ხელადის“ ნაირობას აფართოებდა, მას მიმყოფსა და ელასტიკურს ხდიდა, აღრმავებდა შინაარსეულად.




მ. - 1: 5

სურ. 83. „საჩხრეკი“ ს. წესიდან (რაჭა)

რაკის მკედლობის სინამდვილეში ადგილი ჰქონდა იმგვარ შემთხვევებსაც, როდესაც ფაბრიკული რკინეული, ვიდრე ხმარებაში შევიდოდა, ერთგვარ „მოშინაურებას“ და „მათებურად“ გადაკეთებას განიცდიდა. ეს პროცესი თითქმის ბოლო ხანამდე გრძელდებოდა. ფაბრიკული, ახალი ხელადი მიჰქონდათ მკედელთან, რათა მას ახლებურად „გამოეწყო“.

რაკის მკედლობა უხვად ამზადებდა ნაირი ხასიათის რკინეულ „ხელადს“, რომელიც ფუნქციის მიხედვით შეიძლება დაიყოს რამდენიმე მთავარ ჯგუფად, თითოეული ჯგუფი—ნაირსახისა და მოყვანილობის ცალკეულ წყებად და ა. შ.

სამუშაო იარაღის კომპლექსში წარმოდგენილია „მუშა-რკინა“: მიწის სანგრევი, ქვათა სამტრევეი, ხეთა საზიდი, წისქვილთ საბრუნეი, ურემთ სასალტი; „გამტრეელი-რკინა“: ქვის საკოდი, ხის საქრელი, ძვლის სახევეწი, ნამჯაბალახის სათიბი.



სურ. 84. ნაჯახი ამბროლაურიდან (საქ. მუხ. კოლ., 63—39|56)

მიწის სანგრევი „ხელადში“ შედის რიგი კონკრეტული სახისა და ფუნქციის იარაღი: სახნისი (უფროთო, ფრთიანი, ცალფრთიანი), საკვეთელი, თოხი—მიწის სახნავეად; ბარი¹, ნიჩაბი, წერაქვი—მიწის საბარავეად; კაფია², წერაქვი, „ბარჯუკი“—მიწის „მოსანამბილებლად“, მოსაახოებლად; ბართოხა³,


¹ საყურადღებოა, რომ „ბარი“ ერთ-ერთი ქართული ხალხური ლექსის მიხედვით (იხ. აკაკის კრებული, 1898, № XI, გვ. 37) სახნისის ადგივატურადაა გამოყვანილი; იქ, სადაც ჩამოთვლილია სახენელის ნაწილთა საჩივარი, ვკითხულობთ: „ბარმა სოქვა ქვეშ-ქვეშ ტარებით მე მზის შუქი მენატრება“, შეად. გოგებაშვილის „დედა ენის“ შესაბამ ადგილს („დედა ენა“, 1900 წ., გვ. 54), რაც მათ შორის ფორმით ნათესაობას გააფიქრებებს (შდრ., გ. ჩ ი ტ ა ი ა, რაკულა სახენელის ფარფლიანი ქუსლი, თბ. სახ. უნ. შრომები, ტ. XIX). ამ მხრით საინტერესო მონაცემს წარმოადგენს ბაო-სახნისის ავარული ტიპი (მისი მოდელი (იხ. სურ. 134), დატულია საქ. მუხუდუმის ეთნოგრაფიული განყოფილების ლითონის კოლექციაში № 236—89. კარად IV), რომელიც, როგორც ირ. კვევა, საანავ იარაღთ განეკუთვნება (შრდ. З. Н и к о л а с к а я, Е. Ш и л х и ш г, Горные пазитное орудие Дагестана „Сов. Эпн“, 1952 г., т. IV, გვ. 10).

² კაფია, ერთი ვარიანტით, წარმოადგენდა ეჩო.სებური მოყვანილობის თოხს, რომელსაც ჰქონდა, სატარი მოკეცილი და ვერტიკალური დასაგები; მეორე ვარიანტით კაფია ხის ერთიან პირმოკაულ თოხს ეწოდებოდა, რომელსაც ფეხიერი მიწის სამუშაოდ იყენებდნენ ახოებში.

³ „ბართოხას“ ნამდვილი სახე სძიებელია. ამჟამად ამ სახელით აღინიშნება ძველი სახნისის ან ბარისათვის ბელოენურად ზოკუტული ტარის დაგებით შექმნილი იარაღი (იხ. სურ. 122-ა, საქ. მუხუდუმის ხევეურეთის გამოფენა, ფარი № 4). ამგვარი იარაღით სახლის ბლავეკი და საფლავები იკრებოდა ხოლმე.

წალკატი, სალოპი—მიწის სათხრელად¹. სოლი, ისარი, ურო, კვერი—კლდეთა სარღვევად და სხვ. უნდა აღინიშნოს რკინის საკეტების (კლიტი—ბოქლომისა), კარ-სარკმლის ასაბმელებისა და ბოქლომების (აღამიანის, ცხენის და სხვ.) თავისებური წესებით დამზადება (იხ. სურ. 130).

ხემა საწიდი იარაღები იყო: ჯაჭვი, შორის ჩანგალი, რკინის კეტი („ლომი“).




სურ. 85 ნ. ჯაბი ს სოროდან (ხ. რაქა) საქ. საბ. მუხ. კოლ., № 63—39/56.

ჯაჭვი წარმოადგენს ცალკეული, ერთიმეორეზე გადაბმული რგოლებისაგან შემდგარ საბმელს, რომლის ერთი თავი ბოლოვდება კოტათი, ხოლო მეორე—გამოსაბამი რგოლით. სიგრძე და სიმსხო როგორც მთლიანად ჯაჭვისა, ისე მისი ცალკეული რგოლებისა ცვალებადია.

შორის ჩანგალი ორი ნაწილისაგან შედგება: გამოსაბმელი რგოლისა და ჩანგლისაგან. უკანასკნელი ლურსმნისებური მოყვანილობისაა, რომლის თავი გახვეტილია და შიგ გაყრილი აქვს მოძრავად გამოსაბამი რგოლი. ცვალებადი ზომისაა. მისი პირდაპირი დანი-

შნულებია ხის შორისათვის გამოსაბმელი „ყურის“, ანუ „ცხვირის“ მოვალეობის შესრულება. ჩანგალს წვერით ხის შორში ჩაამაგრებენ, ხოლო მოძრავ რგოლში—ჯაჭვს ან ჯამმარას გამოაბამენ.



სურ. 86. ცული ზაქათალიდან (საქ. საბ. მუხ. კოლ., №A 213—89)

რკინის კეტი წარმოადგენს მრგვალ სარს, რომელსაც ცალი თავი წამახული აქვს, ცალი—წათხელებული. იყენებენ ხეების გადაზიდვის დროს „სა-


¹ აბუჯიამ დამტკიცა ქალაქი თვისი და შემოიყვანა შორის მისსა წყალი, აღმოთხარა რკინითა კლდე და აღაშენა წყაროთი წყალთა“ (წიგნ. ზირაქისი, თავ. 48, 19).

თრიელის¹ მისაშველებლად. რომ ხეს ბოლო არ მოუტურდეს, ქვედა მხარეზე „დაუგდებენ“ ო „დაუყენებენ“ მას.

რკინის კეტი იხმარება აგრეთვე სხვა მრავალი ხასიათის საქმეში.

წისქვილისათვის საჭირო „ხელადში“ შედიოდა: „რკინა“², „ნიჩაბა“, „საცორელა“, „კიბორჩხალა“, „არტაშანი“, „საკოდელი“, „სახეში“.

წისქვილის „რკინა“, ანუ „არქი“ წარმოადგენს (სურ. 64) მოგრძო ოთხკუთხე მოყვანილობის (წერაქენიერი სახის) იარაღს. აღმა — ამოზნექილია, დაღმა — ჩაზნექილი. პირველს ზურგი ეწოდება, მეორეს — მუცელი. შუაგულზე იგი გახვრეტილია კუთხედად იმ მიზნით, რომ ამ ნახვრეტით მეორე რკინაზე მკიდროდ ჩამოეგოს. ამ მეორე რკინას „ნიჩაბა“, ანუ „ყელა“ ეწოდება (სურ. 67). იგი ბრტყელი თავით ჩასმულია წისქვილის ბორბლის ღეროში, ხოლო წვრილი თავით — წისქვილის ქვედა ქვის (დოლაბის) გულში და ზედ ჩამოცმული აქვს „არქი“ ჯვარედინად.




სურ. 86 ა. ბეგანიური ცული

„არქი“ ჩამჯდარია „ზედაქვის“ „გულგულაში“. „გულგულა“, რომელსაც არქის „ბუღეც“ ეწოდება, წარმოადგენს წისქვილის ზედაქვის ქვედა პირზე ამოკრილ „საგულეს“, რომლის მხრები ამოღარულია არქის ჩასასმელად.

ამგვარად გამართული „არქის“ და „ნიჩაბას“ უშუალო მიზანია ზედა დოლაბის „აბრუნება“ (დატრიალება).

„რკინას“ ტოლსახელია: „არქა“ ო „არქი“ (რაქა, გურია, სამეგრელო, იმერეთი, ქართლი; კახეთი), „ცულა“ (ლეჩხუმი), თოხი




სურ. 87. ნაჯახი დიდოეთიდან

(მთიულეთი, გულამაყარი, ხევსურეთი).

¹ „საორიელი“ — თრევით ზიდვა ხის დიდი მორებისა. შდრ. „ჯოლა“ (შვგ.).

² წისქვილის რკინა ო „არქი“ ო თოხი — დოლაბის საბრუნებელი რკინა.


საბას მიხედვით, „არქი“—წისქვილის „თოხია“. ამ განმარტებიდან ჩანს, რომ „არქი“ და „თოხი“ სინონიმური სახელებია, რაც ეთნოგრაფიული მონაცემებითაც დასტურდება. მაგრამ საქმის ვითარებას თუ ღრმად დაუფიქრდებით, ადვილად დავრწმუნდებით იმაში, რომ ეს ორი ტერმინი სხვადასხვა ცნების აღმნიშვნელი სიტყვებია, შემთხვევით გაიგივებული და ბოლოს ტოლსახელად ქცეული. სინამდვილეში „თოხი“ წისქვილის საკოდელია. არქის დანიშნულებას წისქვილის ზედაქვის „აბრუნება“ შეადგენს, ამდენად მის კერძო ფუნქციაში „თოხის“ რაიმე სასაქნარო ფაქტიურად არ ჩანს. „თოხი“ (იგულისხმება საკოდელი) და „არქი“ (იგულისხმე წისქვილის ქვის რკინა), თუ საგნის შინაარსობრივ მხარეს მივაქცევთ ყურადღებას, ომონიმებია. აკად. ი. ჯავახიშვილს „თოხის“ ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით გარკვეული აქვს, რომ



სურ. 88. უკლი, ს. მახარიადან (ხუგდ. მუხ. კოლ. 138.)

„თოხი“ ნიშნავს ხენისათვის განკუთვნილ იარაღს და აგებულებით „სახნისს“ უდრის“. საბას განმარტებით, „თოხი“, ჩვეულებრივი მნიშვნელობის გარდა,

„წისქვილის არქის აღმნიშვნელიც იყო“¹. ამ შემთხვევაში, მიუხედავად ფაქტიური მასალისა, „თოხი“ არსებითად ისეთი იარაღის სახელადაა მისაღები, რომელიც თავისი ფუნქციით რაიმე „სათოხარს“, „სახნავს“ შეიცავს. „არქის“ მიმართ ეს არ ითქმის. იგი წისქვილის საქმეში მხოლოდ მოძრაობის გადაშეცემის ფუნქციას ასრულებს და „სათოხარი“ მას თითქოს არაფერი აქვს. რაც მთავარია, წისქვილის ქვის მოსაკოდ წერაქვს, „წალკატან“ ერთად, წისქვილის თოხი ეწოდება გურიისაში, ხოლო მით მოკოდვას— „მოკენკვა“. ბენო თევზაძეს, საანგარ. შო მოხსენებაში გურიაში მივლინების შესახებ, აღნიშნული აქვს: „წის-



სურ. 89. 'უკლი, ხუგდ. მუხ. კოლ. 65


სახნავარ. შო მოხსენებაში გურიაში მივლინების შესახებ, აღნიშნული აქვს: „წის-

¹ ივ. ჯავახიშვილი, საქ. ეკონომიური ისტორია, I², 1930, გვ. 212.

ქვილის თოხს უწოდებენ რკინის იმ იარაღს, რომლითაც ბრუნვიდან გადაღესილ წისქვილის ქვას მოკოდავენ, რასაც აქ „მოკენკვას“ ეძახიან¹.

უნდა დავუშვათ ორში ერთი: ან „თოხი“ და „არქი“ ერთი და იმავე საგნის ტოლსახელია, მაშინ მათი საქნარი „თოხნას“ გულისხმობს, ან ისინი განსხვავებული შინაარსის მქონე ტერმინებია, გაჩენილი „თოხი“ საკოდელისა და „თოხი“ საბრუნავის გარეგანი მიმსგავსების ნიადაგზე.

წისქვილის რკინეულთაგან „ნიჩაბა“² „არქისა“ და ბორბლის შემაერთებულ ხიდს წარმოადგენს. მოყვანილობით წააგავს ნიჩაბს და შედგება




სურ. 90. ცული, ზუგდიდის მუზ. კოლ., 18

პირისა და ღერისაგან. პირით ბორბლის ყელშია ჩამაგრებული, ღერით გაყრილია ქვედა ქვის ღია გულში და ამოდის წისქვილის ზედა ქვაში, რომელსაც ქვედა პირზე ამოკვეთილი აქვს არქის მოსათავსებელი „ბუღე“. ამ გზით არქი აერთიანებს ბორბლისა და „დოლაბის“ ერთობლივ ბრუნვას. ბრუნვის გასაადვილებლად ბორბლის ძირი ბოლოვდება რკინის ფეხით, რომელსაც „საცორელა“ ეწოდება (სურ. 65).

¹ ბ. თევზაძე, გურიაში მივლინების მოკლე ანგარიში (იხ. საქ. მუზეუმის ეთნოგრაფიკ. არქივი), ანგარიშები, გვ. 16.

² „ნიჩაბას“ სხვანაირად ეწოდება „ყელა“ ო „საშუბი“ და სხვ.

საცორელა წარმოადგენს კუთხედად მოკაულბოლოებიან ჩანგალს, რომელსაც შუა ადგილას აქვს პატარა „კოტა“. ქიმებით „საცორელა“ ჩამაგრებული ბორბლის „ფეხში“, ხოლო კოტათი ჩამდგარია ლაღად რკინისავე „ქალამანში“, რომელსაც „კიბორჩხალა“ ეწოდება. ეს უკანასკნელი საცორელასავით ორქიმიანია, მხოლოდ შუა ადგილას კოტას ნაცვლად „ლუქა“ (ჩაღრმავებული) აქვს. იგი ჩასმულია ხის გაპირში და წარმოადგენს „საცორელას“ საყრდენს — „ქალამანს“ (სურ. 66). „საცორელას“ და „კიბორჩხალას“¹ მოქმედება შეფარდებულია ბორბლის ტრიალთან.




სურ. 91. ცული. ზუგდ. მუხ. კოლ., № 116-2

ბორბალი რომ არ დაირღვეს და მტკიცე იყოს, მას რამდენიმე ადგილას რკინის სალტეები უკეთდება. სალტეები სამქვალითაა გადაბმული.

წისქვილის რკინეულთაგან განსაკუთრებით საყურადღებოა ქვის მოსაკოდი იარაღი (სურ. 68) — „საკოდელი“, რომლის საშუალებითაც წარმოებს წისქვილის ქვების — დოლაბების მოკოდვა, როდესაც მათ ხანგრძლივი მუშაობის შედეგად გაუცვდებათ „კბილი“. საკოდელი ნაირი სახისა და მოყვანილობისაა (სურ. 68, 70, 71): ცალპირი, ორპირი, ცალწვერი, ორწვერი; ან კიდევ ერთი თავი რომ წვერიანია, მეორე — პირიანი. თავის მხრით, პირის, წვერის


¹ კიბორჩხალა (რაჭა), გეჯა (სამეგრ.).

და სატარეს მოყვანილობის მიხედვით საკოდელი მრავალნაირია. მომართულია თოხისებურად. მისი მოქმედებაც თოხისებურია. წვერიანი თავით ჩეკავს, პირიანით — „კოდავს“, ანუ ჰრის. ეჩოსებურ საკოდელს ორივე თავი „მქოელი“



სურ. 92. წალდი, კალ. ამბროლაური

აქვს. კოდვის დროს იგი ცალ ხელში (მარჯვენაში) უჭირავთ და გამიზნულ ადგილას ურტყამენ მოსაკოდ საგანს. საკოდლის ტოლსახელებია¹: „წალკატი“ (იმერეთი, გურია, სამეგრელო, სვანეთი), „თოხი“ (გურია), „მოსაკოდი კვერი“;



სურ. 93. წალდი ს. კულბითიდან, საქ. სახ. მუხ. კოდ. № 87—37-2

წერაქვი (ქართლი), „კეკი“², „სკიბუში კეკი“ (სამეგრ.), ცალწვერი (ქართლი), საჩეკი (იმერ.).

საურმე რკინეულის წყებას განეკუთვნებოდა ურმის თელის ფესოების და მურგვის შემოსავლები სალტეები, მათი სამაგრისი ფართეთავეიანი ლურსმნები და სხვ.


¹ ს ა ხ ა ნ ბ ე რ ი ძ ე, ხელო იმერეთში მიეღინების ანგარიში (იხ. საქ. სახ. მუხუემის ეთნოგრაფიის განყოფილების არქივი).

² ჩ. თ ე ვ ზ ა ძ ე, გურიაში მიეღინების ანგარიში, გვ. 8.

ხისა და ძელის საქრელი „ხელადის“ ჯგუფს შეადგენდა: ცული, ნაჯახი, წალი, სასხლავი სავაზე, დანახერხი ანუ გველიკულა, ყავრის დანა, ხოწი, სალოკი, დანა და სხვ.

ყავრის დანას საქართველოს ზოგიერთ კუთხეში (გურია, ლეჩხუმი, სამეგრელო) „დაშნა“¹ ეწოდება (სურ. 48).


იგი დანისებური მოყვანილობისაა, მხოლოდ მასზე დიდი და სქელია. „სატარედ“ ყურწი აქვს მობმული და ტარიც ყურწმობხვეულად აქვს დაგებული. მისი ნაწილებია: წვერი, საქრელი პირი, ყუა და ყურწი.



სურ. 94. სასხლავი (წალი)

ყავრის დანის ფუნქციას ყავრის „გახდა“ შეადგენს. საყავრე ხეს ჯერ „კოთრებიდ“ დააპობენ და შემდეგ გახდიან ყავარს, დაფურცლავენ ყავრად.

ნამჯის სამკალ „ხელადს“ სხვადასხვა ზომის და მოყვანილობის ნამგლები შეადგენდა: „კახური ნამგალი“, „რაჭული ნამგალი“, „ქაღვიანი“ ნამგალი, „სათიბელა“ ნამგალი და სხვ. (სურ. 40—43).




სურ. 95. წალი, აფხაზეთიდან, საქ. მუხ. კოლ.

ნამგალი შემდეგ ნაწილებს შეიცავს: წვერი, საქრელი პირი, ყუა, ღერი, რომელსაც ქართლში „მარანგი“² ეწოდება, ყურწი და ტარი. რაჭული ნამგალი, ისე როგორც რაჭული ცელი, „დაშნა“ და სხვ. „უსერო“ პირისაა, გლუ, მოლესილი ზედაპირი აქვს და მკვეთრი მოხრილობით ხასიათდება. იგი თანდათანობით კი არ მორგავალდება, არამედ ერთ გარკვეულ ადგილას ერთბა-

¹ საბას დაშნა განმარტებული აქვს, ასე: „დაშნა—მოკლე კრმალი, საკიდარი, გინა ქსლის საბეჭავი“ (ლექსიკონი).

² საბას მიხედვით: „მარაგი—ნამგლის ტარი“—(ლექსიკ.).


შად მოიხრება. იგი ფოლადისაგან კეთდება (რაქულ „ხელადს“, ისე როგორც საქ. სხვა კუთხეებისას, „უფახო“ პირი ახასიათებს. ეს გარემოება არ შეიძლება უგულვებლევით საერთოდ ქართული მკედლობის გასათვალისწინებლად). ამასთანავე აღსანიშნავია „ქალვიანი ნამგალი“, რომელიც ძალზე ძველი ჩანს (იხ. სურ. 42). მის მთავარ დამახასიათებელ მხარეს დაგრეხილი „მარანგი“ წარმოადგენს, რომელიც არსებითად ტანის სიმტკიცის მიზნით უნდა ჰქონდეს სხვა ძველებურ იარაღებთან ერთად „ქალვიან“ ნამგალსაც.



სურ. 96. წალდი (განათხარი), ხუგდ. მუხ. კოლ. 65

სათიბელა ნამგალი, როგორც სახელიც უჩვენებს, ზმეტყესად ბალახის მოსაცელებლად იხმარებოდა. იმითი ქალები პურის ყანებს ახლაც მარგლიან.

ბალახის მთიბელ „ხელადში“ შედიოდა ცელი— ზეზეურად სათიბელი და მისი მიმყოლი: „საწყეპი“¹ || დგემლი² || ზინდანი (გრდემლი), კვერი, სარჩილი.




სურ. 97. სახსლავი, წალდი. ს. მერეთი, ქართლი

ამეამად ხმარებაშია ფაბრიკული ჩამოსხმული ცელები, რომელსაც „რუსულს“ უწოდებენ. უკანასკნელ დრომდე იცოდნენ „ქართული ცელი“. გაკედილი ქართული ცელის ერთი ეგზემპლარი დატულია ამეამად საქ. სახ. მუზ-ის ეთნო-

¹ ქართლში მას ზინდანი ეწოდება (ს. მერეთი, გორის რაიონი). ზინდანი ეწოდება აგრეთვე მექვების იარაღს—გრძელ და წვრილთაყვან რკინის გრდემლს—რაქაში და საქ. სხვა კუთხეებში.

გრაფიის განყოფილებაში № 18—38/33. ეს ცელი, გარდა იმისა, რომ წარმოადგენს ტიპური სახის ძველებურ ცელს, საყურადღებოა მასალითაც. იგი გაქედლილია „წედური“ (ადგილობრივი) რკინისაგან და მთელი რიგი თავისებურებით ხასიათდება (სურ. 44). ქართულ და ფაბრიკულ ცელს შორის ძირეული განსხვავებაა როგორც ფორმის, ისე დამზადების მხრით.

პირველი გაქედლილია, მეორე—ჩამოსხმული. ქართული ტიპის ცელი ორლესურიანია, ე. ი. ისეა გაყვანილი, რომ ზედა და ქვედა მხარე მისი თიბვის ერთნაირად შემძლებელია—როგორც მარჯვენა მხრიდან შეიძლება „ლესურის“ გატანა, ისე მარცხენა მხრიდანაც; საჭრელი პირი ორივე გვერდზე „უფარფლო“ (გნდე გადუწვეელი) აქვს, ფაბრიკულს მოხრილი და ფარფლიანი ყუა ახასიათებს, ამის გამო იგი მხოლოდ ცალი გვერდით შეიძლება თიბავდეს. „ქართული ცელის“ ტიპი დაკულია ხვესურული და სვანური ცელების სახით საქ. სახ. მუზეუმში (შდრ. საქ. სახ. მუზ. გამოფენები ხვესურეთისა).



სურ. 98. სასხლავი წაღვი, ს. მეჯვრისხევიდან, საქ. მუზ. კოლ. 87—39—11


და სვანეთის) (სურ. 45); ამ უკანასკნელთ ფაბრიკულთან შედარებით ერთი თავისებურებაც ახასიათებთ: ფაბრიკულ ცელს „სატარე“ და „სარჩილი“ ერთმანეთში გადაბმული აქვს, ხოლო „ქართული ცელის“ ტიპებს „სარჩილი“ (სალტა) ცალკე აქვთ და „სატარესაც“ მათთვის მხოლოდ ყურწი წარმოადგენს; ყურწი ცელი ხის ტარის ერთ ბოლოში ჩაესობა და გარედან სალტეთი გამაგრდება. „ქართული ცელი“ შედარებით სწორადაა გაყვანილი. რათა იგი უფრო მარჯვე სახმარი იყოს, დაგებული აქვს ზურგჩადრეკილი (გადვერული) ტარი, რომელსაც სახელური, „კინთა“ სრულებით არა აქვს.

ამრიგად, „ქართული ცელის“ გამართულობა და მოქმედება ფაბრიკულთან შედარებით განსხვავებული ხასიათისაა და თავისი ყურწის მოყვანილობით და აგებულებით განეკუთვნება ნამგლის, დანების და სხვა გამჭრელთა წყებას.

„ქართული ცელის“ ნაწილებია: წვერი, ყუა, პირი, ყურწი, სალტე, ანუ „სარჩილი“. ასევე ფაბრიკულ ცელს ყველა დასახელებული ნაწილი გააჩნია, გარდა ყურწისა, რომლის საბადლოდ „სარჩილიანი სატარე“ აქვს; აგრეთვე პირველთან შედარებით მას სწორი და „კინთიანი“ ტარიც აქვს დაგებული (სურ. 47).

ცელის „საწყლიპი“, ანუ „საწყეპი“ წარმოადგენს პატარა, ოთხკუთხედი მოყვანილობის გრდემლს, რომელიც შედგება საწყლიპავე პირისა და ყუნწისაგან. იგი ჩამჯდარია ცერად ხის „ღერში“ და შემოსალტული რკინის „არტაშანით“ (სალტეთი) (სურ. 46). მის ძირითად ფუნქციას შეადგენს: „პირდაღვერილი“ ცელის გასაწყლიპად გრდემლის მოვალეობის შესრულება. არსებითად იგი სახელდახელო, მოძრავი გრდემლია, რომლის წაღებ წამოღება შეიძლება სამუშაოდ.

საწყებთან ერთად წყებვის სამუშაოებში სახმარად საჭიროა პატარა კვერი (სურ. 11). „საწყეპი კვერი“ მორჩილი ტანისაა. ცალი თავი „მომორილი“



სურ. 99. სასხლავი, ს. უწვრიდან, საქ. მუხ. კოლ., № 63—39/34


(მრგვალი) აქვს, ცალი—„ნარიკიანი“ (სოლისებურად წამახვილი). ორივე მათგანი—თავი და ნარიკი, მოხელის მიერ გამოიყენება, როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთად, დროსა და გარემოების მიხედვით.

ტერმინი „წყეპა“ იხმარება სხვა მნიშვნელობითაც, მაგალითად, „ტუჩები ჩაიწყაპა“¹ ნიშნავს გადაბრუნებული ბაგენი მოკუმა ლამაზად. ან კიდევ—„ჩაიყვა და ჩაიწყაპა, გაერია ჯარშია“ (ხალხ. ლექსი).

ტერმინი „წყლიპვა“, „წყებვა“ რაქის მკედლობაში იხმარება საგნის—გასაქედი ნივთის ტანის წათხელების აღსანიშნავად, რასაც სხვაგვარად


¹ შდრ. „გორწყაილი“ (მეგრ.)—მოჭირებული, ვიწრო. „წყეპა“—ხელით ცემა (საბა).

რად „მოპირვა“, „გამოპირვა“-ც ეწოდება. „გაწკლიპული ცელი“—ვიწრო და თხელი ცელი; „გაწკლიპული პური“—თხელი, „უგულო“ პური; საწკლიპავები—ჩვეულებრივი წერილი სარები, რომლებიც იხმარება საქონლის ნედლი ტყავის გასაკიდავად; აგრეთვე შემონახულია ხის კურკლის გასაკეთებლად სახმარი რკინის იარაღის მგვრული სახელი—„წკეპალი“, რომელიც მნიშვნელობით შეესატყვისება „ხოწს“, „პირმოხვეულს“. იხმარება ტლანქად გათლილი და „ამოყრილი“ ხის ზოგიერთი ნივთის დასათხელებლად და პირის დასაწმენდად¹ (დასახეწვად).



სურ. 100. წალდი (სახსლავი), საქ. მუზ. ხევისურეთის გამოფენა

ამგვარად, უსწორ-მასწორო და ადგილ-ადგილ ტანსქელი რკინეულისათვის გლუ, „ლიპი“ ზედაპირის მიცემის საქნარს, აგრეთვე „ხელადის“ გათხელება-გაწვრილების სამუშაოს მკედლობაში „გაწკლიპვა“, გაწკეპვა ეწოდება.



სურ. 101. სასხლავი რაჭიდან, საქ. სახ. მუზ. კოლ. № 63—39—1

სანადირო იარაღის კომპლექსში შედიოდა: შუბი, დანა, „მუჯირა“, კვესი, ცული, წრიაპი, „ხაფანგი“ (მახე), ბოძალი, „მარცახი“ და სხვ. (სურ. 51, 52, 53, 54, 55).

სანადირო შუბი წარმოადგენს ნაირი სიდიდისა და მოყვანილობის იარაღს, რომელსაც დაგებული აქვს ხის მრგვალი და გრძელი ტარი. იხმარება ზამთარში

¹ იხ. საქ. სახ. მუზეუმის ეთნოგრ. განყ. არქივი, 1939 წ. ქართლის ეთნოგრ. ექსპედ-ანგარიშები.

ნადირობისას—(საძვერებლად მოსაკლავი ნადირისა). შედგება: წვერისა, ღერი-
სა, ფარფლებისა და სარჩილის ანუ სატარესაგან. „სარჩილი“ შუბისა მოყვანი-
ლობით „წოწოლიკაა“ (კონუსისებური), მასში ხის ტარი დამაგრებულია სამ-
კვლით.

სანადირო დანა ჩვეულებრივი სახისაა. ცოტა მოზრდილი ტანი და სქე-
ლი პირი აქვს. ჩაგებულია ხის ქარქაშში და გაწყობილი „წელსაკიდად“. საქი-
რო შემთხვევაში მონადირეს შეუძლია იმით წვრილი ფიჩხის მოჭრა და ნადი-
რის დაკლა, თუ სხვა იარაღი უმტყუნებს ან თან არ აღმოაჩნდება.

რაც შეეხება „მუჯირას“, „მუჯურო“ (სეან.), „მუჟურო“ (ლენჩ.), „ლაბა-
შა“ (სამეგრ.) წარმოადგენს მთასავალ ჯოხს (ალპენშტოკს). ახასიათებს წახ-
ნაგოვანი, ლინგებიანი ტანი, წამახული ბოლო, გრძელი და მრგვალი ტარი
(სურ. 52). ხშირად მუჯირას ტანის არეში აქვს ქანჩი (ქიმი), რომელსაც
თავისი კონკრეტული ფუნქცია აქვს. ამგვარი გამართულობა მუჯირისა შეპი-



სურ. 102. სასხლავი სარჩილიანი

რობებული იყო ფუნქციით. წამახული ბოლო იმიტომ ჰქონდა, რომ საქირო
შემთხვევაში მას ნადირის ვაგმირვაც შეძლებოდა და საბჯენიც ყოფილიყო.
ზამთრის პირობებში, ღრმა თოვლის დროს ნადირობისას, მონადირე, თუ მიე-
წეოდა ნადირს, „ქანჩს“ ფეხში გამოდებდა და დაიმორჩილებდა მას.

კვეხი უალრესად საქირო და ძველ იარაღს წარმოადგენს. მას თავისი
ძირითადი ხასიათი და დანიშნულება დღემდე დაუცავს, განსაკუთრებით იმ
კუთხეებში, სადაც მის გამოყენებას აზრი აქვს თიბვასა და ნადირობაში.


წრიაპი ასევე მთასავალად საქირო ხელსაწყო იარაღია. იგი იხმარება
ნადირობის და თიბვის დროს, „ფარი“ ადგილებში სასიარულოდ. შედგება:
„სატერფეს“, „ეპილებისა“ და „ყურებისაგან“ როგორც „სატერფეს“, ისე
„ეპილების“ მიხედვით წრიაპი სხვადასხვანაირია.

„მარცახა“ წარმოადგენს ფიწლისებური სახის იარაღს. იგი შეიძლება
მთლიანად რკინისა იყოს ან ტარი ხისა ჰქონდეს. მარცახის ტანი ბოლოვ-
დება რამდენიმე. (2—4) „თითით“ (ქიმით). თითოეული თითი წამახულია და
წვერთან აქვს „კაპი“. იხმარება განსაკუთრებით ღამე, ხელოვნური შუქის
ქვეშ, განაბული თევზის საცემად, სალახერად.

საოჯახო ნივთების კომპლექსში შედიოდა სხვადასხვა დარგის, ფუნქციის
და სახის „ხელადი“: „ასტამი“, „საკეცური“, „ხოწი“, „ჩანგალი“, „ჩასაფხე-

კელა“—სავარცლოდ; „საქვებე“, „ზესადგარი“—ქებათა საკიდლად და „შემოსადგამად“; „სამკერე“—საშუქად; ხათრიკი¹ (ხუთთითა შამფური), „ჩანგალი“—ხორცისათვის (სურ. 60—63).

ასტამი წარმოადგენს რკინის ნიჩაბს, რომელიც საგრძნობლად დიდი ზომისაა [(სიგრძე—130 სმ, პირი 18×15 სმ.) სურ. 55]. მისი ხმარებისას „მე-ვარცლე“-ს (პურის მცხოველი ქალი) მხოლოდ მცირედით სჭირდება წელში მოხრა. ეს მდგომარეობა ძალზე უადვილებდა მას პურის ცხობის მძიმე საქნარს. ასტამი ერთიანი რკინისგანაა „გაყვანილი“. შედგება: პირისა, ლერისა (ტარი) და „კოპანებისაგან“. პირა ოთხკუთხედიანია, ტარი მრგვალი და დაგრებილი, „კოპანები“—დახვეული. ასტამის ფუნქციას შეადგენდა ცხელი „ლველფის“ ანუ „ლადარის“ აღება და მისი დაყრა კეცებში, ან უბრალოდ „კვერბში“ ჩასმული პურებისათვის. ასტამი იხმარებოდა, საკეცურთან ერთად, თითოეულ ოჯახში და ითვლებოდა მზითვის საგნად გასათხოვარი ქალისათვის.



სურ. 103. სავაზე, ს. კრიხი, რაქა, საქ. მუხ. კოლ. №63—39/44


„საკეცური“ (დიდი მავა) ერთიანი „შოლტი“ რკინისაგან „გაყვანილი“ და ორტოლად მოხრილი იარაღია, რომლის მხრები იწოდება „ხელპირებად“. თითოეული ხელპირის შიგნითა მხარე სწორია, გარეთა—წახნაგოვანი. წახნავთ შორის მიუყვება „ლინგები“, რომლებიც „დაწარბულია“. იხმარება ვარცლობაში მხურვალე კეცების ასაღებად (სურ. 57).

ასტამსაკეცური, განსაკუთრებით ზემო რაქის ყოფაში, დიდი ოჯახის პირობებში, შუა ცეცხლთან სახმარად აუცილებელ იარაღს წარმოადგენდა და სარიტუალო საგნად მიაჩნდათ. იგი ყოველ ბარბალობას, გარკვეული ცერემონიალის შესრულების შემდეგ, მოწიწებით გადაეცემოდა ახლად არჩეულ, „წილბედომილ“ დიასახლისს, რომელიც წლის მანძილზე ასრულებდა ამ მოვალეობას, ვითარცა საპატიო საქმეს, და საჭირო პატივისცემით სარგებლობდა ოჯახში. ასტამსაკეცურით ხელში დიასახლისის მიერ ვისიმე წყევა „კერიასთან“

¹ ხათრიკი—შამფურის საყრდენი (საბა), შამფური (რაქა).


ან „წინაცალი“¹ (თაროსთან) „ერუანტლის მომგვრელი“, საშინელი და „გამკრელი“ იყო. იგი თავისა შინაარსით სავსებით ჰგავდა რკინის გრდემლზე გადაცემის მოკმედებას, რაც საკმაო სიძხადითაა დამოწმებული ძველი აფხაზეთისა და სამეგრელოს ეთნოგრაფიულ ყოფაში.

ვარკლის საქმიანობასთან დაკავშირებულია „ხოწი“, იგივე პატარა ზომის ასტამი, რომელიც იხმარება ცომის ასაფხეად და სხვა მსგავსი საქმისათვის (სურ. 58).



სურ. 104. სავაზე, ს. კრიხიდან, რაქა, საქ. სახ. მუხ. კოლ., № 63—39—43

რაც შეეხება „საფხეკელას“, იგი იხმარება თორნეში პურის ცხობისას. კერძოდ, თორნეში ჩაქრული პურის „ამოსაკარებად“ (ამოსალებად) და „ჩამოსასმე-ლად“ (სურ. 59).



სურ. 105. სავაზე, ს. ხანიდან, იმერეთი

სამეურნეო-საოჯახო ხასიათის რკინეულის კომპლექსში მრავალი წვრილი „ხელადი“ შედიოდა: საჩეჩელი² (თუმცა მკედლები მისას მხოლოდ კბილებს ამზადებდნენ, დანარჩენი—ხის მოხელის ნაკეთობა იყო), „სამონველი“, მაჯაგანი, სადგისი, საჯგვლეტი, თევზის საწელავი დანა, მარხილის „ალახი“ და სხვა.

საჩეჩლის თუნქციაში შედიოდა მატყლის ჩეჩვა საჩოხედ, საქუდედ და სხვა ხასიათის შალეულის დასამზადებლად. საჩეჩელი ორი მთავარი ნაწილისგან შედგება: „მუქასარისა“² და „კბილებისაგან“.

¹ „წინაცალი“ — სახლის გარკვეული კუთხე, რომელიც მიანდათ სახლისმფარველი ანგელოზის საყოფად. შდრ. „წმინდა თარო“.

² „მუქასარი“ — ნიფის ტოტი (ვისრამიანი), საბა.


სამონველი (სურ. 27) წარმოადგენს საქონლის საწმენდ, „სამონავ“ ად სახმარ იარაღს. იგი მოხრილია სამ წახნაგად და თავდება დაკბილული ბოლოებით. სამონველი ნაირი სახისაა.

მაჯაგანი საინტერესო და ორიგინალური სახის იარაღია. რკინის მკედელი აქაც მთელ მაჯაგანს კი არ აკეთებს—პირსლა ამზადებს მისთვის. ამრი-



სურ. 106. „დანა-წალდე“, ს. ასკანიდან (გურია)

გოდ, მაჯაგანის შემადგენლობაში მკედლის ნახელავს მხოლოდ პირი შეადგენს. იგი მოყვანილობით დანის პირს წააგავს. მაჯაგანის ფუნქციას შეადგენდა „ტყავ-კაბისათვის“ საჭირო ტყავეულის დამუშავება... მისი საშუალებით აწარმოებდნენ ტყავის ზელასა და „მოქნას“.



სურ. 106-ა. დანა, ფოლის მოსათლელი


სადგისი თავისი რკინის ნაწილით ჩვეულებრივი ტიპისაა. რაც შეეხება მის ტარს, ამ მხრით ნაირობა თვალსაჩინოა. უფრო არქაული სახის სადგისე-ბი მთლიანად რკინისაა და თავდახვეულია წრიულად (სურ. 30).

„საჯგვლეტი“ სადგისის წყებას განეკუთვნება. იგი შეადგენს სადგისის სახესხვაობას. მოყვანილობით საჯგვლეტი ახლო დგას საქრეთელთან (სურ. 29). საჯგვლეტი იხმარება ქართული ქალამნის—„კვახუჯისა“ და ბანდულის საკერავში. იგი ერთიანი რკინისაა.

სამგზავრო რკინეულის წყებაში შედიოდა: „წელსაკიდი დანა“, სატეერის „დანაკი“, ცეცხლის დასაგზები კევის და „ბოხჩის სამკაული“. ეს უკანასკნელი თავის მხრით რამდენიმე თავი (ნაჭერი) იარაღისაგან შედგებოდა: ხადგის საკერავის (2 ცალი); სახვრეტი ღველის (1 ცალი); თეგი ცხენის „ფარმანდის“, ანუ ბორკილის გასახსნელად (1 ცალი); „საშარი“ (სისხლის გამოსაღები დანა—2 ცალი) ერთი ცხენის და ერთი ც კაცისათვის.

ნასკენის სახსნელი—ბლაგეთაიანი, სადგისინაირი იარაღი და სხვ. მთელი ეს კომპლექტი „თვისთვისათ“ ელაგათ ერთ ჩანთაში, რომელსაც „ბოლჩა“ ეწოდებოდა, ხოლო იქ ჩალაგებულ ნივთებს—„ბოლჩის სამკაული“. ეს უკანასკნელი ცხენოსანი მგზავრის აუცილებელ სატარებელ მოწყობილობას წარმოადგენდა. მას დიდი ფასი და მოწონება ჰქონდა ხალხის ყოფიერებაში, როგორც დიდად საჭირო საგანს.

„სახელოსნო ხელკურკელი“ შედარებით მდიდრად იყო წარმოდგენილი. მასში შედიოდა: ხუროს (ხის მოხელის) იარაღი, კლატოზის (ქვის მოხელის) იარაღი, მკედლის, ქვის მუშაკის და რიგი სხვა მოხელის „ხელკურკელი“. ხუროს¹ ხელკურკლის კომპლექსს განეკუთვნებოდა: ნაჯახი, „ჩულუხი“, „თეგი“, „დანახერხი“, საწეავე, პირთხელი, ეჩო, „ჩქუთი“, „ხოწი“, ფარგალი და სხვ.



სურ. 107. რაკული თოხი, ს. სორიდან (ხ.-რაჰა)

„ჩულუხი“ წარმოადგენს გამახულ და „მოყრილ“ პირიან (სურ. 31) იარაღს. იგი იხმარება სახუროო და სხვა სახელოსნო საქნარში. კერძოდ, „სახვრეტად“, გულის ამოსაღებად, „ამოსატეხად“. თეგი, ანუ „სატეხე“ იხმარება ხის საგნების ამოსატეხად, იგი ჩულუხთან შედარებით მორჩილი ტანისაა (სურ. 32). სხვა მხრით, მოყვანილობით და პირის მოქმედებით მას გავს. ორივე მათგანი კუთხედად ხვრეტავს. საბას მიხედვით: „თეგი—დასაბეჭდავივითაა“. მკედლობაში თეგი ეწოდება რკინის საკვეთ იარაღს. „ვათეგვა“—გაკვეთას უღრის.

„დანახერხი“ II „გველიკულა“ წვრილ ხერხს ეწოდება. იგი პატარა ზომისაა, წვრილი ტანის. რაჰის მკედლები ახერხებდნენ მის გაკეთებას საკუთარი ხელსაწყო იარაღის მეშვეობით, რომელსაც „ხალოჯავი“, ანუ ხერხის კბილსაყარი ეწოდებოდა (სურ. 26).

პირთხელი თავისი აღნაგობით და მოყვანილობით იგივე საკრეთელია, მისგან ტანის სისუსტითა და თხელი პირით განირჩევა მხოლოდ (სურ. 33). იხმარება, შედარებით „წმინდა“ სამუშაოებისათვის, ხის მოხელის მიერ.

ხის მოხელის იარაღთაგან აღსანიშნავია ეჩო. იგი დიდიცაა და პატარაც.


¹ „ცულით მუშაკს ხურო ქვია“ (სოფ. ნაკეთი, ხ. რაჰა).

² ჩულუხი—დიდი საკრეთელი (საბა)

პატარა ეჩო ცალი ხელით იხმარება და მას „ხელეჩოც“ ეწოდება, ხოლო დიდ ეჩოს, რომელსაც ორივე ხელით ხმარობენ, „ფეხეჩოს“ უწოდებენ. ხელეჩოები არა მარტო სიდიდით განიჩევიან, ისინი მოყვანილობითა და აგებულებითაც სხვადასხვაობენ (იხ. სურ. 39, 35, 36, 37, 38). ეჩოს ხმარობენ შრავალ საქმეში: ხის საღურგლო „საქნარი“, ქურქლის, ავეჯის დამუშავება და სხვ., საერთოდ ხის სათლელი სამუშაოები, ნაწილობრივ ეჩოთი კეთდებოდა.

ეჩო ძალიან ძველი იარაღი ჩანს. როგორც განათხიარო მასალა¹, ისე შემთხვევით ნახული² ბრინჯაოს და რკინის ძველებური ეჩოები წარმოდგენილია ნაირსახესხვაობით (შდრ. სურ. 35—39).

ზოგიერთი მათგანი (სურ. 38, 39, 36) ყურადღებას იქცევს განსაკუთრებით სატარეს მიხედვით. თუ მათ შესახებ მოყვანილობისა და გამართულობის მიხედვით ვიმსჯელებთ, თოხნაირ „ხელადად“ უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ „მოქანდული“ პირისა და საყუეს მიხედვით ზოგიერთი მათგანი გარკვეულ თავისებურებას ამჟღავნებს.



სურ. 108. „იმერული თოხი“, ს. კიკნაველეთიდან (იმერეთი)

ზოგი ეჩო — „ჩქუთი“ თავისი მოქმედებით განეკუთვნება საქრეთელთა წყებას. მის ტიპიურ თავისებურებას წარმოადგენს „მოხვევული“, „ჩალვერილი“ პირი. ამგვარი მოყვანილობის გამო იგი შემძლეა მრგვალი სახის ნახვრეტებისა და ლარული „ნასერების“ გასაყვანად იხმარებოდეს. ზოგიერთ მათგანს მოკეცილი „სატარე“ აქვს, ზოგს — „სარჩილიანი“ და სხვ. ტანად დიდიცაა და პატარაც. დიდები უფრო „კოდების“, „ბილილების“ ანუ ჩანახების“, „საგომეების“ (ხის საწყლე) და სხვათა ამოსაყრელად, „ამოსაგულავად“ იხმარება. მცირე და ტანმოორჩილი ჩქუთებით ხეზე ორნამენტის ამოჭრას აწარმოებენ. ჩქუთის ნაკვალევს „ხეტი“, ხოლო გარკვეულ შემთხვევაში „ნალარი“ ეწოდება. ჩქუთით „აჭრელებდნენ“ და „აბიკბიკებდნენ“, სხვათა შორის, სკივრებს (ხის ყუთი, სახურავიანი), „არმანებს“ (ვარცლის სადგამი კარადა),

¹ იხ. საქ. მუზეუმის არქეოლოგიური გამოფენა, ფარი—მიწისმოქმედება და მეცხოველეობა პატრიარქალური გვარის სტადიაზე, 12—8 სს დ. ფ.


² საქ. მუზეუმის ეთნოგრაფ. განყ. ლითონის კოლექცია, № 62—39|51.

ტაგრუცებს, კიღობნებს და სხვ. საბას მიხედვითაც „ჩქუთი—ძელთ ამოსათ-
ლელი“-ა (სურ. 28).

ჩქუთთან ახლო დგას „ხოწი“, რომელიც ნაირ სახელს ატარებს—„სა-
ლოკი“, „ეკოზი“, „ხარატული“, „ხეწი“ და სხვ. ხოწი წარმოადგენს პირმოკა-
ულ, „ლესურ“ (გამპრელს) იარაღს (სურ. 34, 34-ა). შედგება პირისა, წვერისა და
ყურწისაგან. ეს უკანასკნელი წარმოადგენს ტარის დასაგებ მხარეს. იგი პირის
მოყვანილობით სხვადასხვანაირია. იხმარება ხის ქურკლის და მისთანათა
„ამოსახვეწ“-„ამოსაგულავად“.

რაც შეეხება რკინის ფარგალს, იგი ჩვეულებრივად გამოიყენება ზედა
პირის მოსახაზავად—ძელის, ქვის და ხის საგნების შესამკობად საჭირო სა-
ხეების გამოსახაზავად.

ქვით მშენებელი ხელოსნის რკინის „ხელქურკლის“ იარაღის წყებაში
შედიოდა: ურო—ორთავიანი, ქვის სამტკრეველ ურო ნარიკიანი (სურ. 21); ქვის
პირის ჩამოსატებად; „კვერი“—ქვის
საფშენელად; „ხელკვერი“—საკრეთ-
ლის საცემად და სხვ. ქვის მთლე-
ლის („შვათხუროს“) „ხელქურკელს“
შეიცავდა: წალკატი, წერაქვი, ჩეკი, სა-
კოდელი, „ტარალი“, ცალწვერი, თეგი,
კბილდაკრილი კვერი, „სავარცხელი“,
ნაჯახი, ხელჩო და სხვ. მათგან „ცალ-
წვერი“ ანუ ჩეკი და „ორწვერი“, ანუ
„წალკატი“ წარმოადგენს წერაქვს, რო-
მელსაც ბოლო წახნაგოვანი და წამა-
ხლი აქვს (სურ. 22). იხმარება ქვის
„მოსაჩეკად“ და „მოსაპირავად“. „ჩე-
კი“, საბას მიხედვით, ეწოდება ცეცხ-
ლის საჩხრეველსაც (იხ. სურ. 83).



სურ. 109. „მეგრული თოხი“, ს. ჯგალიდან


„ტარალი“—იგივე საკრეთელია მოყვანილობით. იხმარება პატარა უროს
დახმარებით ქვის გასაწმენდად და ზედაპირის მოსასწორებლად—კიდებისა
და ნაწიბურების დასახვეწად.

რაც შეეხება „ცალწვერს“, იგი თავით ქვის სატეხად იხმარება, ხოლო
წვერით ქვის „საკორტნად“ || „საჩეკად“. ცალწვერი იგივე წერაქვია, მხო-
ლოდ მის გამოყენებას უფრო კონკრეტული ხასიათი აქვს.

ქვათხუროს იარაღთაგან ყურადღებს იქცევს „კბილდაკრილი“ კვერი.
კვერი საერთოდ ნაირი სახისაა როგორც თავის მოყვანილობით. ისე თითო-
ეული წვერის ფორმით. „კბილდაკრილი“ წარმოადგენს ნარიკიანი „ხელკვე-
რის“ მსგავს იარაღს (სურ. 25), რომელსაც ცალი თავი კბილებიანი, ანუ „კბილ-
დაკრილი“ აქვს, ცალი კი „ნარიკიანი“ (წამახული სოლურად). დაგებული
აქვს ხის ტარი. იხმარება პირმოსწორებული ქვის „მოსახორკლად“, „დასაკო-
კბავად“. ცალკეულ შემთხვევაში მას ნარიკიც დაკბილული უკეთდება (შდრ.
სურ. 65), კბილდაკრილ კვერს კბილი შეიძლება „მსელიც“ ჰქონდეს და

„წმინდაც“. გარდა ამისა, შეიძლება დასახელებულ იქნეს წერტილისნაირთა სხვა ტიპებიც, რომელთაც რაქის სინამდვილეში ამზადებდნენ, მაგრამ აპით დავკ აყოფილდებით.

მკედლის ხელკურკლის და იარაღის კომპლექსში შედიოდა: გრდემლი-„საქედური“. იგი, ძირითადად, ორი სახითაა წარმოდგენილი: „ურქო“ გრდემლი და „რქიანი“ გრდემლი. პირველი ტიპი უფრო ძველი ჩანს და ახლ დგას ქვის უბრალო გრდემლებთან (სურ. 5). როგორც ერთი, ისე მეორე მრავალი ქვესახითაა წარმოდგენილი. როგორც ზემოთ ითქვა, ქვის უბრალო გრდემლი, რომელსაც წედური რქინის დამუშავებაში მადნის დასაფშვნელად იყენებდნენ, ფართოდ ყოფილა ძველთაგანვე გავრცელებული¹.



სურ. 110. „გურული თოხი“. ს. სურებიდან (საქ. მუხ. კოლ. 61—39|3)

ურქო გრდემლის ტიპი საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში უკანასკნელ დრომდეა შემონახული.

ურქო გრდემლი თავისი სახით წაკვეთილი პირამიდისნაირია. იგი ვიწრო თავით ჩამაგრებულია ხის „ქალამანში“, რომელიც წარმოადგენს ხის კუნძს (იხ. საქ. მუხ. ეთნ. განყ. კოლ. № 51—39/175; რაქის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, კოლ. № 25—50).


რქიანი გრდემლი რამდენიმე სახითაა წარმოდგენილი: „ორრქიანი“, „ცალრქიანი“, „დუმიანი“ და სხვ. (იხ. სურ. 6, 5, 8). მათვე განეკუთვნება

¹ პრაფ. გ. ნიორაძეს აღნიშნული აქვს, რომ „ნოწაგეთას გამოქვაბულში, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებნი „საკაეიას“ უწოდებენ, აღმოჩენილია ძვლისა და რიყის ქვის გრდემლები“ (იხ. ძველი ქვის ხანა კავკასიაში, თბ. სახ. უნივერ. შრომები, VI, 1937. გვ. 220)

წერილთაიანი „ყალიბი“, რომელსაც „ცალთავი“ ეწოდება (სურ. 7). ეს უკანასკნელი მკირე რკინეულის „სალვერავად“ (მოსადრეკად) იხმარება. ამავე ჯგუფს განეკუთვნება „ზინდანი“ ო „საწკლი“; რომელიც თავის მხრით სხადასხვანაირია როგორც მოყვანილობით, ისე ფუნქციით (სურ. 7-ა). „სამთავი“ ანუ სამთავი „გრდემლი“ (იხ. სურ. 8) წარმოადგენს თავმოხრილ გრდემლს, რომელსაც წინ ქიმი აქვს, გულში—„ხვრეტილა“. იხმარება ისეთი „ხელადის“ გასაკეთებლად, რომელიც მოითხოვს „წაწვერვას“, ანუ „წაწვეტიანებას“. მაგალითად, შამფურის თითები, ჩანგლის თითები და სხვ.

ამრიგად, გრდემლი ნაირი სახითაა წარმოადგენილი. თითოეულს ამასთანავე თავისი საკუთარი ფუნქცია აკისრია.

როგორც აღვნიშნეთ, „ურქო“ გრდემლი, რომელსაც „ქართული გრდემლი“ ეწოდება, იხმარებოდა უმთავრესად წედური რკინის დამზადებაში. ამჟა-



სურ. 111. ახოს თოხი, ს. მერეთი, ქართლი.

მად, რაკის მკედლობაში გამოყენებულია „რქიანი გრდემლი“, რომელსაც „საქედური გრდემლი“ ეწოდება, რადგანაც არსებობს სხვა სახის არა „საქედური“ გრდემლიც. მაგალითად, ცელის საკვერავი გრდემლი, შექვების „ზინდანი“ და სხვ. რქიანი გრდემლის შემადგენელი ნაწილებია: „ფეხი“, „რქა“, ანუ წვერი, „ღუმა“, „ხვრეტილა“ და „ზეგული“, ანუ „თავი“.

შემდეგ, მკედლის იარაღიდან აღსანიშნავია ურო—საცემი, რომელიც ორთავიანია. დაგებული აქვს ხის ტარი. მძიმეა. იხმარება სქელი და დიდი ტანის რკინეულის „საყებად“, „გასაწვეად“. მის მკერობელს და მცემელს ეწოდება მეუროვე.

„ქოლიკი“, რომელიც წარმოადგენს მალალთავიან უროს, კვერს (იხ. სურ. 9), იხმარება რკინის გასაწვეად და მის გასაყვანად სიგრძე-სიგანეზე. საბას განმარტებით—„ქოლიკი ურქო ცხოვარი“-ა. გარეგანი შეხედულებით ეს იარაღი მართლა ჰგავს „ღრღა“, ურქო ცხვრის თავს. ამ მსგავსების ნიშნადგზე საფიქრებელია წარმომდგარიყო სახელი „ქოლიკი“.

„ჩაფრასტი“ წარმოადგენს „საქოლს“—ცალთავიან კვერს, რომელსაც ახასიათებს „მოქანდული“ და ბრტყელი პირი (სურ. 10). ხმარობენ რკინეულის სიგანეზე გასაწვეად.

კვერი საშუალო სიდიდისაა. ახასიათებს ნარიკიანი თავი. იხმარება რკინეულის ხელადის კეთებაში—საკვერავად (სურ. 11). „უთო“, ანუ „ლიპი“—ორთავიანი კვერია, დაბალი ტანის, ორივე თავი გლუ ზედაპირის მქონეა. დაგებული აქვს ხის ტარი. იხმარება გასაქედი ნივთის „გასალიპად“. ლიპი ერთი თავით რკინაზე დევს და მეორეზე სცემენ დიდი უროთი (სურ. 12).

განსაკუთრებით მდიდრადაა წარმოდგენილი სხვადასხვა სახის და დანიშნულების „სამომხმარებლო“ მარწუხები. თითოეული მათგანი შერჩეული და „მოგუებულია“ ამა თუ იმ საქნარისათვის. ცალკეული ხელადის გაქედვა განსაკუთრებულ იარაღსა და „სამომხმარებლო“ (ხელსაწყო) ხელკუთქელს მოითხოვს. ამ მხრით, რაქის მკედლობის ვითარებაში ზოგიერთი საინტერესო დაკვირვება და მისი რეალური განხორციელების ფაქტებიც გვხვდება. ნაირ მარწუხების, უროების, გრდემლთა და რკინის საკვეთელ იარაღთა არსებობის, სტრუქტურული წყობის და ტექნიკური გამართულობის ფაქტიური სინამდვილე ამასვე გვისურათებს.

ცეცხლიდან რკინეულის გადმოსაღებად და გრდემლზე ხელით დასაკავებლად მოიხმარებოდა:

სურ. 112. ახოს თიხი, ს. წესიდან (რაქა)

1. ხორხმარწუხი—სქელი რკინეულის დასაკავებლად (სურ. 13).
2. კამარწუხი—ასევე სქელი რკინეულისათვის (სურ. 14).
3. ტუჩიანი მარწუხი, რომელსაც „გელზერი“-ც ეწოდება—სახნისების და თხების დასაკავებლად (სურ. 15).
4. ჳორი—პირმოხრილი მარწუხი „ყველაფერში გამოსადეგი“ (იხ. სურ. 16) და სხვ.

რკინის საკვეთად იხმარება „თეგი“ („უურუმი“ ერთიანი რკინისა). რკინას გრდემლზე დასდებენ, ზევიდან თევს დაადგამენ, უროს დაჭკრავენ და ამ სახით გაქრიან რკინეულს (სურ. 17). მეორენაირად რკინას ქრიან „საკვეთით“. ამ შემთხვევაში საკვეთი ჩამავრებულია ფეხით გრდემლის „ხვრეტილაში“ (სურ. 18) და პირით ცერად დგას. ზედ გასაქრელ რკინას დაადებენ, ხელკვერს დაჭკრავენ და გაქრიან. შდრ. „რკინის საქრელი“ (სურ. 18-ა).

მხურვალე. „შანთი“ რკინის სახვრეტად იხმარება წაწვერილი ბოლოს მქონე იარაღი „ზუმბა“ (სურ. 19). დარტყმის საშუალებით გახვრეტის გარდა არსებობს რკინეული „ხელადის“ გახვრეტის მეორე წესიც ე. წ.

გაბურღვა, რაც ხორციელდება „ციბრუდის“, ანუ „მართხაფის“-¹ საშუალებით. ციბრუდი წარმოადგენს მარტივი სახის მოწყობილობას. იგი შედგება ლერძისა, მშვილდისა, ღვედისა და სახვერეტის, ანუ „შარაფი“-საგან. ძის პირად ფუნქციას უმთავრესად ძელისა და ხის ნაწილების გახვერეტა შეადგენდა. საბას² მიხედვითაც ციბრუტი „ფიცართ საჭურეტელია“.

მუშაობის პროცესში რკინის დასაპაგრებლად იზმარება მუხრუჭი, რომელსაც „გირა“ ეწოდება. გირა ორგვარია: „მუჭისა“ და დაჯგისა. მუჭის გირა პატარა ტანისაა და იგი ადვილად შეიძლება გადაიტანოს კაცმა ერთი ადგილიდან მეორე ადგილას (იხ. სურ. 10-ა). ამგვარად, ზემოჩამოთვლილი „ხელადი“ ნათელ სურათს იძლევა რაქის მკედლობის შესახებ, სადაც არა ერთი და ორი საყურადღებო ძველი წესი და მეტალურგიული ხერხია დამოწმებული. ამ მიმართებით, მრავალმხრივ საყურადღებოა პროფ. გ. ჩიტაიას მითითება წედისის რკინის წარმოების შესწავლის მნიშვნელობის შესახებ: „უნდა აღინიშნოს, რომ წედისის რკინის მადნის ამოღების და დამუშავების ტექნიკის შესწავლას უაღრესი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ამიტომ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს წედისის მადნთან დაკავშირებული ხალხში ალაგობრივ შემონახული გადანაშთების შეგროვება“².

¹ იხ. საქართველოს სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ლითონის ფონდი კოლ. № 30—40|1-ბ.

² პროფ. გ. ჩ ი ტ ა ი ა, რაქული სახენელი, ენიმკი-ის მოამბე, ტ. I, 1937, გვ. 252, შენიშვნა 3

თავი მესამე

ხელნაწერი რკინის ზოგიერთი „ხელაღი“

1. „ქართული ცული“.
2. „ნაჯახი“.
3. წალდი, სახსლავი სავაზე.
4. თხი, წერაქვი, სახნახი

რაქის მკედლობის „ნახელავი“ რკინულიდან თავისი „თვალად-ტანადობით“ განსაკუთრებით გამოირჩევა „ქართული ცული“ და „ქართული ნაჯახი“. ცნება „ქართული ცული“ გარკვეული შინაარსის შემცველია და გულისხმობს თავისებური მოყვანილობის ცულს¹ (სურ. 72). ცულის ეს ეგზემპლარი, რომელიც გაქვდილია სოფ. ქვედში, შექმნილ იქნა ჩვენ მიერ 1939 წელს რაქის ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში მუშაობისას მკედელ მისურაძისაგან. ამჟამად დატულია საქ. სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ლითონის კოლექციის ნომრით 63—39—2.

„ქართული ცული“ ორ მთავარ ნაწილს შეიცავს: ახ-თავი და cd-ტანი (იხ. ნახაზ. IV). „თვალად“ იწოდება ცულის ის ნაწილი, რომელიც მოქცეულია ილდიდან ზემო მხრით, ხოლო „ტანად“—რომელიც მოქცეულია ილდიდან ქვემო მხრით. „თავი“ ცულისა შემდეგი ნაწილებისაგან შედგება: ყუა, ყვრი-მალი (წყვილი), „სარჩილი“, ანუ „სატარე“. ტანი ცულისა შეიცავს: „პირს“, „წვერს“, „ნიღრს“ „ილდას“, „შუბლს“, „აჩას“, „ლოყებს“ და „წარბებს“.

ამგვარად, ცულის ერთიანი ტანის აღნაგობა იყოფა ორად. მათ შუა მიჯნას „ილდა“ წარმოადგენს. ცულის ზედა ტანი, ანუ თავი „გულლია“, ქვემო ტანი კი „გულსავსე“. ცულის ზედა ნაწილი თავისი გულლია ადგილით ჰქვინის „სატარეს“ (ნახ. IV, 11), „ყვრიმალბს“ (ნახ. IV, 3) და „ყუას“ (ნახ. IV, 2). „სატარეს“ ტოლსახელია „სარჩილი“ || „საყუე“, რაც სწორი არ უნდა იყოს. „საყუე“ იმ იარაღს ეწოდება, რომლის საშუალებითაც მკედელი ფორმას აძლევს და აყალიბებს როგორც „სატარეს“, ისე მთლიანად „ყუა-ყვრიმალთ“ (სურ. 50). ამრიგად, „სატარე“ წარმოადგენს ტარის დასაგებად გამიზნულ ნაკეთს, „ხანს“, რომელიც ნაირი ზომისა და მოყვანილობისაა. „სატარეს“ ფორმა ყუა-ყვრიმლის გარეგან მოყვანილობაზე დამოკიდებული არ არის და პირუკუ. „ქართული ცულის“ აწინდელი „სატარე“ უმთავრესად კუთხედია, რომლის ჰრილი ტრაპეციას წარმოადგენს (იხ. ნახ. IV, 2). „სატარეს“ ფორმაზე დამოკიდებულია ძირითადად ტარის მოყვანილობა. „ქართული ცულის“ „სატარე“ საერთოდ იმგვარადაა გამოყვანილი, რომ ტარი

¹ ნ. რეხვიანი შეიღი, ქართული ცული, საქ. მუზეუმის მუამბე, ტ. XV-B.

მას მხოლოდ წინა მხრიდან დაეგება. ამ შემთხვევაში, ცულის „სატარეში“ „გაურონიებელი“ რჩება ტარის მცირე ნაწილი, სათადარიგოდ, იმ მიზნით, რომ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი გახდეს მოშვებული ტარის ურყევად მიჯრა მასში. მოქნეულ ცულს ცეხტირიდან მსრბოლი ძალა წინისაკენ ეწევა, მაგრამ ცულის ტარიდან დაძრობას შეუპოვრად აკავებს სატარზე უმსხვესი „თავი“ ტარისა. ამავე მიზნით, ცულის სატარი არა მარტო კუთხედია, წინა მხარეც მისი უკანაზე უფართოესია. ეს საეგებით უზრუნველყოფს ტარის მტკიცედ გაჩერებას მუშაობის დროს, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ცულის პირად ფუნქციისათვის.

რაც შეეხება „ყვრიმალთ“, ეს უკანასკნელნი სატარის „საგვერდულებს“, ანუ გვერდის კედლებს წარმოადგენენ (იხ. ნახაზ. IV, 3), რომელთა ძირი ცულის ქვედა ტანს, ხოლო წვერი ყუას შეერთვის ხოლმე¹, თავის მხრით ყუა ერთგვარ ხიდს წარმოადგენს ყვრიმალთა შორის ჰორიზონტალურად გაწვდილს.

„ქართული ცულის“ „ყუა-ყვრიმლები“ ფორმით ოთხკუთხედის სახისაა. მათი სისქი და სიგრძე-სიგანე ცვალებადია. „ქართულ ცულს“ ყუა-ყვრიმლები ლინგებიანი, დაუწარბავი აქვს. ჩვეულებრივად, ყუის წინა და უკანა ლინგის დაწარბვა წესად არ არის, გვერდებისა კი ხშირად იწარბება. საბას განმარტებით „ყუა—მახვილის გნდე“ არის, ხოლო „გნდე—გარეგანი კუთხე მახვილისა“. ამრიგად, საბას მიხედვითაც ყუა საერთოდ ნაპირს, გარეგან კიდეს ეწოდება და არა მთელ სატარეს ყვრიმლებიანად, როგორც ეს ჩვეულებრივად ესმით ხოლმე. ყუა-ყვრიმალთ სიმტკიცეს მძიმე სამუშაოათათვის განკუთვნილი ცულისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება.

„ქართული ცულის“ ერთ მთავარ კომპონენტს პირი წარმოადგენს (იხ. ნახაზ. IV, 6). პირად იწოდება საჭრელი, ანუ წამახული ნაწილი ცულისა. ასევე, მთელი ქვედა ტანი, ილიიდან მოკიდებული ბოლომდე, პირადვე იწოდება. პირის მკრელობა, ანუ სიმკვეთრე დადებითი ხარისხისა, აღინიშნება ტერმინებით: „ფხიანი“, „ალმასუანი“, „მკრელი“. უარყოფითი ხარისხის— „ბლაგვი“, „წამხდარი“, „უმკრელი“, „განგულა“, „მაჯაგანი“ და სხვ. საბას „პირის“ განმარტებისას სხვა მრავალ მნიშვნელობათაგან დასახელებული აქვს სრულიად მართებულად: „პირად უწოდენ ლახუართა და მახვილთა მკვეთელობათა“² (ლექსიკ.); „ფხას“ შესახებ კი ამბობს: „ფხად ითქმის მახვილის პირთა მლესეელობაცა“ (ლექს.). ამავე მნიშვნელობას აკუთვნებს „პირს“ ქართული ხალხური მასალები². ამგვარად, „პირად“ იწოდება ცულის ის ნაწილი


¹ ყვრიმალი ფონეტიკური სახესხვაობაა ყვრიმალისა, რომელსაც საბა შემდეგნაირად განმარტავს: „ყვრიმალი—ყურის გარშემო (მსაჯ. 4, 21)“, შდრ. საბას მითითების მიხედვით: „მოიღო იაილ ცულმან ქაბერისამან მანაი კარვისი და აღილო ჭუშედა კელითა თვისითა, და შეედა მ-სა მდუმარიად და დაასეა მანაი იგი ყურისამას მისს, და დამსკველა იგრ ქვეყანასა“ (დ.ბ., წსაჯ 4, 21). ამგვარად, „ყვრიმალი“ ყურის ძირს ნიშნავს, ვერძოდ ცულის მიმართ იგი ნიშნავს ყურის ძირად მოქცეულ არეს.

² შდრ. „...ხელში ვერძოდ ცულები, პირები აქ აღმასისა“, ან „...ალმასის დანა გვერდს მიდევს, მითლია, ვერ რომითლია“ (ხალხური). შდრ. „თუ ცული ფბიანი არ იქნებოდა არ ვარგოდა, ასეთი ცული არ სამკირანი იყო. იმითი მარტვა ყინულს თუ ავკრდიით ზამთარ გზებში“ (სოფ. ნაკეთი, თ. დვალიძელი)

რომელიც საგანგებოდაა წამახული გაქრა-გაკვეთის მიზნით. მაგრამ შეუძლებელია „ქართული ცულის“ მიმართ პირის მღვსველობის ხაზის დადგენა, რადგანაც ეს არე ცულის ყუიდან იწყება და პირის უკიდურეს ხაზამდე დადის.

„შუბლი“ შეადგენს ცულის წინა მხარეს, რომელიც ჩაუყვება ცულს ყუიდან მოკიდებული საკრელ პირამდე. „შუბლი“ თავისი მოყვანილობით თანასწორფერდიან სამკუთხედს წარმოადგენს, რომლის წვერი ცულის „ღვსურ“ პირს ერთვის, ფუძე კი „სატარა“.

„ქართული ცულის“ უკანა წახნაგი, რომელიც ვიწრო, სამკუთხედისებურ ნაკვეთს წარმოადგენს, „კაჩად“ იწოდება. „კაჩა“ შუბლის მოპირდაპირე მხარეზეა მოქცეული და მოხაზულობითაც შუბლს მიაგავს, მხოლოდ მასზე ტანთხელი და თან გულჩადრეკილია (იხ. ნახაზ. IV, ფიგ. 3). „კაჩა“ ბოლოთი ამოკაულია გარეთკენ. მოკაულობის ზომა ნაირი ყალიბის ამგვარ ცულთათვის უვალდება. „კაჩაც“ თავისი წვერით, ანუ ბოლოთი ცულის პირს ეკვრის,



სურ. 113. სახნავის თოხი, ს. კიორიდან (ჩაქა)

ხოლო თავით (ფუძით) იღლიას. ცულის „კაჩა“ და „შუბლი“ ლინგებიანი და დაუწარბავია. საბას მიხედვით—„კაჩა—მუხლის ძირის სადრეკი“—ა (ლექს.). ასევე ხალხურში—„კაჩა“ წვივის უკანა მხარეს ნიშნავს, მუხლის სადრეკიდან კანკებამდე¹. სინამდვილეში, ქართული ცულის ეს ნაწილი თავისი გარეგანი მოყვანილობით მართლაც წააგავს ადამიანის მუხლის უკანა გვერდის ჩადრეკილობას. „კაჩას“ უკანა „შუბლიც“ ეწოდება, ხოლო ქართლში, ამასთანავე, „პატარა გვერდი“².

„კაჩასა“ და „შუბლს“ შორის მოქცეულ ცულის გვერდებს (წახნაგებს) „ლოყები“ ეწოდება (იხ. ნახ. IV, 9). „ლოყა“ ცულს ორი აქვს—მარჯვენა და

¹ „ძალდი მომეპარა უკან და „კაჩა“ გამომაქამა“ (იხ. საქ. სახ. მუზეუმი, ეთნოგრაფიული განყოფ. არქ., რაქის ეთნოგრაფიული ექსპ. შასალები).

² იხ. საქ. სახ. მუხ. ეთნოგრაფიის განყოფ. არქივი, ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედი მასალები.

მარცხენა. რაქის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დაუკვირვებლობის შემთხვევაში „ლოყა“ და საერთოდ მთელი ქვედა ტანი ცულისა „პირად“ არის მიჩნეული. „ლოყას“ ქართლში (ქსნის და მეჯუღას ხეობები) „დიდი გვერდი“ ეწოდება¹.

„შუბლისა“ და „პირის“ შეერთებით გაჩენილი წინა კიდური წარმოადგენს ცულის „წვერს“, ანუ წინა „ნიღრს“ (იხ. ნახაზ. IV, 7), ხოლო შორე მსგავს კიდურს, რომელიც ასევე პირის ხაზისა და „ქჩას“ შეერთების ადგილას ჩნდება, „ნიღრი“ ეწოდება (იხ. ნახაზ. IV, 8). საბაჲს „წვერის“ სხვა მრავალ მნიშვნელობათაგან დასახელებული აქვს: „წვერი უწოდენ, ... გინა წვერთა ხეთასა, გინა ლახურათასა და მახვლისათა“². „ნიღრის“ შესახებ კი ნათქვამი აქვს: „ნიღრი მახვილის ყუის გნდე“ (40, 20 იოზ.), ხოლო სიტყვა „ნ. პირი“-ს განმარტებისას „ნიღრი“ წარმოდგენილია ზოგადად, კიდეთა ერთი კერძო სახეობის აღმნიშვნელ ტერმინად, რაც არ ეწინააღმდეგება ზემოთ მოტანილ განმარტებას ცულის „ნიღრისა“ და „წვერის“ შესახებ, როგორც ამას შედარებითი ეთნოგრაფიული მასალაც უჩვენებს. ქართლში ცულის წვერს წინა „ნიღრი“, ანუ წვერი ეწოდება, „ნიღრს“ კი უკანა „ნიღრი“, ანუ უკანა „წვერი“³. იმერეთში წვერს ცხვირი ეწოდება, ნიღრს—„ქართი“, პარალელურად „ნიქარტი“⁴. გურიაში წვერის ადექატურ ნაწილს ნაჯახისას (ქართული ცული ამგებად იქ ხმარებაში აღარ უნდა იყოს) „ცხვირი“ ეწოდება, ხოლო ნიღრის—„ფერცხალი“, ანუ „თათვი“. „ნიღური“, რომელიც ნიღრის შესატყვისს—შესაბამ ნაწილს წარმოადგენს, ეწოდება ნაჯახის „შუბლს“⁵.

ქართული ცულის ერთ საყურადღებო ნაწილს „იღლია“ შეადგენს. საყვრიმლის ძირში ცულის ქვედა ტანი მოვიწროებულია „ანაგებ“. ამ ადგილას ცულისა იქმნება ერთგვარი ქდე—კუთხე (იხ. ნახაზ. IV, 10), რომელსაც „იღლია“ ეწოდება. „იღლიის“ ზომა და მოყვანილობა ნაირი სიდიდის ცულთა მიხედვით ცვალებადია.

ამრიგად, ჩვენ გავითვალისწინეთ „ქართული ცულის“ ძირითადი შემადგენელი ნაწილები და თითოეული მათგანის ადგილი ცულის საერთო აღნაგობაში. მთლიანობაში „ქართული ცულის“ საერთო შეხედულება სოლს გვაგონებს; გვერდითი ხედი უთანაზომო ტრაპეციას წარმოადგენს, ხოლო წინა ხედი—თანასწორ ფერდიან სამკუთხედს.

საქ. ეთნოგრაფიულ სინამდვილეში „ქართული ცული“ წარმოდგენილია მრავალი თავისებურებით და ქვესახით. „ქართული ცულის“ ქვესახედ შეიძლება მიჩნეულ იქნეს „მთიული ცული“, ასევე „მეტეური ცული“. მთიული ცულის ტრიპიურ თავისებურებას წარმოადგენს ქდეებიანი იღლიის უქონლობა

¹ იხ. საქ. სახ. მუხ. ეთნოგრაფიის განყოფ. არქივი, ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედ. შასალები.

² იქვე.


³ იხ. საქ. სახ. მუხუდების ეთნ. განყ. არქივი, ქსნის ეთნ. ექსპედ. დღიურები.

⁴ აღ. სახანბერიძე, იმერეთში მივლინების მოკლე ანგარიში (იხ. საქ. სახ. მუხ. ეთნოგრ. განყოფილების არქივი); ბ. თევზაძე, გურიაში მივლინების ანგარიში, გვ. 16.

⁵ იხ. საქ. სახ. მუხ. ეთნოგრაფიის განყოფ. არქივი.

და შედარებით გამართული „კაჩა“ (სურ. 76). თავის მხრით, „მეტიურ ცულს“ ერთობ გრძელი (მაღალი) და ვიწრო პირის მოყვანილობა ახასიათებს (სურ. 79).

„ქართული ცულის“ დამზადების წესების საკითხი მნიშვნელოვანი პრობლემაა. რაქის მკედლობის ვითარებაში რკინეული „ხელადის“ დამზადებისას ძირითადად ტრადიციული ცოდნა-გამოცდილებით ხელმძღვანელობენ; ამ მიმართებით რაიმე არსებითსა და პრინციპული ხასიათის განთავისებას „ხელადის“ გაქედვის ძველ და ახალ წესს შორის აღგილი არა აქვს, კერძოდ, ქართული ცულის დამზადება ერთი გარკვეული წესით წარმოებს



სურ. 114. გაკოპიტებული თობი ს. კრიხიდან, რაჭა. საქ. მუხ. კოლ., № 63—39/30

პირველ ყოვლისა, საჭიროა საცულე რკინის შერჩევა, მისი მოზომვა (წონის საშუალებით ან სავარაუდო თვალზომით აღება), მოკვეთა, გახურება და სათანადოდ „მოთელვა“. როდესაც ყველა ეს სამუშაო მოთავდება, მკედელი იწყებს ყუა-ყვრიმლის დაგვარებას გრძლად გაბრტყელებული რკინის შუაგულიდან. ამრიგად, საცულე რკინა ჯერ სათანადოდ გამოკოპიტდება და შემდეგ ორტოლად, ანუ ორჯერ მოიკეცება (იხ. ნახ. IV, 1), ნაკეცში მას „საყუე“ დაეყოლება „სატარეს“ გამოსაყვანად. ამ სახით რომელიმე გასაქედი ნივთის დაგვარებულ სახეობას (გაკოპიტებულს) „დედანი“ ეწოდება (ტაბ. II, 5). ვიდრე საცულე „დედნის“ ტუპ ღეროებს (მხრებს) შეაერთებდნენ და მის მიმთელება-მიღულებას დაიწყებდნენ, საყვრი-შალიდან მოკიდებული შუა ტანამდე „ყაფს“, ანუ ძგიფს დააყოლებენ (იხ. ნახ. IV, 13), რომელიც ცულის ქვედა ტანს საკმაოდ ასქელებს და საშუა-

ლებას იძლევა ცულისათვის პირის სოლისებურად წასამახავად და თანაზომიერად ჩამოსაქნელად. ყაფადღებული¹ „დედანი“ ამის შემდეგ პირის შედუღებასა და მომთლებას საჭიროებს; ამ მიზნით ცულის „დედანი“ კვლავ ქურაში მიაბრუნებენ. საცულე დედანს, როგორც ითქვა, ყველა სხვა ნაწილზე უკეთესად ყუა და ყერიმლები აქვს დამზნეული და გამოყვანილი. ამიტომ ვიდრე მთლიანად გასრულდებოდეს ცულის გამოყვანა, დედანს „მრავალგზობად“ ქირდება ცეცხლში გატარება, რაც უდავოდ უარყოფითად იმოქმედებდა ცულის ტანის „სიმთელე-სისალეზე“ და გამოიწვევდა მის უბრალოდ ცეცხლში ჩაწვას, რომ საამისოდ ერთგვარ წინასწარ ზომებს არ იღებდნენ. ამგვარ საშუალებას წარმოადგენს აყალო მიწა, რომელსაც მოზელილს „სატარესა“ და ყუა-ყერიმლის არეში შემოსდებენ ცულს ხოლმე და ისე „ადულებენ“ ქურაში. უკანასკნელი მშენიერად იცავს ამ მხრით რკინეულს ცეცხლის მევენე ზეგავლენიდან. საერთოდ კი ცულის მთელი ტანის დასაფარავად გატრილი და წმინდა სილა იხმარება, რომელიც დუღილის დროს „წაფრევა“ რკინეულს, რათა „კანი მოუშუშოს და გულიც უმი არ დარჩეს“. სამუშაოს ამ სახეს „სადულის დარიგება“ ეწოდება². რკინის შედუღების მსვლელობა ამ შემთხვევაშიაც ჩვეული და ნაცადი „სანიშნოებით“ (ცეცხლის ალის ფერი, ნაპერწკალთა „გაპწკილება“ და სხვ.) გამოიხატება.


როდესაც შეეტყობა ცულს პირის მიმთელება, მას საჩქაროდ გადმოიღებენ და დაუწყებენ კვერვას. კვერვისას ცულის ტანი სათანადოდ „შედგება“ (დაიხვეწება) და ჩამოიქნება ხოლმე, რასაც პირის „მიდუღება“—„მიმთელება“ ეწოდება. კვერვამოთავებული ცული ტანის „გაწკიპვას“, ანუ „გაწკიპვას“ თხოულობს. ეს საქნარი გულისხმობს უსწორმასწორო და ნაკვერი ადგილების მოპირვა-მოსწორებას. მოპირვა საგანგებო იარაღით—„ლიპით“ (სწორი და ბრტყელთავიანი ხელკვერი) წარმოებს (იხ. სურ. 12). თავისი ფუნქციით „ლიპი“ ერთგვარ უთოს მაგვარ იარაღს წარმოადგენს, რომლითაც რკინეულს „კანს“—ზედაპირს უსწორებენ. მიუხედავად ამისა, რკინეულს მაინც თუ თან დაჰყვება „ფურჩი“, ანუ „ორტყავი“ (აქერცილი ადგილები), საჭირო ხდება მისი კვლავ ქურაში მიბრუნება და ამ აქერცილი ადგილების მიმთელება, ასევე ტანის „გაწკიპვას“ „გაყაზმვა“ და სისწორეში მოყვანა მოსდევს. ეს სამუშაო ითვალისწინებს ლინგების (წიბობები) დაწარბვას, „ყუა-ყერიმლის“ და „ილიის“ სისწორეში მოყვანა-გამართვას და სხვ. ყოველივე ამის შემდეგ ცული უნდა გაიღესოს, იწართოს რიგინად და დაიფეროს, ამით ჰქვდა გასრულდებულად ითვლება და ცული უკვე გამზადებულია. ახლად გაქედნილ ნაწარმს რაკის მქედლობაში ახალი „ხელადი“ ეწოდება.

¹ „ყაფი“ წარმოადგენს ერთი მხრით წათხვლებული ლითონის ფიოფიტას (იხ. სურ. 13), რომელსაც ქართლში „ლოყვა“, ხოლო გურიაში „ტგიფი“ და სამეგრელოში „სარჩული“ ეწოდება. რაკის ეთნოგრაფიულ ვითარებაში „ყაფი“ სხვა მნიშვნელობითაც იხმარება, მაგალითად, ქალ-მნის ყაფი (ე. ი. ჩაყენებული ნაწილი ქუსლისკენ ან შუაგულისკენ), ყაფიანი ქუდი (წოწმადიკიანი, მაღალი) და სხვ.

² დარიგებას ქართლში (ლიხვის ხეობა) „სადულის კმკვას“ უწოდებენ.

სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების საქიროებისა და ხე-ტყის სამუშაოების საწარმოებლად რაკის ეთნოგრაფიულ ყოფიერებაში რკინის სხვადასხვაგვარი სამუშაო იარაღი იხმარება, მათ შორის რამდენიმე სახის ცული. თითოეული ეს იარაღი, ცხადია, სამუშაოთა ამა თუ იმ უბანზე გამოიყენება. კერძოდ, „ქართული ცულის“ „პირად“ ფუნქციას, უმთავრესად მაღნარის ტყის „საქნარი“ შეადგენს—ძირი ხეების მოკრა, დამორვა, დაპობა და საყანე ადგილებში დიდი ტანის ხეების გადაკაფვა ტანს ზემოთ¹. ამგვარი სამუშაოების საწარმოებლად „ქართული ცულის“ აღნაგობა ზედგამოჭრალია. საბას მიხედვითაც ცული ხეთ საკერი იარაღია (ლექსიკ.) ასევე დაბადების ქართულ თარ-

გმანში ცულის „პირად“ ფუნქციას და უშუალო საქნარს ხეთი კრა და საერთოდ მკვეთელობა შეადგენს: „ნუ იდიდოს ცული თვინიერ მკუთელისა მის მიერ“ (ესაია, 10, 15); „ვითარცა მაღნარსა შინა, ხე ცულითა დაკოდნეს, ბჰენი მათნი რაითურთის ცულითა და წერაქვითა დაამხუეს იგი“ (დავითნი, 63, 6). სამწუხაროდ, გაურკვეველია ჩვენთვის, სახელდობრ, რომელიც სახის ცული იგულისხმება „დაბადებისა“ და საბას მიხედვით. „ქართული ცული“, რომელიც დღემდე ქართლსა და საქართველოს ზოგიერთ კუთხეში გაბატონებული ცულის ტიპს წარმოადგენს, „ნაჯახი“ (ფთიანი ცული), თუ რომელიმე სხვა ცული? შედარებით მასალას ამ საკითხში რაიმე გარკვეულობა და სიცხადე არ შეაქვს. ამ ვითარებაში, ვიდრე ტერ-



სურ. 115. თოხწერაქვა, საქ მუხ.
კოლ., 63—39|28

მინი „ცულის“ და ტერმინი „ნაჯახის“ კონკრეტული მნიშვნელობა ისტორიულად არ გაირკვევა და დადგენილ არ იქნება ცულის და ნაჯახის ძირითადი ფორმები სტადიური განვითარების მიხედვით, მანამდე ეს საკითხის ნისლს ვერ „გადიყრის“.

გურიაში, სადაც ცულის გაბატონებულ ტიპს „ნაჯახი“ (ფთიანი ცული) წარმოადგენს, „მძლავრი ხეების მოსაპრელათ იხმარება დიდი ცული, რომელსაც აქ „კინა“ ეწოდება“². იგივე ფუნქცია აქვს დაკისრებული ცულს იმე-

¹ ამ შემთხვევაში იგულისხმება გარკვეული სიდიდის, საშუალო ზომის „ქართული ცული“.

² ზ. თეხაძე, გურიაში მივლინების ანგარიში (იხ. საქ. სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილების არქივი), გვ. 15.

რეთში, ქართლსა და ლეჩხუმშიაც. „ცული გვეკირდება დიდი ხეების მოსა-
კრელად და ჩამოსახორტათ“¹ (მსხვილი ტოტების გადასაკაფად მალა ხეზე).
„უმთავრესად, ცულით დიდი ხე იჭრება და, საერთოდ, სამძიმო საქმეში გამო-
სადეგია“². ცულის ფუნქცია დაახლოებით ამავე სახით წარმოგვიდგება სა-
ქართველოს სხვა კუთხეებშიაც. ცხადია, არც წარსულში და არც ახლა მხოლოდ
ამით არ განისაზღვრება ცულის ფუნქცია (ვგულისხმობთ „ქართულ ცულს“) (სურ. 72).

ტერმინი „ცული“, როგორც ეთნოგრაფიული მონაცემებით ირკვევა,
რომელიმე კონკრეტული სახის ცულის აღმნიშვნელი არ არის; როდესაც
საჭირო ხდება ერთი რომელიმე კონკრეტული სახის ცულის მეორესა-
გან გარჩევა და დამახასიათებელ თავისებურებათა გამოხატვა, „ცულს“
უთუოდ წინ მსაზღვრელი სიტყვა დაერთვის, რომელიც განმარტავს ცულის
ინდივიდუალობას. ამის მაგალითებს წარმოგვიდგენს: „ფთიანი ცული“, „ქარ-
თული ცული“ „კობიტი ცული“, „რუსული ცული“, „სეანური ცული“, „ოკრი-
ბული ცული“, „კოდარ-ცული“ და სხვ. ამ მიმართებით, ცულის ის ტიპი,
რომელზედაც ჩვენ განსაკუთრებით შევჩერდით და ყველაზე უძველეს და
საყურადღებო ფორმა-შინაარსის მქონე ცულებთან ახლო დავაყენეთ, არის
„ქართული ცული“. მას ახასიათებს:

1. შედარებით ვიწრო ტანი, წინისკენ სწორად ჩამოქნილი, უკანა
მხარეზე ნაწილობრივ „მოქანდული“ (მოხრილად გამოყვანილი), 2. ჩალახული
„ილია“, ანუ „კუწუბი“, 3. დაქანებული, ლინგებიანი „შუბლი“—დაუწარ-
ბავი, 4. ირიბად ამოკაული, გახრილი „კაჩა“ (უკანა გვერდი), 5. კუთხედი
და ბრტყელი „ყუა-ყვრიმლები“, 6. კუთხედი, ტრაპეციის მოყვანილობის
„სატარე“, ანუ „სარჩილი“, 7. ილიიდან უკანა მხარეზე წამოზიდული „კ-
და“ (ტარის საყრდნობი), 8. „უფახო პირი“ (ეროს პირი „უფახიანი“ აქვს,
ცულის პირი ამ მხრით ეროს ანტიპოდს წარმოადგენს), 9. „პირი“ (იგული-
სხმება საქრელი პირი) მცირედით გორდა (მომრგვალებული ოღნავ), 10. მარ-
ტივი აგებულება და ფუნქციური გამართლება (იხ. ნახ. IV, სურ. 72).

ქართული ცულის ცალკეული კომპონენტი, ისე როგორც ამ კომპონენტ-
თა ერთობლიობა, „შეთახუნებული“, შეფარდებულია თავის „პირად“ ფუნ-
ქციას. უნდა ვივარაუდოთ, რომ „ქართულმა ცულმა“ თავისი შინაგანი გან-
ვითარების და გაუმჯობესების საკმაო მანძილი განვლო, ვიდრე იგი დღევან-
დელ სახეს საბოლოოდ მიაღწევდა.

აღსანიშნავია, რომ ცულის ეს ტიპი საქართველოს სინამდვილეში ცნო-
ბილია ნაირი სახელწოდებით. გასაოცარი ის არის, რომ ზშირად რეალური
საგანი და მისი შესატყვისი სახელი თემთა მიხედვითაც კი სხვადასხვაა.

¹ აღ. სახანბერიძე, ეთნოგრაფიული მასალები მაიაკოვსკის რაიონიდან (იხ. საქ-
სახ. მუზეუმის ეთნ. განყ. არქივი), გვ. 8.

² ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები (იხ. საქ. სახ. მუზე. ეთნოგრ. განყ.
არქივი).

ქართული ცულის სახელები რაჭის სოფლების მიხედვით

1. „ქართული ცული“:	2. „ცულაფთა“ ¹ :	3. „საქრელი ცული“:
სოფ. წედისი	სოფ. წესი	სოფ. უწერა
„ ღები	„ ურაეი	„ ნაკიეთი
„ ქიორა	„ კვაცხუთი	„ სომიწო
„ გლოლა	„ ქიორა	„ წოლა
„ ნაკიეთი	„ უწერა	
„ გომი	„ ძეგლევი	
4. „მთიული ცული“:	5. „სვანური ნაჯახი“:	6. „ცული“:
სოფ. ქვედი	სოფ. სადმელი	სოფ. ძეგლევი
„ ირი	„ რიცეულა	„ ქიორა
„ ცხმორი	„ კრებალო	„ საკაო
„ პიპილეთი		„ ხილაში
		„ ონქევი
		„ გლოლა
		„ ღები

„ქართული ცულის“ სახელები საქართველოს სხვა კუთხეებში:

1. „კოდარა“ ო „ძველებური ნაჯახი“; იმერეთი,
2. „ილიანი ცული“ ო „ნიღვრიანი ცული“; ქართლი (ქსნის, ლიახვის ხეობა),
3. „ცული“; ხევსურეთი, ლეჩხუმი, ქართლი (ბორჯომის ხეობა),
4. „სვანური ნაჯახი“, სამეგრელო (ჯვარი),
5. „აფსუაიხა“ (აფხაზეთი),
6. ლუზნუკადა (სვანეთი).

„ქართული ცულის“ გავრცელების გეოგრაფიული არე რატომღაც მოვიწროებული ჩანს. ამჟამად იგი იხმარება მხოლოდ ზ/რაჭის ზოგიერთ სოფელში: ღები, ქიორა, გლოლა, უწერა, ძეგლევი, გომი, წედისი, ქვედი, ცხმორი, ონი და სხვ. ქვემო რაჭასა და მის მიმდგომ სოფლებში „ქართული ცული“ მთლიანად გადაშენებულა. თუ შემთხვევით სადმე გადაჩენილა, გამოუყენებლად, უხმარად გდია სადმე კუთხეში. მის შესახებ ბევრი რამ აღარ ახსოვთ. საინტერესოა, რომ მას ყველა ძველ ცულად მიიჩნევს—„უმანდულია, ჩვენ ძველებს ეგა ცოდნიათყე“-ო.

¹ „ცულაფთა“, პარალელურად „აფთუკა“, ეწოდება ცულს, რომელიც ფაბრიკულ ნაწარმს წარმოადგენს. საბას განმარტებით: „აფთი—მახვილია ბრტყელი და ბუნგრძელი“ (ლექსიკ.). საგულისხმოა სოფ. ნიგაუზების მცხ. თომა დვალისეილის ცნობა „აფთის“ შესახებ, რომლის მიხედვითაც ეს იარაღი საბრძოლო ნასიათისა უნდა ყოფილიყო. როდესაც სვანები შემოსევიან სოფლებს, მათ წინააღმდეგ „ვ-ეები (კაცები) თოფებითა და აფთუკებით ყოფილიყვენენ შეიარაღებული“, როგორც ამის შესახებ მას მამამისმა გადმოსცა.

რას უნდა გამოეწვია ამ სახის ცულის ყოფიერებიდან გასვლა? ეს საკითხი საინტერესოა, მით უმეტეს, რომ „ქართული ცული“ გადაშენებული ჩანს არა მარტო ქვემო რაჭაში, იგი აღარც იმერეთ-ლეჩხუმს, გურია-სამეგრელოს, ქვემო სვანეთს და აფხაზეთს შერჩენია. კიდევ უფრო საკვირველი ის არის, რომ ქართლში, უპირატესად, ეს ცულია გავრცელებული, მაშინ როდესაც მის მეზობელ ქახეთში იგი ხმარებიდან „გადასული“ ჩანს. შემდეგ ფშავ-ხევსურეთსა და საერთოდ საქართველოს მთიან ზოლში იგი კვლავ თავის უფლებებს ინარჩუნებს, თუმცა „ქართული ცულის“ წმინდა ტიპი იშვიათია. სინამდვილეში, აწინდელი ცულები მის დაქვეითებულ სახეს უფრო წარმოადგენს, ვიდრე „ქართული ცულის“ ნამდვილსა და დახვეწილ ტიპს (სურ. 76, 77, 78).


მხოლოდ ქართლს შემოუნახავს იგი ყველაზე წმინდა და მტკიცე სახით. ამ ხაზზე რაქა — ქართლის შეხვედრები საგულისხმოა (შდრ. სუო. 72 და 73).

ამრიგად, უნდა ვივარაუდოთ, რომ „ქართული ცულის“ გავრცელების არე ახლო წარსულამდე შედარებით მასზე ვრცელი და ფართო იყო, ვიდრე იგი დღეს ფაქტიურად არის. კერძოდ, რაქის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში „ქართული ცულის“ საყოველთაოდ გამოყენება ყოფაში ყველა მონაცემით დასტურდება და ამდენად ექვს არ იწვევს. უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ცულის ძველი სახეები ღრმად მიდის ისტორიაში (შდრ. სურ. 80 და საქ. სახ. მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილების ფონდები).

რაც შეეხება ცულის მეორე სახეს — „ქართულ ნაჯახს“, ასევე საყურადღებო აღნაგობისა და მეტად თავისებური სახის ცულის ტიპს წარმოადგენს. თავისი გაუმჯობესებული და დაწინაურებული შინაგანი და გარეგანი მხარეების მიხედვით იგი სამართლიანად ჩაითვლება ქართველ ტომებში შემუშავებული ხის ხელობის მაღალი კულტურის ერთ-ერთ მაჩვენებლად (სურ. 84, ნახ. II)¹.

ეს უკანასკნელი დიდი მონდომებით და გულნოდგინებით მზადდება რაქის მჭედლების მიერ. ამ სურ. 116. თხოვრაქვა, ს. ქველი მხრით ნაქები ნაჯახის მჭედლობით განსაკუთრებით გამოირჩევიან სოფ. ნაკიეთი, სორი, ონი (ზ/რაქა), ამბროლაური, ხონკიორა (ქვ. რაქა) და სხვ.


„ნაჯახი“, ისე როგორც „ქართული ცული“, შედგება ორი მთავარი ნაწილისაგან — ტანისა და თავისაგან. თავის მხარეზე (ახ) მოქცეულია ნაჯახის



¹ რაქული „ნაჯახის“ ეს გვგებმლარი ამბროლაურიდანაა ჩამოტანილი 1939 წელს. ამჟამად სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებაშია დაცული № 63—39/56.

„ყუა“, „ყერიმლები“ და „სატარე“. ტანისკენ (cd)—„ლოყები“, „ფრთა“, „შუბლი“, „კაჩა“, „კადა“ „პირლესური“, „წვერი“ და „ნიღრი“. ამგვარად, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ახალი ელემენტის—ფრთის დართვას, ნაჯახი არსებითად იმავე ნაწილებისაგან შედგება, რა ნაწილთაგანაც „ქართული ცული“.

ნაჯახის „ყუა-ყერიმლები“ და მათ შორის მოქცეული „ლია გული“—„სატარე“ ძირითადად იმავე პრინციპითაა გაწყობილ-გამართული, როგორც ეს „ქართულ ცულს“ ახასიათებს. „ქართული ცული“ და „ნაჯახი“ ერთმანეთისგან მკვეთრად მხოლოდ ქვედა ტანის მიხედვით განირჩევიან. ნაჯახის „ყუა“ (იხ. ნახ. II, 2) მოგრძო ოთხკუთხი ფორმის ფიგურას წარმოადგენს და შეფარდებულია თავისი ზომით და აღნაგობით „ყერიმლებსა“ და, საერთოდ, ნაჯახის დანარჩენ ტანთან. ასევე, ნაჯახის „ყერიმლები“ წარმოადგენს საგვერდულებს „სატარესას“. ყუასთან ერთად ეს უკანასკნელი ჰქმნიან ამ „სატა-



სურ. 117. თოხწყარაქვა, ქ. ონიდან (საქ. მუხ. კოლ., 63—39|11)

რეს“ შიგნითა და გარეთა კედლებს. თითოეული „ყერიმლი“ ოთხკუთხოვანი მოყვანილობისაა (იხ. ნახ. II, 3). ნაჯახის ყუა-ყერიმლების წიბოები, ანუ ლინგები მცირედით დაწარბულია. ამრიგად, „სატარე“ წარმოადგენს ყუა-ყერიმლებით და ძირს „კადოთი“ მოკედლურ კუთხოვან „ხანს“ (ნახვრეტს), რომლის მოყვანილობა ტრაპეციისებურია (იხ. ნახ. II, 4). ამ მხრით ნაჯახის „სატარე“ ქართული ცულების ტიპიურ სატარეთაგან არ გამოირჩევა.

„შუბლი“ ნაჯახის მთელი ტანის წინაგვერდს, ანუ წახნავს ეწოდება. იგი თანასწორფერდიანი სამკუთხედის მოყვანილობისაა, წვერით ნაჯახის პირის „გნდეს“ ეკვრის, ხოლო ფუძეთი—„სატარეს“ (იხ. ნახ. II, 5). შუბლის გვერდები უშუალოდ ერთგვის ნაჯახის ქვედა ტანს და ჰქმნის საგვერდულებს, რომლებიც „ლოყებად“ იწოდება (იხ. ნახ. II, 9). ამრიგად, „ლოყა“ წარმოადგენს ნაჯახის ქვედა ტანის საგვერდულს, რომლის საზღვრების ზუსტად მოხაზვა, ამდენადვე მისი მოყვანილობის გარკვევა შეუძლებელია. „ლოყათა“ უშუალო გავრძელებას უკანა მხრით ნაჯახის „ფთა“ წარმოადგენს (იხ. ნახ. II, 10). ეს უკანასკნელი ელემენტი „ნაჯახის“ ფორმა-შინაარსის წყობაში არებით ხასიათს იტარებს. „ქართული ცული“ და „ნაჯახი“ ძირითადად „ფთის“ მიხედვით განსხვავდებიან. თუ ნაჯახს ავიღებთ, მასზე „ქართულ

ცულს“ დავატოლებთ და მოვზმანავთ, აღმოჩნდება, რომ გადამეტებული ნაწილი „ნაჯახის“ პირისა გეომეტრიულ ნაკვთს, სექტორს იძლევა, რომლის ოდრიკალს წარმოადგენს „ქართული ცულის“ „კაჩა“ (იხ. ნახ. I და II, ABC), ხოლო გვერდებს ნაჯახისავე „კაჩა“ და „კადა“ შეადგენს. სინამდვილეში, ABC ნაკვთი „ქართულ ცულს“ რომ მივიდგათ, ნაჯახს მივეღებთ და პირუკუ, ნაჯახს რომ იგი ჩამოვაკურათ, „ქართული ცული“ დარჩება. საინტერესოა, რომ ნაჯახის „ფრთას“ მეგრულად „ფრიმული“ (პირდაპირი მნიშვნელობით წვერები კაცისა) ეწოდება¹. გურიაში მას ნაირი სახელით იცნობენ. სოფ. ზემოხევში (საქაშიასერი) მკედელ თევზადის ცნობით ნაჯახის „ფრთას“ „დგიბი“ ო „დგიფი“ ეწოდება, ხოლო მკედელ ბერიას მიხედვით—„მერცხალი“. ასევე. განახლების თემში „ფერცხალი“, ხოლო სამების თემში მას „თათვი“ ეწოდება². ჩანს, ნაჯახის „ფრთას“ საქართველოს სხვა კუთხეებშიც სხვადასხვა სახელი გააჩნია. ამ ვითარებაში ერთი რამ ცხადია, ნაჯახის კონსტრუქციაში „ფრთა“ არსებით ელემენტად არის მიჩნეული არა მარტო რაქის ეთნოგრაფიულ არეში, არამედ საქართველოს დანარჩენ კუთხეებშიაც. „ფრთის“ უკანა გვერდს წარმოადგენს ნაჯახის „კაჩა“, რომელიც ცულისას არ ჰგავს: მისებრ გულჩადრეკილი და ამოკაული კი არ არის—სწორი და თითქმის წინაშუბლის პარალელურია. მოყვანილობით და გამართულობითაც ამ უკანასკნელთან ახლო დგას, მხოლოდ მასზე მოკლე და თხელია (იხ. ნახ. II, 4). „კაჩას“ „გნდენან“ მოკიდებული საყვრილმამდე ნაჯახის „ფრთის“ ზურგი წარმოადგენს მოგრძო ოთხკუთხეოვან ფიგურას, რომელსაც „კადა“ ო „კალო“ ეწოდება³. ამ უკანასკნელზე დაყრდნობილია მთლიანად ნაჯახის ტარი (იხ. ნახ. II, 11). „კადა“⁴ სიგანით თანდათან ფართოვდება წინა მიმართულებით. ამგვარი „კადა“ როგორც შინაარსის, ისე მოყვანილობის მიხედვით სრულიად უჩვეულოა სხვა სახის და წარმოშობის ცულთათვის. რაც შეეხება ნაჯახის „წვერსა“ და „ნიღრს“, მათ მიმართ იგივე ითქმის რაც ქართული „ცულის“ ანალოგიური ნაწილების შესახებ ითქვა, ამიტომ მათზე მეტს აღარ შეგჩერდებით.

ნაჯახის პირი, როგორც მისი ქვედატანის უკიდურესი და წამახული ქვედა ზოლი, წაზიდულია მცირედით წინა მიმართულებით, „კადას“ პარალელურად, ისე რომ ნაჯახის ტანის გვერდითი ხედი პარალელოგრამს წარმოადგენს, ხოლო განიკერილი სამკუთხედს. ასევე, ყუის ზემოთით ხედი ოთხკუთხედს იძლევა, ხოლო მთელი ტანის დახედვა—სამწახნაგოვან ფიგურას. საერთოდ ნაჯახის ტანი მოყვანილობით პრიზმას ჰგავს.

ამგვარად, ნაჯახის პირი (იგულიანხმება საკრელი პირი) თითქმის სწორხაზოვანია, რაც წინა „წვერს“ (იხ. ნახ. II, 6) ძლიერ წამახულსა და წაწვე-


¹ ამის შესახებ ცნობა მომაწოდა მკედელმა ივანე შურღაიამ (სოფ. ეკის მცხოვრები, ცხაკაიას რაიონი) და მკედელმა წიფურთამ (როშელიც ზუგდიდში მკედლობს).

² იხ. საქ. სახ. მუხეშის ეთნოგრაფიული განყოფილების არქივი (ბ. თევზადის გურიაში მივლინების ანგარიში).

³ „კადას“ სხვაგვარად ტარის „დასანლობი“ ო „ქური“ (მეგრ.) ეწოდება.

⁴ „კადა“-ს უდიდესი მნიშვნელობა აქვს „სატარეში“ ტარის ზეარად გაჩერებისათვის. ამიტომაც კითხავდნენ მკედელს: „დამჯდარია თუ არა კადაზე ტარიო“.

რილსა ჰხდის. ამ სახის „წერი“ სწორად რომ შეეფერება ნაჯახის ძირითად ფუნქციას და სახმარ დანიშნულებას. საბოლოოდ, ნაჯახის ყველა გარეგანი მხარის უნიფიცირების შემდეგ მისი ტანის მოყვანილობა ერთგვარ სოლს წარმოადგენს, რომელიც ყუიდან დაწყებული პირამდე (ვერტიკალური მიმართულებით) და ასევე „შუბლიდან“ მოკიდებული „კაჩამდე“ (გასწორივ, უკანა მიმართულებით) თანდათან თხელდება, ისე რომ ძირითადი კონტურებით ნავის ბოლოს მოგვაგონებს.










სურ. 118. წერაქვი (ძველებუ-
რი), ს. კიორიდან, რაჭა (საქ.
მუხ. კოდ. 63—39|31)

რაჯის მკვდლობის ყოფიერებას ნაჯახის გაქედვის ორგვარი წესი ახასიათებს: ძველი და ახალი. თითოეულს საფუძვლად უდევს ერთი და იგივე პრინციპი — „დედნის“ (სანაჯახე რკინა გაკოპიტებული) დამზადება და შემდეგ მისგან მთლიანი ტანის ჩამოქნა და „გაყვანა“. მათ შორის განსხვავება თავს იჩენს ცალკეული ტექნიკური ხერხების გამოყენების ხაზით. ძველებური წესით ნაჯახის გაქედვა გულისხმობს სანაჯახე „დედნის“ ორტოლად მოკეცვას და მის ხელახლა შედუღებას. ახლებური წესის მიხედვით სანაჯახე „დედანი“ არ შეიკეცება — იგი ცალმაგია მხოლოდ. ამ შემთხვევაში ნაჯახს ყუა პირდაპირ ჩაეჭრება და გაიხვრიტება რკინისავე „საყუეთი“ (პრიზმისებური მოყვანილობის იარაღი) (სურ. 50). ნაჯახის გაქედვა ორ ეტაპს შეიცავს: „დედნის“ დამზადებას და „დედნისაგან“ ნაჯახის გაყვანა-გასრულებას. ეს პროცესი რამდენიმე ძირითადი მომენტისაგან შედგება: პირველ რიგში სანაჯახედ განკუთვნილი რკინის ნაქერს მოგრძოდ დაკუთხავენ (ტაბ. II, 1). შემდეგ ამ რკინას ერთ თავს „ჩაუთელავენ“ (2), რასაც „გადაყვანილი“ ეწოდება, ასევე მეორე თავსაც გადაუყვანენ და მოუხრიან (3), რის შედეგად მიიღება კეხისებური მოყვანილობის გულჩადრეკილი სანაჯახე რკინა (4). მეორე ეტაპი ნაჯახის დამზადების პროცესისა, პირველ ყოვლისა, „დედნის“ მოკეცვას და ორტოლად შეკვრას ითვალისწინებს (5).

არსებობს „დედნის“ დამზადების ორგვარი წესი¹: ძველი და ახალი. ძველი წესით სანაჯახე რკინის „დედნის“ დაგვარება მხოლოდ კვერვის სა-

¹ 6. რეხვია შვილი, ქართული ცული, საქ. მუხ. შრომათა, ტ. XV B, გვ. 92.

ტაბ. II



ცულის დამზადების საფეხურები

შუალებით წარმოებს. უბრალო რკინის „ზოლტისაგან“ (ნაქერი, ფურცელი) მკედელი ახერხებს ნაჯახის „დენის“ გაკოპიტებას კვერის გზით. ამ მიზნით რკინის ნაქერს ჯერ სიგრძეზე წასწევინ, შემდეგ დაკუთხავენ და, როგორც ოთქვა, ჯერ ერთ ბოლოს მოუხრიან, შემდეგ მეორეს. ამ სახით სანაჯახე რკინის „დენის“ დაგვარების (გამოყვანის) პროცესს „გულის ჩათელვა“, ანუ „ჩადრეკა“ ეწოდება¹. ახალი წესით სანაჯახე „დენის“ დამზადება შედარებით მარტივად წყდება. ამ შემთხვევაში სანაჯახედ განკუთვნილ რკინას ჯერ სათანადოდ დაათხელებენ, შემდეგ მას თარგით ან უბრალო თვალზომით მხრებს ჩაუჭრიან და პირდაპირ დენის სახედ გამოკვეთენ. ამრიგად, პირველი წესით სანაჯახე რკინის „დენი“ კვერის გზით მიიღება. მეორე წესით იგი ჩაჭრის საშუალებით გამოიყვანება. ამის შემდეგ „დენი“ ან ორ ტოლად შეიკეცება, ან როგორც ერთიანი და გამწე სისქისა მოკეცვას აღარ საჭიროებს და არც საძვიფს მოითხოვს. ამასთანავე, ნაჯახის პირველი წესით დამზადება, „დაფოლადება“ და „დასარჩულება“ სხვა გზით წარმოებს. თუ მეორე წესით დამზადებისას დაგვარებული ნაჯახის ტანი ერთიანი და „გულსავსეა“, პირველი წესით დამზადებისას, ვიდრე ნაკეცი პირი არ შეუღულდება, იგი ღია და „ხანიანია“. ამიტომ პირველ შემთხვევაში ნაჯახის დაფოლადება შემდეგი სახით ხდება: ნაჯახს პირს შუაზე გაუპოვენ და განასერაში ფოლადის ნაქერს დაატანებენ, შემდეგ მიადლდებენ და გამოკვერავენ. ნაჯახს პირველად „ფრთას“ შეუღულდებენ, შემდეგ „წვერს“ და ბოლოს მთელ ტანს.


აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ წედისის რკინის დამუშავების სინამდვილეში დაფოლადება რკინეულს საზოგადოდ არ ჰქირდება, რადგანაც რკინის „ხელადი“ უფოლადოდაც ვარკისი და სალი კეთდებოდა. „საქედური რკინა“ თავისთავად ხარისხიანი და მაღალი თვისებისა იყო; ერთი სიტყვით, ადგილობრივი რკინისაგან დამზადებული „ხელადი“ დაუფოლადებელი კეთდებოდა, დაფოლადება წესად არ იყო. შემდეგში, სხვა მხრიდან. შემოტანილი რკინის ჰედვა-დამზადებასთან დაკავშირებით, რკინეულის ერთი ნაწილის დაფოლადება (იგულისხმება „მუშა“ და „გამკრელი“ ხელადი) აუცილებელი გამხდარა და ეს წესი რაჰის მკედლობაში საყოველთაოდ დაკანონებულა. ამრიგად, რკინეულის გაქედვასთან დაკავშირებულ ტექნიკურ პროცესებში დაფოლადების საწინარი შედარებით ახალ ელემენტს წარმოადგენს და თავის მხრით რამდენიმე ცალკე მომენტს შეიცავს. ირსებობს ფოლადის დართვის ორი ძირითადი სახე — შიგნით დატანება, ჩართვა და გარედან დადულება, ანუ „დაკვრა“. ერთი რიგი „ხელადისათვის“ დაფოლადების პირველი სახეა მიღებული, მეორესათვის — მეორე სახე და ა. შ. დასასრულ, გამზადებულ სანაჯახე „დენის“, მოკეცვის და გაკოპიტების შემდეგ, სამკედლო ქურაში მიაბრუნებენ და გაუერთმთლიანებენ ტანს მიდულებისა და სათანადო კვერის საშუალებით. ქურიდან ნაჯახის გადმოსაღებად იხმარება. საგანგებო ფართეპირიანი მარწუხი, ხოლო საკვერავად სწორთავიანი რკინის

¹ საინტერესოა, რომ ჰართლში ამავე პროცესს „ჩალახვა“-ს უწოდებენ (იხ. საქ. სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილების არქივი, ქსნის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები).

ურო—„ქოლიკი“ (იხ. სურ. 9). როდესაც ნაჯახს სათანადოდ „დარქენენ“ და წასწევ-გასწევენ, შემდეგ პატარა ხელკვერით დაუწყებენ გამოკვერვას ფრთხილად. ვიღრე კარგად არ გამოსახავენ და სისწორეში არ მოიყვანენ; „ყუა-ყერიმლებს“ და „სატარეს“ საბოლოოდ გაუმართავენ, „შუბლს“, „კაჩას“ და „კადას“ დაწარბავენ, „ნილრს“ და „წვერს“ „დაუქნიან“ და ყველა მხრით ნაჯახს „გამწყაზრავენ“, ანუ გაკაზმავენ. როდესაც ყველა ამას მორჩებიან, უკანასკნელად აწრთობენ, გაფერავენ და ამით „ხელს მოუთავენ“ ნაჯახს.

ნაჯახის ძირითად დანიშნულებას და მის „პირად“ ფუნქციას რაჟის სინამდვილეში, უმთავრესად, ხეთა გათლა, გაკოპიტება და პირის მოსწორება შეადგენს. საერთოდ კი იგი სხვადასხვა საქმეში იხმარება, ისე როგორც „ცულიც“. ნაჯახი ამასთანავე ხის მოხელის იარაღს წარმოადგენს და სახელოსნო საქმისათვის მართლაც მარჯვედ მორგებული და „შეთაბუნებულია“. სწორი და განიერი პირი ხელს უწყობს სათლელად მის გამოყენებას, ხოლო ოდნავ წინისკენ წაზიდული და დაქანებული წვერი მარჯვე და მოხერხებულ სახმარად ხდის მას

ნაჯახის ძირითად დანიშნულებას და მის „პირად“ ფუნქციას რაჟის სინამდვილეში, უმთავრესად, ხეთა გათლა, გაკოპიტება და პირის მოსწორება შეადგენს. საერთოდ კი იგი სხვადასხვა საქმეში იხმარება, ისე როგორც „ცულიც“. ნაჯახი ამასთანავე ხის მოხელის იარაღს წარმოადგენს და სახელოსნო საქმისათვის მართლაც მარჯვედ მორგებული და „შეთაბუნებულია“. სწორი და განიერი პირი ხელს უწყობს სათლელად მის გამოყენებას, ხოლო ოდნავ წინისკენ წაზიდული და დაქანებული წვერი მარჯვე და მოხერხებულ სახმარად ხდის მას



სურ. 119. თობწერაკვა (ქარჩი) იმერეთიდან.

საქ. მუხ. კოლ., 30—50|3

ხეზე სხვადასხვა ამოსაგობავი და ამოსალარავი სამუშაოს საწარმოებლად. თავისი მოხდენილი გარეგნობითაც კარგ შთაბეჭდილებასახდენს. ნაჯახი განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობდა თურმე სამშენებლო ხე-ტყის დამზადების საქმეში, როდესაც „ზეზეური ხერხი“ ჯერ კიდევ ხმარებაში არ ყოფილა და თან ყველა გარემოებაში ხელმისაწვდომიც. ნაჯახი ერთადერთი იარაღი იყო, რომელსაც ხერხის ადგილას ხმარობდნენ ფიცრებისა და სხვა სამშენებლო მასალის დასამზადებლად. უხვი ხე-ტყის პირობებში ნაჯახით გათლილ-გამოყვანილ ფიცარს მეტი ფასი და მოწონება ჰქონდა, ვიდრე დახერ-

ხილ მასალას. დახერხილი ფიცარი შედარებით ადვილად „იქარეებოდა“ (სკდებოდა) და „იფრანგვოდა“, ვიდრე გათლილი, რადგანაც ეს უკანასკნელი ისე იყო საფიცრე ხისათვის ართმეული, რომ იშვიათად თუ გადრეკებოდა.


საოსტატო ნაჯახი საერთოდ საშუალო ტანისაა. კეთდება იმ ზომის, რომ ხელში დამკერმა იგი ცალი ხელითაც ადვილად მოიხმაროს, მაგრამ ნაჯახი ამასთანავე საგრძნობად დიდი და მცირე ტანისაც კეთდება ხოლმე. დიდი ნაჯახი, რომელსაც ჩვეულებრივად ცული ეწოდება, უფრო სამძიმო სამუშაოებისათვისაა განკუთვნილი, ხოლო ტანმორჩილი „ნაჯახი“ რაინე საქმეებში იხმარება. დიდი და ძირი ხეების მოსაპრელად და დასამორავად, ე. ი. სიღრმით საქრელად, „ქართულ ცულს“ არჩევენ. სათლელად და გასწვრივ მსუბუქ საქრელად ნაჯახი გაცილებით უმჯობესად მიაჩნიათ. რა თქმა უნდა, სინამდვილეში როგორც ერთი, ისე მეორე მრავალი დანიშნულებით და ერთიძეორის სანაცვლოდ გამოიყენება. ამ მხრივ არც ერთ მათგანს გარკვეული უნივერსალური ფუნქციის ხასიათი მთლიანად არ დაუკარგავს.

ნაჯახის აღნაგობა ერთობ თავისებური და ორიგინალურია. მას ახასიათებს: ტანის კუთხოვანი მოხაზულობა, სწორი ზედაპირი, „უფახო“ (უზურგო) პირი, სწორად გაყვანილი, იშვიათად კი მცირედით გორდა (ამოზნექილი) საქრელი პირი, დაწარბული სწორხაზოვანი ლინგები, ვერტიკალურად დაქნილი „შუბლი“ და „კაჩა“, კუთხედი „სატარე“ და „უყუყვირიმლები“, სოლურად გამახვია და სხვ., მაგრამ ცულის ეს ტიპი, განსაკუთრებით მაინც, თავისი „ფრთის“ მიხედვით გამოირჩევა. ეს უკანასკნელი ნაჯახის ქვედა ტანის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს და წაზიდულია უკანა მხრივ. „ფრთა“ ნაჯახის აღნაგობაში თავისი მოყვანილობითა და ფუნქციით არსებით და ტიპურ მხარეს შეადგენს.

საერთოდ, სხვადასხვა სახის ცულის ერთმანეთთან შედარება გვიჩვენებს, რომ ყველა ისინი „კადასა“ და „ფრთის“ მიხედვით ორ ძირითად ჯგუფად განიყოფიან. თითოეული, თავის მხრივ, რამდენიმე ქვესახეს შეიცავს. ამ მიმართებით, ერთ წყება ცულს „კადა“ და „ფრთა“ ტანის უკანა მხარეზე აქვთ მოქცეული, მეორე წყებას კი წინა მხარეზე (სურ. 84, 85, 86, 88 ა). ჩანს, თითოეულ მათგანს ეს ელემენტები მოპირდაპირე მიმართულებით განვიდარებია, რაც ამ იარაღების ხანგრძლივი შინაგანი ცვლილებებისა და განვითარების გზით უნდა მომხდარიყო. ამ ნიადაგზე ცულები მკვეთრად გამიჯნულან და თითოეულ წყებას განვითარების საკუთარი და განსხვავებული გზა აუღია. უკანა „კადა-ფრთიანი“ ცულის ტიპიურ სახეს „ნაჯახი“ წარმოადგენს, ხოლო წინა „კადა-ფრთიანი“ ცულისას—ბეჭვანიერი ცული (სურ. 88 ა). პირველს განე-

¹ „ნაჯახი გვირდობა წერილი ხეების მოსაპრელათ და დიდების ჩამოსახორათ (გადასაკაფავად მთავარ ტანს ზემოთ), დიდ ხეს მითი ვერ მოჭრი და ბერსაც იწვალუბ (იმერეთი, მაიაკოვსკის რაიონი, ალ. სახანბერიძე)“. „ფთიანი ცული (ნაჯახი) უფრო ხელსანს უნდა, გლეხებს უფრო ქართული ცული კირდება“ (ქართლი, ლიახვის და მეჯუდას ხეობა, მკედ. ოპროპირთი და მახანაშვილი).

კუთვნება ამასთანავე „ქართული ცული“ და მისი ქვესახე „მთიული ცული“, ხოლო მეორეს—„მეტიური ცული“, წალდი და სხვ. განსაკუთრებით, ნაჯახის ანტიპოდს ამ მხრით იმერული და „ზაქათალური ცული“ წარმოადგენს¹ (სურ. 86 და 86ა). ორივე ტიპის მომდინარეობა, საფიქრებელია, ერთი სათავიდანაა—სოლურის, „შვეტილი“ ტანის ცულებიდან. „ორფრთიანი“ და „ღვლაქნილი“ ტანის მკონვე ცულები, ალბათ, მათ შუა საფეხურს წარმოადგენენ. ცხადია, გამორიცხული არ არის მათი ურთიერთიდან დამოუკიდებლადაც გაჩენა და განვითარება, რამდენადაც მხმარებლის ხელში ესა თუ ის ცული მრავალი დანიშნულებით გამოიყენებო-



სურ. 120. ქარჩი, ღუშეთიდან, საქ.
მუხ. კოლ. № 148—13,35

და. ისტორიულად თანდათან იქმნებოდა აუცილებლობა არსებული ცულის შინაგანი და გარეგანი მხარეების გაუმჯობესებისა და გარკვეულ პირობებში განსხვავებული ტიპის გამოყენებისა. განვითარების ამ გზაზე, ცულის ერთი სახე უნივერსალური მოხმარების ხასიათს ნელ-ნელა კარგავდა და თანდათან უფრო ვიწრო და სპეციალური გამოყენების საგანი ხდებოდა. ეს გარემოება უთუოდ ჰქმნიდა პირობებს ნაირი სახისა და მოყვანილობის ცულების წარმოსაქმნელად, რაც ცხოვლად ჩანს ცოცხალი ეთნოგრაფიული თუ არქეოლოგიური მონაცემებით. როგორც ცნობილია, ცულების უფრო ადრინდელი ფორმები ტიპის ერთფეროვნებით და ფუნქციის ზოგადობით ხასიათდება. მხოლოდ შემდეგ საფეხურზე უვითარდებათ მათ საგანგებო დანიშნულების ესა თუ ის ელემენტი და ფორმა-შინაარსით თანდათან უმჯობესდება. „ქართული ცული“ და „ნაჯახი“ ამ ნიადაგზე განვითარების დაწინაურებულ ფორმებს წარმოადგენენ და ზედმიწევნით შეესატყვისებთან თავის „პირად“ ფუნქციას. ნაჯახის „ფრთაკადა“, „წვერი“, „წალდის ნიკარტი“ და საერთოდ მათი ძალზე თავისებური მოყვანილობა მხოლოდ ხანგრძლივი განვითარების და სახეთა გაუმჯობესების გზით იყო შესაძლებელი თანამედროვე სახით გასრულებულიყო. სხვა არა იყოს—რა, ნაჯახისათვის „ფრთაკადა“ და წალდისათვის „ნიკარტი“ ისეთივე დიდი შენამატია, როგორც სახენელისათვის „მიწის საგები ფრთა“.

ნაჯახთან ძლიერ ახლოს დგას თავისი მოყვანილობით განათხარი რკინის ცულების ერთი წყება, რომლებიც მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში

¹ ცულის ეს ეგზემპლარი დაცულია საქ. სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილების ლითონის კოლექციების ფონდში A 214—69.

საკმაო რაოდენობით არიან დაცულნი. ამ მხრით ყურადღებას იქცევს ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის¹ კოლექციებიდან: ცულები №№ 65, 116-ა, 18, 138. თითოეულ მათგანს „ფრთა“ და „კადა“ განვითარებული აქვს სხვადასხვა ხარისხით (სურ. 88, 89, 90, 91).

საყურადღებოა, რომ ცული № 138 თავისი გარეგანი სახით ძლიერ ახლოს დგას „ქართულ ცულსა“ და „ნაჯახთან“, მას მათგან მკვეთრად მხოლოდ მრგვალი „ყუა-ყვრიშლები“ და ასევე „სატარე“ განასხვავებს. განსაკუთრებით ამ ცულის „შებლისა“ და „ფრთის“ მოყვანილობა გარკვეულად ემსგავსება „ქართული ცულის“ შესაბამ ნაწილებს.

ასევე საინტერესოა ცული № 65, 116-ა, 18 (სურ. 88, 89, 91), რომელთაც შებლი გორდა და ტანი შედარებით მაღალი აქვთ, ხოლო „ყუა-ყვრიშლები“ და „სატარე“ იმავე რიგისა, როგორიც № 138-ს, ხოლო „ფრთა-კადას“ მოყვანილობით, კიდევ მეტად უახლოვდებიან ნაჯახს. განსაკუთრებით ცული № 116-ა ქვედატანის მოყვანილობით ნაჯახის „პირის“ შესატყვისის წარმოადგენს, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანი დამთხვევაა ძველსა და ახალ ცულებს შორის. ამ სახის შეხვედრები შედარებით ძველი ხანის რკინის ცულებისა თანამედროვე ტიპის ცულებთან (ნაჯახა, წალდი, „ქართული ცული“, „კოლარ“ ცული) შემთხვევითი არ უნდა იყოს. ამ შემთხვევაში, ნაჯახის აწინდელი ტიპი თავისი მოყვანილობით არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს თავიდანვე მოცემულ და ჩამოყალიბებულ მყარ ფორმად. უნდა ვივარაუდოთ, რომ დროთა განმავლობაში მან „ტანიაგებულების“ სხვადასხვა ფაზა გაიარა და ამ ცვალებადობის ძირითად ბერკეტს ის მოთხოვნილებები შეადგენდა, რომელთაც მას საზოგადოების ყოველ ახალ ვითარებაში მზარდი სამეურნეო და საყოფაცხოვრებო მდგომარეობა უყენებდა.


უეჭველია, სამუშაო იარაღის დაწინაურებული ტიპი, სიუხვე და ნაირსახეობა მაჩვენებელია მისი შემოქმედი და მომხმარებელი ხალხის სამეურნეო და კულტურული წინსვლა-განვითარებისა.

ამ მიმართებით, რაჭის მქედლობის სინამდვილიდან მომდინარე „ხელადიდან“ „ქართული ცულა“, ნაჯახი, წალდი და სხვ. დაწინაურებული სახის იარაღებს წარმოადგენენ, რომლებიც ქართველი ხალხის ხანგრძლივი სამეურნეო ცხოვრების ნაყოფად უნდა მივიჩნიოთ, რამდენადაც მათი „გასრულება“ ძირითადად შეპირობებული იყო მიწათმოქმედებისა და ხელოსნობის განვითარებულ ფორმებთან.

საყურადღებოა, რომ რაჭაში შემთხვევა იყო, როცა ცულს სახეს, პირის მოყვანილობას გამოუცვლიდნენ დროებით, რათა იგი „ნოერგოთ“ და გამოეყენებიათ მეორე სამუშაოსათვის. ამ მიზნით ცულს „ვულს“ ჩაუდრეკდნენ, პირს მოუქცდნენ და მას პირმოხვეულ ეჩოს დაამსგავსებდნენ.

¹ შდ. სურ. 14, № 3 ბათუმის მუზეუმის კოლექციები (А. А. Иессен, Б. Е. Деген-Ковалевский, Из истории древней металлургии Кавказа, М.-Л., 1936, გვ. 118).

მას ხის დიდი „მორების“ „ამოსატეხად“, ამოსაგულავად ხმარობდნენ. ეს სამუშაო დაკავშირებული იყო საწნებლების, „როფების“ და მსგავსი ნივთების დამზადებასთან. ამ წესით გამართული ცული ძლიერ „მარჯვე“ და მოხერხებული იყო ამ საქმისთვის. როდესაც ამ მუშაობას დაამთავრებდნენ,



სურ. 121. ქაჩი, ხეესურეთი, საქ. სახ. მუხ. გამოფენა

ცულს ისევ გამართავდნენ და ჩვეულებრივ სახეს დაუბრუნებდნენ. ანალოგიურ მოვლენას ვამჩნევთ თოხსა და ეჩოს შორისაც (შდრ. სურ. 37, 39, 109, 107), მრგვალი „ბეჭებიანი“ თოხი, რომელსაც ტარიც კი თოხის წესითა აქვს დაგებული, იქმნება „პირმოხვევულ“ ეჩოდ უბრალოდ ნაპირების „ლინგების“ მოკეცვის გამო; ისედაც, თოხი საწიწე და ეჩო „სალარავი“ ერთი სახით ასრულებს სამუშაოს, ორივე „თავისკენ მიითლის“.

ეს ფაქტები საყურადღებო არის იმ მხრით, რომ ამ მონაცემების სახით ჩვენ საქმე გვაქვს საინტერესო მოვლენასთან — ერთი სახის იარაღის ფუნქციონალური დიფერენცირების შედეგად მეორე სახის იარაღის მიღების კონკრეტულ მოვლენასთან, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს სამუშაო იარაღის ძირითად სახეთა რამდენიმე მონათესავე ქვესახედ განშტოების საკითხის გასათვალისწინებლად. მოტანილი ფაქტები ამასთანავე გვიჩვენებს სამუშაო იარაღების სინამდვილეში ახალი ფორმის ჩამოყალიბებისას რაოდენობითი ცვლილებების თვისობრივში გადასვლას და სხვა. საქმის ვითარებას თუ ამგვარად წარმოვიდგენთ, „ქართული ცულისა“ და „ნაჯახის“

ჯვერდით შუალედი, ნაირი ფორმისა და მოყვანილობის ცულთაგან „დახანული“ სპირალი წარმოვიდგება, რომლის ერთი ბოლო მარტივი ხასიათის, „სოლური“ აღნაგობის ცულით იწყება და მეორე ბოლო რთული შინაარსის და ნაირი ფორმა-მოყვანილობის ცულთა მწყრივად იშლება.

რაქის მკედლობის სინამდვილეში, ისე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებშიც, „მოკეცილსატარაინი“ ცულების ქედვა ერთი გარკვეული წესით მიმდინარეობს. პირველ რიგში საცულე „დენანი“ უნდა დამზადდეს და შემდეგ, ამ „დენანის“ ორტოლად შეკეცვის გზით, ცულის მთელი ტანი „დაგვარდეს“. ახასიათებდა თუ არა მას ამგვარი წესი ძველიდანავე, ძნელი სათქმელია. განათხარი და შემთხვევით ნაპოვნი ძველი რკინის ცულების ნაწილი გარკვეულად ატარებს იმის ნიშნებს, რომ ისინი „მოკეცვის“ წესით დამზადებულან (მხედველობაში გვაქვს „ძგიფის“, „საგულაის“ არეზე არსებული ბზარი, ანუ „გაფჩხნილი“, რომელიც ეტყობა ძველ ცულებს). ცულების ქედვა, ჩანს, წარსულშიაც სკოდნით ამ წესით.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ცულების მრავალსახეობა როგორც ცოცხალი ეთნოგრაფიული, ისე ძველი არქეოლოგიური ხასიათის მასალის ნიადაგზე მხოლოდ პირის მოყვანილობით არ განისაზღვრება. ისინი განირჩევიან ამასთანავე „სატარესა“ და „ყუა-ყვრიმლის“ ფორმა-შინაარსით, რასაც საფუძვლად უდევს ცულის ფუნქციონალური დანიშნულება. რაქის ეთნოგრაფიულ ვითარებაში ვამჩნევთ, რომ ერთ წყება ცულებს, რომელთაც ხის დიდი მორების, ძირკვების და საერთოდ მძიმე საქმეებისათვის ხმარობენ, „ყუა-ყვრიმლები“ და მთლიანად ტანი მტკიცე, სქელი და შედარებით ტლანქი აქვს. შეიძლება ამითაც აიხსნას ის ამბავი, რომ გურიისა და ლეჩხუმში დიდტანიან ცულს „კინა“ ეწოდება. ამგვარ ცულებს ყუა-ყვრიმალთა წიბოები, ანუ „ლინგები“ უმთავრესად დაუწარბავი აქვთ, ხოლო „სატარე“ შედარებით ვიწრო. ცულების მეორე წყებას, რომელთაც უფრო მსუბუქი საქმისათვის იყენებენ, „სალუქი ტანი ახასიათებთ“, შესაბამის ნაწილებიც ფაქიზად აქვთ გამოყვანილი და გამართული.

ცულის „სატარე“, ანუ „სარჩილი“, რომლის ფორმა-მოყვანილობას საერთოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ცულის ფუნქციის მიმართ, ნაირი ყაღების და მოყვანილობის გეგმდება: თავფართო ან ბოლო გაგანიერებული, თავ-ბოლო თანაბარი, მრგვალი. მათ შორის: „გურგვალი“ (მრგვალი), „ლულუა“ (ოვალური), „მორგვალი“ (ძირი ოვალური, თავი კუთხედი) და კუთხედი. კუთხედი თავის მხრით იყოფა: პრიზმატული, ტრაპეციისნაირი, მრავალკუთხედი და სხვა. თითოეული ეს კომპონენტი ცულის აღნაგობასა და მთლიანობაში გარკვეულ როლს თამაშობს და განსაზღვრულ ფუნქციას ასრულებს.

„სატარეს“ გაბატონებულ ფორმას ამჟამად კუთხოვანი მოყვანილობა წარმოადგენს. იგი ძირითადად ტრაპეციისებურია. ამ სახის „სატარე“ ახასიათებს არა მარტო ცულებს, თვით წალდებსაც კი, რომელთაც „სარჩილის“ „ლოლუა“ მოყვანილობა შედარებით დიდხანს გამოჰყვათ. იგივე ამბავი შეიმჩნევა სხვა იარაღების მიმართაც. მაგალითად, „იმერული“ თოხი (სურ. 108) ხასიათდება კუთხოვანი „სატარით“. როგორც ირკვევა, სამუშაო იარაღების ჯგუფისათვის კუთხოვანი „სატარე“ შედარებით მერმინდელი მონაპოვარია. უფრო აღრე მათ მრგვლოვანი „სატარე“ ახასიათებდათ. საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ყველა ეს ფორმა ამჟამად ისეა ერთმანეთში შერწყმული, რომ მათი მკვეთრად გამოჩევა ძნელი ხდება. უნდა აღინიშნოს,

რომ საერთოდ ძველი პერიოდის ნივთებს, კერძოდ, ცულეებს, თოხებს, წერაქვებს და სხვა სამეურნეო და სახელოსნო დანიშნულების „ხელადს“ „მრგვლოვანი“ სატარე ახასიათებს. ამგვარად, „სარჩილის“ სიმრგვლე და ღვლაქნილი ტანადობა უმთავრესად ბრინჯაოს და რკინის ძველ ცულეებს „მოდგამთ“. მაგალითად, ტანის ღვლაქნილობა და პირის მოქანდულობა დღემდე შემოუნახავს: „მესხურ ცულს“ (სურ. 75), „მეგრულ“ ჩენგს (სურ. 82), „კოდარა ცულს“ (სურ. 74), „მეტიურ ცულს“ და სხვ. რაც შეეხება „სატარეს“ განსხვავებას ყალიბის მიხედვით, უნდა ითქვას, რომ ქართული „ხელადის“ ერთ-ერთ ძირითად თავისებურებას ბოლოგანიერი „სატარე“ წარმოადგენს. „სატარეს“ აღნაგობას, როგორც სხვა ადგილასაც ითქვა, ცულის ფუნქციაში არსებითი მნიშვნელობა აქვს.

შესაბამისად ამისა, არსებობს ტარის დაგების ორგვარი წესი: ტარის „დაგება“ და ტარის „მორგება“. პირველი წესით ტარის დაგება გულისხმობს მთელი ტარის „გარონიებას“ (რომელიმე იარაღის) „სატარეში“



სურ. 122-ა, ბართობი. საქ. სახ. მუხ. ეთნ. გამოფენა

და მიჯრას ტარის ბოლომდე. ამიტომ ტარი თავისკენ თანდათან სქელდება (იხ. სურ. 84). ტარის დაგება მეორე წესით შემდეგში მდგომარეობს: ტარის ერთი თავი გამოკოპიტდება ისე, რომ იგი „სატარეს“ სახის და ზომისაა. მასზე პირდაპირ წამოფეხება ტარდასაგები ნივთი და მიიჯრება „გორგლამდე“, შემდეგ კი გასამაგრებლად უკეთდება სოლი. ტარის დაგების ეს წესები ერთიმეორის საპირისპიროდ დგანან. პირველ შემთხვევაში ტარის ფორმა და სილიდე ნაწილობრივ ზღვარდებულია. მისი დაძრობა ნებით თუ უნებლიედ მხოლოდ ბოლოდან შეიძლება. მეორე შემთხვევაში ტარის ფორმა-მოყვანილობა სრულიადაც არ არის „სატარეზე“ დამოკიდებული. მისი დაძრობა წინა მხრიდან შეიძლება და ადვილიცაა.

რაქის მკედლობის ნახელავ რკინეულს უმთავრესად პირველი წესით ეგება ტარი.

რაქის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, ასევე საქართველოს სხვა კუთხეებში, ცულის ეს ტიპი ნაირი სახელით არის ცნობილი: „ნაჯახი“, „საოსტატო ნაჯახი“, „ოკრიბული“, „ოკრიბული ცული“ (რაქა), „ლურქუ კაადე“ (რაქული ნაჯახი, ქვ. სეანეთი), „ფთიანი ცული“ (ქართლი, ლიახვისა და მეგუდას ხეობა)¹. საინტერესოა, რომ დიდი და პატარა ზომის ამგვარი ცულები სხვადასხვა სახელწოდებას ატარებენ. საერთოდ, ამ სახის დიდტანა ცული გურიასა და ლეჩხუმში „კინად“ იწოდება; მცირე კი „ნაჯახად“. რაქაში, იმერეთსა და კახეთში დიდს „ცულს“ უწოდებენ, მცირეს—„ნაჯახს“. ასევე, მეგრულად დიდს ეწოდება „არგუნი“, მცირეს—„კვალა“. ამრიგად, „ნაჯახის“ სინონიმურ სახელთაგან უნდა დასახელებულ იქნეს: „კინა“, „ოკრიბული“, „საოსტატო ნაჯახი“, „ფთიანი ცული“, „ცული“, „ნაჯახი“, „არგუნი“, „კვალა“, „ლურქუ კაადე“ და სხვ. „ნაჯახის“ შესახებ საბას ერთობ მცირე ცნობები მოეპოვება: „ნაჯახი—მცირე ცულია“—ო. და მიუთითებს სიტყვა „ტაბარზე“, რომელიც განმარტებულია: „ტაბარი სპარსთა ენაა, ნაჯახს ჰქვია“—ო. „ნაჯახისა“ და საერთოდ ცულების სხვა ფორმათა შესახებ საბას, სამწუხაროდ, უფრო კონკრეტული და ნიშანდობლივი ცნობები არ მოეპოვება. ამ ვითარებაში აღნიშნული ცულის ნაირი სახელთაგან ყველაზე მართებულად ისევე „ნაჯახი“ მივიჩნევთ, როგორც ყველაზე ცნობილი და შინაარსის ამომწურავი ტერმინი, მით უმეტეს, რომ სახელწოდება „ნაჯახი“ საყოველთაოდ ცნობილი და მიღებულია გარკვეული სიდიდის მქონე ამ სახის ცულების მიმართ მაინც. ამიტომ ვამჯობინებ ამგვარი ცულების სახელად, პირობითად, „ნაჯახი“ გვეხმარა. მეორე მხრით „ნაჯახის“ მაგიერ ცულის ან „ფთიანი ცულის“ ხმარებას იმიტომაც მოვერიდეთ, რომ სინონიმურ სახელთა ნიადაგზე მათი რეალური მნიშვნელობა ერთმანეთში არ არეულიყო.


მრავალმხრით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ქართლის ვითარებაში დღემდე შემონახულა პატარა, საცალხელო ცულის სახელად „კოლო ცული“², რომელიც საოცრად ემთხვევა მეგრულ სახელს მცირე ნაჯახისას — „კვალა“—ს. „კოლო ცული“, სინამდვილეში, მცირე ცულს ეწოდება, რომელიც ქართული ცულისნაირია და მისგან მხოლოდ ტანის სიდიდით განიჩნევა. „კვალა“ ასევე გულისხმობს პატარა ნაჯახს, რომლის პარალელური სახელია—„კოპიტი ცული“³. „ნაჯახი“ გავრცელებულია უმთავრესად ქვ. რაქასა და აგრეთვე საქართველოს სხვა კუთხეებში (ქვ. სეანეთი, ლეჩხუმი, იმერეთი, გურია, სამეგ-

¹ „ფთიანი ცული“—იხსენიება აგრეთვე ხელნაწერ დანახარჯების ნუსხაში, რომელიც უთარილოა და ხელის მიხედვით X VIII ს. ეკუთვნის. „ქ. ხელფეხას მივეცი ერთი ფრთიანი ახალი ცული“ (იხ. ნ. ბერძენი შვილი, შასალები საქ. კვან. ისტორიისათვის, წიგნი I, ტფ. 1938 წ., გვ. 76, საბუთი № 14351, დანახარჯის ნუსხა).

² „კოლა“—კოპალი (თავმოკული, მწყემსის ჯოხი. საქ. სახ. მუზეუმი, ვონ. განყოფილება კოლექცია № 1—26, ლეკები, ინგოლოები).

³ საქართველოს სახ. მუზეუმი, ვონ. განყ., 1939 წლის ქსნის ეთნოგრაფიული ექსპედიციის ანგარიშები.

რელო, აფხაზეთი, კახეთი და სხვ.). საინტერესოა, რომ ქართლის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ცულის ეს ტიპი საერთოდ იშვიათად გვხვდება, მაშინ როდესაც კახეთში იგი თითქმის გაბატონებულ სახეს წარმოადგენს. ასევე იშვიათია იგი საქართველოს მთის ზოლის მცხოვრებთა ყოფაშიც. „ნაჯახი“ დამოწმებულია აგრეთვე სამხრეთ დაღესტნის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში. დიდოეთიდან 1940 წელს ეთნოგრაფიული ექსპედიციის მიერ¹ ჩამოტანილი იქნა „ნაჯახი“, რომელიც ამჟამად დაცულია საქ. სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ლითონის ფონდში, კოლ. № 57/40/13 (სურ. 87). ასევე, საგულისხმოა ის გარემოება, რომ ქართლის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში „ნაჯახი“ რატომღაც დასაყვამდე საქართველოს, კერძოდ იმერლებისა და რაჭველების, დამახასიათებლად მიჩნეული. ქართლში მის შემოტანას და გავრცელებას რაქველ მკვლევებს მიაწერენ. „ქართული ცული“ უფრო აღრინდე-



სურ. 123. „ქარჩი“

ლია, უმალ ეს ცოდნიათ. ფთიანი ცული (ნაჯახი) რაქველების შემოტანილია. „ამნარი ცულები სულ იმათ დაგვიკეთეს რცხილუანში... ჩვენებური მკვლევები მაგნარებს „ძვირად“ აკეთებენ; უფრო ძველი ცულია ჩევი მოსახმარი. მერე და მერე რუსული ცულები შემოვიდა და იმას დაუწყეთ ყიდვა და მის მიხედვით ჩვენ გემოზე მათ გადაკეთებასაც ხელი მოვკიდეთ, ჩვენებურათ უცვლით ხოლმე ზნესა“².

რაქის მკვლევარების მიხედვით, „ხელადიდან“ ყურადღებას იქცევს აგრეთვე „მეტიურა“ და „მთიული ცული“, „წალდი“, „სასხლავი“ და „საფაზე“, რომელთა გაქვდვა არსებითად იმავე პრინციპით წარმოებს, რა სახითაც „ქართული ცულისა“ და „ნაჯახისა“. მათ შორის განსხვავებას მხოლოდ სპეციფიკური ნაწილის დართვა-გასახვის მხრით ვხვდებით. თითოეული დასახელებული იხარაღი ძირითადად საგანგებო დანიშნულებისაა და თავისი აღნაგობით შეფარდებულია გარკვეულ მოსაქმეობასთან.

¹ ინტორიის ინსტიტუტის ეთნ. განვ. (დიდოეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის ანგარიშები).

² იხ. საქ. მუზ-ის ეთნოგრ. განვ. არქივი (1940 წლის ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის ანგარიშები).

„მეტეორა ცული“ იმავე „ქართული ცულის“ სახესხვაობას წარმოადგენს. უკანასკნელთან განსხვავებით მას მაღალი, ვიწრო და მოქანდული ტანის მოყვანილობა ახასიათებს; ასევე „შუბლი“ გორდა (ამოხნეკილი) და „კაჩა“ შედრეკილი აქვს. ამრიგად, „მეტეორას“ ღვლაქნილი და მაღალი ტანი გააჩნია, ამ მხრივ იგი ძლიერ უახლოვდება ბრინჯაოს ძველ ცულებს, რომელთაც მრავლად ვხვდებით „კოლხეთის კულტურის“ სამყაროდან (სურ. 79). დანიშნულებით „მეტეორა ცული“ ხეზე მუშაობის საქმეს განეკუთვნება. უმთავრესად იგი იხმარება სატივე და, საერთოდ, სათრიელად გასამზადებელი ხის მორების „საცხვირავად“, ე. ი. ხის მორის ერთ ბოლოზე „ყურის“ ამოსაქრელად, რომელშიაც, ჩვეულებრივად, გამოებმის ჯაჭვი საზიდარი. „მეტეორას“ მეგრულად „ჩენგი“ ეწოდება და საცხვირავს გარდა „ხადაღავთაც“, ანუ „სათანჯავთაც“ იხმარება ხოლმე. ასევე, საინგილოში ამგვარ წერილ და გრძელ ცულს „ჩორკი“ ეწოდება¹. ხეთა დათანჯვა გულისხმობს მასზე რაიმე პირადი კუთვნილების, პირობითი ნიშნის ამოკვეთას, რითაც ეს უკანასკნელი სხვისათვის ნაკრძალი ხდება. ამიტაც არ შემოიფარგლება „მეტეორას“ ფუნქცია. ზოგიერთ თეში მას ფართე სახით იყენებენ და თითქმის ცულის გაბატონებულ სახეს წარმოადგენს. მაგალითად, ბორჯომის ხეობაში იგი შეიძლება ერთადერთ გავრცელებულ სახმარ ცულად ჩაითვალოს.


აღსანიშნავია, რომ ბარის მცხოვრებთა ყოფიერებაში „მეტეორა ცული“ ნაკლებად იხმარება და ადგილ-ადგილ სრულიად გარდასულა სინამდვილიდან. ამჟამად მისი გავრცელების არე, უმთავრესად, ხეობათა გაყოლებით—მთის ზოლით განისაზღვრება.

„მეტეორა“ ცულისაგან განსხვავებით „მთიულ ცულს“ სწორი და შედარებით ფართო ტანის მოყვანილობა ახასიათებს. ამ მხრით იგი ძალზე ახლოდგას „ქართულ ცულთან“ და მისგან რაიმე თვალსაჩინო განსხვავებას არ ამქლავნებს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ „მთიული ცულის“ ზოგიერთ გარეგან ნიშანს (ტანის სოლისებურ მოყვანილობას, ჩადრეკილ „შუბლს“ და სხვ. სურ. 76). თავისი ფუნქციით ისინი ახლო-ახლოდგანან და, რაც პირველს არსებითად ახასიათებს, მეორეზედაც იგივე ითქმის. ამიტომ კვლავ აღარ გავიმეორებთ, რაც ერთხელვე ითქვა ამ ცულების შესახებ.

თვალსაჩინოდ და მკვეთრად ამათგან მხოლოდ წალდი გამოირჩევა. იგი ძალზე ძველი და ამასთანავე განსხვავებული სახის იარაღია, რომელიც ცოცხალი ეთნოგრაფიული სინამდვილის მიხედვით მდიდრად არის წარმოდგენილი რაქასა და საერთოდ საქართველოს სხვა კუთხეებში. რკინისა და ბრინჯაოს ძველი წალდები საქმაოდაა დაცული საქართველოს სხვადასხვა მუზეუმებში—ზუგდიდის, ფოთის, ქუთაისის და სხვ. (იხ. სურ. 96). ისინი ფაქტიურად ადასტურებენ „წალდის“ აღრინდელ წარმოშობას (შდრ., „წალდცულა“, განათხარი, სურ. 81).

¹ მ. ჯანაშვილი, საინგილო, ძველი საქართველო, ტ. II, 1911—13 წ., გვ. 248; ინგილოური „ჩორკი“ და მეგრული „ჩენგი“ თავისი გარეგნობით და სახელთა შორის ერთგვარი ფუნქციური სიახლოვით ერთმანეთს ეტოლებიან.

წალდი (სურ. 92) შედგება: „ყუა-ყვრიმღების“, „სატარეს“, „ნიღრის“, „პირის“, „ქარტის“, ანუ „ნიკარტის“ და „ზურგისაგან“. წალდი სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობის კეთდება. ამ მიმართებით წალდები ნაირი სახისა გვხვდება. „რაქული“ წალდის ნიშანდობლივი თავისებურებაა: ფართო ტანი, რომელიც წვერისაკენ თანდათან განიერდება, აღმა ახრილი ზურგი, მოკლე და ბლაგვი „ნიკარტი“, მოკუტული წელი, მაღალი, მკვეთრად დაქნილი „ნიღრი“, მცირედით მოშვილდული დაბალი „კაჩა“ და „ყუა-ყვრიმღის“ გარეთა კედლები მომრგვალებული. „იმერულ-აფხაზური“ წალდი (სურ. 95) შედარებით ვიწრო და წაწვდილი ტანით და „ნიკარტით“ ხასიათდება, ამასთანავე საქრელი პირის ზოლი „გორდა“ აქვს (შდრ., ქართლური, სურ. 93).




სურ. 124. ბუღიანი სახნისი, ს. რიყუელიდან

მას არსებითად განასხვავებს რაქულ და: სხვ. წალდთაგან. წალდის აღნაგობაში „ნიკარტი“ მთავარ კომპონენტს შეადგენს, ხოლო მის პირად საქნარში იგი ძირითად როლს თამაშობს და საგანგებო ხასიათის სამუშაო იარაღად აქცევს მას. წალდი თავისი დანიშნულებით მიწისმოქმედებასთან დაკავშირებული ჩანს; კერძოდ, „ტეებით“ და ბუჩქნარით დაფარულ საყანე და საველე ძღვილების მოკაფვას წალდი ასრულებდა. იგი უმთავრესად ჩირგვების, ეკლიანი ბარდების, „ქყორნარის“ და საერთოდ წვრილი ფიჩხი ტყის საწალდავად გამოიყენებოდა და ახლაც ამ დანიშნულებით იხმარება ხოლმე. „იმერული“ ო „ლანჩხუთური“ ტიპის წალდისათვის „ქარტის“ უქონლობა სწორედ მისთვის ამ ფუნქციის ჩამოშორებით უნდა აიხსნას, რამდენადაც, ამ შემთხვევაში, წალდს არსებითად სხვა ხასიათის ამოცანები და განსხვავებული მოთხოვნილებანი აკისრია, რომელთა მიმართ „ქარტი“ თავის მნიშვნელობას კაარავას.

ამრიგად, წალდის ტანის მოყვანილობა და გამართულობა შეპირობებულია ფუნქციასთან. საკავი სამუშაოების წარმოების ხშირად საქირო ხდება წალდის დაყვანა მიწის პირამდე, რომლის დროსაც „ნიკარტი“ პირვე-

ასევე, გურულ-იმერული და ლეჩხუმური წალდი ზოგიერთი მხრით გამოირჩევა სხვათაგან და ა. შ. ამ მიმართებით, განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს ქვ. იმერეთისა და გურიის (სამტრედიის და მახარაძის რაიონები) ეთნოგრაფიულ ყოფიერებაში ამჟამად არსებული წალდის ტიპი. ამ უკანასკნელს.

„ქარტი“ სრულებით არ გააჩნია, რაც



სურ. 125. სახნისი ორფრთიანი, ამბროლაურიდან

ლი ხვდება ნიადაგს, რის გამო „საქრელი პირი“ მიწას ერიდება და არ ეკარება. მეორე მხრით, „ნიკარტის“ მოკაულობის და პირის შესაფერისად მომართვის შედეგად წალდი ადვილად იწვდნენ საკვეთი პირისკენ მცენარის ფესვებსა თუ რტოებს და შემდეგ ადვილად წაქვეთს მათ. ამ საქნარში „კარტი“ მთავარ როლს თამაშობს. წალდის ფუნქცია მხოლოდ ამით არ განისაზღვრება; წერილი, ფეჩხი ტყის სამუშაო,—სალობავე სახრისა და სარის მოქრა, მალნარი ვაზის გასხვლა, ხეთაგან წერილი და ბებერი რტოების „ჩამობეღვა“, ან მათი მთავარ ტანზემთ გადაკაფვა (ყანებსა და ბალ-ბოსტნებში დაჩრდილვის ასაშორებლად) და ასევე საზრდელად გასაშვები ახლად აყრილი ტყის „გაწმენდაც“ უპირატესად წალდით წარმოებს. სამუშაოთა გასწვრივ წალდის მოქნევა-მოქმედება „ორმიტულ“—ჰორიზონტალურია. იგი თავისკენაც წალდავს და თავისაგანაც. ორივე ეს თვისება წალდისა სინამდვილეში საჭიროების მიხედვით გამოიყენება ხოლმე. მიწაზე, ტყის დაბლა საწალდავად, უფრო პირველი სახით მოიხმარება. ამ მხრით იგი ცელის, სავაზისა და ნამგლის მოქმედებას ემსგავსება, მალლა ბელვა-კაფვისას კი უმთავრესად მეორე წესით მოიხმარება. ამ შემთხვევაში იგი ნაჯახის და სასხლავის მოქმედებას უფრო უახლოვდება.

დაახლოებით ამგვარად ესმით წალდის ფუნქცია საქართველოს სხვა კუთხეებშიც. ივანე სახანბერიძის თქმით „თოხი რომ ვერ მიუღდება შამბში (დაბალი ჩირგენარი), იმას წალდით რავარც გინდა ისე გაჩხავ“¹. გურიაში მკედელ ალ. თევზაძის ჩვენებით „წალდი ხის გასასხვპათ, წნელის საქრელათ და საყანების გასაჩხავათ“ იხმარება². საბასაც წალდის საქნარად წერილი ტყის გაკაფვა აქვს დასახელებული: „წალდი—ფიჩხის საკაფი“-ო (ლექს.).

ამგვარად, ჩვენ გავითვალისწინეთ წალდის ცალკეული მხარე და ზოგიერთი ნიშანდობლივი თვისება, მისი ძირითადი ფუნქცია და მნიშვნელობა რაჭისა და, საერთოდ, საქართველოს სხვა კუთხეების აწინდელ ყოფიერებაში. სამწუხაროდ, უფრო ადრინდელი საფეხურების მიხედვით მისი კონკრეტული დანიშნულების შესახებ გარკვეული რისამე თქმა არ შეგვიძლია. საინტერესო იქნებოდა იმის ცოდნა, თუ რა როლს ასრულებდა იგი საზოგადოებრივ ყოფიერებაში სამეურნეო, საბრძოლო და საკულტო ხაზით უწინ.

წალდისნაირ „მუშა“—გაჰკრელი იარაღიდან აღსანიშნავია „წალდუნა“, რომელსაც პარალელურად „წალდუკა“ და სასხლავეც ეწოდება (სურ. 97—101). სასხლავე შემდეგი ნაწილებისგან შედგება: „ნიკარტი“, „ზურგი“, „პირი“, „ნიღრი“, „ყუნწი“, ანუ „კურწი“ და სხვ. ტანის მოყვანილობით იგი ძლიერ ახლო დგას წალდთან, თუმცა „ყუა-ყვრიმლის“ მიხედვით „სასხლავე“ წალდისაგან შესამჩნევად განიჩჩევა. ამ მხრით იგი უფრო „ყურწიან-სატარიანი“ იარაღების წყებას განეკუთვნება. სასხლავეს, ანუ „წალდუნას“ მრავალი სინონიმური სახელი გააჩნია. ქართლში მას „წალდურას“ უწოდებენ,

¹ იხ. საქ. მუზეუმის ეთნოგრ. განვ. არქივი (აღ. სახანბერიძის ჩანაწერები).

² ბ. თევზაძე, გურიაში მივლინების ანგარიში (იხ. საქ. სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფ. არქივი).

იმერეთში—„წალდურა სასხლავს“, გურიაში—„ხელწალდას“, ლეჩხუმში—
„სასხლავს“, სანეგრელოში—„ცხემლარს“, ხევსურეთში—წალდს და სხვ.

საბას სასხლავი მევენახის დანად აქვს განმარტებული, ხოლო დანის გან-
მარტებასთან ამბობს: „სასხლავი—ვენაჯისა გასასხლევსა ცილესა“—ეწოდება¹.
ამრიგად ირკვევა, რომ სასხლავს რამდენიმე სახელწოდება გააჩნია. ამ ნიადაგ-
ზე ხშირად აღგილი აქვს სასხლავს, წალდსა და საკაზეს შორის ერთგვარ აღრე-
ვას, არა მარტო სახელწოდების, რეალური მნიშვნელობის მიხედვითაც. რაც
მთავარია, „სასხლავის“ ფუნქცია გაიგივებულია სპეციალური დანიშნულების
იარაღის—„სავაზეს“ ფუნქციასთან. ამ ნიადაგზე საყოთრივ ვაზის სასხლა-
ვი იარაღი და, საერთოდ, სასხლავი ხეხილისა და სხვათა ერთ და იგივედ არის
მიჩნეული. მეორე მხრით, პირის მოყვანილობის მსგავსების საფუძველზე
წალდი და სასხლავი მხოლოდ სიდიდის მიხედვით და არა თვისობრივად გან-
სხვავებული სახის იარაღებად ითვლება. სინამდვილეში, წალდი, სასხლა-
ვი და სავაზე განსხვავებული შინაარსის შემკველი იარაღებია, რომელნიც
ერთურობიდან მოყვანილობითაც განირჩევიან.

სასხლავის თავისებურებას გრძელი, წვერიანი და კუთხედი „ყურწი“
შეადგენს, რომელზედაც დაეგება ხოლმე ხის ტარი. ტარად ხის ისეთი ჯიშია
შერჩეული, რომელიც იშვიათად და ძნელად „იქარება“. ტარს ჯერ საწვავით



სურ. 126. საჭეისახნისი, ს. ქვედიდან (რაჭა)

გულს გაუხვრეტენ, შიგ ყურწს გაუყრიან და ტარის ბოლოში თავს მო-
უკავენენ, რათა არ წაძვრეს ტარიდან. სამაგრისად რკინის სალტეს შემო-
სღებენ. ტანის ამნაირი აღნაგობა და გამართულობა ხელს არ უწყობს მას
სამძიმო სამუშაო ოპერაციის საწარმოებლად. აღსანიშნავია, რომ გარდა
ყურწიანი სასხლავებისა არსებობს „სარჩილიანი“ (მოკეცილსატარიანი) და
ბრტყელენიანი სასხლავებიც (სურ. 99, 101, 102). ერთი ამგვარი „სარჩილი-
ანი“ სასხლავი (სურ. 99) შექმნილ იქნა ჩვენ მიერ სოფ. უწერაში და ამჟამად
საქ. მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილების ლითონის კოლექციაშია დაცული
(იხ. კოლ., 63—39/34), იგი ყურადღებას იქცევს გრძელი „ნიკარტი“, რი-
მელსაც „სარჩილის“ ორივე მხარეზე ზემოთ და ქვემოთ მისივე ტანიდან ათლი-
ლი „კოტები“ აქვს, ხოლო წინა მხრით სალტედ მოვლებული ერთი ოქროს
რკალი¹, რაც საინტერესოა მრავალ მხრით. ამ სახის „სარჩილის“ (სატარეს)

¹ საბა, ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედ., ტფი-
ლისი, 1928 წ.


უარყოფით მხარეს წარმოადგენს მასში ტარის არამქილოდ გამაგრება და ამ ნიადაგზე მისი ადგილად დაძრობის ხშირი შემთხვევები. ამ მხრით, ნაწილობრივ მას სალტე შევლის მხოლოდ. სასხლავის ძირითად ფუნქციას შეადგენს, როგორც ითქვა, ხეთა გადაბეღვა და გასხვება, ჩირგვების მოჩვენა, წვრილი წნელის მოჭრა და მისთანანი; მას ამასთანავე ნამგალთან ერთად ხმარობენ ყანაში სიმინდის ჩალის ასაჩხვად, მაგრამ მის ძირითად ფუნქციას მაინც ბალის ხეხილის გაწმენდა და თუთის გასხვლა წარმოადგენს. ამ მიმართებით იგი დაკავშირებულია სოფლის მეურნეობის დარგების მეტალობამეაბრეშუმეობის განვითარებასთან. საფიქრებელია ამ ნიადაგზე მისი წარმოქმნა წალდის ან მისი მსგავს სამუშაო იარაღისაგან.

ამგვარად, „წალდუნა“¹ წალდისაგან არა მარტო თავისი ყურწიანი „სატარეთი“ განირჩევა, არამედ ფუნქციითაც. პირველი ძირითადად „საწალდავი“ იარაღია, მეორე—„გამსხლავი“. უკანასკნელი თავისი მოქმედების სიძლიერით და ინტენსიობით წალდს ვერ შეედრება. საამისოდ არც ტარი და არც „სატარე“ არ არგია. იგი უფრო იოლი და „სამჩალტო“ სამუშაოსთვისაა გამოსადევი. მისი მოქმედება ყოველთვის ჩეხვის ხასიათს ატარებს და მეტწილად ფავისგან „შითლის“. ამჟამად მისი გავრცელების არეს, უმთავრესად, ბარის ზოლი შეადგენს. მთის ზოლში მისი იშვიათობა, საფიქრებელია, იმით აიხსნება, რომ იგი ძირითადად საბალოსნო ხასიათის იარაღია. სახელწოდება „წალდუნა“ საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ფართოდ გავრცელებული უნდა ყოფილიყო, რასაც მოწმობს მისი შემონახვის ფაქტიც ერთ ძველ ქართულ ხალხურ ლექსში „მელია და ჩიტის“, სადაც სხვათა შორის „წალდუნასთან“ ერთად იხსენიება „ცულდუნაც“.—ცულს მოვიტან ცულდუნასა, ხელეჩო და წალდუნასა—ეუბნება ჩიტს მელია. თავის მხრით ტერმინი „ცულდი“ საყურადღებოა. ამ შემთხვევაში სუფიქსი—„უნ“ „ურ“-ის შესატყვისს წარმოადგენს და ამის შემდეგ რჩება ფუძე „ცულდ“, რომელიც სრული ამ სახით შემორჩენილა ხსენებულ თემებში ცულის სახელად. ამას გარდა ყურადღებას იქცევა „ცულდ“ და „წალდ“ სახელთა ფონეტიკური სიახლოვე, რაც საბუთს იძლევა მათი შინაგანი ნათესაობის შესახებაც საკითხის დასმისათვის.

„სავაზე“, ანუ ვაზის სასხლავი „წალდუნასაგან“ განსხვავებული მოყვანილობის და აღნაგობის სამუშაო იარაღია (სურ. 103). სავაზეს სხვანაირად „სავაზე-დანას“ და უფრო ხშირად კი „სასხლავს“ უწოდებენ ხოლმე; მაგრამ, როგორც ზემოთაც ითქვა, სასხლავივე ეწოდება ხეხილის და თუთის ხის სასხლავად სახმარ იარაღსაც, რომელიც თავისი სიდიდითა და მოყვანილობით გარკვეულად გამოირჩევა ვაზის სასხლავი იარაღის—„სავაზესაგან“. ამრიგად, სახელი „სასხლავი“ ომონიმური ხასიათის არის და ნიშნავს როგორც ერთს, ისე მეორეს. „სავაზეს“ არ გააჩნია „ნიკარტი“, რაც „წალდუნას“ არსებით ელემენტს წარმოადგენს და აკავშირებს მას ამ მხრით წალდთან. მაგრამ სავაზეს თვით პირის მოყვანილობა აქვს ისეთი, რომელიც „ნიკარტის“

¹ „წალდუნას“ ქართლში „წალდურას“ უწოდებენ, ხოლო წალდს—„წალდ-ცულას“.

მოვალეობასაც ასრულებს ნაწილობრივ და თანაც თავის ძირითად ფუნქციასაც ზედმიწევნით შეესაბამება. სავაზეს „ნიკარტი“ არც კი სჭირდება, რადგანაც მისი მოქმედება მუშაობის პროცესში დარჯებითი კი არ არის, არამედ მოდებ-ა-მოსმითია“. სავაზე თავისკენ, ე. ი. შიგნითკენ, მოსერავს და ისე ჰკრის, „წალ-დუნა კი თავისგან გარეთკენ წააჩეხს და ისე ჰკრის. ამას გარდა, უკანასკნელის საკრელი პირი სწორხაზოვნადაა წინისაკენ წაწედილი, როდესაც სავაზესი მოკუტულია და ნამგლისებურად მოშვილდული. სავაზეს ფართო და მოკლე ყურწი, ანუ „ენა“ აქვს ყურწის ძირთან ოდნავ შესამჩნევი „კაჩას“ ნასახით; „წალდუნას“ კი ვიწრო და გრძელი „ყურწი“ აბია და მის ძირში



სურ. 127. გუთნის სახნისი, „ცალფრთიანი“

საგრძობლად აღმატებული „კაჩა“ და „ნიღრი“ აქვს. სიდიდის მიხედვით ხომ მათ შორის თვალსაჩინო განსხვავებაა. ამ კომპონენტების ნიადაგზე ეს ორი იარაღი უნდა განვასხვაოთ და თითოეული მათგანის საკუთარი ინდივიდუალობა გვცნოთ.

„სავაზე“ მარტივი აგებულებისაა. შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: „პირი“, „ყუა“, „წვერი“ და „ყურწი“. (სურ. 105, 106, 103, 104). „სატარე“ (ყურწი) დახვერტილია შუაგულზე სამქვლის გასაყრელად და დაგებული აქვს ხის ტარი. ტარი შუაში ჩახერხილია

სიგრძეზე ყურწის ზომაზე და შიგ ჩაჩრილია სავაზე „ყურწით“. სიმგარისად გაყრილი აქვს ორი რკინის სამკველი. სავაზეს უშუალო მოვალეობას ვაზის (დაბლნარის) გასხვლა-განეკვის საქმარი შეადგენდა. ვიდრე იგი ამჟამად ფაბრიკულმა მაკრატელმა არ ზეისცვალა. იშვიათად იგა ახლაც ამ დანიშნულებით იხმარება ხოლმე.

უნდა აღინიშნოს, რომ სავაზეს ტანის მოყვანილობაში და მის მოქმედებაში საკვანძო ადგილს წინა ნაწილი შეადგენს. სავაზე საცალხელო (მარცხენა, გინდ მარჯვენა) სახმარ იარაღს წარმოადგენს. მხმარებელს იგი მარჯვენა ხელით უჭირავს (ხელის ნებზე პირადმა, ოდნავ დახრილი), ისე რომ სალოკი თითო მცირედით წინისაკენ აქვს გაწედილი ტარის თავამდე; მარცხენათი ვაზი უჭირავს და წამოკვეთავს ხოლმე ლერწებს საპირო ზომით. მუშაობის პროცესში მეტი ძალა სავაზის სწორედ ამ წინა მხარეს ადგია, რომელიც ხმარების შედეგად პირველ რიგში ცვება (იხ. სურ. 105, 106), ამიტომ სავაზე რამდენადაც ახალ „ხელადს“ წარმოადგენს, იმდენად მისი ეს მხარე ფართო და გასწორებულია, ხოლო ხშირი ხმარებისას ჩაცვევით და მეტად მოკაქული ჩანს. სავაზესთან ფუნქციითა და გარეგანი შეხედულებით ახლო დგას მკედლის—ნალბანდის იარაღი—ფოლსათლელი დანა (სურ. 106-ა).

რაკის მკედლობის ნაკეთებ „ხელადიდან“ ყურადღებას იქცევს ნაირი ფორმის და ფუნქციის თოხები, რომლებიც აქ უხვადაა წარმოდგენილი,

თოხები ერთმანეთისგან სიდიდის მიხედვითაც განსხვავდებიან (შდრ. სურ. 107—115).


ფუნქციის მიხედვით ეს თოხები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა. პირველ ჯგუფს შეადგენს ის თოხები, რომელთაც ხნულის დასამუშაებლად იყენებენ, ხოლო მეორეს—რომელთაც უხნავის, ყაპირის სათოხარად ხმარობენ. ასევე, აღნაგობის მიხედვით ისინი იყოფიან ცალთავიან და ორთავიან თოხებად. როგორც ცალთავიანი, ისე ორთავიანი მოყვანილობის მიხედვით რამდენიმე ქვესახეს შეიცავს და თითოეული საკუთარ ინდივიდუალურ თვისებებს ატარებს. ამრიგად, თოხების ერთი წყება დახნულის დასამუშაებლად არის განკუთვნილი, ხოლო მეორე წყება—უხნავისათვის. ამ შემთხვევაში ეს უკანასკნელი გარკვეულ პირობებში სახენელი იარაღის როლში გამოდიან და მათი საშუალებით ხდება მიწისთვის თესლის მიბარება. ამეამად ყველაზე ფართე და გავრცელებულ თოხის ტიპს „რაჭული“ თოხი წარმოადგენს (სურ. 107), რომელიც ტანგაშლილი, მაღალმხრებიანი, ბეჭებში ცოტა მოხრილი, მრგვალ „სატარიანი“ და ყუა-ყვრიმილიანია, ყუაზე მაღალი „ქოჩოჩი“ აქვს. შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: „ქოჩოჩი“, „ყუა-ყვრიმილი“, „ყელი“, „ბეჭი“, „ზურგი“, „ნუკელი“, „პირი“ და აქეთ-იქით „წვერი“, ანუ „ნიღრი“. გავრცელებულია უმთავრესად რაქის ბარის ზოლში, რადგანაც იგი იხმარება ძირითადად სიმინდის სათოხნელად. ამგვარი თოხები უკეთ და მარჯვედ „თიშ-მაშ“ (ფხვიერ) მიწაში მუშაობს. ხვავიანად ხვეტავს მიწას და სიმინდის სათოხნელად მეტად ნაყოფიერია მით მუშაობა. სათოხარი თოხის მეორე ტიპს წარმოადგენს „იმერული თოხი“, რომელიც მხრედანხრელი და სამკუთხი სახისა კეთდება. იმერულ თოხს ახასიათებს — გორდა „პირი“, სწორად დაქნილი ტანი, გამართული „წყელი“, ბასრი და წვეტიანი „ნიღრები“ (პირის კიდებები), კუთხედი „ყუა-ყვრიმილი“ და „სატარე“, „მოლქინდავი“ აღნაგობა (სურ. 108). იხმარება უმთავრესად ქვიან-„ქვიშნარუან“ ადგილებში სამუშაოდ. მესამე სახის თოხს „სახნავის თოხი“ შეადგენს. ეს უკანასკნელი „რაჭული თოხის“ სახესხვაობას უფრო წარმოადგენს, ვიდრე განსხვავებული მოყვანილობის იარაღს. პირველთან შედარებით მას მხოლოდ უფრო „მორჩილი“, სქელი და ვიწრო ტანი ახასიათებს (იხ. სურ. 113). იხმარება ბელტებისა და ხნულში ყაპირად დარჩენილი მიწის მოსათოხნად. ხენის დროს კვალდაკვალ მიყვება „მეთოხარი“ და ჩეკავს, ფშენის ბელტებს. თოხების ამავე კატეგორიას განეკუთვნება „ახოს თოხი“¹. იგი მაღალი და ვიწრო ტანისაა, ასევე მაღალი, სწორი და მცირედით გაშლილი ბეჭები აქვს². მის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს ახოებსა და „გვერდიყანებში“

¹ ახოს თოხს ქართლში „ჩერკნი“, ანუ „საჩერკნი“ ეწოდება. გატეხილ ახოს—ახალპორს 4—5 წლის განმავლობაში, ვიდრე კარგად არ „მონამბილებენ“, ამითი „ჩერკნიან“ (ხნავენ). ლადო ბეგიაშვილის ჩვენებით (მეჯვრისხვეი): „ჩერკნით ჯერ კაპკს (ძირებს) ამოყრან ახოში და შემდეგ იმითი მოჩერკნიან და დათესვენ პურს.

² „მხარდაქნილი“ „ახოსთოხი“, რომელიც ასევე „ახალპირი“ მიწების დასამუშაებლად იხმარება, წარმოადგენს ბრინჯაოს ძველი თოხების მემკვიდრეს (იხ. სურ. 111).

(მკვეთრად დაქანებული ადგილები, რომელთაც ხარ-სახენელი არ უდგება) ყამირის „მოთხზწერაქეება“, ანუ „მონამბილება“. ამ ვითარებაში იგი სახენელის ფუნქციას ასრულებს, რადგანაც ხენა-თესვას მისი საშუალებით აწარმოებდნენ. იგი გავრცელებულია უმთავრესად მთიან ზოლში (სურ. 112).

რაქის მკედლობაში ამჟამად ცნობილია თოხების კედვის ორგვარი წესი — ძველი და ახალი. ძველი წესით გაკედვა გულისხმობს თოხის ტანის ორ „ნაჭრად“ (ნაწილად) დამზადებას და შემდგომ მათს გაერთმთლიანებას. ამ შემთხვევაში „ყუა-ყვრიმალი“ და ყელი თოხისა, ე. ი. ზედატანი, ცალკე მზადდება, ხოლო ქვედა ტანი ცალკე. ამ სახით გამზადებულ ნაწილებს ერთმანეთს



სურ. 128. „ხარ-სახენელი“, ჩრდ. კავკასია, საქ. მუხ. კოლ., № A 236—89 (მოდელი)

„მოურგებენ“ და ერთიერთმანეთს მიადლულებენ ჩვეულებრივი წესით. ახალი წესით თოხის კედვა პრინციპულად განირჩევა ძველისაგან. ამ შემთხვევაში სათოხე რკინა ერთიანია. იგი სათანადოდ გამოკობიტდება (სურ. 114) და შემდგომ შესაფერისად „დაგვარდება“. კედვა შემდეგი თანამიმდევრობით წარმოებს: ჯერ სათოხე რკინას სიგრძე-სიგანით წასწევენ გრდემლზე (ღიდი უროებით). როდესაც საკმაოდ გააბრტყელებენ — ჩაუქრიან მხრებს, მხარ-ზევით ჩათელავენ და შეასქელებენ თოხის ზედა ტანს, შემდეგ „ყელს“ ჩათელავენ და „სატარეს“ დაუგვარებენ, გახვრეტენ მას „საყუთი“, ანუ „ზუმბათი“ და ცალკეულ ნაწილებს „გამოუკაზმევენ“. ვიდრე თოხის უშუალო გაკაზმას შეუდგებოდნენ, საჭირო ხდება თოხის დაფოლადება. დაფოლადებაც ორგვარია — ძველებური და ახლებური. პირველი წესით დაფოლადება გულისხმობს პირის ორად გამოზას და შუაზე ფოლადის ჩართვას, ხოლო მეორე წესით დაფოლადება — ერთ ვევრდზე (შიგნითა პირზე) ფოლადის ნაჭრის ცალპირად დადებას და პირდაპირ მიდლუებას. ძველი წესით დაფოლადება უფრო ძნელი, მაგრამ შედარებით მკვიდრია. ახალი წესით დაფოლადება კი

მარტივი და ადვილია, მაგრამ პირველს სიმტკიცით ვერ შეედრება. სამუშაო იარაღის ამავე წყებას განეკუთვნება ნაირსახის და მოყვანილობის „თოხ-წერა-ქვები“. ეს უკანასკნელნი წარმოდგენილია ორი ძირითადი სახით: ცალპირნი, ანუ ცალთვალნი და ორპირნი ანუ ორთავიანი (მდრ. სურ. 116—122-ა).

პირველი სახის თოხ-წერაქვებთან განსაკუთრებით გამოირჩევა კუთხედი ტანის „მთიული“ თოხ-წერაქვა, რომლის ერთი ეგზემპლარი (სოუ. ქვედში გაქედლი, წედური რკინისაგან) ჩამოტანილია ჩვენ მიერ 1939 წ. საქ. სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების დეპარტამენტით და ამჟამად დაცულია ამავე განყოფილების ლითონის კოლექციების ფონდში (სურ. 116). იგი საყურადღებო მოყვანილობის და აღნაგობისაა: კუთხოვანი ტანის ნაკვთები, კუთხედი „ყუაყურიმალა“ და „სატარე“, ოდნავ მოქანდული, „უფახო“ პირი მეტად ახლოს აყენებს მას ზოგიერთ ცულთან. მეორე მხრით, სამოქმედო მომართვა ეჩოსტური აქვს. მეორე სახის თოხ-წერაქვა, რომელიც „ქოჩოჩიანი“, სქელი ყუით და მრგვალი ან ოვალური „სატარეთი“ ჩასიათდება, უპირატესად „იმერულ თოხს“ წააგავს. როგორც პირველი, ისე მეორე არსებითად ქართლური „ქარჩის“ გვარისაა და განეკუთვნებიან მიწასმოქმედებასთან მჭიდროდ დაკავშირებული სამუშაო იარაღების წყებას. გარკვეული გაგებით ამგვარი თოხ-წერაქვები, ქარჩები და სხვ. ერთგვარი მარტივი, მიწის დასამუშავებელი იარაღებია, რომელთა საშუალებით ამუშავებდნენ ყამირებს, ახლად გატეხილ ახოებს, ამოუძირკვევ ადგილებს და საერთოდ უბირ მიწებს.

საინტერესოა, რომ როგორც ქართლში „ქარჩის“ ნაქნარს „მოქარჩული“, ხოლო მოქმედებას „ქარჩვა“ ეწოდება, ისე რაჭაში „თოხ-წერაქვას“ საქმიანობას და ნაქნარს „მოწერაქვება“ და „მოწერაქვებული“ ეწოდება. ორთავიანი თოხ-წერაქვეც იმავე ხასიათს ატარებს, მხოლოდ მასზე რთული და შერწყმული ტიპის „საქარჩავ“ იარაღს წარმოადგენს. იგი ორგვარი საქნარისათვის არის გამოიზნული. ერთი თავით რომ თოხნის, მეორეთი — „ჩოჩინს“, ანუ „ჩეკავს“ მიწას; ცალი პირით რომ მიწას ბარავს, ცალით—ქვებს და ფესვებს აღმაჰყრის (სურ. 117, 118, 119, 120, 121, 122, 123).


ამრიგად, თოხები რაქის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, ძირითადად, სამი მიმართულებით ჩანს გამოყენებული: ხნულის გასაფხვიერებლად, ანუ დასათოხნად, კორდი ადგილების „მოსაჩოჩნად“, „მოსაქარჩად“ და სახენელისათვის მიუდგომელი ადგილების დასამუშავებლად¹. აკად. ი. ჯავახიშვილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჩვენში: „ისტორიულ ხანაშიც საველე მეურნეობა და მიწის დამუშავება მარტო სახენელით ან წარმოებდა, არამედ თოხითაც“². ამ მხრით საქართველოს აწინდელ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემონახული ფაქტები საეცებით ასაბუთებს იმ ამბავს, რომ ისტორიულად

¹ იხ. Очерк Имеретии, Сборник сведений о Кутаисской губ., вып. IV: „Послания царя Алексея Михайловича, бывший в 1640 году в Минггелии повествует, что жители севт просо, и по горам немного пшеницы, обрабатывают всюю кирками да сев.“

² ივ. ჯავახიშვილი, საქ. ვცხ. ისტორია, ნაწ. I, 2, გვ. 74.

სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარება დიფერენცირებულ და თავის სარგო იარაღს ითხოვდა და ამ უკანასკნელით იყო შეპირობებული.

მიწისმოქმედებასთან დაკავშირებული რკინის იარაღებიდან აღსანიშნავია აგრეთვე სახნისი. სახენელი იარაღების ნაყოფიერი მუშაობის საქმეში სახნისის ერთი მთავარი ადგილი უჭირავს. მისგან დიდად არის დამოკიდებული სახენელის ეფექტიანობა. შესაბამისად სახენელ იარაღთა მრავალსახეობისა, რომელიც შეპირობებულია საქართველოს ნიადაგის თავისებურებით, სახნისის რამ-



სურ. 129. ბარი


დენიმე სახე გვაქვს შემონახული; ასეთებია: „საორხლე“ სახნისი, „ოჩოჩას“ სახნისი, „სახენელის“ სახნისი, „გუთნის“ სახნისი და სხვ. ფორმის მიხედვითაც სახნისების რამდენიმე ტიპი შემონახულა: „უფროთ“ სახნისი, „ფროთიანი“ სახნისი, „ცალფროთიანი“ და სხვ. (სურ. 124, 125, 127). რაჭის აწინდელს მკედლობაში მხოლოდ ფროთიანი სახნისები მზადდებოდა, მათგან „საორხლე“ და „სასახენელე“. მათგარდა რაჭის მკედლები უწინ სხვაგვარ სახნისებსაც აკე-

თებდნენ, როგორცაა: „უფრო“ და გრძელცხვირიანი სახნისი (იხ. სურ. 124). ამასთანავე, პატარა ზომის „ორფრთიანი“ სახნისები იმერეთში გასასაღებლად მზადდებოდა, ხოლო დიდი ზომისა ქართლში გასატანად.

თუ სახენელ იარაღთა განვითარებას შევეფარდებთ სახნისის ფორმითა ცვალებადობას, უნდა ვივარაუდოთ, რომ მათგან „უფრო“, ანუ „წვერბუღიანი“ სახნისი (იხ. სურ. 124) ყველაზე ძველი და მარტივი სახის აღმოჩნდება, ხოლო „ცალფრთიანი“ ყველაზე რთული და უახლესი. „ორფრთიანი“ სახნისები მათ შორის შუა საფეხურის გამოხატუვლად წარმოგვიდგება. ამგვარად, სახნისთა სამი ტიპიდან რაჭაში გავრცელებულ სახეს ამეამად „ორფრთიანი“ სახნისი წარმოადგენს. შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: „საკვეთი ფრთები“, „ბუღე“, ანუ „საეშვე“, „აუურები“, „შუცალი“, „ზურგი“ და „წვერი“. იგი სხვადასხვა ზომისა და ზურგგახრილობის კეთდება იმის კვალობაზე, თუ „რომელ ნიდაგს რა უჯობს“. რაჭაში დაცულია სახნისის დამზადების ორგვარი წესი: ძველი და ახალი. პირველი წესით ქედისას სასახნისე რკინას შანთად გაწვევამოწვევენ და სამკუთხედის სახედ დაათხელებენ. შემდეგ მას თევით (რკინის საკვეთელი) „აუურებს“ ჩაუქრიან ბუღისათვის რომელიმე გვერდზე, გრდემლის რქაზე გადადებენ და მოკეცენ ოვალურად. ამ პროცესს „ბუღის მოკავება“ (მოხრა) ეწოდება. ამგვარად გაუკეთდება „ბუღე“. როდესაც ბუღეს ღორჩებიან, ზურგის დაგვარებას იწყებენ. მხურვალე სახნისის გრდემლზე გულაღმა დადებენ, თან შუაზე წვერის მიმართულებით მრგვალ რკინას დაადებენ, მასზე ბრტყელი რკინის „საქოლს“ დააწოლებენ და დაჰკრავენ მძიმე უროს, რის შედეგად სასახნისეს ზურგი „ჩაედევრება“ ანუ ჩაედრიკება სიგრძეზე. ამის შემდეგ პატარა ხელკვერით „ნარი“ (ზურგის ზოლი) გაუკეთდება, წვერი წაემახვის და სახნისი გაიმართება.

ახალი წესით სახნისის გაქედვა იმავე პრინციპით მიმდინარეობს. მათ შორის განსხვავება მხოლოდ ტექნიკური ხერხების სხვადასხვაობაში მდგომარეობს. ამ შემთხვევაში სასახნისე რკინას პირდაპირ მოზომავენ თარგით და გადაქრიან ცივად. ამის შემდგომ, მას იმავე წესით დააგვარებენ და გამოჰყავთ ხოლმე სახნისი, სახნისის ხალასი რკინისას აშზადებენ და მას ჩვეულებრივად დაუფოლადებელს ხმარობენ. სახნისის ძირითად ფუნქციას „მიწის ნგრევა“ შეადგენს, მაგრამ არა უშუალოდ, არამედ სახენელთან ერთად. ამ ვითარებაში იგი დამხმარე საშუალებას, ანუ ხელსაწყოს უფრო წარმოადგენს, ვიდრე დამოუკიდებელი სახის სამუშაო იარაღს. სახნისი წინ უძღვის სახენელის ქუსლს და მიარღვევს მიწას, რითაც უადვილებს ამ უკანასკნელს ცვლის გატანას და, საერთოდ, მიწაში მოქმედებას. საფიქრებელია, რომ უწინ სახნისის მოვალეობას, უპირატესად სახენელის ქუსლის „კბილას“ (ეშვის) გაცვეთისაგან დაცვა შეადგენდა, ვიდრე უშუალოდ მიწის ნგრევა, მეტადრე ქვიან-ქვიანარიან ადგილებში; შემდეგში კი მისი ფუნქცია უნდა გაფართოებულიყო და შეცვლილიყო. უფრო ფართო ხასიათის მოთხოვნილებანი: მიწის ზედაპირის აპრა, გარღვევა და ნგრევა მას მხოლოდ თანდათან უნდა დაეკისრებოდა. პირველ ხანებში მას ფრთა არ გააჩნდა. იგი არც იყო მისთვის

საკირო. შემდეგში აუცილებელი შეიქნა მისი გასრულება ისეთი ნაწილებით, როგორც არის: წახნაგოვანი „ფრთები“, წვეტიანი და ბასრი ქვეერი, ბარი-



სურ. 130. ბორკილი || „ფარმანი“ || „აბდანი“

სებური მოყვანილობა, ნაცვლად „რქისებურად“ გაყვანილი ტანისა, და სხე-
შდრ. (სურ. 128) ჩრდ. კავკასიური „ბარსახენელი“, აგრეთვე ქართული ბარი-
(სურ. 129).

თავი მეოთხე

რკინის კულტის გადმონაშთები

1. რკინის დამზადებასთან დაკავშირებული საწესო ჩვეულებანი.

2. თქმულება „სირა-მქედელი“

რკინის დამუშავებასთან დაკავშირებით, რაქის ეთნოგრაფიულ სინამდვილეს, გადმონაშთების სახით, შემოუნახავს მრავალმხრით საყურადღებო რწმენანი, წეს-ჩვეულებანი და თქმულებები. ამ მიმართებით რაქის არეალზე რკინის კულტი საქართველოს სხვა კუთხეებთან თანაზიარი სახით არის წარმოდგენილი, თუმცა ზოგიერთი თავისებურებაც მას თან ახლავს.

წედური რკინის დამუშავების ვითარებაში სამქედლოსა და საქედურ იარაღთ, ისე როგორც თვით მქედელს, განსაკუთრებული პატივი და რიდი ეღვათ ხალხის წინაშე. ამ მხრით სამქედლო ერთგვარ „წმინდა ადგილსაც“ კი წარმოადგენდა (როგორც ეს ყველაზე მტკიცედ და მკაფიოდ სამეგრელოსა და აფხაზეთში იყო შემონახული¹), სადაც სრულდებოდა „რკინის კაცების“ მფარველ „ქვაწითლის მარიამ ანგელოზი“-სადმი განკუთვნილი და მის ხსენებად დადებული რიტუალური ლოცვა „ბოსლობა“ ღამეს. დღეობას იხდიდა „მოზიარეთა“ კრებული სრული შემადგენლობით. შესაწირავი „საკლავი“ ხბო ან კრავი უნდა ყოფილიყო; სხვა „არ ვარგოდა“. ამ საკლავის ღირებულების საფასური „მოზიარეთა“ შორის თანაბრად ნაწილდებოდა, ხოლო პურ-ღვინო და სხვა სანოვავე თითოეულს სახლიდან მიჰქონდა.

ლოცვის „რკინის მოზიარეთაგან“ ყველა უნდა დასწრებოდა. საპატიო მიზეზად ჩითვლებოდა: შორს ყოფნა, მძიმე ავადმყოფობა და სხვ. ლოცვაზე დაუსწრებლობა ცუდად ჰქონდათ „დამხნილი“ და ყოველგვარ ფათერაკსა და ზარალს მთელი წლის მანძილზე ამ მიზეზით ხსნიდნენ. „რისხვა და ბრალი“ მარიამ ანგელოზის სადმე წამოეწეოდა გვირაბში ან სამქედლოში და ანაწებებდა თავს“.

ვახშობის ეამს „მოზიარები“ იკრიბებოდნენ სამქედლოში. როდესაც ყოველივეს წესისამებრ გაარიგებდნენ, მათგან ერთი ყველაზე ხნიერი და „თავიკაცი“ ფეხზე ადგებოდა (ამ დროს ყველანი ქულს მოიხდიდნენ), ხელში შვიდ სანთელსა და „განატებს“ დაიქერდა, წაღმა მობრუნდებოდა და იწყებდა ლოცვის „აღლენას“ ჩემად. თითო ანთებულ სანთელს სამქედლოს კარების აფრას, ოთხივე კედელს და გრდემლს მიანთებდა, ერთსაც სუფრაზე მოიტან-

¹ პ. გ. ო. რ. გ. ა. ძ. ე. აფხაზეთი და აფხაზნი, ივერია, 1888 წ. № 186; ზღრ. ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის 1951 წ. აფხაზეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები.

და. შემდეგ ღოქით ღვინოს აიღებდა, წაღმა მოაბრუნებდა და დაილოცებოდა: „ღმერთო დიდებულო, ღმერთო გვიშველე. მარიამ ანგელოზო ქვაწითლისაო, შენ დაგვიფარე, შენ უწინამძღვრე და შეეწიე ჩვენს წარმოობას. გაუმარჯვე ჩვენს საქმეს, წაღმა წაიყვანე ჩვენი მუშაობა“. ამ სიტყვებით გადატეხდა „განატეხს“ და მასთან ერთად ყველანი სუფრად დასხდებოდნენ იმის კვლობაზე, თუ ვის როგორ ეკუთვნოდა წესით და უფროს-უმცროსობის მიხედვით. გაიმართებოდა ლხინი.

„თავიკაცი“ პირველი კათხით სამკედლოს და მის საქნარს ადღეგრძელებდა: „დიდება აქვს ღმერთსა, მაღლი მოწყალესა, ღმერთო, შენ გვიშველე, მარიამ ანგელოზო ქვაწითლისაო! გაუმარჯვე ჩვენს სამკედლოს ქურბაქს, ჩვენს მუშას და მის ნაქნარს. გვამუშავე შეიღობიანად, ზიანს ნუ მოგვეკმ, აკვაშორე ფათერაკს და ცუდ საქმეს, შენი დიდებისა და სახელის ჰირიმი!“. თანამოსუფრენი „ამინ“-ს შეაწეოდნენ და თავადაც დაილოცებოდნენ. მეორე საღღეგრძელო გრდემლისა და სხვა „ხელქურქლისადმი“ იყო განკუთვნილი: „გაუმარჯოს ყველა ჩვენ ხელქურქელს და ავეჯს—დგვემს, ხელკვერს, მარწუხს“. მესამე კათხით „ნაქნარს“ და მის კეთილად მოხმარებას ადღეგრძელებდნენ: „გაუმარჯოს ჩვენს ნაქნარს, ჩვენს აღებ-მიცემობას, კეთილად მოგვეხმაროს ჩვენი ნაოფლარი, ჩვენი მარჯვენიო მონაგები“.

მეოთხე საღღეგრძელო კვლავ დანარჩენი იარაღისა და ავეჯისადმი იყო მიძღვნილი. ამ ჯერად დალოცავდნენ: თეგხ, უროს, ცალთავს და სხვ.

მეხუთეტი—მკედლობის გამჩენს და მკედლის მარჯვენას დალოცავდნენ, შემდგომ ერთურთსა და ცოცხალ-მკედარს მიიხსენიებდნენ.

შესაწირავი საკლავის ხორცი ამ დღეობაში ორგვარი სახით იყო წარმოდგენილი: ერთი წყება რომ მოხარულად იყო დამზადებული, მეორე— უნად. დამზადება შემდეგი წესით ხდებოდა: წინასწარ დათლიდნენ ხის პატარა შამპურებს, რამდენიც წვერი იყო. ხორცს სახსრებად დახსნიდნენ, ნახევარს მოსახარშავად გადააწყობდნენ, ნახევარს—უმად გასაყოფად. „თაერციელი“, გულ-ღვიძლი და სხვა შიგნეული იქვე იხარშებოდა და პირველ წყება ჩამოსარიგებულ ხორცთან ერთად შემოდლიოდა სუფრაზე, იგი ყველას უნდა რეგებოდა.

უმი ხორცის თითოეულ სახსარს თანაზომიერად და წვრილად დაჭრიდნენ, შამფურებზე ააგებდნენ და ყველას თითო ცალს ჩამოურიგებდნენ სახლში წასაღებად. „უწილოდ“ არც იმას დატოვებდნენ, ვინც „მოზიარეთაგანი“ არ ესწრებოდა,—ჩვენი მტერი იქნა „უწილო“—იტყოდნენ.

აღსანიშნავია, რომ ეს დღეობა, რომელიც გარეგნულად ქრისტიანულ ელფერს ატარებს, არსებითად წარმართული ხასიათისაა და თვისი შინაარსით მგლითონეობის ძველი კულტის ცალკეულ ატრიბუტებს წარმოადგენს. საინტერესოა ის გარემოებაც, რომ ეს რიტუალი, ისე როგორც რკინის დაწურვის და დამუშავების საქნარი, რატომღაც ღამე იწყებოდა¹. ამასთანავე,

¹ შეაძლებულია ამ მხრით აღნიშნული რიტუალი ასტრალურ რელიგიასთან, კერძოდ მთვარის კულტთან, იყოს დაკავშირებული.

ოგი ერთ გარკვეულ დროსა და ადგილას ხდებოდა, ამ შემთხვევაში—„სამკედლო ქოხში“. აღსანიშნავია ისიც, რომ სამკედლო და სამკედლოს ნასადგურევიც კი სულ ბილო დრომდე „საფიცარ“, წმინდა ადგილად ითვლებოდა სამეგრელოსა და აფხაზეთში.

საყურადღებოა, რომ დალოცვის წესში თანამიმდევრობით იხსენიება სამკედლო და მისი მთავარი სამუშაო იარაღები, მასთან რკინის წარმოება, ამხანაგობა, შრომის ნაყოფი და შრომის პროდუქტის ალებ-მიცემა. რაც შეეხება, კერძოდ, გრდემლს, კვერს და მარწუხს, მათ მთელ საქართველოში საყოველთაოდ მოკრძალებით იხსენიებდნენ და „ჯვარ-ხატის“ ძალისად მიიჩნევდნენ, დაფიცებასა, „გადაცემას“ და ალტჰემის მიცემისას ამ იარაღებს „ნაწილიანი“, წმინდა საგნის მნიშვნელობას ანიჭებდნენ. კერძოდ, რაქაში გრდემლის წინ წყევლა, რისამე ურიგოს წართქმა, ზედ ფეხის დადგმა, დაჯდომა და, საერთოდ, „უკატური“ საქმის ჩადენა, როგორც წესი, აკრძალული იყო. ასეთივე წესი იყო დატული ქართლში, კახეთში, სამეგრელოში, აფხაზეთში, გურიაში, იმერეთსა და სხვაგან. ილია ოქროპირიძის ჩვენებით (ლიახვის ხეობა) მკედლები ყველა შაბათს გრდემლს კარგად გაასუფთავებდნენ, ზედ წმიდა თაფლის სანთელს დაანთებდნენ და დაჩოქილნი ევედრებოდნენ ღმერთს მის წინ¹. სამეგრელოსა და აფხაზეთში ხომ გრდემლი და კვერი თვით უძლიერეს და განთქმულ ილორის, ყულისა და ალერტის წმ. გიორგის ხატთა სწორად იყო მიჩნეული. მის წინ სრულდებოდა დამნაშავეთა „გადაცემა“-დაფიცება და ასევე მომნანიებელთა „დახსნა“-„ალება“². ლიხაჩევს³ თავის წერილში აღნიშნული აქვს, რომ დიდხუთშაბათს კვერის გრდემლზე დაკვერის ჩვეულებასთან შესაძლებელია კავშირი ჰქონდეს აფხაზურ რწმენას, რომლითაც თვით გამოუსწორებელ ქურდს საშინლად ეშინია გრდემლზე დაფიცებისა-ო. ერთი სიტყვით, გრდემლი გარკვეულ ვითარებაში „ნაწილიანი“ საგანი იყო და მასზე გადაცემის წესიც ფართოდ გავრცელებული. სამეგრელო და აფხაზეთი ამ მხრით გამოჩაქისის არ შეადგენდა. გრდემლზე გადაცემის წესი ქართლშიც ყოფილა შემოინახული. მკედელ მაზანაშვილის ჩვენებით (მეჯუდას ხეობა, ს. მეჯვრისხევი), „თუ შეგირდი ოსტატს აწყენიებდა, იგი გრდემლზე გადაცემდა მას. მკედლის დაწყევლა გრდემლთან „გამკრგლი“ იყო და უთუოდ გამართლდებოდა“. ამგვარი გადაცემის ობიექტი თავდაც გამზდარა და ამის შედეგად იგი ყაჩაღებს გაუცარცვავთ თითქოს. როცა ოსტატისთვის (იგულისხმება უფროსი, მკედელი) ეს ამბავი შეუჩივლია, ასეთი პასუხი მიუღია მისგან: „არ იცოდი, აბა, მკედლის ნაწყევარი არ შეგკრგებოდა“-ო. იმერეთში, სოფ. ქვიტირში, ამგვარი წესიც არსებულა: „სოფლის მოშორებით, მინდვრად ერთი ქვა ეგდო, მის გვერდით დასობილი იყო პალო და იქვე ურო

¹ იხ. ენიმიკ-ის ეთნოგრაფიული განყ. არქივი, ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები.

² იხ. ზუჯიდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის არქივი, 1940 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის ანგარიშები; გიორგაძე, დასახ. ნაშრომი.

³ Лихачев, И., Чилковская пещера и легенда об Абласкире-Промстее, Труды V-го Археологического Съезда в Тифлисе 1881 г., М. 1887, გვ. 246.

